საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

კახაბერ გლოველი

იმერეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს ურთიერთობა და საგარეო ორიენტაცია XVIII ს-ის II ნახევარსა და XIX ს-ის 10-იან წლებში

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ვახტანგ გურული
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

შინაარსი

ანოტაცია (ქართულად) ---------- 3

ანოტაცია (ინგლისურად) ---------- 6

შესავალი ---------- 8

წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა---------- 11

§ 1. წყაროები---------- 11

§ 2. ლიტერატურა---------- 21

თავი I. იმერეთ-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა და პოლიტიკური ორიენტაცია XVIII ს-ის 50-70-იან წლებში---------- 39

იმერეთის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა XVIII ს-ის 50-70-იან წლებში-- 39

1.1. სოლომონ I-ის სოციალური პოლიტიკა---------- 40

1.2. სოლომონ I-ის საეკლესიო რეფორმა---------- 47

1.3. რუსეთ-იმერეთის ურთიერთობა XVIII ს-ის 60-70-იან წლებში---------- 62

1.4. სამცხე-საათაბაგოს საკითხი ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ურთიერთობაში და საგარეო ორიენტაცია---------- 67

თავი II. იმერეთ-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა და საგარეო ორიენტაცია 1784-1790 წლებში---------- 99

2.1. დავით გიორგის-ძის ურთიერთობა ერეკლე II-სთან---------- 100

2.2. იმერეთის სამეფოს ურთიერთობა ოსმალეთთან---------- 108

2.3. იმერეთის ურთიერთობა რუსეთთან---------- 111

2.4. ბესიკის ელჩობა რუსეთში---------- 117

თავი III. სოლომონ II-ის მმართველობა იმერეთში და საგარეო ორიენტაცია----- 130

3. 1. სოლომონ II-ის გამეფება იმერეთში---------- 130

3.2. იმერეთის ურთიერთობა ქართლ-კახეთთან---------- 136

3.3. სოლომონ II-ის ურთიერთობა რუსეთთან---------- 139

3.4. იმერეთის ურთიერთობა ოსმალეთთან და ირანთან---------- 156

3.5. სოლომონ II-ის ბრძოლა იმერეთის ტახტის აღსადგენად---------- 187

დასკვნა---------- 202

გამოყენებული ლიტერატურა---------- 209

ა ნ ო ტ ა ც ი ა

კახაბერ გლოველის სადისერტაციო ნაშრომზე: ,,იმერეთის სამეფოსა და ახალ-ციხის საფაშოს ურთიერთობა და საგარეო ორიენტაცია XVIII ს-ის II ნახევარსა და XIX ს-ის 10-იან წლებში“ შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავის, ცამეტი პარაგრაფისა და დასკვნისაგან, დართული აქვს გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

ნაშრომის შესავალში ზოგადად შევეხეთ ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშ-ლას და მის დანაწევრებას ცალკეულ სამეფოებად, მათ წინააღმდეგობრივ ურთიერ-თობას სამცხე-საათაბაგოს ადგილზე შექმნილ ახალციხის საფაშოსთან.

პირველი თავი მთლიანად დაეთმო იმერეთის გმირი მეფის, სოლომონ I-ის მოღ-ვაწეობას, მის დაუღალავ ბრძოლას შინაური თუ გარეშე მტრის წინააღმდეგ, სოციალურ და საეკლესიო რეფორმებს. ყურადღება გავამახვილეთ მის მცდელობაზე მოეძებნა საიმედო მოკავშირე როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს, ისე რუსეთის იმპერიის სახით, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო იმერეთის საკმაოდ სუსტი სამეფოსთვის. ხაზ-გასმით აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად მწირი რესურსისა, სოლომონ I-მა XVIII ს-ის 50-იან-60-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძოლა მოუგო ოსმალე-თის იმპერიას და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

ამ თავის ერთ-ერთ სიახლედ მიგვაჩნია ჩვენი მოსაზრება მეფისა და ქუთათელი მიტროპოლიტის, შემდეგში იმერეთის კათალიკოსის, მაქსიმე აბაშიძის ურთიერთობის შესახებ, საუბარი იმ მიზეზებზე, რომლის გამოც სოლომონ I და ერთ დროს მისი პირვე-ლი დიპლომატი მოგვიანებით ერთმანეთის დაუფარავი მოწინააღმდეგეები გახდნენ. ძნელია ამ მიზეზებზე მტკიცებით ფორმაში საუბარი, ჩვენ მხოლოდ ვარაუდი გამოვ-თქვით მათ შესახებ.

ამავე თავის სიახლედ მიგვაჩნია ერთი მომენტი სოლომონ I-სა და ერეკლე II-ის ურთიერთობისა.

XVIII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს, როდესაც ერეკლე II-მ ელჩები გაგზავნა სტამ-ბოლში, ცხადი გახდა მისი დაახლოება ოსმალეთის ხელისუფლებასთან. ეს კი იმერეთის მეფემ თავისთვის უდიდეს საფრთხედ შეაფასა და ცნობილი პოეტი, ბესიკი, ელჩად გაგ-ზავნა ირანში ალექსანდრე ბაქარის-ძის, ჩამოსაყვანად, რომელიც ერეკლეს ქართლის

ტახტს ეცილებოდა. იმერეთის და ქართლ-კახეთის მეფეებს ისედაც საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, რაც გამოწვეული იყო 1768-1774 წლების ომის დროს ახალციხეზე დაგეგმილ ლაშქრობაში მონაწილეობაზე სოლომონის უარით. ერეკლეს უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ ის იმერეთში ჯარით შეჭრას და სოლომონის დასჯას აპირებდა და ამას დაუფარავად ამბობდა რუს მოხელეებთან მიმოწერის დროს. ახლა კი, ოსმალეთთან დაახლოების შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფე უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა სოლომონისთვის, ვიდრე ოსმალეთის სულთანი, რადგან, ამ უკანასკნელის მხრიდან იმერეთზე მოსალოდნელი ლაშქრობის მძიმე შედეგს ის თავიდან აიცილებდა თუნდაც იმით, რომ შეარბილებდა ,,ტყვეთა სყიდვის" აკრძალვის პოლიტიკას, ან ნაწილობრივ დაუშვებდა მას. ერეკლეს იმერეთში შეჭრის შემთხვევაში კი მას მანევრირების საშუალება არ ექნებოდა და, როგორც იმერეთის სამეფოს, ისე მისი მეფის მომავალიც ერთობ ბუნდოვანი გახდებოდა. ამასთანავე ვფიქრობთ, რომ ამ ელჩობის მიზანი იმ დროს, როცა რუსეთმა შეანელა იმერეთის სამეფოსადმი დაინტერესება, ხოლო ქართლ-კახეთმა საიდუმლო შეთანხმება დადო ოსმალეთთან, იყო ახალი მოკავშირის მოძებნა ირანის სახით, რაც ახალი საგარეო ორიენტაციის საწყისად მიგვაჩნია.

ნაშრომის მეორე თავი ეხება იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებას XVIII ს-ის 80-იან წლებში. ამ თავის სიახლეა 1787 წლის ცნობა, რომელსაც მივაკვლიეთ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. მასში მეფედ დავით არჩილის ძეა ნახსენები, რაც აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს. მისი გამეფება მოხდა 1789 წელს, ხუნწ-მათხოჯის ბრძოლის შემდეგ, ხოლო ამ საარქივო ცნობაში მისი მეფედ მოხსენიება დავით გიორგის ძის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ერთგვარ მცდელობად მიგვაჩნია, რომლებიც კანონიერი მეფის ტახტიდან ჩამოგდებას და თავიანთი სასურველი კანდიდატის, დავით არჩილის ძის, გამეფებას ესწრაფვოდნენ, ხოლო, სანამ ამას მოახერხებდნენ, ცდილობდნენ, რომ არალეგიტიმური იერი მიეცათ იმერეთის სამეფო ხელისუფლებისთვის.

ვფიქრობთ, ეს ცნობა სამეცნიერო მიმოქცევაში ჩვენ შემოვიტანეთ, რადგან მას ვერ ვხვდებით დასავლეთ საქართველოს ამ პერიოდის ისტორიით დაინტერესებულ სხვა მკვლევართა შრომებში. ამ საბუთს ერთგვარი ღირებულება გააჩნია XVIII ს-ის 80-იანი

წლების იმერეთის სამეფოს საკმაოდ არასტაბილური შიდაპოლიტიკური ვითარების გასაცნობად.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი აღწერს იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ II-ის მოღვაწეობას 1789-1810-იან წლებში, მის ურთიერთობას რუსეთთან, ირანთან და ოსმალეთთან, ხოლო ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ძალაუფლების დაბრუნების მცდელობას და ბრძოლას იმერეთის ტახტის აღსადგენად. ამ თავის სიახლედ მიგვაჩნია ს ე ა ს ც ა-ს თურქული საბუთების ფონდში აღმოჩენილი უთარიღო წერილი, რომელიც სოლომონ II-მ გაუგზავნა ოსმალეთის სულთანს და 30 000-იანი ჯარით თავისი დახმარება შესთავაზა მტერთან ბრძოლაში. დავადგინეთ, რომ წერილი დაწერილი უნდა იყოს 1804 წლის მარტიდან-1805 წლისდასასრულ-1806 წლების დასაწყისამდე. ეს ცნობაც ჩვენი მცირედი ძალისხმევით (და ქალბატონ ც. აბულაძის კეთილი ნებით) შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში და შეძლებისდაგვარად განვსაზღვრეთ, თუ რა ამოძრავებდა იმერეთის მეფეს ამ წერილის დაწერისას.

ამავე თავის სიახლედ მიგვაჩნია ჩვენი მოსაზრებათა ერთობლიობა სოლომონ II-ის საქმიანობის შესაფასებლად. მიუხედავად დიდი პატივისცემისა უკანასკნელი ბაგრატიონი მონარქისადმი, მის მოღვაწეობას ვერ შევაფასებთ, როგორც ბრძოლას იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობისთვის. ვფიქრობთ, ის უფრო ტახტისთვის და მეფის ტიტულისათვის ბრძოლას წააგავდა, ეს უკანასკნელი კი არ შეიძლება გავაიგივოთ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან.

Annotation

Kakhaber Gloveli's dissertation: "The relationship and foreign orientation of the Kingdom of Imereti and Akhaltsikhe Pashalik in the second half of the XVIII century and the 10s of the XIX century" consists of an annotation, introduction, three chapters, twelve paragraphs and a conclusion, with attached sources and List of literature.

In the introduction of the paper, we generally alluded upon the disintegration of the united Georgian state and its division into separate kingdoms, their contradictory relations with the Akhaltsikhe Pasha created on the site of Samtskhe-Saatabago.

The first chapter was entirely devoted to the work of the heroic king of Imereti, Solomon I, his tireless struggle against the internal or external enemy, social and ecclesiastical reforms. We focused on his efforts to find a reliable ally in the form of both the Kingdom of Kartli-Kakheti and the Russian Empire, which was vital significant for the rather weak kingdom of Imereti. We emphasize that despite scarce resources, Solomon I won several important battles against the Ottoman Empire in the early 50s and 60s of the 18th century and was defeated only once.

One of the novelties of this chapter we consider our opinion about the relationship between the king and the Metropolitan of Kutaisi, later the Catholicos of Imereti, Maxime Abashidze, talking about the reasons why Solomon I and at one time his first diplomat later became obvious opponents. It is difficult to talk about these reasons in an assertive form, we have only speculated about them.

In the same chapter we consider one instant of the relationship between Solomon I and Heraclius II.

In the late 1970s, when Heraclius II sent ambassadors to Istanbul, it became clear that he was getting closer to the Ottoman authorities. The king of Imereti considered this a great danger to him and sent the famous poet, Besik, as an ambassador to Iran to bring Alexander the son of Bakar, who was competing with Heraclius the throne of Kartli. The kings of Imereti and Kartli-Kakheti already had a rather tense relationship, which was caused by Solomon's refusal to participate in a planned war to Akhaltsikhe in 1768-1774.

Heraclius's dissatisfaction was so great that he was going to invade Imereti with an army and punish Solomon, and he said this openly during his correspondence with Russian officials. Now, after rapprochement with the Ottomans, the king of Kartli-Kakheti represented a greater threat to Solomon than to the Ottoman sultan, as he avoided the dire consequences of the latter's invasion of Imereti, even by easing the policy of banning the "purchase of captives" or partially assume it.

Even if Heraclius invaded Imereti, he would not be able to maneuver and the future of both the Kingdom of Imereti and his king would become unclear. At the same time, we think that the purpose of this emassy at a time when Russia slowed down its interest in the Kingdom of Imereti and Kartli-Kakheti signed a secret agreement with the Ottomans, was to find a new ally in the form of Iran, which we consider the beginning of a new foreign orientation.

The second chapter of the paper deals with the political life of Imereti in the 80s of the XVIII century. The novelty of this chapter is the reference of 1787, which we have traced in the Central State Historical Archive of Georgia. It mentions David Archil's son as king, which is clearly not true. His coronation took place in 1789, after the Battle of Khunts-Matkhoji, and in this archival reference we consider his remembrance as a king is a kind of attempt by political opponents of David George's son to overthrow the rightful king and aspire to the throne of their preferred candidate, David Archil's son; And before managing this, they were trying to give an illegitimate look to the royal government of Imereti.

We think that we have included this information in the scientific circulation, because we do not find it in the works of other scholars interested in the history of this period of Western Georgia, which surprised us a lot, because it is about changing the government and not punishing any great prince. This document has a kind of value for getting acquainted with the rather unstable internal political situation of the Imereti Kingdom of the 80s of the XVIII century.

The third chapter of the dissertation describes the activities of the last king of Imereti, Solomon II in 1789-1810, his relations with Russia, Iran and the Ottomans, and the attempt to regain power after his overthrow and the struggle to restore the throne of Imereti. The novelty of this chapter is the undated letter found in the Turkish Document Fund of the CSHAG, which was sent by Solomon II to the Ottoman Sultan and offered his help in the battle against the enemy with an army of 30,000. We have determined that the letter must have been written from March 1804 to the end of 1805 to the beginning of 1806. With our small efforts (and with the good will of Mrs. Ts. Abuladze), this message was put into scientific circulation and we determined, as far as possible, what motivated the King of Imereti to write this letter.

In the same chapter we consider a set of our opinions as a novelty, to evaluate the work of Solomon II. Despite the great respect for the last Bagrationi monarch, we cannot evaluate his work as a struggle for the independence of the Kingdom of Imereti. We think it was more like a fight for the throne and the title of king, and this one cannot be identified with the fight for the independence of the country.

შესავალი

XVIII ს-ის II ნახევარი საკმაოდ მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, დრამატული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. სამი საუკუნის წინ დაშლილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ადგილზე წარმოქმნილ ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებს და მათთან ერთად დასავლეთ საქართველოს სამთავროებს დიდი ძალისხმევა უწევდათ არსებობის შესანარჩუნებლად. ქვეყნის ისტორიულ მტრებს, ირანის და ოსმალეთის იმპერიების სახით შეემატა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე შექმნილი ახალციხის საფაშო, რომელიც ოსმალეთის პოლიტიკური ერთეული გახდა და დიდ როლს თამაშობდა ქართული სამეფო-სამთავროების ცხოვრებაში. გასათვალისწინებელი იყო ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანი მოსახლეობის აგრესიული და მტრული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.

ჩვენი საკვლევი საკითხის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს პერიოდს სოლომონ I-ის გამეფებიდან XIXს-ის 10-იანი წლების ჩათვლით, უფრო ზუსტად, იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ II-ის, გარდაცვალებამდე. უნდა ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარების მიერ. არსებობს უამრავი ლიტერატურა ამ პერიოდთან დაკავშირებით. რთული აღმოჩნდა სიახლის მიგნება და მისი განსჯა-შეფასება.

ამ საკითხმა ჩვენი ყურადღება იმიტომაც მიიპყრო, რომ არ არსებობდა მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც მეტნაკლებად მწყობრად აღწერდა ახალციხის საფაშოს და გამაჰმადიანებული ჯაყელების როლს XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყურადსაღები იყო ერთი გარემოებაც: დასასრულს უახლოვდებოდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების არსებობა, მათ ადგილს მალე ორი რუსული გუბერნია დაიკავებდა. ბედის ირონიით ისე მოხდა, რომ ახალციხის საფაშომ ქართულ სამეფოებზე დიდხანს იარსება.

საკვლევ თემაზე მუშაობის დროს მივედით იმ დასკვნამდე, რომ ოსმალეთის ხელისუფლება ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში შექმნილ ვითარებას, იმდენად, რამდენადაც ამ ტერიტორიას თავის გავლენის სფეროდ თვლიდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იმერეთის და შავი ზღვის

სანაპირო ზოლის ციხე-სიმაგრეების გამაგრება, მათი გარნიზონების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება ოსმალეთის მთავრობისთვის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. ეს ციხეები საკმაოდ ძლიერ იარაღს წარმოადგენდა როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე მოგვიანებით ამიერკავკასიაში დამკვიდრების მიზნით აქ შემოსული რუსული სამხედრო შენაერთების წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართველ მეფე-მთავრებს იმედი გაუჩნდათ, რომ ქრისტიანული რუსეთის დახმარებით თავს დააღწევდნენ ოსმალეთის ხელისუფლების მოხარკეობას და რელიგიური ჩაგვრის უღელსაც მოიშორებდნენ. ამ მცდელობამ დამპყრობლის პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში უფრო აგრესიული გახადა.

დღიდან ახალციხის საფაშოს დაარსებისა, სამცხის ყოფილი სამთავრო იქცა პლაცდარმად დანარჩენი საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. 1628 წლიდან, ჯაყელთა საგვარეულოს გამაჰმადიანებული წარმომადგენლების საფაშოს ტახტზე ასვლის შემდეგ, ახალციხის ფაშა იყო ორგანიზატორი ან უშუალო მონაწილე აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში განხორციელებული სადამსჯელო ლაშქრობისა, ხშირად საკუთარი შეხედულებით ცვლიდა იმერეთის სამეფო ტახტის მფლობელს ან გურიაოდიშის მთავრებს და ხშირად ამის შესახებ ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას საქმის კურსში არ აყენებდა. ეს ფაქტი ფაშის დიდ ძალაზე და მის გავლენაზე მეტყველებდა.

1721 წელს სულთნის ბრძანებით ახალციხის ფაშამ იმერეთის სამეფო ტახტზე ალექსანდრე V აიყვანა. ქართლიდან ახალციხეში ახალი მეფე მცველთა რაზმმა გააცილა, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი მეთაურობდა, მარშრუტი კი ასეთი იყო: თბილისი-ახალციხე-ქუთაისი. ხომ შეიძლებოდა თბილისიდან პირდაპირ ქუთაისში გადასულიყო ალექსანდრე? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ საჭირო იყო ჩვენება იმისა, რომ იმერეთის მეფე ტახტზე სულთნის კეთილი ნებით ადიოდა და ეს პროცედურა ახალციხის ფაშის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა. სოლომონ I, რომლის მეფობამ ოსმალეთის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში განვლო, ხშირად იყენებდა ახალციხის ფაშის დახმარებას. მომდევნო ფაშებიც სიამოვნებით ეხმარებოდნენ დავით გიორგის ძეს და სოლომონ II-ს, რა თქმა უნდა ოსმალეთის ხელისუფლების ინტერესიდან გამომდინარე.

XIX ს-ის დასაწყისში, როცა ნათელი გახდა, რომ საქართველოში დამკვიდრებული რუსული ხელისუფლება ერთნაირად მიუღებელი იყო როგორც ბაგრატიონებისთვის, ისე გამაჰმადიანებული ჯაყელებისთვის, იმერეთის უკანასკნელი მეფე, სოლომონ II, ხშირად უკავშირდებოდა ახალციხის ფაშებს და მათ გამოყენებას ცდილობდა რუსეთის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ მეფეს საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა შერიფ-ფაშა ჯაყელთან და სელიმ-აღა ხიმშიაშვილთან, რომელიც 1812-1815 წლებში მეორედ გახდა ახალციხის ფაშა.

მრავალრიცხოვანი ქართული თუ უცხოური წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რომ გამაჰმადიანებული ჯაყელების სამფლობელო იყო სამცხის სამთავროს ადგილზე შექმნილი დიდი მნიშვნელობის მქონე თურქული პოლიტიკური ერთეული, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა XVIII ს-ის II ნახევრის ქართულ სამეფო-სამთავროებთან, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს ურთიერთობა ყოველთვის კეთილმეზობლური იყო.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

§ 1. წ ყ ა რ ო ე ბ ი

საყურადღებო წყაროა მარი ბროსეს Переписка грузинских царей с россискими государями 1659-1770гг. (С. петербург, 1861), რომელიც საინტერესო ცნობას გვაძლევს ქართველი მეფეების რუსეთის საიმპერატორო კართან ურთიერთობის დამყარების მცდელობის შესახებ. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება წერილი, რომელიც იმერეთის მეფემ, ალექსანდრე V-მ (ბროსესთან ალექსანდრე IV წერია) 1732 წელს გაუგზავნა რუ-სეთის იმპერატორს, ანა ივანეს ასულს. მეფე ქრისტიანობის გადასარჩენად რუსეთიდან დახმარებას ითხოვდა (Броссе, 1861:193).

უაღრესად დიდი ღირებულების მქონე წყაროა Акты, собраные кавказской архе-ографической комиссией, Т.I, Тиф. 1866, Т.II,Тиф.1868, Т.III,Тиф. 1869, და Т.IV, Тиф. 1870. (შემდეგში ამ წყაროს მოვიხსენებთ, როგორც ,,აქტები"). I ტომი ასახავს გენერალ კარლ კნორინგის მთავარმართებლობის პერიოდს, II ტომი აღწერს პაველ ციციანოვის მმართველობას, III ტომში შესულია მთავარმართებელ გუდოვიჩის ფონდი, ხოლო IV ტომი შეეხება გენერალ ტორმასოვის მოღვაწეობას. ,,აქტებში" ვხვდებით უამრავ საინ-ტერესო ფაქტს ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ურთიერთობის შესახებ. ასახულია ის სიძნელეები, რაც თან ახლდა რუსული ხელისუფლების დამყარებას ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ კი-დასავლეთ საქართველოში. ეს საბუთები უაღრესად სანდოა, რადგან მათი ავტორები თანამედროვენი და ხშირად თანამონაწილენიც იყვნენ ამა თუ იმ საბუთში აღწერილი მოვლენისა. შეიძლება ითქვას, რომ ,,აქტებში" არსებული ინფორ-მაცია პირველი ხელიდანაა გამოსული.

ფასდაუდებელი წყაროა ალექსანდრე ცაგარელის ნაშრომები, რომელიც ორ ტომად გამოიცა:

1.Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии, изд А.А.Цагарели,т.I, СПБ, 1891.

2.Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии, изд. А.А.Цагарели,т.II, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: вып.I, СПБ,1898 და вып.II,

СПБ, 1902. მათ მაღალ შეფასებას აძლევდა აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი, (ბერძენიშვილი, 1967:164).

საფრანგეთის პრეისტორიული საზოგადოების დამაარსებელი, ემილ რევიერი, მას ევროპის საუკეთესო მკვლევართა შორის ასახელებდა. ალექსანდრე ცაგარელი მოხსენებებს კითხულობდა რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. მან უკანონო და ძალისმიერი აქტი უწოდა 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების ფაქტს, ხოლო თავისი პუბლიკაციებით და წერილებით ღიად დაუპირისპირდა რუსეთის იმპერიის ოფიციალურ ისტორიოგრაფიას. იმ დროში ამის გაკეთება გმირობის ტოლფასი იყო. მიუხედავად ამისა, მას საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის საიმპერატორო კართან. მეორე ტომზე, რომელიც ავტორმა პირადად მიუტან ალექსანდრე III-ს, იმპერატორს საკუთარი ხელით დაუწერია ,,კარგია". ალექსანდრე ცაგარლის ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრები: ნ. გირსი და ა.ლობანოვ-როსტოვსკი.

ავტორი პირადად გაეცნო რუსულ არქივებში შენახულ ერეკლე II-ის, სოლომონ I-ის, დარეჯან დედოფლის წერილებს, ერეკლეს მიმოწერას კავკასიის ხაზის მთავარსარდალთან და სხვა. საბუთთა უმრავლესობა ეხება ქართლ-კახეთის სამეფოს და მის მეფეს, მაგრამ ვხვდებით საინტერესო ცნობებს სოლომონ I-ის იმერეთზეც. ალექსანდრე ცაგარელმა ისარგებლა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში არსებული მასალით. მთლიანობაში მან გააშუქა სამი მთავარი მოვლენა: 1783 წლის ტრაქტატი, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა და რუსეთის მიერ საქართველოს შეერთება 1801 წელს.

საკმაოდ საინტერესოდ არის გადმოცემული 1769 წლის მაქსიმე ქუთათლის ელჩობა რუსეთში, ასევე საყურადღებო ცნობებს შეიცავს კაპიტან იაზიკოვის ჩანაწერები და კაპიტან ლვოვის და გრაფ ნიკიტა პანინის მიმოწერა.

ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან (1881წ) ავტორი გაეცნო თითქმის ყველა საბუთს, რომელიც შეეხებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. ზურაბ ავალოვისგან განსხვავებით, რომელიც ფიქრობდა, რომ საქართველო ცალმხრივად მიილტვოდა რუსეთის მფარველობისკენ, ალექსანდრე ცაგარელს მიაჩნდა, რომ სწრაფვა ურთიერდაახ-

ლოებისაკენ ორივე ქვეყნის მხრიდან იყო ორმხრივი. რუსეთი საქართველოსთან დაკავშირებას, მისი აზრით, იმიტომ ცდილობდა, რომ ეს უკანასკნელი იყო ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა წინა აზიაში (მთლიანად აზიაში) და მას საქართველოს სახით ქრისტიანობის შენარჩუნება უნდოდა აღმოსავლეთში.

თავს უფლებას მივცემთ, გავკადნიერდებით და ნაწილობრივ ვერ დავეთანხმებით დიდ მეცნიერს. ის ფიქრობდა, რომ საქართველომ რუსეთის მფარველობა არჩია არა მარტო ოსმალეთის და ირანის, არამედ ევროპული ქვეყნების მფარველობასაც. ეს, ჩვენი აზრით, მანამდე იყო, სანამ ერეკლე II და სოლომონ I რუსეთის ნამდვილ ბუნებას და ზრახვებს ამოიცნობდნენ. სოლომონის მიერ ბესიკის ელჩად გაგზავნა ირანში, ან მისი მცდელობა დახმარების მიღებისა რომის პაპისგან, როცა პასუხად მხოლოდ მისი ლოცვა-კურთხევა მიიღო, ან ერეკლეს მიერ კათოლიკე ბერების ელჩებად ორჯერ გაგზავნა ავსტრიაში იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი მეფეებისთვის ერთადერთი საგარეო მოკავშირე მარტო რუსეთი არ იყო და მოკავშირე-მფარველს უცხოეთშიც ეძებდნენ. როცა ალექსანდრე ცაგარელი ამბობდა, რომ რუსეთის მიზანი ერთმორწმუნე საქართველოს დაცვა და დახმარება იყო მაჰმადიანებთან უთანასწორო ბრძოლაში, უნებურად გენერალ გუდოვიჩის დანაშაულებრივი უმოქმედობა გვახსენდება კრწანისის ბრძოლის წინ.

მიუხედავად ამისა, ხაზგასმით აღვნიშნავთ ალექსანდრე ცაგარლის უზარმაზარ დამსახურებას ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე და მის მიერ გაწეულ ტიტანურ სამუშაოს. ეს ნაშრომი საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიწერა, თუმცა, მისი მნიშვნელობა და აქტუალობა დღესაც ძალზე დიდია და კიდევ დიდხანს დარჩება ისტორიკოსთა სამაგიდო წიგნად.

ასევე საყურადღებო წყაროა სარგის კაკაბაძის ,,დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“ (წიგნი II. ტფ, 1921). აქ მოყვანილი საბუთების დიდი ნაწილი დაწერილია პეტერბურგის აზიის მუზეუმში არსებული დოკუმენტების მიხედვით. ვხვდებით იმერეთის უკანასკნელი მეფეების: დავით გიორგის ძისა და სოლომონ II-ის მიერ გაცემულ არაერთ სიგელსა თუ წყალობის წიგნს, ასევე დადიანის და გურიელის ანალოგიური შინაარსის საბუთებს. შეიძლება ვთქვათ, რომ სარგის კაკაბაძის ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს XVIIIს-ის II ნახევრის იმერეთის სამეფოს ისტორიის შესასწავლად.

XVIIIს-ის II ნახევრის საქართველო-რუსეთის ურთირთობის შესახებ მრავალ საყურადღებო ცნობას გვაწვდის იასე ლორთქიფანიძის ,,მასალები საქართველოს ისტორიისათვის“ (XVIII ს.) (წიგნში XVIII ს-ის მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის ნაკვ. II თბ, 1940). ავტორი გაეცნო გაფკეს, (ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის სახელმწიფო არქივი) კიდ-ის, (საგარეო საქმეების კოლეგია) ცვია-ს, (ცენტრალური სამხედრო საისტორიო არქივი) მასალებს, პავლე პოტიომკინის ფონდს, რომელიც 1782-1791 წლების საბუთებს მოიცავს და ,,მოსკოვისა და პეტერბურგის უწყებანი“-ის საგაზეთო მასალებს, საკუთარი თვალით ნახა ერეკლე II-ის, სოლომონ I-ის, დავით გიორგის ძის, სოლომონ II-ის, გარსევან ჭავჭავაძის, ბესიკ გაბაშვილის და მაქსიმე კათალიკოსის ორიგინალი წერილები.

ცნობები, რომლებიც გაზეთში იბეჭდებოდა, ძირითადად შემოდიოდა სტამბოლიდან, ლივორნოდან (იტალია) და ვენეციიდან და შეეხებოდა ძირითადად ერეკლეს. თუმცა, აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის აზრით, შეცდომით იყო ნახსენები ერეკლეს ბრძოლა ოსმალეთთან. აქ სოლომონ I უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ერეკლე, ძირითადად, ლეკებს, მთიელებს და ამიერკავკასიის მუსულმანებს ებრძოდა.

ავტორი აღწერს ვითარებას, რომელიც იმერეთში სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა, დაპირისპირებას, ერთი მხრივ, ტახტის პრეტენდენტებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, მოღალატე თავადთა ბრძოლას სუსტი სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, პოლკოვნიკ ბურნაშოვის და მაქსიმე კათალიკოსის ჩასვლას ქვეყანაში მდგომარეობის დაწყნარების მიზნით. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს დავით გიორგის ძისა და დადიანის კავშირის შესახებ და ამბობდა, რომ სამეგრელოს მთავარი თავისი დახმარებით იმერეთის მეფეს რუსეთთან აშორებდა და ოსმალეთთან აახლოებდა (ლორთქიფანიძე, 1940:58).

წყაროში მოყვანილი ცნობები, შეიძლება ითქვას, რომ უაღრესად სანდოა.

მნიშვნელოვანი წყაროა იასე ცინცაძის ,,ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში“ (ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, თბ, 1940), რომელიც ასახავს ერეკლე II-ის სურვილს საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა გენერალ სუხოტინის კორპუსი.

იასე ცინცაძე კრიტიკულად აფასებდა ალექსანდრე ცაგარლის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რადგან ამ უკანასკნელმა ფონდში ,,Дела Грузинские“ არსებული ოცდაცხრა საბუთიდან ოცდაერთი არ გამოსცა. თვითონ ალექსანდრე ცაგარელი ამას უსახსრობით ხსნიდა. ამ ორი საბუთიდან პირველი წარმოადგენს სამხედრო-ოპერაციულ გეგმას, რომელიც გენერალმა სუხოტინმა 1771 წლის 15 ივნისს ორ ეგზემპლიარად შეადგინა სოფელ ხელთუბანში ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეების თანდასწრებით მათთვის გადასაცემად. ეს იყო რუსული კორპუსის და ქართული ჯარის ერთობლივი სამოქმედო გეგმა რუსეთ-ოსმალეთის მიმდინარე ომში. საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ უნდა ემოქმედათ მოკავშირეებს და რა რაოდენობის ჯარი უნდა გამოეყვანათ ქართველ მეფეებს ბრძოლის ველზე. ეს საბუთი ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ აშკარა იყო ერეკლესა და სოლომონს შორის დაპირისპირება. სოლომონი ფიქრობდა, რომ რუსული კორპუსი საქართველოში მის დასახმარებლად ჩამოვიდა, ამიტომ მტრულად შეხვდა ერეკლეს განზრახვას რუსების დახმარებით ახალციხის ხელში ჩაგდებისა. იასე ცინცაძე გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ,,იმერეთის მესვეურთ ამ ომიდან ქართლ-კახეთის ჩამოცილება უნდოდათ“ (ცინცაძე, 1940:349).

საიდუმლო ინსტრუქციით, რომელიც გენერალ სუხოტინს რუსეთში მისცეს, ქართველ მეფეებს თავიანთი მოქმედებით ხელი უნდა შეეშალათ ოსმალეთისთვის ფოთის გარნიზონის დახმარებაში, ამ ქალაქის აღება რუსეთის ხელისუფლებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო. მათ დღის წესრიგში არ იდგა ახალციხის აღება და ან სოლომონის მოქიშპე მთავრების დათრგუნვა. იმავე ინსტრუქციით, იასე ცინცაძის აზრით, ირკვევა, რომ რუსეთი არ გეგმავდა საქართველოს ანექსიას, მაგრამ თუ ეს ხელს შეუწყობდა ქართველების უფრო მეტ გააქტიურებას ამ ომში, მაშინ არც ამაზე იტყოდნენ უარს, ე.ი. ამოქმედდებოდა ტოტლებენის გეგმა.

მეორე საბუთში აღწერილია, თუ როგორ მოატყუა ერეკლემ რუსული კორპუსის მეთაური. როცა გენერალი მისგან 14 300 კაცის გამოყვანას ითხოვდა, ქართლ-კახეთის მეფემ შეგნებულად არ დააკონკრეტა ეს რიცხვი და თავისი ვალდებულება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: ,,შეძლებისამებრ ჩემისა“ ან ,,ძალითა ჩემითა“, რამაც საშუალება

მისცა მოგვიანებით რუსული მხარისთვის დამაჯერებლად განეცხადებინა, რომ ამხელა ჯარის გამოყვანა არ შემიძლია და ვერც შეგპირდებითო.

ერთგვარი ღირებულება გააჩნია დავით ბატონიშვილის ,,ახალ ისტორიას“ და ბაგრატ ბატონიშვილის ,,ახალ მოთხრობას“, რომელიც ერთ წიგნად გამოსცა თამარ ლომოურმა (თბ, 1941). ,,ახალ მოთხრობაში“ ავტორი გულისტკივილით საუბრობდა იმ დაპირისპირებაზე, რომელიც ერეკლეს შვილებს შორის სუფევდა და რაც გამოიხატა იმით, რომ იულონ, ფარნაოზ და ვახტანგ ბატონიშვილებმა აღადგინეს შფოთი დასნეულებული გიორგი XII-ის წინააღმდეგ (ლომოური, 1941:75), ვხვდებით რუსების მიერ იულონის და ფარნაოზის შეპყრობის ფაქტს ქართველთა დახმარებით (ლომოური, 1941:93-94). მცირე ფასი ჰქონია ერეკლეს შვილებს საქართველოში დამკვიდრებული რუსული ხელისუფლების თვალში. ყაზახის მოურავმა, კახელმა თავადმა, სოლომონ ავალიშვილმა, დატუსაღებული ფარნაოზ ბატონიშვილი გენერალ ციციანოვს მოჰგვარა, საჩუქრად კი მხოლოდ მაიორობა და ოცდაათ თუმნიანი ჯამაგირი მიიღო.

,,ახალი ისტორია“ მრავალ ცნობას გვაძლევს ერეკლესა და სოლომონ I-ის დაძაბული ურთიერთობის, ასევე იმ დაპირისპირებისა და არასტაბილური ვითარების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმერეთში სოლომონ დიდის გარდაცვალების შემდეგ.

XVIIIს-ის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ვითარების შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო წყაროა ,,იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი“ (ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით ლექსიკონითა და საძიებლით ავთანდილ იოსელიანმა, თბ, 1950). იესე მეფის მდივანბეგი იყო, თუმცა ერეკლე მაინცდამაინც არ წყალობდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა გივი ამილახვართან და ზაქარია გაბაშვილთან. გადმოგვცემს საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტებს, მაგ: ერეკლეს მიერ გიორგი ქსნის ერისთავის დამარცხებას და საერისთავოს გაუქმებას, ქართლ-კახეთის მეფის მიერ ახალგორში ასვლას და ,,ქართველი ოსების“ მორჩილებაში მოყვანას, მის მრავალმხრივ აქტიურობას როგორც იმერეთთან, ისე ოსმალეთთან ურთიერთობაში. საინტერესოდ ჟღერს მისი შეფასება თბილისის სომეხი მოსახლეობისა. ასევე ვხვდებით არაერთ საინტერესო ცნობას ქართველი მეფეების დიპლომატიური და სამხედრო საქმიანობის შესახებ. ,,ცხოვრება-ანდერძი“ მრავალმხრივ ღირებული წყაროა.

ჩვენი საკვლევი თემის შესწავლა-გაშუქებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის ნაშრომებს. მისი ,,დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის“ (თბ, წ. II, 1953.) ამომწურავ ინფორმაციას გვაძლევს სხვადასხვა სოციალური პროცესის გაშუქებისა და საქართველოს სამეფო-სამთავროებში შექმნილი ეკონომიკური ვითარების გასაცნობად. ნაშრომში მოყვანილია მრავალი სიგელი თუ წყალობის წიგნი, რომლებიც გაცემულია იმერეთის მეფეების მიერ. მაგალითად: სოლომონ I-ის მიერ საურის გადასახადის გაუქმების წიგნი, მიცემული გელეიშვილების ოჯახისადმი 1751 წელს (ბერძენიშვილი, 1953:278), იმაზე მეტყველებს, რომ ახალგაზრდა მეფე ტახტზე ასვლისთანავე შეეცადა მოსახლეობის გაჭირვებული ფენისთვის მდგომარეობის გაუმჯობესებას. 1778 წლის წყალობის წიგნით, რომელიც მეფემ თავისი ოჯახის სახელით მისცა პაპუნა წერეთელს (ბერძენიშვილი, 1953:280-281), მან უხვად დაასაჩუქრა წერეთლების ოჯახი ერთგულებისთვის. ორივე ცნობა საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მათში ჩანს მეფის მცდელობა ერთგული მომხრეების წახალისების გზით გაეძლიერებინა საკუთარი სოციალური დასაყრდენი.

საპირისპირო შინაარსისაა მომდევნო მეფის, დავით გიორგის ძის 1786 წლის წყალობის წიგნი ბეჟან წერეთლისადმი. მეფემ მოღალატური საქმიანობისთვის დაამდაბლა ერთ დროს აღზევებული პაპუნა წერეთელი და მას საწერეთლოს უფროსობა ჩამოართვა.

ასეთი შინაარსის საბუთი მრავლადაა მოყვანილი და მათი შესწავლა-გაანალიზებით შესაძლებელი ხდება ჩვენთვის საინტერესო პერიოდის იმერეთის სამეფოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა.

დიდმა ქართველმა თურქოლოგმა, აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ ქართულ ენაზე გამოსცა ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (თბ, 1958), რომელშიც შესულია ოსმალების მიერ 1595 წელს ჩატარებული ქართული ტერიტორიების და მოსახლეობის აღწერის შედეგები. როგორც ისტორიულ წყარო, აღნიშნულ ნაშრომი საკმაოდ მნიშვნელოვანია ახალციხის საფაშოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით.

საკმაოდ ღირებული წყაროა ცნობილი რუსი მოგზაურის იოჰან გიულდენშტედტის ჩანაწერები, რომელიც ორ ტომად დაიბეჭდა (გიულდენშტედტის მოგზაურობა. ტ. I, თბ, 1962 და ტ. II, თბ, 1964. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გიორგი გელაშვილმა). მეცნიერმა იმოგზაურა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, პირადად შეხვდა ერეკლე II-ს და სოლომონ I-ს. ის გვაწვდის მრავალ ღირებულ ცნობას ჩვენი ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის, ასევე ქართლ-კახეთისა და იმერეთის პოლიტიკური მოწყობის და მათი სამხედრო შესაძლებლობის შესახებ. საყურადღებოა მისი ცნობა იმის შესახებ რომ, ყიზლარში 2 წელი უსაქმოდ იდგა რუს მესანგრეთა რაზმი, ერეკლე კი უშედეგოდ ითხოვდა მის საქართველოში ჩასვლას. მაგრამ რუსი მეცნიერი არაობიექტურად და გაზვიადებულად აფასებდა ტოტლებენის მოღვაწეობას, მის სამხედრო მიღწევებს იმერეთში.

საკითხზე მუშაობისას დიდად დაგვეხმარა ცნობები, რომლებიც თავმოყრილია ,,ქართლის ცხოვრების“ IV ტომში (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ, 1973). ესაა ვახუშტი ბატონიშვილის ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და მასში ვხვდებით სამცხის ტერიტორიის, ახალციხის, სხვა-დასხვა ეკლესია-მონასტრის აღწერას, ხაზგასმულია ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკური სილამაზე. ვახუშტის მატიანე მთავრდება იმ არასტაბილური მდგომარეობის და ურთიერთდაპირისპირების აღწერით, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმერეთში ალექსანდრე V-ის დროს. ჩვენთვის საკმაოდ ღირებულია ეს ცნობები იმდენად, რამდენადაც ეს დაპირისპირება საკმაოდ მწვავე ფორმით გაგრძელდა სოლომონ I-ის გამეფების შემდეგ, შედეგად კი მას ახალგაზრდა მეფის ტახტიდან ჩამოგდება მოჰყვა.

გარკვეული მნიშვნელობის წყაროდ მიგვაჩნია ბულგარეთში, კირილეს და მეთოდეს სახელობის ბიბლიოთეკაში მიკვლეული და ცისანა აბულაძის და მიხეილ სვანიძის მიერ ქართულ ენაზე ნათარგმნი ,,ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი“ (თბ,1979), რომელიც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ოსმალთა გავლენის სფეროში მოხვედრილი ქართული ტერიტორიების მოწყობის, ახალციხის საფაშოს ადმინისტრაციული ერთეულების სოციალური შესაძლებლობის და მათი სამეურნეო შემოსავლის შესახებ.

აღნიშნული წყარო დიდ დახმარებას გაუწევს ახალციხის საფაშოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარს.

მნიშვნელოვანი წყაროა პაპუნა ორბელიანის ,,ამბავნი ქართლისანი“ (თბ, 1981), რომელშიც აღწერილია 1739-1758 წლების ამბები. პაპუნა ორბელიანი ამ პერიოდის მოღვაწეა და უშუალოდ მონაწილეობდა იმდროინდელ მოვლენებში. მისი თხზულება ობიექტურობის საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩევა. აქვე ვხვდებით საკმაოდ საინტერესო ფაქტს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეების ურთიერთობის შესახებ. როცა სოლომონ I-ის მამა, ალექსანდრე, საკუთარმა ძმამ, მამუკა ბატონიშვილმა, ტახტიდან ჩამოაგდო, იმერეთის მეფემ დახმარება თეიმურაზ II-ს სთხოვა. აღმოსავლეთ საქართველოს დამხმარე ჯარმა ,,მოარბივის ახალციხისა ქვეყანა“ (ორბელიანი, 1981:100). ერეკლემ ოსები დაამარცხა ანწუხელი, თებელი და ყირახელი ლეკების დახმარებით, მაგრამ შემდეგ ამ ჯარმა იმერეთიც დაარბია, რადგან ოსეთში ნაშოვნი დავლა არ ეყო, მაგრამ პაპუნა ორბელიანი ამ ამბავში ერეკლეს მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფდა, ,,იმერეთის წახდენაში ბატონი არ ერივა“ (ორბელიანი, 1981:110-111). საინტერესოა, რომ ერეკლეს ლაშქრობას ოსების წინააღმდეგ თხზულების ავტორი ვახტანგ გორგასლის ოვსეთში ლაშქრობას ადარებდა.

საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ,,დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ“, რომლის ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი შენიშვნები და საძიებელი დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა (თბ, 1985). ეს წყარო საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი ავტორი ტოტლებენთან მსახურობდა და კარგად იცნობდა გენერლის საქმიანობის ნამდვილ მიზანს. ფრანგი ოფიცრის აზრი რადიკალურად განსხვავდება იოჰან გიულდენშტედტის და პაველ ბუტკოვის მოსაზრებებისგან.

დე გრაი დე ფუას ცნობით, საქართველო დაყოფილი იყო შვიდ პროვინციად. ქართლი და კახეთი ერეკლეს ეკუთვნოდა, იმერეთი-სოლომონს, სამეგრელოს დადიანი განაგებდა, გურიელი-გურიას, ხოლო გურჯისტანი (ალბად, სამცხეს გულისხმობდა) და ჯავახეთი ოსმალეთის საკუთრება იყო.

სამწუხაროდ, ობიექტური მიზეზების გამო, არ გვქონია შესაძლებლობა უშუალოდ გავცნობოდით საკმაოდ მდიდარ რუსულ საარქივო მასალებს და დავკმაყოფილდით იმ

მკვლევართა ნაშრომებით, რომლებსაც ეს შესაძლებლობა ჰქონდათ. ესენი არიან: ალექსანდრე ცაგარელი, ზურაბ ავალოვი, სარგის კაკაბაძე, იასე ცინცაძე, იასე ლორთ-ქიფანიძე, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ვალერიან მაჭარაძე და სხვები, რომლებმაც, თავის მხრივ, ისარგებლეს სხვადასხვა რუსული არქივით:

АВПР- (Архив внешней политики России), ф. 110, Снощения России с Грузией.

ф.89, Снощения России с Турцией -რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი.

ГААО - Государственный архив Астраханскии области - ასტრახანის ოლქის სახელმ-წიფო არქივი.

Р И О- Сборник документов Императорского русского исторического общества, СПБ-Петроград. 1897-1916-რუსეთის საისტორიო საზოგადოება.

ЦГВИА-Центральный госсударственный военно-исторический архив России, ф. 52 (фонд Григория Потемкина). ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო ისტორიული არ-ქივი (ფონდი №52, გრიგოლ პოტიომკინის ფონდი).

საკვლევ თემაზე მუშაობის დროს ასევე გამოვიყენეთ ქართული, და თურქული საარ-ქივო მასალები:

ს ე ა ც ს ა - საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი.

ფონდი №1449, ანაწ.1. საქმე №3289. ამ საბუთით 1787 წელს იმერეთის მეფედ ნახსე-ნებია დავით არჩილის ძე.

თურქული საბუთების აღწერა. ფონდი № 1453. საქმე №128. ესაა უთარიღო წერილი, რომელიც სოლომონ II-მ გაუგზავნა ოსმალეთის სულთანს

COA, HAT-თურქეთის პრეზიდენტის არქივის მასალები, რომელიც სპეციალურ თურ-ქულ ლიტერატურასთან ერთად მოგვაწოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ, რისთვისაც მას დიდ მად-ლობას ვუხდით. ამ მასალებით ირკვევა, რომ თანამედროვე თურქულ ისტორიოგრა-ფიაში გაბატონებული მოსაზრებანი, მთელ რიგ შემთხვევებში, დიამეტრალურად განს-ხვავდება ქართველ ისტორიკოსთა შეხედულებებისგან.

§ 2. ლიტერატურა

თუ გავითვალისწინებთ, რომ XVIII ს-ის II ნახევარში შეინიშნებოდა ქართულ-რუსული დიპლომატიური ურთიერთობის ერთგვარი გააქტიურება, გასაკვირი არაა, რომ ჩვენი ქვეყანა ცნობილ რუს ისტორიკოსთა თუ მეცნიერთა ყურადღების არეალში მოექცა.

უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ცნობილი რუსი ისტორიკოსის, პაველ ბუტკოვის ნაშრომთა ორტომეული:

П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа 1722-1803 гг. (СПБ, 1869). Ч.I.

П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа 1722-1803 гг. (СПБ, 1869). Ч. II.

რუსი მეცნიერი იყო საიდუმლო მრჩეველი, სენატორი და აკადემიკოსი, ამავე დროს ის იყო პროფესიონალი სამხედრო, მონაწილეობდა პლატონ ზუბოვის ცნობილ ექსპედიციაში. 1797 წელს კაპიტნის ჩინით მსახურობდა თბილისის მუშკეტერთა პოლკში. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს იყო გენერალ კნორინგის კანცელარიის უფროსი, მსახურობდა მოლდავეთის არმიის მთავარსარდალ პეტრე ბაგრატიონთან.

პიოტრ ბუტკოვი მთელ რიგ შემთხვევებში ობიექტურად აღწერდა საქართველოში შექმნილ ვითარებას, სამართლიანად აფასებდა ერეკლესა და სოლომონ II-ის პიროვნულ ღირსებებს, მათ ხელთ არსებული მწირი სამხედრო რესურსით თავდაუზოგავ ბრძოლას საგარეო მტრის წინააღმდეგ და იმ წარმატებებს, რომლებსაც ქართველი მეფეები ამ ბრძოლებში აღწევდნენ, თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში მასაც ღალატობდა ობიექტურობის განცდა. ცნობილი მეცნიერი, მოგზაურ გიულდენშტედტის მსგავსად, ფიქრობდა, რომ გენერალმა ტოტლებენმა სასწაულებრივ წარმატებას მიაღწია უძველესი კოლხეთის ტერიტორიაზე (ბუტკოვი, 1869:275). არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას. უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ცნობილი რუსი ისტორიკოსის, ოლგა მარკოვას აზრი, რომ ტოტლებენი უპრინციპო ავანტიურისტი იყო და არა რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის მებრძოლი ადამიანი. ასევე საკამათოდ მიგვაჩნია აკადემიკოს ბუტკოვის მოსაზრება კრწანისის ბრძოლაში იმერელი მეომრების ღალატის შესახებ და განსაკუთრებით მისი აზრი, რომ ერეკლე ბრძოლის ველიდან გაექცა აღა-მაჰმად-ხანს. მიუხედავად ამ და სხვა ნაკლოვანებებისა, პაველ ბუტკოვის ნაშრომი დიდი ფასეულობის

მქონე წყაროა და სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის ქართული სამეფოების შესახებ.

საყურადღებო გამოკვლევაა დიმიტრი ბაქრაძის ,,არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში"(СПБ, 1878). ამ მხარეში ავტორმა იმოგზაურა 1874 წელს, აღწერა მოსახლეობის წეს-ჩვეულებები, მისი ყოფა-ცხოვრება. ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ იმერეთის უკანასკნელმა მეფემ 1804 წელს დაითანხმა ახალციხის სელიმ ფაშა, რათა ამ უკანასკნელს გარდაცვლილი დავით გიორგის ძის ვაჟი, კონსტანტინე, მალულად წაეყვანა სტამბოლში (ბაქრაძე, 1878:66). აღნიშნულია იმერეთის მეფისა და სელიმ ფაშას ახლო ურთიერთობა, რაზეც მეტყველებდა ის, რომ ტახტიდან ჩამოგდებული სოლომონ II მეფობის დაბრუნებას ფაშას დახმარებით ცდილობდა. ორივე ცნობა დიმიტრი ბაქრაძეს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებიდან აქვს მოყვანილი.

XVIIIს-ის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო ცნობები შემოგვინახა და ნიკოლაი დუბროვინმა სამხედრო შინაარსის ნაშრომში ,,История воины", (Дубровин Н, II, С-петербург ,1886), თუმცა, მასში შეინიშნება ავტორის ირონიული და აგდებული დამოკიდებულება ქართველების მიმართ. რუსი ისტორიკოსის აზრით, ქართველებმა, აზიელთათვის დამახასიათებელი ყბედობის გამო, საიდუმლოდ ვერ შეინახეს ის, რასაც ეკატერინე II ერეკლეს დაპირდა გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროს, საუბარია იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ერეკლე დაიპყრობდა, მათ შორის, ახალციხის საფაშოზე და რუსეთის იმპერატორის კეთილი ნებით მათ საქართველოს შეუერთებდა.

რუსი მეცნიერის მოსაზრების საწინააღმდეგოდ პროფესორ რომან გოგოლაურს მიაჩნდა, რომ ეკატერინეს განზრახვის შესახებ ახალციხის სულეიმან-ფაშამ ქართველების ყბედობით კი არა, რუსული მხარის მიერ ოფიციალურად დაბეჭდილი და გავრცელებული ტექსტით შეიტყო (გოგოლაური, 1997:19). მიუხედავად ამისა, ნიკოლაი დუბროვინის ნაშრომი გარკვეული ღირებულების მქონე წყაროდ უნდა ჩავთვალოთ.

XVIIIს-ის II ნახევრის იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროების სოციალური თუ პოლიტიკური ისტორიის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზურაბ ავალოვის (ავალიშვილი) ნაშრომს ,,Присоединение Грузии к России", რო-

მელიც 1901 წელს, რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, გამოიცა. არსებობს მისი მეორე, 1906 წლის, გამოცემაც. ცნობილი მკვლევარი ეყრდნობოდა მარი ბროსეს, პიოტრ ბუტკოვის ნაშრომებს, ადოლფ ბერჟეს რედაქტორობით გამოცემულ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებს, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს არქივში არსებულ და სხვა მასალებს. მთელ რიგ შემთხვევებში ობიექტურად აღწერდა ისტორიულ სინამდვილეს, თუმცა გამოთქვამდა ისეთ შეხედულებებს, რომლებიც სამართლიანად იმსახურებს კრიტიკას. მაგალითად, მისი აზრით, საქართველოში შემოსვლისას რუსეთს არ გააჩნდა ეკონომიკური ინტერესი, თვითონ საქართველოს სჭირდებოდა რუსეთის დახმარება და სურდა მასთან შეერთება. ზურაბ ავალოვი წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ თავთან, როცა ამბობდა, რომ საქართველოს შეერთებით რუსეთი დაადგა გზას, რომელიც მას სპარსეთის ყურემდე მიიყვანდა. ამის გაკეთება კი ჩვენს მეზობელს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ბრიტანეთისთვის კონკურენცია გაეწია ინდოეთთან ვაჭრობაში. ნათელია, რომ რუსეთი გარკვეული გეგმის განხორციელებას ცდილობდა საქართველოში დამკვიდრებით, ცდილობდა რა ხელში ჩაეგდო სპარსეთ-ინდოეთის სავაჭრო გზა, ე. ი. არსებობდა დიდი ეკონომიკური ინტერესი. ვერც იმ მოსაზრებას დავეთანხმებით, რომ თვითონ საქართველო იყო ინიციატორი რუსეთთან შეერთებისა. უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მესვეურთა და მოსახლეობის დიდი ნაწილი არც კი განიხილავდა ამ გზას.

პროფესორი ვახტანგ გურული სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ზურაბ ავალოვმა უარყო რუს ისტორიკოსთა რამდენიმე მცდარი მოსაზრება, მაგრამ ობიექტურობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და არცთუ იშვიათად ეთანხმებოდა ოფიციალურ რუსულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მცდარ შეხედულებებს (გურული, 2018:20).

მიუხედავად ამისა, დასახელებული ნაშრომი დიდი ღირებულების ნაშრომად უნდა ჩაითვალოს.

იმერეთის სამეფოს შესახებ მრავალფეროვან ცნობებს გვაწვდის ალექსანდრე ხახანაშვილის ,,მეფე იმერეთისა სოლომონ II“ (ტფ, 1910). საინტერესოა მისი მოსაზრება, რომ რუსეთის ჯარი იმერეთის არეულობის დროს მთავარ-ანგელოზის სამოსით იმო-

სებოდა (ხახანაშვილი, 1910:12), ხოლო, რაც შეეხება იმერეთის სამეფოს დაცემას, ამის მიზეზად ავტორი ქართლ-კახეთის ბატონიშვილების დაპირისპირებას და სოლომონ II-ის დადიანთან ბრძოლას ასახელებდა.

XVIIIს-ის II ნახევრის დასავლეთ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად უაღრესად დიდია სარგის კაკაბაძის ნაშრომთა მნიშვნელობა. მისი ,,საეკლესიო რეფორმებისთვის სოლომონ I-ის დროს“ (ტფილისი,1913.), ,,წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისთვის“(წიგნი,I. თბ,1914.) და „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“ (II. თბ, 1921.) მკვლევართა სამაგიდო წიგნებად შეიძლება ჩავთვალოთ. ზემოთ დასახელებული ნაშრომები გვაძლევს დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერას და უამრავ ცნობას შეიცავს იმერეთის სამეფოს შესახებ, დაწვრილებით გადმოგვცემს ბრძოლებს, რომელსაც ქართველი ხალხი ოსმალო დამპყრობლის წინააღმდეგ აწარმოებდა, განსაკუთრებით კი ხრესილის და რუხის ბრძოლებს. ავტორმა დიდი ყურადღება დაუთმო იმერეთის მეფისა და როსტომ რაჭის ერისთავის ბრძოლას. სარგის კაკაბაძე არ იზიარებდა ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ცნობას სოლომონ I-ის გამეფების თარიღთან დაკავშირებით (1751 წ.) და ფიქრობდა, რომ ის ტახტზე 1750 წელს ავიდა.

დიდია სარგის კაკაბაძის ღვაწლი სოლომონ I-ის საეკლესიო რეფორმის სრულყოფილად შესწავლა-გაანალიზების საქმეში. მისი დახმარებით ვიგებთ, თუ რა დიდ და საშვილიშვილო საქმეს შეეჭიდა იმერეთის მეფე დასუსტებულ-დაძაბუნებული ეკლესიის ფეხზე დაყენებისა და გაძლიერებისათვის და როგორ მიაღწია თავის მიზანს დასავლეთ საქართველოს 1759 წლის საეკლესიო კრების დადგენილებებით.

გარკვეული ღირებულების მქონეა ალექსანდრე ამილახვრის ,,ბრძენი აღმოსავლეთისა“, რომელიც ათი თავისგან შედგება და სოლომონ I-ს ეძღვნება. ალექსანდრე ამილახვარი მას უსურვებდა, რომ ისე განეგო თავისი სამეფო, როგორც სოლომონ ბრძენი განაგებდა თავის ქვეყანას და იმერეთის მეფეს თავის მხსნელს და მფარველს უწოდებდა იმ დახმარებისთვის, რომელიც სოლომონმა ერეკლესგან დევნილ ალექსანდრეს აღმოუჩინა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ,,გეორგიანული ისტორია“ ობიექტურობის ნიმუშად არ გამოდგება, მასში აშკარად იგრძნობა ავტორის დიდი ზიზღი და სიძულვილი

ერეკლე II-ის მიმართ. ალექსანდრე ამილახვრის აზრით, ერთ დროს ძლიერი ქართლისა და კახეთის სამეფოები ერეკლეს ხელში მისი პირადი სურვილების და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების იარაღად იქცა.

საინტერესო გამოკვლევაა ალექსანდრე ფირცხალაიშვილის ,,Имеретия и Гурия в период 1804 -1840 гг. (წიგნში მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ, 1942). ავტორმა ისარგებლა ,,აქტებით", პიოტრ ბუტკოვის, ნიკოლაი დუბროვინის, ალექსანდრე ცაგარლის, ალექსანდრე ხახანაშვილის და სხვა ნაშრომებით და სამართლიანად აღნიშნავდა, რომ სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტისთვის დაწყებული ბრძოლა ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდა. თურქებმა 17000 ტყვე გაიყვანეს საქართველოდან. მისი აზრით, სოლომონ II-ის შედარებაც კი არ შეიძლებოდა დავით გიორგის ძესთან, რომელიც იყო გაუნათლებელი, უნებისყოფო და გამოუცდელი მმართველი (საპირისპიროს ფიქრობდა პაველ პოტიომკინი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა ამ უკანასკნელის ენერგიულ და წარმატებულ ბრძოლას ოსმალო დამპყრობლის წინააღმდეგ) და თავადებმა ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ ხშირად პურიც კი ენატრებოდა (ფირცხალაიშვილი, 1942:34).

ნაშრომში იგრძნობა ავტორის კეთილგანწყობა იმერეთის უკანასკნელი მეფის მიმართ, როცა მოჰყავს მისი დაუძინებელი მოწინააღმდეგეების, რუსი მოხელეების: ლიტვინოვის და სიმონოვიჩის აზრი იმის შესახებ, რომ იმერეთში მეფის ხელისუფლების ერთიანობა და წესრიგი სახეზე იყო (ფირცხალაიშვილი, 1942:35). აქვე ვხვდებით ნიკოლაი დუბროვინის დამაფიქრებელ მოსაზრებას, რომ ციციანოვთან შეთანხმებით სოლომონმა იმერეთი გაყიდა რუსეთის სამუდამო მონობისთვის (Дубровин Н, ,,Закавказье" T.IV, лл. 252-253). საბოლოო ჯამში კი ალექსანდრე ფირცხალაიშვილს მიაჩნდა, რომ იმერეთის მეფე ოსმალურ ორიენტაციაზე იდგა (ფირცხალაიშვილი, 1942:28)

XVIIIს-ის II ნახევრის იმერეთის სამეფოზე საუბრის დროს ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ შოთა ბურჯანაძის წვლილი და მის მიერ შესრულებული უზარმაზარი სამუშაო დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთობისა და მათი პოლიტიკური ისტორიის შესწავლის საქმეში. მას გამოყენებული აქვს ალექსანდრე ცაგარლის, სარგის კაკაბაძის შრომები, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილის და სიმონ ჯანაშიას

,,საქართველოს ისტორია“ I. (თბ,1946), მარი ბროსეს, იოჰან გიულდენშტდტის და სხვათა ნაშრომები, ასევე სცსსა-ს საარქივო მასალები.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის მისი ,,სოლომონ I-ის ურთიერთობა რუსეთთან“, (საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV-B, თბ, 1948).

ავტორმა ისარგებლა ზურაბ ავალოვის (ავალიშვილის), ივანე ჯავახიშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, სარგის კაკაბაძის, ნიკოლაი დუბროვინის და სხვათა შრომებით. არ ეთანხმებოდა ავალოვის მოსაზრებას, რომ მხოლოდ საქართველოს ესაჭიროებოდა რუსეთის მხრიდან დახმარება, თუმცა, საინტერესოდ მიაჩნდა მისი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა დიდი ზიანი მიაყენა იმერეთის ინტერესს, სახელდობრ, მის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას (Авалов, 1901:109).

შოთა ბურჯანაძის აზრით, მცდარი იყო ცნობილი რუსი ისტორიკოსის, კლიუჩევსკის, აზრი, რომ ეკატერინე II-ის დახმარება კავკასიელი და ბალკანელი ქრისტიანებისთვის ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ეროვნულ ინტერესებს. ჩვენ ვეთანხმებით შოთა ბურჯანაძეს, რადგან უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ რუსეთი საგარეო პოლიტიკაში ნაკლებად ითვალისწინებდა ერთმორწმუნეობის პრინციპს.

იმერეთის ისტორიის ცნობილ მკვლევარს ასევე მოჰყავს ივანე ჯავახიშვილის აზრი, რომლის მიხედვით 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოსთვის ყოველმხრივ მავნებლურ აქტს წარმოადგენდა (ბურჯანაძე, 1948:50).

შოთა ბურჯანაძის ვარაუდით, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა მცდარი მოსაზრება, რომ ქართველი მეფეები მხოლოდ მთხოვნელები იყვნენ რუსეთის დახმარებისა, ხოლო ქართული დიპლომატიის საქმიანობა რუსეთში სათხოვარი წიგნების გაგზავნაში გამოიხატებოდა (ბურჯანაძე, 1948:50). მას, ზურაბ ავალოვისგან განსხვავებით, მიაჩნდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა იყო ორმხრივი პროცესი, ორმხრივი აქტი, რომელსაც ორივე ქვეყანა საკუთარი სურვილით ქმნიდა. თუმცა, აქვე მოჰყავდა სარგის კაკაბაძის საკმაოდ სკეპტიკური, მაგრამ სამართლიანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველებს რუსეთი აღთქმულ ქვეყნად მიაჩნდათ, სადაც ქართველი ხალხი თავისი წყლულების მალამოს მიაგნებდა (კაკაბაძე, 1920:181-182). ძნელია, არ დავეთანხმოთ ამ აზრს.

ამავე წერილში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა სოლომონ I-ის დიპლომატიურ გამჭრიახობას. მეფეს სურდა, რომ რუსეთის დახმარებით გათავისუფლებულიყო ოსმალთა ძალმომრეობისაგან, თუმცა, იცოდა, რომ ჩრდილოელი მეზობლისთვის იმერეთი ოსმალეთთან ომად არ ღირდა და ცდილობდა სამხედრო ან ფინანსური დახმარების მიღებას.

ფრიად საყურადღებო გამოკვლევაა მისი ,,სოლომონ I-ის მეფობის I პერიოდი" (1752-1768) (ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლითურთ გამოსაცემად მოამზადა შოთა ბურჯანაძემ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ.41, თბ, 1950). ავტორი სამართლიანად ფიქრობდა, რომ ახალგაზრდა სოლომონის წინააღმდეგ რეაქციონერი მთავარ-თავადების გამოსვლა გაგრძელება იყო იმ შიდა სახელმწიფოებრივი დაპირისპირებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ალექსანდრე V-ის დროს (ბურჯანაძე, 1950:73). მეფე კარგად აცნობიერებდა, რომ ოსმალეთი მისი დაუძინებელი მტერი იყო, მაგრამ მაინც მიმართავდა ახალციხის ფაშას დახმარებისთვის.

ეყრდნობოდა რა ჰამერის მონაცემებს იმერეთის მიერ ყოველწლიურად გადასახდელი ხარკის შესახებ, რომელიც 300 ქისას შეადგენდა, რაც ეკვივალენტი იყო 120 000 რუსული რუბლისა ან 15000 თუმნისა, შოთა ბურჯანაძე აღნიშნავდა, რომ ქართველებს მისი გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, რამაც დიდად შეუწყო ხელი ,,ტყვეთა სყიდვის" გავრცელებას. წერილში საკმაოდ ვრცლადაა გაშუქებული 1759 წლის ცნობილი საეკლესიო კრება, რომლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ხალხის ოსმალეთში ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა იყო. ასევე მიმოხილულია სოლომონის მედგარი ბრძოლა იმერეთის ციხეებში გამაგრებული ოსმალო მეციხოვნეების წინააღმდეგ (ბურჯანაძე, 1950:100).

ასევე საინტერესოდ მიგვაჩნია მისი მოსაზრება საქართველოში რუსეთის დამკვიდრებასთან დაკავშირებით, რომელსაც, რამდენადაც ის ოსმალეთის ბატონობას სპობდა, პროგრესულ მოვლენად მიიჩნევდა, მაგრამ იქვე შენიშნავდა, რომ რუსეთი ქართულ სახელმწიფოსაც სპობდა, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა გარდაუვალი ხდებოდა. უნებურად ჩნდება კითხვა, მაშინ რატომ აფასებდა ის სოლომონ II-ის ბრძოლას

რუსეთის წინააღმდეგ როგორც ბუნებით ავანტიურისტულს და შინაარსით რეაქციულს?

არანაკლებ ღირებულ მასალას შეიცავს ,,იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები“ (1784-1810. წიგნი I. საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. II. თბ, 1953), რომელიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იმერეთ-რუსეთის ურთიერთობის შესახებ და იმ მომქანცველ სამოქალაქო დაპირისპირებაზე, რომელიც დაიწყო სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ. ახალი მეფე, დავით გიორგის ძე და მისი მომხრეები: მაქსიმე კათალიკოსი, ბესარიონ გაბაშვილი, დავით კვინიხიძე და სხვები ფიქრობდნენ, რომ რუსეთის დახმარებით ,,კეთილმდგომარეობა იმერეთისა არარა მიეცემის შემუსრუასა“ (ბურჯანაძე, 1953:6). ავტორი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ხალხის ხსნა იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური გაერთიანებისთვის არ არსებობდა ეკონომიური (წყაროში წერია ეკონომიური და არა ეკონომიკური-კ.გ.) ნიადაგი, გაერთიანება შეეძლო მხოლოდ გარედან მოსულ ძალას და ეს ძალა იყო რუსეთი, რომელიც განვითარების დონით აღემატებოდა როგორც ოსმალეთს, ისე ირანს.

დავით გიორგის ძის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ გამეფდა სოლომონ II, რომელიც, ცნობილი მეცნიერის აზრით, თავისი წინამორბედივით სუსტი იყო და მას თავადებმა ,,დახმარების“ სანაცვლოდ მიწა-წყალი წაართვეს. მეფემ ტყუილუბრალოდ წამოიწყო ბრძოლა ოდიშის სამთავროსთან, რომელიც მისი დამარცხებით დამთავრდა. ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას, ეს მარცხი მეფის სისუსტემ გამოიწვია და არა იმან, რომ მისი ბრძოლა დადიანის წინააღმდეგ ფუჭი და უაზრო იყო.

ნაშრომში მრავლად ვხვდებით იმერეთის მეფეების წერილებს, როგორც ერთგულ ქვეშევრდომთა მიმართ, ისე რუსი მოხელეების მისამართით. აქვეა ადამ ჩარტორისკის სამადლობელი წერილი ზურაბ წერეთლისადმი იმ ერთგული სამსახურისთვის, რომელსაც იმერეთის უმდიდრესი თავადი უწევდა რუსეთის ხელისუფლებას სოლომონ II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკმაოდ ღირებულ მასალას გვაძლევს შოთა ბურჯანაძის ,,იმერეთის სამეფო 1784-1789წწ“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II. თბ, 1960). ცნობილი მეცნიერს გამოყენე-

ბული აქვს ,,კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“, ალექსანდრე ცაგარლის, პიოტრ ბუტკოვის, ნიკოლაი დუბროვინის, სტეპან ბურნაშოვის და სხვათა ნაშრომები, ასევე ქუთაისის მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის საბუთები და საკმაოდ ამომწურავად აღწერდა XVIII საუკუნის 80-იანი წლების იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, ძალთა გადანაწილებას მეფობის ორ პრეტენდენტს შორის, რუსი მოხელეების ერთგვარ მცდელობას სამეფოში შექმნილი ფეთქებადსაშიში ვითარების განმუხტვის მიზნით. დამაჯერებლად ასაბუთებდა სამეფო ხელისუფლების სისუსტეს და მის უპირობო დამოკიდებულებას გავლენიანი თავადების ნება-სურვილზე, რომლებიც, თავის მხრივ, იმერეთის მეფის წინააღმდეგ ოსმალეთის ხელისუფლებას უკავშირდებოდნენ. თუმცა, ეპიზოდურად იმერეთის ტახტის მფლობელნიც აღწევდნენ გარკვეულ წარმატებებს. მაგალითად, დავით გიორგის ძემ ახალციხის ფაშასთან დროებით ზავს მიაღწია, რამაც მისი მდგომარეობა შედარებით მყარი გახადა (ბურჯანაძე, 1960:88). თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

ასევე საყურადღებო ცნობებს შეიცავს მისი ,,იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. III. თბ, 1961). ავტორს გამოყენებული აქვს ალექსანდრე ცაგარლის და იესე ცინცაძის ნაშრომები, ნიკო დადიანის ,,ქართველთა ცხოვრება“, რუსი ისტორიკოსის, სოლოვიოვის ,,История России“ (кн.VI.) და სხვა ლიტერატურა. გადმოგვცემს სოლომონ I-ის ბრძოლას როგორც ოსმალო ინტერვენტების, ისე მოღალატე როსტომ ერისთავის და მისი ძმის, აფხაზ-იმერთა კათალიკოსის, ბესარიონის წინააღმდეგ. ერისთავის დამარცხების შემდეგ რაჭის მამულები მეფემ თავის ერთგულ თავადებს დაურიგა და ჭკვიანური მოქმედებით უზრუნველყო მათი ერთგულება სამეფო ხელისუფლების მიმართ.

შოთა ბურჯანაძის აზრით, როცა მაქსიმე ქუთათელმა თავისი ელჩობის დროს რუსეთის ხელისუფლებას ფულადი დახმარება სთხოვა, რათა ქართველებს ოსმალურ-ირანული უწესრიგობისთვის ევროპული ,,რეგული“ დაეპირისპირებინათ, მან ახალი სიტყვა თქვა ქართულ დიპლომატიაში (ბურჯანაძე, 1961:116). ასევე დადებითადაა შეფასებული სოლომონ I-ის მონაწილეობა რუსეთ-ოსმალეთის ომში და მისი მცდელობა რუსული შენაერთის დახმარებით გაეერთიანებინა მთელი დასავლეთ საქართველო.

შეიძლება ითქვას, რომ შოთა ბურჯანაძის ნაშრომებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს იმერეთის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

ამ პერიოდის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ნიკო დადიანის ცნობილ გამოკვლევას ,,ქართველთ ცხოვრება“ (თბ, 1962). ავტორი მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის როგორც სოლომონ I-ის, ისე მისი მემკვიდრეების: დავით გიორგის ძის და სოლომონ II-ის, ასევე მათი და გურია-ოდიშის მთავრების ურთიერთობის შესახებ. თუმცა, ნიკო დადიანი მთელი რიგი საკითხების გაშუქების დროს ერთგვარი არაობიექტურობით გამოირჩევა, ის გადაჭარბებით აფასებდა სამეგრელოს მთავრის როლს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამ ფონზე ერთგვარად აკნინებდა იმერეთის სამეფო ხელისუფლების საქმიანობას. მიზეზი მისი მიკერძოებულობისა ადვილი ასახსნელია-ის სამეგრელოს მთავრის ახლო ნათესავი იყო, თუმცა, XVIIIს-ის დასავლეთ საქართველოში განვითარების მოვლენების შეფასებისთვის ,,ქართველთ ცხოვრება“ დიდი მნიშვნელობის მქონე გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს.

მრავალ ღირებულ ცნობას გვაწვდის ნიკოლოზ ქორთუა თავის ნაშრომში ,,საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში“ (თბ, 1964). სწორედ ამ გამოკვლევაში შევხვდით ცნობას, რომელზე დაყრდნობითაც ვფიქრობთ, რომ სოლომონ II-ის მოქმედება უფრო მეფის ტიტულისთვის ბრძოლას წააგავდა, ვიდრე იმერეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას (ქორთუა, 1964:64). ნიკოლოზ ქორთუას გამოკვლევა საინტერესოა იმითაც, რომ საკმაოდ ვრცლად აშუქებს არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგობებით აღსავსე პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ჩვენი საკვლევი თემის გაშუქება-შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის ნაშრომებს, რომლებიც ამომწურავ ინფორმაციას გვაძლევს სხვადასხვა სოციალური პროცესის გაშუქებისა და საქართველოს სამეფო-სამთავროებში შექმნილი ეკონომიკური ვითარების გასაცნობად. საყურადღებოა მისი ,,საქართველოს ისტორიის საკითხები“ წ. II, (თბ, 1965), სადაც აღწერილია სოლომონ I-ის გმირული ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ 1763-1767 წლებში, ზავი რომელიც ოსმალეთმა დადო იმერეთის მეფესთან. ავტორის აზრით, ერეკლეს და სოლომონის ბრძო-

ლა არ იყო მარტო თავდაცვითი, ხოლო 1775-1776 წლების ირან-ოსმალეთის კონ-ფლიქტში ქართლ-კახეთის მეფე ირანის მხარეს იყო. იმერეთის მეფეს, დავით გიორგის ძეს, კი დიდი მეცნიერი ახასიათებდა, როგორც ,,ოსმალეთის თავწამკვდარ მტერს". ნი-კოლოზ ბერძენიშვილმა ისარგებლა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივით - ,,АМИД", აქედან გამომდინარე, ამ ცნობების სანდოობის ხარისხი საკმაოდ მაღალია.

საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას ვხვდებით ასევე ,,საქართველოს ისტორიის საკით-ხების" VI ტომშიც (თბ, 1973) ერეკლესა და სოლომონის ურთიერთობაზე, არა მარტო იმ დახმარებაზე, რომელსაც ქართველი მეფეები ერთმანეთს აღმოუჩენდნენ ხოლმე, არა-მედ მათ ურთიერთდაპირისპირებაზეც. ნიკოლოზ ბერძენიშვილის აზრით, არცთუ იშვი-ათად თბილისის და ქუთაისის სამეფო კარი სოლომონისა და ერეკლეს მოწინააღმდე-გეთა თავშესაფარი იყო (ბერძენიშვილი, 1973:449).

შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკვლევი პერი-ოდით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

ქართველთა მიმართ ერთგვარი კეთილგანწყობით და ობიექტურობით გამოირჩე-ვა ცნობილი რუსი მკვლევარი ოლგა მარკოვა. მისი ,,Россия, Закавказье и международ-ные отношения в XVIII столетия", (Москва, 1966.) მრავალ ღირებულ ცნობას შეიცავს ქართული სამეფოების, მათი ურთიერთობის და დაუღალავი ბრძოლის შესახებ დამპყ-რობლის წინააღმდეგ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარების შესა-ხებ XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე. სავსებით მართალი იყო რუსი ისტორიკოსი როცა პავლე I-ზე წერდა, რომ: ,,პეტერბურგში თავი არ შეუზღუდავთ საერთაშორისო სამართლის ნორმებით და დალოდებოდნენ გიორგი XII-ისგან ახალ სათხოვარ პუნქტებს".

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს აქვს ვალერიან მაჭარაძის ნაშრომებს.

საინტერესო გამოკვლევაა ,,ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე", რომელშიც ავ-ტორმა მოსკოვის და ასტრახანის საარქივო მასალებზე დაყრდნობით დააკონკრეტა ელჩობის დაწყების თარიღი. მისი აზრით, ეს მოხდა 1778 წლის 20 აგვისტოს. გარდა ამისა, არ გაიზიარა ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ამ ელჩობის მიზანი ბესიკის მიერ ალექსანდრე ბაქარის ძის ჩამოყვანა და ერეკლესთან მისი დაპირისპირება იყო. მოსე ჯანაშვილის და დავით ბატონიშვილის ცნობებზე სანდოდ

მიიჩნია იესე ბარათაშვილის ,,ცხოვრება-ანდერძი“ და შოთა ლომსაძის ,,იოანე ხუცესის ქრონიკები“, რომლებიც აღნიშნავდნენ ბაქარის მემკვიდრის ჩამოსვლას საქართველოში, მაგრამ ბესიკის ამ ფაქტთან კავშირს გამორიცხავდნენ. ვალერიან მაჭარაძე იზიარებდა იმ აზრს, რომ ამ ელჩობის მიზანს ოსმალეთის წინააღმდეგ ირანის სახით სამხედრო მოკავშირის მოძებნა წარმოადგენდა.

ყურადღებას იმსახურებს ,,გეორგიევსკის ტრაქტატი“ (თბ, 1983). პროფესორ ვახტანგ გურულის აზრით, ვალერიან მაჭარაძემ სრულყოფილად აღწერა ტრაქტატის მომზადებისა და გაფორმების ისტორია. მან შეისწავლა ის დოკუმენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო გეორგიევსკის ტრაქტატს, აღმოფხვრა არსებული ხარვეზები და უზუსტობანი ამ საკითხთან დაკავშირებით (გურული, 2018:23).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ,,მასალები XVIIIს-ის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ (ნაწ. III, ნაკვ. I, თბ, 1988), რომელიც სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული სამეფოების პოლიტიკურ ურთიერთობებზე როგორც რუსეთთან, ისე ირანთან და ოსმალეთთან, განხილულია ქართული სამეფოების მონაწილეობა 1768-1774 წლების ომში, ავტორი საყურადღებო ცნობებს გვაძლევს ქართველი მეფეების საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ იმერეთისა და ქართლ-კახეთის ურთიერთობა ყოველთვის არ იყო კეთილმეზობლური, სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს შორის საკმაოდ ხშირი იყო აზრთა სხვადასხვაობა და ფარული დაპირისპირება. ზემოთ დასახელებული ნაშრომები სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც სუფევდა XVIII ს-ის II ნახევრის ქართულ სამეფოებში, ასევე სკეპტიკურად არის შეფასებული 80-იან წლებში ბესიკის ელჩობა იასში.

საკითხზე მუშობისას დიდი დახმარება გაგვიწია შოთა ლომსაძის გამოკვლევებმა: ,,სამცხე-ჯავახეთი XVIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე“ (თბ, 1975), ,,გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან“ (იოანე ხუცესის ქრონიკები) (თბ, 1979) და ,,მესხები“ (ახალციხური ქრონიკები თბ, 1997).

ავტორი ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის ახალციხის საფაშოში მიმდინარე პროცესების შესახებ, სულეიმან, ისაყ, საბუდ და შერიფ ფაშების ურთიერთობაზე ქართველ

მეფეებთან, თუ როგორ ცდილობდნენ ისინი დროგამოშვებით ურთიერთობის გაუმჯობესებას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებთან, რისი საწინააღმდეგოც ოსმალეთის ხელისუფლებას ხშირად არაფერი ჰქონდა. საფაშოს ბევრი საგვარეულო, მაგ: ერისთავები, კოპაძეები, ყიფიანები და მაჩაბლები ხშირად ეპატიჟებოდნენ ერეკლეს მესხეთში სალაშქროდ., რაც იმაზე მეტყველებდა, რომ მათში ბოლომდე არ იყო გამქრალი ქართული ცნობიერება. საფაშოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო სელიმ-აღა-ყიფიანი, იგივე მამისთვალ ყიფიანი, რომელიც ხშირად ჩადიოდა თბილისში, როგორც ისაყ და საბუდ ფაშების წარგზავნილი ერეკლეს კარზე. მოგვიანებით მას დარეჯან დედოფალი სოლომონ II-ის დახმარებას სთხოვდა.

გამოკვლევა ,,გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან“ ცნობილია, როგორც იოანე ხუცესის ქრონიკები (თბ, 1979). იოანე ხოჯევანი კათოლიკე ხუცესი იყო, რომელიც ახალციხიდან განდევნეს და 1767-1777 წლებში სოლომონ I-ის კარზე ცხოვრობდა.

არტაანის სანჯაყში მოღვაწეობის დროს იოანე მოწმე იყო იმისა, თუ როგორ თმობდა ქართველობას ველის, გუგუბოს, ნაქალაქევის და სხვა სოფლების მოსახლეობა, როგორ იბრძოდნენ ამ სოფლების ხელში ჩასაგდებად გრიგორიანული, მაჰმადიანური, ბერძნული და კათოლიკე ეკლესიები და როგორ ხდებოდა მოსახლეობის გადაქართველება. როგორც განათლებული ადამიანი, იოანე ყოველთვის იდგა ახალციხის ფაშის და იმერეთის მეფის სიახლოვეს. 1770 წლის 5 ივლისს იმერეთში ჩასულ ტოტლებენს სოლომონმა დარბაზობა მოუწყო. სუფრასთან იოანე იმერეთის კათალიკოსის გვერდით იჯდა. მას ხშირად ჰქონდა ურთიერთობა ერეკლესთან, დადიანთან და გურიელთან, ამიტომ მის ცნობებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

XVIII-XIXსს-ის მიჯნაზე საქართველოში შექმნილი ვითარების გასაცნობად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის პლატონ იოსელიანის ნაშრომი ,,ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა“ (თბ, 1978) რომელშიც აღწერილია ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის ცხოვრება, მისი საკმაოდ მძიმე ურთიერთობა ერეკლეს ქვრივთან და საკუთარ დედმამიშვილებთან. ნაშრომი ასევე შეეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს საქართველოს იმდროინდელი ისტორიისა, ქვეყნის გაერთიანების ცდას. თეკლა ბატონიშვილის

შვილი, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, პლატონ იოსელიანს დარეჯან დედოფლის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდა. შესაძლოა, ამ ბრალდებაში იყოს სიმართლის მარცვალი, მაგრამ ვერც ჯამბაკურ-ორბელიანის მოსაზრებას ვენდობით ბოლომდე, რადგან ის დარეჯან დედოფლის შვილიშვილი იყო.

სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ის წინააღმდეგობრივი ურთიერთობა გასცდა საქართველოს საზღვრებს, მის შესახებ ევროპაშიც იცოდნენ. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ილია ტაბაღუა თავის გამოკვლევაში ,,საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIIIს-ის II ნახევარში“ (თბ, 1979). საყურადღებოა რუსეთში ავსტრიის ელჩის, კობენცლის, წერილი, რომელსაც ის ვენაში აგზავნიდა. ელჩი აცნობებდა ავსტრიის სამეფო კარს, რომ ერეკლემ რუსეთის მფარველობა მიიღო, ,,თუმცა, პრინცი სოლომონი იმ სიფრთხილის გამო, რომ ეს უკანასკნელი დიდ უთანხმოებაშია და საშინაო ომშია ჩაბმული... იგი ამ პრინცის (ერეკლეს) მიხედვით არაფერს აკეთებს და მრავალ საქმეში საწინააღმდეგოსაც აკეთებს“ (ტაბაღუა, 1979:74).

ასეთი შინაარსის ცნობები, რომლებიც კარგად არ მეტყველებს იმერეთ-ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მესვეურთა ურთიერთობაზე, ავტორს მრავლად ჰყავს მოყვანილი.

შრომატევადი და, რაც მთავარია, დიდი მნიშვნელობის სამუშაო შეასრულა ნოდარ შენგელიამ, რომელმაც თარგმნა და გამოსცა ცნობილი თურქი ისტორიკოსის, აჰმედ ვასიფის ,,ცნობები საქართველოს შესახებ“ წიგნში ქართული წყაროთმცოდნეობა (III, თბ, 1971), ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიის და რუხის ციხეების შესახებ (ტექსტი ქართული თარგმანით მოამზადა და გამოსცა ნოდარ შენგელიამ (თბ, 1982). მანვე თარგმნა ოსმალური ფირმანები და ბერათები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისთვის (XVI-XVIII სს. თბ, 2011). ოსმალური საბუთები პირველ წყაროს წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, მათი მნიშვნელობა საკმაოდ დიდია.

საკმაოდ მდიდარია ცნობებით მიხეილ რეხვიაშვილის ნაშრომი ,,იმერეთი XVIII ს-ში“, (თბ, 1982), რომელიც ვრცლად მიმოიხილავს სოლომონ I-ის გამეფებიდან ოსმალეთში სოლომონ II-ის გარდაცვალებამდე პერიოდს.

ომან ხერხეულიძე პაპუნა ორბელიანთან ერთად XVIIIს-ის ქართული ისტორიოგრაფიის ცნობილი წარმომადგენელია. მისი ,,მეფობა ირაკლი მეორისა“ (თბ, 1989) ძი-

რითადად ერეკლეს შესახებ გვაწვდის ცნობებს. ომან ხერხეულიძის ნაშრომს ივანე ჯავა-ხიშვილი საკმაოდ დაბალ შეფასებას აძლევდა. სამეცნიერო წყაროს თვალსაზრისით, მისი ღირებულება, (ჯავახიშვილის აზრით), არ არის მაღალი, რაშიც მას არ ეთანხმე-ბოდა იესე ცინცაძე, მაგრამ ერეკლე II-ის მოღვაწეობის შესაფასებლად მას გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია. ავტორმა ქართლ-კახეთის მეფის საქმიანობა ,,სმენითა და მეხ-სიერებითა და სარწმუნო კაცთაგან" მიღებული ცნობების საფუძველზე შეისწავლა, აღ-წერა მისი მრავალრიცხოვანი ბრძოლები ლეკთა და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ. აქვე ვხვდებით საკმაოდ საყურადღებო ცნობას იმის შესახებ, რომ 1759 წელს კოხტა ბელადთან და ჩონჩოლ-მუსასთან ბრძოლის დროს ქართლ-კახეთის მე-ფეებს სოლომონ II ეხმარებოდა. ომან მდივანბეგ ხერხეულიძე აღწერს 1722-1780 წლე-ბის ისტორიას, ხოლო 1739-1758 წლების ამბების გადმოსაცემად პაპუნა ორბელიანის ნაშრომს იყენებს.

განუზომელია ივანე ჯავახიშვილის როლი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას აზრით, მან ,,ისტორიოგრაფიული ხასიათის კლა-სიკური ნაშრომები შექმნა" და ამ საკითხზე წერა ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ნიშნავს ,,ილიადას" წერას ჰომეროსის შემდეგ (ჯანელიძე, 2014:56). დიდმა მეცნიერმა გამოთქვა მრავალი საინტერესო და დამაფიქრებელი მოსაზრება ჩვენთვის საინტერესო პერიოდ-თან დაკავშირებით. მისი მდიდარი მემკვიდრეობიდან ამჯერად ყურადღებას გავამახ-ვილებთ ორ გამოკვლევაზე: ,,დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში" (თბ, 2006) და ,,ქართველი ერის ისტორია"(ტ. V, თბ, 2012).

პირველ ნაშრომში ავტორმა სრულიად განსხვავებულად დაახასიათა რუსეთ-საქართ-ველოს ურთიერთობა. ივანე ჯავახიშვილი ობიექტურად წერდა რუსეთის არაკეთილ-სინდისიერი მოქმედების შესახებ საქართველოში და იმ განსაცდელის შესახებ, რასაც ის ჩვენს ქვეყანას უმზადებდა. ძნელია არ დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ: ,,რუსეთის უპირობა და საქართველოს უმწეოდ მიტოვება მტრებთან ბრძოლის დროს ჩვენს ქვეყანას მარტო საერთაშორისო დამოკიდებულებას კი არ უფუჭებდა, მარტო მის გარეშე მტრებს კი არ ათამამებდა, არამედ შინაურ ცხოვრებაშიც არევ-დარევას იწვევდა და სხვადასხვა პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლას ამწვავებდა" (ჯავახიშვილი, 2006:42). ეს მოსაზრება

ზუსტად ასახავს იმ რეალობას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ შეიქმნა.

სავსებით სწორად შენიშნავდა ივანე ჯავახიშვილი როცა ამბობდა, რომ: ,,რა წამს რუსეთს თავისი პირადი მიზანი მიუღწევლად მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისთვის ხელსაყრელად აღარა სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინვე ავიწყდებოდა ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც". ზუსტად ასე მოიქცა ჩვენი მეზობელი 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, როცა უშედეგო აღმოჩნდა რუსული კორპუსის საქმიანობა საქართველოში.

ანალოგიური აზრია გამოთქმული ,,ქართველი ერის ისტორია"-ში, (ტ. V, თბ, 2012) რომელშიც ავტორი ეხება ჩვენთვის საინტერესო პერიოდს. გაანალიზებულია ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოს მდგომარეობა სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ის დროს, მათი მონაწილეობა 1768-1774 წლების ომში, შემდეგ ერთობლივი ლაშქრობა ოსმალური პროვინციების წინააღმდეგ, გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება. ,,ეკატერინე II-ის მითითებით ქართველ მეფეებთან უნდა დადებულიყო მოკავშირეობის ხელშეკრულება ისე, რომ ისინი ქვეშევრდომებად კი არა, სრულიად რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მყოფ მოკავშირეებად ყოფილიყვნენ წოდებულნი" (ჯავახიშვილი, 2012:79-80), აღწერილია ვითარება, რომელიც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ.

მეტად მნიშვნელოვანია გამოკვლევაა გერონტი ქიქოძის ,,ერეკლე II" (თბ, 2011), რომელშიც ავტორი აღწერს ქართველი მეფეების შეუპოვარ ბრძოლას საგარეო მტრის წინააღმდეგ, მათ არაადამიანურ ენერგიას და სიმამაცეს ამ ბრძოლაში. ერეკლეს, ავტორის აზრით, დღე-ღამეში მხოლოდ 4-5 საათი ეძინა და ხშირად საუზმობასაც წყვეტდა, რომ დაუპატიჟებლად მოსულ ლეკებს გამკლავებოდა. იმოწმებს იესე ოსეს ძის ცნობას ამ დროს ქართველების სავალალო მდგომარეობის შესახებ. ისინი იმდენად იყვნენ შეწუხებული ლეკთა თავდასხმებით, რომ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან აყრას და სამ ადგილზე: თბილისში, მუხრანში და ვაკეში კომპაქტურად დასახლებას გეგმავდნენ, რათა ამ გზით მაინც გაეწიათ ყაჩაღთა ბრბოებისთვის ჯეროვანი წინააღმდეგობა (ქიქოძე, 2011:78). აღწერს ასევე სოლომონ I-ის დაპირისპირებას ოსმალეთის უზარმაზარ

იმპერიასთან, რომელიც 30 წელი გაგრძელდა და რომელშიც მეფემ გასაოცარი სიმტ-კიცე გამოიჩინა. მან ჯერ ქართლ-კახეთის მეფეებთან დადო სამოკავშირეო ხელშეკ-რულება, თუმცა, აცნობიერებდა, რომ ეს საკმარისი არ იყო, 1768 წელს ეკატერინე II-ს სთხოვდა, ,,ან იმერეთი საიმპერიოდ აღრიცხეთ", ან სახსარი მოგვეცი, რათა მტერს ვებრძოლოთ, ,,ჩვენ სახმართაგან ფრიად ნაკლულოვან ვართ" (ქიქოძე, 2011:94).

მკვლევარი ირმა ყრუაშვილი თავის სადოქტორო დისერტაციაში ,,ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო ორიენტაციის საკითხი XVIII ს-ის 70-80-იან წლებში" (ივანე ჯავახიშ-ვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ, 2015.) გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ 1768-1774 წლების ომში მონაწილეობა ერეკლეს და სოლომონის მხრიდან დიდი სტრატეგიული შეცდომა იყო (ყრუაშვილი, 2015:83). აღ-მოსავლურ პოლიტიკას შეჩვეული ქართველი მეფეები ბრწყინვალე დიპლომატები იყვ-ნენ სამხრეთ მეზობლებთან ურთიერთობაში. მაგრამ მათ არ იცოდნენ, თუ როგორ ემოქმედათ ჩრდილოელ მეზობელთან. სწორედ ამ არცოდნამ, საგარეო ორიენტირის არასწორად განსაზღვრამ გამოიწვია ის, რომ ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1783 წლი-დან 1801 წლამდე განახევრდა და 350000-400000 სულს აღწევდა. რაც ვერ შეძლეს მაჰ-მადიანურმა ქვეყნებმა მუსლიმანობის სახელით, ის გააკეთა რუსეთმა ქრისტიანობის სახელით, მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება (ყრუაშვილი, 2015:124). ეს მოსაზრება გარკვეულწილად თანხვედრაშია ივანე ჯავახიშვილის ანალო-გიურ მოსაზრებასთან, რომელიც დიდმა მეცნიერმა გამოთქვა ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ,,დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში".

ასევე საყურადღებო ცნობებს შეიცავს რომან გოგოლაურის ნაშრომები: ,,ჩრდი-ლოეთ კავკასია-სამცხე-ჯავახეთის ურთიერთობა და ქართლ-კახეთი XVIII ს-ში" (ახალ-ციხე-თბილისი, 2016) და ,,ნარკვევები სამხრეთ საქართველოს ისტორიიდან" (თბ, 2016), რომლებშიც დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ქართულ სამეფოებზე ოსმალეთის მხრიდან მოწყობილი სადამსჯელო ოპერაციების შემსრულებელი ახალციხის ფაშა იყო და, არცთუ იშვიათად, კავკასიაში რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით, რო-გორც, მაგალითად, ომარ-ხანის ამაოხრებელი ლაშქრობისა საქართველოში XVIII ს-ის 80-იან წლებში.

საკითხზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია ვახტანგ გურულის გამოკვლევამ ,,მეფე ერეკლე და რუსეთი“ (თბ, 2018) რომელშიც ავტორმა საინტერესოდ გააშუქა ქართული სამეფოებისა და რუსეთის იმპერიის წინააღმდეგობრივი ურთიერთობა, განმარტა, თუ რატომ დარჩა ფარატინა ფურცლად 1790 წლის ქართველ მეფე-მთავართა ცნობილი შეთანხმება, და რატომ არ შედგა საქართველოს გაერთიანების აქტი.

საკვლევ თემაზე მუშაობის დროს დიდად დაგვეხმარა ზაქარია ჭიჭინაძის, მიხეილ თამარაშვილის, მამია დუმბაძის, ოლღა სოსელიას, ოთარ გიგინეიშვილის, მიხეილ გონიკიშვილის, მაია გურამიშვილის, ეთერ ორჯონიკიძის, ირინა ნაჭყებიას, მიხეილ სამსონაძის, მიხეილ სვანიძის, ზაზა წურწუმიას, ზურაბ დათუაშვილის, ზურაბ სულაბერიძის და სხვათა ნაშრომები.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ ვრცლად მიმოვიხილეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებული ისტორიული წყაროები და ლიტერატურა. თუ ერთგვარ პერიოდიზაციას გავაკეთებთ დასახელებული მასალისა და ავტორებისა, თვალში მოგვხვდება ერთი გარემოება, რომელზეც ყურადღება სამართლიანად გაამახვილა პროფესორმა ვახტანგ გურულმა. ეს გარემოება კი იმაში მდგომარეობს, რომ მეფის რუსეთის დროინდელი ისტორიკოსები უფრო თამამად და პირდაპირ გამოხატავდნენ სათქმელს და მათი ნაშრომებიც ობიექტურობის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ვიდრე საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები, რომლებსაც საკმაოდ მკაცრი ცენზურის პირობებში უწევდათ მუშაობა და წერდნენ არა იმას, რასაც ადგილი ჰქონდა რეალურად, არამედ იმას, რაც მათ მაკონტროლებელ ჩინოვნიკებს მიაჩნდათ მისაღებად.

თავი I. იმერეთ-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა და პოლიტიკური ორიენტაცია XVIII ს-ის 50-70-იან წლებში.

იმერეთის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა XVIII ს-ის 50-70-იან წლებში.

ერთიანი საქართველოს დაშლა XV საუკუნეში არ დამთავრებულა, ის შემდეგ საუკუნეებშიც გაგრძელდა. XVI საუკუნეში იმერეთის დასუსტებულ სამეფოს გამოეყო და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბდა გურიისა და ოდიშის სამთავროები, ხოლო XVII საუკუნეში შარვაშიძეებმა შეძლეს აფხაზეთის ოდიშის სამთავროდან გამოყოფა და ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი ჯერ მდინარე კოდორზე გადიოდა, XVII ს-ის 80-იანი წლებიდან კი - მდინარე ენგურზე. (რეხვიაშვილი, 1989:71). მთავრები იმერეთის მეფეს უყურებდნენ, როგორც თავის ტოლს, მეფე კი მათ ფორმალურად მაინც თავის ვასალებად თვლიდა.

1751 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე, ალექსანდრე V. ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, სოლომონ I, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო დაშლილ-დაქუცმაცებული სამეფო, დაცარიელებული ხაზინა, მეამბოხე მოღალატეთა დიდი რაოდენობა და სამეფოს ციხეებში გამაგრებული თურქი მეციხოვნეები. აღფრთოვანებას და გაკვირვებას იწვევს მისი მოღვაწეობა, დაუცხრომელი ბრძოლა შინაური თუ გარეშე მტრის წინააღმდეგ. შემთხვევით არ გავამახვილეთ ყურადღება იმ უმძიმეს მემკვიდრეობაზე, რომელიც ახალგაზრდა მეფემ მამისგან მიიღო. საკუთარი მწირი შესაძლებლობით, გარედან სერიოზული დახმარების მიღების გარეშე მეფე 30 წლის განმავლობაში ებრძოდა ძლიერ მთავრებს, რაჭის ერისთავს და, მათთან ერთად, ებრძოდა ახალციხის საფაშოს, მისი სახით კი, ოსმალეთს. ამ 30 წლის განმავლობაში უცხოელ დამპყრობელთან ბრძოლაში მეფეს სერიოზული მარცხი არ განუცდია. რამდენ ძალას და სასიცოცხლო ენერგიას აკლებდა მის ხელისუფლებას შინაურ მტერთან ბრძოლა იქიდანაც სჩანს, რომ ახალგაზრდა მეფემ თავისი მეფობის ნახევარი როსტომ რაჭის ერისთავთან ბრძოლას შეალია, ხოლო იმერეთის უკანასკნელმა მეფემ, სოლომონ II-მ, ვერაფრით მოახერხა სამეგრელოს მთავრის სრული დამორჩილება.

1.1. სოლომონ I-ის სოციალური პოლიტიკა

ცნობილი ისტორიკოსი, ნიკო დადიანი, მეფეს ახასიათებდა როგორც შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს, შესანიშნავ სარდალს და მოქნილ ადმინისტრატორს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში დაუღალავად ებრძოდა შინაურ თუ გარეშე მტერს. XVIII ს-ის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ციხეებში (გონიოს, ბათუმის, ფოთის, ანაკლიის, რუხის, სოხუმის, შორაპნის, ბაღდათის, ცუცხვათის, ქუთაისის) ოსმალები იდგნენ. საქართველო, როგორც ვასალი, დამპყრობელს ხარკად ქალ-ვაჟებს აძლევდა, ან ფულს და ტილოს. ქვეყანა ვალდებული იყო ადამიანებით (ტყვეებით) ევაჭრა. ეს ციხეები ტყვის მსყიდველთა ბანაკებად იქცა, ციხეებისა და მათ გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ასეთ ვითარებაში დადიანი და გურიელი მეფისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ხოლო იმერეთის ძლიერი თავადები: როსტომ რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე, მეფის ბაბუა, ,,მთავრობას იჩემებდნენ“ (ბერძენიშვილი, 1965:213). ასეთი იყო მემკვიდრეობა, რომელიც სოლომონ I-მა მიიღო.

ახალგაზრდა მეფე აცნობიერებდა, რომ ტყვეთა სყიდვის აკრძალვის და მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის გარეშე ქვეყანას დაღუპვა ელოდა, მაგრამ გამეფებისთანავე მას შეთქმულება მოუწყეს ბიძებმა: მამუკა და გიორგი ბაგრატიონებმა, რომლებიც ალექსანდრე V-ის ძმები იყვნენ, საკუთარმა დედამ, ხოლო როსტომ ერისთავი და ლევან აბაშიძე დიდი ჯარით დაესხნენ თავს მეფეს, რომელიც დამარცხდა და თავი ახალციხის ფაშას შეაფარა (რეხვიაშვილი, 1982:43). სოლომონის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება გაგრძელება იყო იმ სამოქალაქო ომისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ალექსანდრე V-ის დროს მეფეს და თავადებს შორის. ახალციხის ფაშას ხელსაყრელი დრო მიეცა იმისთვის, რომ ახალგაზრდა მეფე თავისი გავლენისთვის დაემორჩილებინა. ფაშა იყო ერთადერთი ძალა, რომელიც სოლომონს იმ მომენტში დახმარებას აღმოუჩენდა. სწორედ მისი დახმარებით შეძლო სოლომონმა მოგვიანებით იმერეთის ტახტის დაბრუნება (რეხვიაშვილი, 1982:44). მეფე სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. მამუკა ბაგრატიონი ,,გარდმოაგდეს“, დედა სამეგრელოში გააძევა, ასევე გააძე-

ვა მამია გურიელი და გურიელობა მის ძმას, გიორგის მისცა, აბაშიძეები დაამდაბლა, მაგრამ დაინდო როსტომ ერისთავი და მისი ძმა, ბესარიონ კათალიკოსი.

ტახტის დაბრუნების შემდეგ მეფემ ენერგიული ბრძოლა დაიწყო ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ და 1759 წლის საეკლესიო კრების დადგენილებით ის აკრძალა, რამაც ადგილობრივ დიდგვაროვანთა უდიდეს ნაწილში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ტყვეებით ვაჭრობაში შემჩნეული პირი სიკვდილით ისჯებოდა. საინტერესო ცნობა აქვს მოყვანილი კაპიტან იაზიკოვს, რომელიც 1770 წ. წერდა; ,,მთავარი შემოსავალი ადგილობრივი მემამულეებისა არის ტყვეებით ვაჭრობა, როგორც კაცების, ასევე ქალების. ამის გამო ოსმალეთის სულთანი სამეგრელოს მთავარს ეპირფერებოდა, მის ცოლს დედოფლად იხსენიებდა“ (Цагарели, 1891: 262). თუ მეგრელი დაიჭერდა მეგრელს, რომელიც სხვა სოფელში ცხოვრობდა, მას ოსმალებს მიჰყიდდა. თუ დაიჭერდა იმერელს, მას ან აფხაზს მიჰყიდდა, ან-ოსმალოს. ხალხი ისე იყო დაშინებული, რომ იარაღის გარეშე საკუთარ ეზოშიც ვეღარ გამოდიოდა. მეფეს ძლიერი ხელისუფლების შექმნისთვის შესაფერისი სოციალური დასაყრდენი სჭირდებოდა. მან გამეფებისთანავე გამოუცხადა ბრძოლა იმას, რაც იმერეთში ოსმალთა ექსპანსიამ მოიტანა: ტყვეთა სყიდვას და მოსახლეობის გამაჰმადიანებას.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში იმერეთმა დაჰკარგა საკუთარი ფულადი მეურნეობა და მოექცა ოსმალური ფულის მიმოქცევის სფეროში. მტერი დასახლდა იმერეთში, დაიპყრო ციხეები და გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი. ხალხი ისე გაღარიბდა, რომ 300 ქისას (90000 მანეთს) კი არა (რომელსაც იმერეთი ყოველწლიურად უხდიდა ოსმალეთს), ჩვეულებრივ გადასახადსაც ვეღარ იხდიდა, ამიტომ დამპყრობელს მიჰყავდა ის, რაც ჯერ კიდევ იშოვებოდა ადამიანები, განსაკუთრებით, ქალები. ასეთი მდგომარეობა მისაღები იყო თავადებისთვის, რომლებსაც ხელს აძლევდათ მეფის ხელისუფლების სისუსტე. აზნაურობა, ეკლესია და ყმა-გლეხობა კი ნადგურდებოდა მტრის ძალმომრეობისაგან. სწორედ ეს სამი ფენა უნდა გამხდარიყო მეფის დასაყრდენი.

საური და საუდიერო იყო გადასახადები, რომლებსაც მეფე ოსმალთათვის ჰკრეფდა. მისი გაუქმება იყო რეფორმატორული ნაბიჯი, მიმართული მოსახლეობის ღარიბი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. გლეხობა მეფის მხარეზე გადადიოდა. საიმედო

და ერთგულ პირებს მეფე ჯამაგირს უნიშნავდა, მაგალითად, ჯავახეთელ თომაშვილს წელიწადში 40 მარჩილი თეთრი დაუნიშნა. ეს თომაშვილი თურქებმა ჯავახეთიდან გამოაგდეს, სოლომონმა კი, იოჰან გიულდენშტედტის ცნობით, ის თავის მრჩევლად დანიშნა. მეფემ აკრძალა მრავალი უმსგავსობა, რომელიც დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ინტერვენციამ დაამკვიდრა. ამიტომაც დაუპირისპირდნენ გავლენიანი თავადები მას. ეს დაპირისპირება სოლომონის ტახტიდან პირველი ჩამოგდებით დამთავრდა, რაც 1752-1753 წლებში მოხდა (რეხვიაშვილი, 1982:43).

,,ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვასთან ერთად აუცილებლად უნდა შევეხოთ მეფის კიდევ ერთ, ჩვენი აზრით, მეტად საყურადღებო ნაბიჯს. ეს იყო სოლომონის მიერ შექმნილი ,,ფიცის კაცთა“ ინსტიტუტი, რომელიც მეფემ შექმნა საკუთარი ხელისუფლების გაძლიერებისა და მისთვის მტკიცე დასაყრდენის შექმნის მიზნით. ,,ფიცის კაცნი“ იყვნენ შემდეგი გვარის წარმომადგენლები: თავადი ლორთქიფანიძეები, აზნაურები: მესხები, ავალიანები, იოსელიანები, ღოღობერიძეები, მიქაბერიძეები, ყიფიანები, ქორქაშვილები, იაშვილები, უგრეხელიძეები, გრიგალაშვილები და ჭაბუკიანები. ისინი ცხოვრობდნენ სოფლებში: ახალბედისეულში, დედალოურში, ცხუნკურში, გვიშტიბში, ჩუნეშში, წყალტუბოში, ქვილიშორში, გუმათში, ჯიმისტაროში, ოფურჩხეთში, ნამახვანში (რეხვიაშვილი, 1982:54). ფიცის კაცნი ყოველ წელს, 15 მაისს შეიკრიბებოდნენ ერთ-ერთ ამორჩეულ ადგილზე და ფიცს დებდნენ, რომ ,,მეფის ერთგულნი იქნებოდნენ“. შემდეგ გაშლიდნენ სუფრას, დასხდებოდნენ და დიდი სასმისით ამბობდნენ ღმერთის, მეფის და ფიცის კაცების სადღეგრძელოს. ლხინი, თუ კარგი ამინდი იყო, ორი კვირა გრძელდებოდა. ფიცის კაცთ 1000 მეომარი გამოჰყავდათ ბრძოლის დროს. მათ დიდი პრივილეგიები ჰქონდათ. თუ მეფე ვინმეს შერისხავდა, ეს უკანასკნელი კი გაიქცეოდა და ფიცის კაცის მამულში შეასწრებდა, მდევარი მას თავს ანებებდა. მეფე შერისხულს ძალით ვერ გამოიყვანდა. ,,ფიცის კაცნი“ თავიანთი ყმებით ქუთაისის მახლობლად დაბანაკდებოდნენ და მეფეს შერისხულის შეწყალებას თხოვდნენ. შუამდგომლობა გამორიცხული იყო მეფის და ქვეყნის მოღალატისთვის. ,,ფიცის კაცთ“ ომის დროს დიდი ერთობა ჰქონდათ. ბრძოლაში ერთად შედიოდნენ, ერთმანეთს არ მიატოვებდნენ, ან ერთად დაიღუპებოდნენ, ან ერთად გამოვიდოდნენ. ბრძოლის ველზე არც დაჭრილს ტოვებდნენ, არც მკვდარს, თუ

ვინმე ლაჩრულად მოიქცეოდა, მას არც დამარხავდნენ და არც სახლში წამოიღებდნენ, მინდვრად დააგდებდნენ მხეცების საჭმელად. თუ ასეთი კაცი ცოცხალი გადარჩებოდა, ის ფიცის კაცებთან ვეღარ დარჩებოდა, საცხოვრებლად სხვაგან მიდიოდა. მის ადგილ-მამულს კი ისევ ფიცის კაცნი შეისყიდიდნენ (რეხვიაშვილი, 1982:55).

იმ ღონისძიებებში, რომლებიც მეფემ გატარა ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცებისთვის, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მისი ჭკვიანური მოქმედება ქვეყანაში საკუთარი დასაყრდენის გაძლიერების მიზნით. ამისთვის სოლომონი მოხერხებულად იყენებდა იმერელ თავადებს შორის არსებულ შუღლს და მტრობას და აწინაურებდა თავის ერთგულ წერეთლების, აგიაშვილების, წულუკიძეების და სხვათა საგვარეულოებს, ამით მან თავის მოწინააღმდეგე მთავრებს თუ თავადებს მოკავშირეები ჩამოაშორა. მეფე კარგად ხვდებოდა, რომ მისი მთავარი ძალა ღარიბი გლეხობა იყო და ცდილობდა მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. სოლომონმა გლეხობის გარკვეული ნაწილი (საეკლესიო ყმები) გაათავისუფლა შემდეგი გადასახადებისაგან: საური, საუდიერო და სამეფო (რეხვიაშვილი, 1982:51). ეს დიდი შეღავათი იყო უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი გაღატაკებული მოსახლეობითვის.

იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილი წარმოდგენა გვქონდეს მეფის სოციალური პოლიტიკის შესახებ, მოვიყვანთ რამდენიმე წერილობითი წყაროს, რომლებიც მიეკუთვნება XVIII ს-ის 50-60-იან წლებს. იმ დროინდელი დასავლეთ საქართველოს სოციალური მდგომარეობის შესწავლისთვის საინტერესოა 1750-იანი წლების წყალობის წიგნი როსტომ რაჭის ერისთავისა გლახუჩ გლოველს.

,,...საბოლოოთ გასათავებელი წყალობის წიგნი დაგიწერეთ ჩვენ, ბატონმა რაჭის ერისთავმან როსტომ, და ჩვენმა შვილმან გიორგიმ, მეთოდიმ და ბარძიმ სხვათა ჩვენთა შვილთა და მომავალთა შენ, გლოველს გლახუჩს, შენს ძმას დათიკას, სხვათა შენთა შვილთა და მომავალთა, ასე და ამა პირსა ზედა: ჩვენის ნება-მყოფლობით რობუა იაშვილისაგან ბარს ვენახი იყიდე, მეტრეველის კარზედ, მასაც ფასი კარგი მიეცი და ჩვენც კარგი ქრთამი მო(გ)ვართვი, და მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმან ყოვლის კაცის უცილებლად. რამაც ჩვენმან გვარის კაცმან შენ ეს წიგნი შეგიშალოს, ისიც შეიშლება რჯულის ქრისტიანობისაგა(ნ), მასაც რისხავს ღმერთი და ყოველნი მისნი წმინ-

დანი ვამტკიცებ მე, კათალიკოზი ბესარიონ. (ბურჯანაძე,1958:103). ამ წერილიდან ირკვევა, რომ, მიუხედავად გაუთავებელი ომებისა და დიდი გაჭირვებისა, გლეხს მაინც ჰქონდა საშუალება შეეძინა მიწა და ერისთავისთვისაც მიეცა ქრთამი.

იმაზე, თუ როგორ ზრუნავდა მეფე მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ნათლად მეტყველებს მისი წყალობის წიგნი (ხონის ეკლესიის საბუთები №11), რომელშიც სოლომონი პირობას აძლევდა გლეხებს, რომ, თუ ქვეყანას დიდი განსაცდელი არ დაემუქრებოდა (მაგალითად, მრავალრიცხოვანი მტრის შემოსევა), მათ ერთი მარჩილის მეტს არ გადაახდევინებდა საურის გადასახადს, სამაგიეროდ, გლეხებს მეფის და მისი ოჯახის წევრთათვის უნდა ელოცათ (კაკაბაძე, 1921, II:36-37).

ამავე დროს მეფემ თავის საქმიანობას აშკარა ანტიოსმალური ხასიათი მისცა. 1762წ. 19 იანვარს მან გამოისყიდა ტყვეობაში მყოფი გამაჰმადიანებული გიორგი აბდუშელიშვილი, ხელმეორედ მონათლა ის, ყმა მამულებიც მისცა და უთხრა: ,,შენ უსჯულოთა მტერთაგან დატყვევებულ იყავ და თათრათ იყავი და ჩვენ მოგნათლეთ და გიბოძეთ თავათ.... შალაური და მოსახლე კაცი სოფლით უკლებათ“ (ბურჯანაძე, 1950:99) ასეთი პოლიტიკა, რომელიც მიწის მფლობელობის ოსმალურ წესს ეწინააღმდეგებოდა, ნაყოფიერ შედეგს იძლეოდა. ოსმალური წესით, მთელი მიწა, რომელიც თავადს მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული ან შეძენილი, სულთნის საკუთრება იყო და ადგილობრივ მფლობელს მხოლოდ მაშინ ეძლეოდა მიწით სარგებლობის უფლება, თუ ის ოსმალების ერთგული იყო. ქართული წესის მიხედვით, ყმა-ფეოდალის საკუთრება მიწაზე ხელშეუხებელი იყო მეფე-ბატონისგან, რომელიც თავისი ხელქვეითების ურთიერთობაში შუამავლისა და მომრიგებლის სახით მონაწილეობდა.

საყურადღებოა, რომ მეფე ერთგული სამსახურისთვის გულუხვად ასაჩუქრებდა ხელქვეითებს. 1764 წელს, ამირან და პაატელა მესხებს ერთგული სამსახურისთვის საური გაუუქმა. ზემოთ დასახელებული წიგნის იმავე გვერდზე ვხვდებით ცნობას, რომ სოლომონ I-მა 1765 წელს ქაიხოსრო წერეთელს ერთგულებისთვის მისი უშვილოდ გარდაცვლილი ძმების, პაპუნას და ქველის, ყმა-მამულები დაუმტკიცა. უნდა ვიფიქროთ, რომ მეფე ასეთი მოქმედებით ერთგულ ქვეშევრდომთა რიცხვს ზრდიდა, რაც, საბოლოო ჯამში, სამეფო ხელისუფლებისთვის მტკიცე დასაყრდენის შექმნას უწყობდა ხელს. 1766 წელს

სოლომონმა როსათ მაჭავარიანს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟ-კაცობისთვის ყმა გლეხები უბოძა (ბურჯანაძე, 1958:111).

მას შემდეგ, რაც მეფემ, შეძლებისდაგვარად, დაასუსტა თავისი მოწინააღმდეგეები და გააძლიერა საკუთარი ხელისუფლება, ის აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა დამპყრობლის წინააღმდეგ, რისი ლოგიკური გაგრძელებაც იყო ხრესილის ბრძოლა. ამ დროისთვის ოსმალები გამაგრებული იყვნენ ქუთაისის, ცუცხვათის, ბაღდათის და შორაპნის ციხეებში, მაგრამ მთავარი ძალა განლაგებული იყო ხრესილის მინდორზე. სოლომონმა მიიმხრო კაცია დადიანი და მამია გურიელი. როსტომ რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე კი თურქთა ბანაკში აღმოჩდნენ. ამ ბრძოლაში მეფეს თურქი დამპყრობლისგან ქვეყნის სა-ბოლოო გაწმენდა უნდოდა, მტერს კი იმერეთის ტახტზე სასურველი კანდიდატის აყვანა სურდა, რომელიც მისი ნება-სურვილის მორჩილი შემსრულებელი იქნებოდა და კვლავ აღადგენდა ტყვეებით ვაჭრობას. სწორედ ამ ორმა ურთიერთსაწინააღმდეგო სურვილმა მიიყვანა დაპირისპირებული მხარეები ხრესილის ბრძოლამდე, რომელიც შოთა ბურ-ჯანაძის ვარაუდით, 1756 წელს, ისტორიკოსთა უმრავლესობის აზრით კი 1757 წლის 14 დეკემბერს მოხდა. ბრძოლის დაწყების წინ მეფემ ლაშქარს გამამხნევებელი სიტყვით მიმართა: ,,ჩემო იმერლებო! ...დღეს მარტო ჩვენ არ ვართ მეომარნი, არამედ ჩვენთან არსს ძალი იესო მაცხოვრისა. დღეს ეჭივრება ქრისტიანობას გამოხსნა. შესწირეთ თავი თქვენი ქრისტეს სარწმუნოებას, გამხნევდით, შვილებო, გამხნევდით! მეც თქვენთან ვიქნები, არც ჭირში და არც ლხინში არ მიგატოვებთ და ღმერთი იქნება ჩვენი შემწე“ ბრძოლის წინ მეფე მთელი ღამე ლოცულობდა, შემდეგ ღვინით აზარფეშა აავსო და თქვა: ,,ღმერთო, გაუმარჯვე ჩემს ჯარს, საქრისტიანოს დახსნისათვის მსხვერპლად დამზადებულს“! (სიხარულიძე, 1964:159).

დასაწყისში მტერმა მიაღწია წარმატებას. ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს იმერეთის სა-მეფო დროშა, მაგრამ 22 წლის სოლომონმა ხმლით მოკლა მოწინააღმდეგე სარდალი და ბრძოლის სასწორი ნელ-ნელა ქართველების მხარეს გადაიხარა. ომის დროს სა-ოცარი სანახავი ყოფილა მეფე, რომელმაც თავი წააგდებინა ერთ-ერთ ფაშას. მტერი აირია და გაქცევა დააპირა. მოღალატე აბაშიძე მას ამხნევებდა. ამ დროს ვიღაც გლეხი ხეზე ავიდა და ხმამაღლა იძახდა: ,,გაიქცა თათრის ჯარი და ლევან აბაშიძე“! აბაშიძემ ხეს

შემოუარა და გლეხის მოკვლა დააპირა, მაგრამ ჩირგვებში დამალულმა ერთმა ჯარისკაცმა თოფი ესროლა მეფის ბიძას და სიცოცხლეს გამოასალმა. როცა ხეზე ასულმა გლეხმა აბაშიძის უპატრონო ცხენი დაინახა, მთელი ხმით აყვირდა: ,,მოკლეს აბაშიძე და ფაშა ალი ბეგი“! ბრძოლის დასრულების შემდეგ მეფემ ნახა ბიძის ცხედარი, ნაბადი გადააფარებინა და დაიტირა, როგორც მეფის ნათესავს ეკადრებოდა. შემდეგ კუბოში ჩაასვენა და თავის სახლში გაგზავნა. მეფემ მისი მკვლელი მოიკითხა. ის აღმოჩნდა მესხეთელი გლეხი, დეგელა თევდორაძე. რისხვით ჰკითხა მეფემ: ,,როგორ გაბედე შენ ბიძაჩემის მოკვლაო“?. გლეხმა უპასუხა: ,,მე ბიძა თქვენი კი არა ქვეყნის მტერი და ორგული მოვკალიო“. მეფეს გაეცინა და მას აზნაურობა უბოძა (სიხარულიძე, 1964:160).

ხრესილის ბრძოლა იყო პირველი შემთხვევა, როცა იმერეთის მეფე ბრძოლის ველზე დაუპირისპირდა ოსმალეთს. ხალხმა ირწმუნა საკუთარი ძალა. უზომოდ გაიზარდა მეფის ავტორიტეტი. მისი შიში და რიდი გაუჩნდათ სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეეგებს. ოსმალო მეციხოვნეები ციხეებიდან გამოსვლას და ქვეყანაში პარპაშს ვეღარ ბედავდნენ. ამ ბრძოლის შემდეგ სოლომონმა აბაშიძეების სათავადო, რომელსაც მეფის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობა აღარ გააჩნდა, საბოლოოდ დაიმორჩილა (რეხვიაშვილი, 1982:62).

სოლომონის მოქმედებას თვალს ყურადღებით ადევნებდა ახალციხის ფაშა, რომელმაც ჩათვალა, რომ მისი დახმარება ტახტიდან ჩამოგდებული იმერეთის მეფისთვის შეცდომა იყო და მის გამოსასწორებლად ენერგიულად დაიწყო მოქმედება. მან მეფის წინააღმდეგ კავშირი შეკრა მამუკა ბაგრატიონთან, გიორგი გურიელთან და როსტომ რაჭის ერისთავთან. მამუკა ბაგრატიონს, რომელიც სოლომონმა იმერეთიდან გააძევა, მამულები დაუბრუნა. გურიელმა, რომელსაც სოლომონმა სამთავრო ჩამოართვა, დახმარებისთვის თეიმურაზს და ერეკლეს მიმართა. ქართლ-კახეთის მეფეებმა გურიელის დახმარება ახალციხის ფაშას სთხოვეს. ამ უკანასკნელმაც სიამოვნებით შეუსრულა მათ თხოვნა. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ ერეკლეს და თეიმურაზის მოქმედება არ იყო მეგობრული სოლომონის მიმართ. იმერეთის მეფე ცდილობდა ურჩი მთავრის დამორჩილებას, ქართლ-კახეთის მეფეები კი მას ამის გაკეთებაში ხელს უშლიდნენ. ეს შემთხვევა იმაზე მეტყველებდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების და სოლომონ I-ის

მიზნები ზოგჯერ არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მსგავსი უთანხმოება და ინტერესთა შეუსაბამობა მომავალშიც არაერთხელ გამოჩნდა. ქართლ-კახეთის მეფეები, განსაკუთრებით კი ერეკლე II, ფხიზლად ადევნებდნენ თვალს დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას. ისინი ცდილობდნენ, რომ იმერეთის მეფე ზედმეტად არ გაძლიერებულიყო. ამით აიხსნება ის, რომ ერეკლე ხშირად ეხმარებოდა გურიის და ოდიშის მთავრებს, რათა მათი დასუსტების ხარჯზე არ დაეშვა სოლომონის აღზევება.

ახალციხის ფაშა, რომელიც ადრე სოლომონს ტახტის დაბრუნებაში დაეხმარა, ამჯერად მის მოწინააღმდეგეებს შეუერთდა. 1758 წლის დეკემბერში ლეკები და ოსმალები ისე მოულოდნელად შემოიჭრნენ იმერეთში რომ მეფემ ვერც ჯარის შეკრება მოასწრო და ვერც ქართლ-კახეთის მეფეებისთვის დახმარების თხოვნა. ამ შემოსევის დროს ააოხრეს ლეკებმა გელათი და გაიტაცეს საეკლესიო სიმდიდრეები. სოლომონი თვითონ მივიდა ახალციხის ფაშასთან და მას ლეკთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, სანაცვლოდ კი მორჩილება აღუთქვა. ფაშამ მას დასახმარებლად 3000 ოსმალო ჯარისკაცი გამოაყოლა, სოლომონი წინასწარ შეუთანხმადა თავის მომხრეებს და იმერეთში შემოსული ეს ჯარი მეფის მომხრეებმა ერთიანად გაჟლიტეს, ეს ახალციხის ფაშასთვის მორიგი მძიმე მარცხი იყო, რასაც ახმედ-ფაშას სიკვდილით დასჯა მოჰყვა (კაკაბაძე,1920:110-111). თუმცა, ამ ფაქტთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებას ვხვდებით თურქ ისტორიკოსებთან. ისინი ფიქრობდნენ, რომ ჰაჯი-აჰმედ-ფაშა ქართველების ცუდად მოპყრობის გამო დასაჯეს სიკვდილით (Köse, 2014:48).

1.2. სოლომონ I-ის საეკლესიო რეფორმა

მეტად მნიშვნელოვანი იყო საეკლესიო რეფორმა, რომელიც სოლომონმა განახორციელა იმერეთში. მეფე ამ რეფორმით ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა: ტყვეთა სყიდვის აკრძალვის დაკანონებას და იმ მანკიერების აღმოხვრას, რაც ეკლესიაში იყო გაბატონებული. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა იმერეთის სამეფო ხელისუფლება ეკლესიის მიმხრობას ცდილობდა ტყვეთა სყიდვის მომხრეთა წინააღმდეგ. დამღუპველი სენი, რომელიც ანადგურებდა ქვეყნის სასიცოცხლო ძალას, დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ XVI ს-ში გავრცელდა. საფრთხე სათანადოდ შეაფასა იმერეთის მეფემ, ბაგრატ III-მ (1510-1565 წწ), რომელმაც XVI ს-ის 50-იან წლებში ბიჭვინთაში მოიწვია საეკ-

ლესიო კრება და ტყვეთა სყიდვა აკრძალა. კრებამ მიიღო დადგენილება, რომელსაც ეწოდა ,,სამართალი კათალიკოზთა“. ამ კრებას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათალიკოსი, მალაქია, აფხაზეთის კათალიკოსი, ევდემონი და დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები (რეხვიაშვილი, 1989:51).

თუ დავუშვებთ, რომ დასავლეთ საქართველოდან წელიწადში 1000 კაცი გაჰყავდათ, მაშინ გამოდის, რომ ერთ საუკუნეში 100 000 ადამიანი გაუყიდიათ, მათი ნაწილი ოსმალეთში მიჰყავდათ, ნაწილი კი - დაღესტანში და იქ ყირიმელ თათრებზე ჰყიდდნენ. აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის აზრით, არცერთ ომს არ მიუყენებია საქართველოსთვის ისეთი ზარალი, როგორიც ტყვეთა სყიდვამ მიაყენა (ბერძენიშვილი, 1950 : 300).

გაზვიადებულად გვეჩვენება ევროპელი მოგზაურის, შარდენის, მონაცემები რომელიც დასავლეთ საქართველოში თავისი მოგზაურობის აღწერისას აღნიშნავდა, რომ ოსმალებს აქედან წელიწადში 7-8 ათასი (საუკუნეში 700-800 ათასი) ტყვე გაჰყავდათ (Chardin, 2014:133).

სავალალო მდგომარეობა არ შეცვლილა ალექსანდრე V-ის დროს. მის დროს იმერეთში გაიზარდა ოსმალო დამპყრობთა რაოდენობა. მეფემ ტახტის მემკვიდრე სოლომონი მაღალმთიან სოფელში გახიზნა იმის შიშით, თურქებმა არ მომტაცონო. მრავლისმეტყველი იყო ანტონ მთავარეპისკოპოსის სიტყვები: ,,თათრის ვალი დაგვედვა ცხრაას და ჩვიდმეტი მარჩილი, ...მოვალე თათარმა დაგვიჭირა, ვიკარგებოდით და რჯული გვეშლებოდა... გაურჯულოებას მამულის გაყიდვა ვარჩიეთ“ (ბურჯანაძე, 1948:72).

ასეთი იყო ვითარება დასავლეთ საქართველოში, როდესაც სოლომონ I-მა საეკლესიო კრების ჩატარება გადაწყვიტა. ამ დროისთვის სამეფოში 4 ეპარქია იყო:

1) ქუთაისის, რომლის სათავეში იდგა მიტროპოლიტი დოსითეოსი,

2) გაენათის, რომელსაც მიტროპოლიტი ექვთიმე განაგებდა,

3) რაჭის ეპარქიას ნიკორწმინდელი სოფრონიოსი ხელმძღვანელობდა,

4) მთავარეპისკოპოს ანტონის ეპარქია.

მეფეს კარგად ესმოდა, რომ დასუსტებული ეკლესია მას მტერთან ბრძოლაში ვერ გამოადგებოდა, საჭირო იყო მისი გაძლიერება. მან 1759წ. 7 დეკემბერს მოიწვია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც დადიანი და გურიელიც ესწრებოდ-

ნენ. კრებამ საქუთათლო აღადგინა, ქუთათლად მაქსიმე აბაშიძე დასვა, მას მიმობნეული მიწები და მრევლი დაუბრუნა და დაუკანონა. მეფე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეკლესიის მამულებს ვერავინ შეეხებოდა. ამას სხვა ღონისძიებებიც მოჰყვა. მან აღადგინა ხონის ტაძარი, მოაწესრიგა საგადასახადო სისტემა მრევლში, საეკლესიო ყმებს ვალდებულებები შეუმცირა. (კაკაბაძე, 1913:7-12). მეფემ საეკლესიო ყმა-მამულები, რომლებიც ფეოდალებს ქონდათ მიტაცებული, ისევ ეკლესიას დაუბრუნა. თავადებისთვის და ერისთავებისთვის სავალდებულო ხდებოდა ამ ცვლილებების აღიარება. მეფის საეკლესიო რეფორმა აშკარად პროგრესული იყო, რადგან გაძლიერებული ეკლესია მას მხარში ამოუდგებოდა, როგორც გარეშე, ისე შინაური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სოლომონ I-მა შემდეგი ღონისძიებები გაატარა:

1) ერისკაცთაგან მიტაცებული ყმა-მამულები ეკლესიას დაუბრუნა და დაუმტკიცა,

2) საეკლესიო ყმები გაათავისუფლა ზედმეტი გადასახადისაგან და დააკანონა საეკლესიო გადასახადები,

3) ერისკაცებს აუკრძალა ეკლესიის საქმეებში ჩარევა,

4) საეკლესიო თანამდებობებიდან გადააყენა უღირსი მღვდელთმთავრები,

5) ააშენა და შეამკო ეკლესია-მონასტრები (ბურჯანაძე, 1950:87).

ამრიგად, სოლომონ I-ის ენერგიულმა საშინაო პოლიტიკამ, რაც გამოიხატა საეკლესიო რეფორმის და სწორი სოციალური პოლიტიკის გატარებაში, სამეფოსთვის უდიდესი შედეგი გამოიღო. აიკრძალა ტყვეთა სყიდვა და გაძლიერდა ეროვნული სარწმუნოება. სამეფო დაწყნარდა, მოსახლეობის რიცხვმა საგრძნობლად დაიწყო ზრდა. 1772 წელს ქუთაისში 50 კომლი ცხოვრობდა. ქალაქიდან ოსმალების განდევნის შემდეგ მალე ეს რიცხვი ორას კომლამდე გაიზარდა. 1769 წელს იმერეთში 15500 კომლი ცხოვრობდა. 1782 წელს კი ეს რიცხვი 18980 კომლამდე, ე.ი. მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 17-20000 კაცით გაიზარდა.

თავს უფლებას მივცემთ და პარალელს გავავლებთ 1759 წლის საეკლესიო კრებასა და დავით აღმაშენებლის თაოსნობით 1104 წელს ჩატარებულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას შორის. ორივე კრება მიზნად ისახავდა ეკლესიაში არსებული მანკიერების აღმოფხვრას, შეუფერებელი მღვდელმსახურების გადაყენებას, ღირსეული საეკლესიო

პირების დაწინაურებას, ამ გზით ეკლესიის გაძლიერებას და მის გადაქცევას სამეფო ხელისუფლების ერთგულ მოკავშირედ. სოლომონს უფრო რთული საკითხების მოგვარებამ მოუწია, საჭირო გახდა აქა-იქ გაბნეული საეკლესიო ქონების მოძებნა, მისი მფლობელის დადგენა, საკუთრების დაბრუნება და მისი შემდგომი დაცვა მთავარ-თავადთა ძალმომრეობისგან. დავითის დროს ეკლესიის ქონება არ იყო იმ მასშტაბით იავარქმნილი, როგორც სოლომონის დროს. რუის-ურბნისის კრებას სამღვდელოებაში გავრცელებული უწესობა უნდა აელალაგმა (ხელდასმის წესის დარღვევა, მცირეწლოვანთა ქორწინება და სხვა). თუმცა, იყო ერთი არსებითი განსხვავება, ეს იყო ამ ორი კრების გადაწყვეტილებათა გავრცელების არეალი. რუის-ურბნისის კრების გადაწყვეტილება მთელ საქართველოზე გავრცელდა, სოლომონ I-ის მიერ ჩატარებული საეკლესიო კრების დადგენილება კი, ცნობილ მიზეზთა გამო, მხოლოდ - დასავლეთ საქართველოზე.

XVIII ს-ის II ნახევრის იმერეთის პოლიტიკური ცხოვრების შესწავლის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა საინტერესო ფაქტმა, რომელიც ბოლომდე არ არის შესწავლილი. საქმე ეხება დაპირისპირებას სოლომონ I-სა და ქუთათელ მიტროპოლიტ მაქსიმე აბაშიძეს შორის, რომელიც 1776 წლიდან აფხაზ-იმერთა კათალიკოსი გახდა. თავის დროზე ამ საკითხის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს: შოთა ბურჯანაძემ, სარგის კაკაბაძემ, ელდარ ბუბულაშვილმა, მერაბ წურწუმიამ, დავით ცქიტიშვილმა, ზურაბ სულაბერიძემ და სხვებმა. მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ უთანხმოება იმერეთის უმაღლეს საერო და სასულიერო იერერქთა შორის დაიწყო 70-იანი წლების ბოლოს და დამთავრდა 1782-1783 წლებში კათალიკოსის იმერეთიდან წასვლით.

კონფლიქტის დაწყების თარიღთან დაკავშირებით ჩვენ არ ვიზიარებთ ზემოთნახსენებ მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ დაპირისპირება მეფესა და კათალიკოსს შორის გაცილებით ადრე, 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. საკითხის უკეთ გაშუქების მიზნით ურიგო არ იქნება, თუ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ აბაშიძეთა საგვარეულოს ამ ცნობილი წარმომადგენლის შესახებ.

საინტერესო ცნობებს ვხვდებით კათალიკოსის შესახებ ელდარ ბუბულაშვილის წერილში ,,მაქსიმე აბაშიძე (1725-1795) - კათალიკოსი ყოვლისა საიმერეთოისა და აფხაზე-

თისა“, რომელიც დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალში ,,მაცნე“ (2013,1). მაქსიმეს მიტროპოლიტად დანიშვნის შემდეგ ქუთაისში ოსმალები იყვნენ გამაგრებული. 1770 წლამდე მაქსიმეს რეზიდენცია ქუთაისთან ახლოს, სოფელ მაღლაკში, იყო. აქ ააგო მან მცირე ზომის ეკლესია და იქ დაასვენა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. მისი თხოვნით ამ სოფლის საეკლესიო ყმები მეფემ საერო გადასახადებისგან გაათავისუფლა (ბუბულაშვილი, 2013:35). ის გარდაცვლილი საეკლესიო ყმების მამულებს არ აუქმებდა და მათ გარკვეული პირობებით მცირემიწიან გლეხებს აძლევდა. 1765 წელს მაქსიმემ ამოწყვეტილი გლეხის, შაშვაძის, მამული შაქარა ჯანგვაძეს და მის ძმებს უწყალობა (ცქიტიშვილი, 1980:8).

მაქსიმე ებრძოდა ეკლესიაში დამკვიდრებულ ლოთობას, მრუშობას და მკითხავებს. ის მხარში ედგა სოლომონს მაჰმადიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში და იმერეთის სამეფოს გაძლიერების საქმეში ეხმარებოდა, აქტიურად მონაწილეობდა ,,ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვაში. ის უშუალოდ იყო ჩართული იმერეთის სამეფოს ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებაში, მათ შორის, საგარეო ასპარეზზეც, სოლომონ I-ის ელჩი იყო 1768-1769 წლებში რუსეთში. რუსეთში დიპლომატიური მოლაპარაკების დროს მან ერთმანეთისგან გამიჯნა ტერმინები ,,ევროპა“ და ,,ოსმალეთი“, რაც, შოთა ბურჯანაძის აზრით, ახალი სიტყვა ანუ ძირითადი მომენტი იყო ქართული დიპლომატიისა (ბურჯანაძე, 1948:52-53). ელჩმა ,,ოსმალურ-სპარსული უწესრიგობის“ წინააღმდეგ ,,ევროპული წესრიგისათვის“ ბრძოლა დაუკავშირა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ დახმარებას. მაქსიმეს აზრით, ამ დახმარებით (პირველ რიგში, ფინანსური) სოლომონი შექმნიდა მუდმივ ჯარს, ისე, როგორც ,,ევროპიაში“ იყო და გადამწყვეტ დარტყმას მიაყენებდა ოსმალეთს.

მიტროპოლიტი აქტიურად იბრძოდა ლიხთ-იმერეთის საეკლესიო კავშირის განსამტკიცებლად, თუმცა, წარუმატებლად (შოთა ბურჯანაძე ფიქრობდა, რომ მას ამ ბრძოლაში მოკავშირეები არ ჰყავდა). უცნობია მისი სოლომონთან დაპირისპირების ნამდვილი მიზეზი. სწორედ ამ მიზეზთან და დაპირისპირების დაწყების თარიღთან დაკავშირებით გვსურს გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება.

1768-1769 წლების ელჩობამ რუსეთში გარკვეული სარგებლობა მოუტანა იმერეთს. ვგულისხმობთ რუსეთის საპასუხო გააქტიურებას კავკასიაში, რასაც შედეგად მოჰყვა ტოტლებენის კორპუსის გამოგზავნა საქართველოში. არ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში გადაჭარბებულად უნდა შევაფასოთ სოლომონის ელჩის როლი ამ საქმეში. რუსული შენაერთის შემოსვლა საგარეო ვითარების შეცვლამ გამოიწვია და არა მაქსიმე აბაშიძის დიპლომატიურმა ტრიუმფმა. ქვემოთ უამრავ მაგალითს შევხვდებით იმისა, რომ რუსეთი პრაქტიკულ მოქმედებას იწყებდა არა ერეკლეს ან სოლომონის მოთხოვნით ან მათთვის დახმარების გაწევის აუცილებლობის გამო, არამედ საკუთარი მიზნის მისაღწევად და ისიც იმ შემთხვევაში, თუ არსებულ საერთაშორისო ვითარებას ხელსაყრელად ჩათვლიდა ამის გასაკეთებლად.

დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი. ახლა შესაფერისი დრო იყო იმისთვის, რომ გახსენებოდათ დაჩაგრულ ქრისტიანებზე ზრუნვა და მიემხროთ ისინი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ საქართველოში რუსი ჯარისკაცების გამოჩენა სოლომონის ელჩობის დამსახურებად მიიჩნიეს. უზომოდ გაიზარდა ქუთათელი მიტროპოლიტის ავტორიტეტი.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაქსიმე თავის ძმასთან, დავითთან, ერთად იმ საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, რომელსაც ყველაზე მეტად (რაჭის ერისთავთან ერთად) დაატყდა თავს სოლომონ I-ის რისხვა. გარკვეულ ეტაპზე მეფემ, ეტყობა, ჩათვალა, რომ აბაშიძეები საკმარისად დაამდაბლა, ისინი საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ მისი ხელისუფლებისთვის, ხოლო მოგვიანებით მათი მეტნაკლები დაწინაურებაც მოხდა. 1766-1770 წლებში მაქსიმეს ძმა, დავითი, მეფის სახლთუხუცესი იყო. უცნობია მისი ამ თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი. მაქსიმე რუსეთის ელჩობიდან იმერეთში 1769 წლის სექტემბერში დაბრუნდა. არ გამოვრიცხავთ, რომ მეფეს დიდად არ ესიამოვნა თავისი ელჩის გაზრდილი ავტორიტეტი. მან სხვა თვალით შეხედა ძმებ აბაშიძეებს. ვფიქრობთ, რომ ეს ერთგვარი ეჭვი და მასთან ერთად გარკვეული უნდობლობა აბაშიძეთა საგვარეულოს მიმართ გახდა დავითის სახლთუხუცესობიდან გადაყენების მიზეზი. მეფემ არასაკმარისად მიიჩნია აბაშიძეების დამდაბლება. მან შეასუსტა სახლთუხუცესის სახელო და სამაგიეროდ გააძლიერა სარდალ-ბოქაულთუხუცესის თანამდებობა

(ბურჯანაძე, 1961:130). ბერი წულუკიძის დაწინაურება ამ თანამდებობაზე და მისი აღზევება იყო აბაშიძეების საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი, ამ საგვარეულოზე მიტანილი იერიშის მეორე ტალღა. აქედან უნდა დაწყებულიყო ფარული დაპირისპირება, რაც მოგვიანებით დავითის ახალციხეში გაძევებით და კათალიკოსის ქართლ-კახეთში გადასვლით დამთავრდა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დავითის თანამდებობაზე აღდგენა მალევე მოხდა. ოლღა სოსელიასთან ვხვდებით ცნობას, რომ დავით სახლთუხუცესი ორჯერ, 1772 და 1776 წლებში იმყოფებოდა ახალციხის ფაშასთან (სოსელია, 1973:186). შესაძლოა, წინასწარ ემზადებოდა 1778 წელს სოლომონის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებისთვის ამ დროს, 1772 წელს ხდება იოსებ კათალიკოსის აშკარა დაპირისპირება მეფესთან. იოსებმა საეკლესიო დამოუკიდებლობა და საერო ხელისუფლებაში მეფის ტოლი წილი მოითხოვა. ის მეფობისთვის მებრძოლ თავადს ჰგავდა (ბურჯანაძე, 1961:126) (შევადაროთ ბერი წულუკიძის და დავით გიორგის ძის დაპირისპირებას), მეფის ძმამ, არჩილმა, ციხეები და მამულები მოითხოვა, თან კავშირი გაბა ახალციხის ფაშასთან და დადიანთან.

ზურაბ სულაბერიძის საკანდიდატო დისერტაციაში ,,დასავლეთ საქართველო XVIIIს-ის II ნახევარში და რუსეთი“ ვხვდებით ფრიად საინტერესო ცნობას, რომელიც უფრო ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის ამ დაპირისპირებაზე: ,,როგორც ჩანს, აფხაზ-იმერთა კათალიკოსი (იოსები-ხაზგასმა ჩვენია, კ.გ.) გახარებულა ჩიჩუას დაკავებით და რუსეთის კორპუსს ურჩევდა ეს უკანასკნელი სოლომონისთვის არ გადაეცათ, რადგან მისი ხელში ჩაგდებით იმერეთის მეფე დადიანს დაიმორჩილებდა“ (სულაბერიძე, 2001:40). ეტყობა, გენერალი სუხოტინიც მიხვდა ამას და თავადი ჩიჩუა სოლომონს არ გადასცა. გამოდის, რომ ამ დროს იოსები მაქსიმალურად ყოფილა დაინტერესებული, რათა მისი გვირგვინოსანი ძმა არ გაძლიერებულიყო. შესაძლოა, ამ მიზანს ემსახურებოდა დავით აბაშიძის ვიზიტი ახალციხის ფაშასთან 1772 წელს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპზე სახლთუხუცესი აბაშიძე და კათალიკოსი იოსები მოკავშირეებიც კი იყვნენ სოლომონთან დაპირისპირებაში.

როგორი იყო ამ დროს მაქსიმე ქუთათელის პოზიცია? არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი ცნობა ან საბუთი იმის შესახებ, რომ მიტროპოლიტი ამ დროს მეფის წინა-

აღმდეგ მოქმედებდა, თუმცა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ მისი სიმპათია, ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე, ძმის მხარეს იყო.

მაქსიმეს კათალიკოსად არჩევამდე ხდება ერთი საყურადღებო ფაქტი. 1774 წელს მას რაღაც სერიოზული უთანხმოება ჰქონდა იოსებ კათალიკოსთან. ამ წლის 14 ივნისის ცნობაში წერია ,,ქუთათელი და სხვანი შეაჩვენა კათალიკოსმან". ერთი კვირის შემდეგ იოსებმა მაქსიმეს შეჩვენება ახსნა და ის თავის უფლებებში აღადგინა. (ცქიტიშვილი, 1980:8) ხომ არ იყო ეს სოლომონ-იოსების ერთობლივი იერიში ქუთათელი მიტროპოლიტის წინააღმდეგ? არც სარგის კაკაბაძე ან შოთა ბურჯანაძე, ან ოლღა სოსელია არაფერს ამბობენ ამის შესახებ. ძნელია იმის მტკიცება, ერია თუ არა სოლომონის ხელი ამ ამბავში. უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია აზრი, რომ იოსებს ამ ნაბიჯის გადადგმისკენ მაქსიმეს ნეიტრალურმა პოზიციამ უბიძგა, რომელზეც ქუთათელი მიტროპოლიტი კათალიკოსისა და მეფის დაპირისპირების დროს იდგა.

1776 წელს აფხაზ-იმერთა კათალიკოსად არჩევის შემდეგ მაქსიმემ ხელი შეუწყო გურიაში ჯუმათის და შემოქმედის ეპარქიების აღდგენას, იზრუნა ხინოწმინდის საეპისკოპოსოს აღდგენაზე, მაგრამ, ვინაიდან ხინოწმინდის ტერიტორია ოსმალებს ეკავათ, ნომინალურად დაარსებული საეპისკოპოსოს წინამძღვარი გამოჩინებულის მონასტერში გაამწესა. სატიკად ებრძოდა ტყვეთა სყიდვას, მკითხავებს, ეკლესიაში დამკვიდრებულ უშჯულოებას (ბუბულაშვილი, 2013:37). 1776 წელს მან ეკლესიიდან განკვეთა და შეაჩვენა კაცია ჩიჩუა, რომელმაც ბიჭვინთის ეკლესიის ყმები თურქებს მიყიდა. ასეთივე ხვედრი ერგო გურიის თავადს, მერაბ ლორთქიფანიძეს, რომელმაც დახმარება აღუთქვა მაქსიმეს ,,ტყვეთა სყიდვის" აკრძალვის საქმეში, მაგრამ პირობა არ შეასრულა.

1780 წლისთვის მან შეძლო განდგომის მსურველი ოდიშის საეპისკოპოსოების დამორჩილება (ბურჯანაძე, 1960:94), ე.ი. დაახლოებით, იგივე გააკეთა, რაც ქართლის კათალიკოსმა, დავით IV-მ ცნობილ ,,საფარის კრებაზე" ყვარყვარე II ათაბაგის დროს.

ჩვენი მოსაზრებისგან განსხვავებით ზურაბ სულაბერიძე, ზურაბ ცქიტიშვილი და ელდარ ბუბულაშვილი ფიქრობდნენ, რომ მაქსიმეს უთანხმოება მოუვიდა სოლომონ I-თან მისი შვილის, ალექსანდრეს, გამო, რომელსაც მეორედ დაქორწინება უნდოდა მაშინ, როცა ცოცხალი იყო მისი პირველი მეუღლე, რომელიც ბატონიშვილს თბილისში ჰყავ-

და დატოვებული. იმერელი ბატონიშვილი სხვადასხვა დროს სამჯერ იყო დაქორწინებული. მისი პირველი მეუღლე იყო ერეკლეს ვაჟის, გიორგის, ასული. 1778 წლის 19 იანვარს ის ქუთაისში დაქორწინებული მოსულა (ბურჯანაძე, 1960:84).

უცნაურია, მაგრამ 1777-1778 წლები არ იყო საუკეთესო დრო ერეკლესა და სოლომონის ურთიერთობაში. ოსმალეთთან დაახლოვების შემდეგ ერეკლეს გააქტიურებაში სოლომონმა იმერეთის ქართლ-კახეთისთვის შეერთების საფრთხე დაინახა. ასეთ ვითარებაში შეიძლება, რომ ალექსანდრეს მიერ ერეკლეს შვილიშვილის ცოლად მოყვანა სოლომონის მხრიდან ამ საფრთხის აღკვეთის ან ქართლ-კახეთის მეფესთან დაძაბული ურთიერთობის მოწესრიგების მცდელობად მივიჩნიოთ. მაგრამ გაუგებარია, რატომ მიატოვა ალექსანდრე ბატონიშვილმა ახლადმოყვანილი მეუღლე თბილისში და რატომ დაქორწინდა ევგენი აბაშიძის ასულზე, მისი ეს ნაბიჯი არ შეუწყობდა ხელს ამ ურთიერთობის გაუმჯობესებას, პირიქით, უფრო გაამწვავებდა მას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მეორე ცოლი ბატონიშვილს სოლომონის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეებმა შერთეს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმისკენ მათ უბიძგეს ალექსანდრეს, რათა ამით ერეკლეს განრისხება გამოეწვიათ და მისი შვილიშვილის მიმართ ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, უტაქტო მოქმედებით, ქართლ-კახეთის სამეფო კარის აღშფოთება თუ უკმაყოფილება მთლიანად სოლომონის წინააღმდეგ მიემართათ. ალექსანდრე ბატონიშვილის ეს ნაბიჯი, შეთქმულთა გათვლით, ერეკლესა და სოლომონის ურთიერთობის გაუარესებას გამოიწვევდა, რაც იმერეთის მეფის მდგომარეობას უფრო მეტად დაამძიმებდა.

ამის შემდეგ ალექსანდრემ მონაწილეობა მიიღო მამამისის საწინააღმდეგოდ მოწყობილ შეთქმულებაში (1778 წლის აპრილში). შეთქმულების ინიციატორები იყვნენ: მაქსიმეს ძმა, დავით აბაშიძე, სოლომონ I-ის სახლთუხუცესი და სამეფო კარის მოურავი თამაზა მესხი, რომლებიც მეფეს ბერი წულუკიძის დაწინაურებისთვის განუდგნენ (რეხვიაშვილი, 1989:257). სიმართლესთან ახლოს დგას პროფესორ მიხეილ სამსონაძის მოსაზრება, რომ სოლომონის შვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი, ერეკლეს სიძე (მისი შვილიშვილის ქმარი) იყო და ერეკლეს ორიენტაციის მომხრედ ითვლებოდა. (სამსონაძე, 1988:6). მეფემ შეთქმულება ჩაახშო, მონაწილენი მკაცრად დასაჯა, ალექსანდრე

გააშორა აბაშიძის ასულს და ბერი წულუკიძის ასულ დარეჯანზე დააქორწინა. სწორედ ამ ქორწინების შემდეგ გახდა ხილული კათალიკოსისა და მეფის დაპირისპირება. მაქსიმემ ეს ქორწინება ,,უჯეროდ“ შეაფასა, ბატონიშვილი ალექსანდრე ,,კრულ“ ჰყო, შეაჩვენა და ეკლესიიდან განკვეთა (ეკლესიის აზრით, პირველი ცოლის სიცოცხლეში სხვა ქალზე დაქორწინება დიდი ცოდვა იყო).

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აფხაზ-იმერთა კათალიკოსის ორმაგი სტანდარტით მოქმედებასთან. რატომ მაინცდამაინც ალექსანდრეს და დარეჯან წულუკიძის ქორწინება ჩათვალა მაქსიმემ მიუღებლად და უკანონოდ? სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა ოლღა სოსელია, რომ ასეთივე მიუღებელი და ,,უჯერო“ იყო ბატონიშვილის ქორწინება ევგენი აბაშიძის ასულზე, რადგან ერეკლეს შვილიშვილიც ცოცხალი იყო ამ დროს. ეს პირველი ქორწინება, რატომღაც, არავის გახსენებია.

ვუბრუნდებით იმ აზრს, რომ ბერი წულუკიძის განდიდება უნდა ჩავთვალოთ აბაშიძეების საგვარეულოზე შეტევის მეორე ტალღად. წულუკიძე უკვე იყო მეფის სიძე. მისი და, გულქანი, იხსენება, როგორც ,,ბრწყინვალე თავადებისა, პაატა, ბერი და გიორგი წულუკიძეების“ და. ბერი წულუკიძე იყო სოლომონ I-ის ,,მისანდო ყმა“, ,,თანაგანმზრახი“ (მრჩეველი), მისი ,,კარის... განმგე დიდებული თავადი“, ის იყო სარდალ-ბოქაულთუხუცესი და ქუთაისის მოურავი (სოსელია, 1981:59).

ნიკო ღოღობერიძის ჩანაწერებზე დაყრდნობით ოლღა სოსელია შემდეგნაირად ახასიათებდა მას: ბერი წულუკიძე იყო ძლიერი, სასტიკი, ცხოვრობდა ხონში. როცა მისი ეზოს წინ ცხენოსანი გაივლიდა, არათუ გლეხი, თავადნი და აზნაურნიც უნდა ჩამოქვეითებულიყვნენ და ისე გაევლოთ მისი ეზოს წინ. (სოსელია, 1981:70).

საინტერესო ცნობას ვხვდებით სარგის კაკაბაძესთან ბერის სისასტიკეზე და ,,მუშტის სამართალზე“. ერთხელ ის ზემო იმერეთში ახლდა მეფეს. მის თანმხლებ პირებს აზნაურმა ცქიტიშვილმა შესაფერისად ვერ უმასპინძლა. ამალამ ბერის შესჩივლა. რამდენიმე წლის შემდეგ წულუკიძემ ცქიტიშვილის სახლთან გაიარა, ეს შემთხვევა გაიხსენა და სახლში შევიდა. მასპინძელი მხიარულად მიესალმა, დალოცა მისი მოსვლა და უნდოდა მისთვის მუხლზე ეკოცნა. ბერიმ მასპინძელს თოფი დაახალა, სიცოცხლეს გამოასალმა და თქვა: ასე დაემართება, ვინც ბერი წულუკიძეს პატივს არ სცემსო (კაკაბაძე, 1925:251).

იესე ოსეს ძის თქმით, სოლომონს, თურმე, ,,საკვირველად უყვარდა“ ბერი წულუკიძე და მასზე ამბობდა: ,,ბერი არის მეფე, მე არა ვარო“ (კაკაბაძე, 1913:112-113).

უცნაურია, უბრალო ხალხის სიყვარულით გამორჩეულ მეფეს რატომ უყვარდა ასეთი ადამიანი? შეიძლება მისი ასეთი თვისებების შესახებ იცოდა მაქსიმემ და იმიტომაც ეწინააღმდეგებოდა მის უფრო მეტად განდიდებას, რაც, თავის მხრივ, გახდა მიზეზი კათალიკოსის და მეფის დაპირისპირებისა.

ალექსანდრეს დაქორწინებით დარეჯან წულუკიძეზე ბერი მეფის მძახალიც ხდებოდა. თავისი დემარშით კათალიკოსი წულუკიძეების საგვარეულოს უფრო მეტად განდიდებას დაუპირისპირდა. საეკლესიო კანონის დაცვა ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მხოლოდ საბაბი იყო.

მაქსიმემ ყურადღება არ მიაქცია სოლომონის თხოვნას, რომ გარდაცვლილი ალექსანდრე გელათის ტერიტორიაზე ნაკურთხ მიწაში დაემარხათ. კათალიკოსი შეუვალი იყო. ბატონიშვილი გელათის გალავნის მიღმა დაკრძალეს ყოველგვარი სამეფო პატივის მიგების გარეშე. მის კუბოს მხოლოდ ერთი მღვდელი მიაცილებდა.

თავისთავად ცხადია, მეფისა და კათალიკოსის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა. მაქსიმე იმერეთში 1781 წლამდე იყო. სოლომონ I-ის 1781 წლის შეწირულობის წიგნში (გელათის საბუთები №84) ის ისევ იხსენება კათალიკოსად. ,,ჩვენ ყოვლისა ჩრდილო იმერ აფხაზეთისა კათოლიკოს მამათმთავარი მაქსიმე“ (კაკაბაძე, 1921,II:73).

იგივეს ფიქრობდა შოთა ბურჯანაძეც. მისი აზრით, მაქსიმე კათალიკოსის იმერეთიდან წასვლა არ უნდა უკავშირდებოდეს ალექსანდრე ბატონიშვილის მეორე ქორწინებას და ამ ნიადაგზე სოლომონთან ურთიერთობის დაძაბვას, რადგან 1780-1781 წლებში ის იმერეთში იმყოფებოდა და საეკლესიო საქმეებს განაგებდა (ბურჯანაძე, 1960:84).

მაქსიმე აღარ ცხოვრობდა იმერეთში სოლომონის სიცოცხლის ბოლო წლებში. მან ხელი არ მოაწერა სოლომონის მიერ რუსეთში გაგზავნილ თხოვნის წიგნზე, რომელსაც ხელს აწერდა იმერეთ-გურიის ფეოდალური არისტოკრატია (ბურჯანაძე, 1960:94). შოთა ბურჯანაძის აზრით, მაქსიმეს წასვლა იმერეთიდან 1781 წლის შემდეგ გამოუწვევია დღემდე უცნობ მიზეზს. ვფიქრობთ, რომ ქართლ-კახეთში გადასვლით მან თავი აარიდა სოლომონის მხრიდან ზემოთნახსენები შეტევის მეორე ტალღას და ეს გახდა მისი იმერე-

თიდან წასვლის მიზეზი. არც ისაა გამორიცხული, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქ-რებოდა იმერეთში. თუმცა, კათალიკოსის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას არ შეუწ-ყვეტია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საქმეებზე ზრუნვა და 1783 წელს ქუთაისში საყდრის მშენებლობა დაიწყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საქმეს თბილისიდან ხელ-მძღვანელობდა.

მოგვიანებით ისევ შევხვდებით მაქსიმე აბაშიძეს რუსეთში იმერეთის ელჩის რანგში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხრესილის ბრძოლის შემდეგ, 1758 წელს, ახალციხის აჰ-მედ ფაშამ ორჯერ ილაშქრა სოლომონის წინააღმდეგ, ერთხელ იმერეთის მეფე და-მარცხდა, მაშინ ლეკებმა ააოხრეს გელათის მონასტერი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სო-ლომონმა მათ წინააღმდეგ დახმარება ახალციხის ფაშას სთხოვა, საფაშოში ჩასულ სო-ლომონს ფაშამ 3000 ოსმალო ჯარისკაცი გამოაყოლა დასახმარებლად. მეფე წინასწარ შეუთანხმდა თავის მომხრეებს და იმერეთში შესული ეს ჯარი მისმა მომხრეებმა მთლი-ანად გაუულიტეს. 1760 წ. იმერეთში ოსმალთა 20000-იანი ჯარი შემოიჭრა. ქართველებმა მტერი დაამარცხეს. 1763 წ. ერზერუმის იბრაჰიმ ფაშამ ილაშქრა 13000-იანი ჯარით და-სავლეთ საქართველოში. სოლომონმა ისევ დაამარცხა მტერი. მის გამარჯვებას მოჰყვა ახალციხის ფაშის გადაყენება (ბერძენიშვილი, 1973:643).

ამ ფაქტთან დაკავშირებით განსხვავებულად ფიქრობდა თურქი ისტორიკოსი სადიკ ბილგე, რომელიც წერდა: ,,ოსმალებმა დაამარცხეს სოლომონის ჯარი, მაგრამ იმის გა-მო, რომ ზამთარი დგებოდა და ქართველები ზოგჯერ თავს ესხმოდნენ ოსმალებს, იბრა-ჰიმ ფაშა იძულებული გახდა ახალციხეში დაბრუნებულიყო. ეს მდგომარეობა აცნობა ფაშამ სტამბოლში და იგი თანამდებობიდან გადააყენეს... “(Bilge, 2005:128).

რა შეიძლება ვთქვათ თურქი მეცნიერის ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით?

ჯერ ახმედ ფაშის, შემდეგ კი იბრაჰიმ ფაშის წარუმატებლობა იმერეთის მეფესთან ბრძოლაში იმდენად მიუღებელი და შემაშფოთებელი ყოფილა ოსმალეთის ხელისუფ-ლებისთვის, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლას თურქი ისტორიკოსები კლი-მატური პირობების გაუარესების მომიზეზებით ცდილობდნენ, თუმცა, ეს ერთგვარი მცდე-ლობაა სოლომონის მიღწევების დაკნინებისა.

იმავე წლის ოქტომბერში სულთანმა 40000-იანი ჯარი ორი მხრიდან შეუსია იმერეთს. ჯარის ერთ ნაწილს აბდულა რიმან ფაშა სარდლობდა, მეორეს-ახალციხის ჰასან-ფაშა. სოლომონმა პარტიზანული მეთოდები გამოიყენა და მტერი ისევ დაამარცხა. 1764 წ. სულთანმა არტილერიით შეიარაღებული დიდი ჯარი, მაქსიმე აბაშიძის ცნობით, 80 000 კაცი, გამოგზავნა დასავლეთ საქართველოს ასაოხრებლად. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში მტრის რაოდენობა გაზვიადებულია, რადგან, თუ ქართველებმა 80 000-იანი მტრის ჯარი დაამარცხეს, რამაც სულთანი გააცოფა, ახალ ლაშქრობაში, რომელშიც ოსმალებს აშკარად უნდოდათ და არც მალავდნენ ამას, რევანშის აღება, რატომ მონაწილეობდა 30-40000 კაცი სერასკირ ჰასან-ფაშას სარდლობით? თურქები ისევ დამარცხდნენ (Цагарели 1891:16-17). ეს უკვე მეტისმეტი იყო.

სულთანმა 1765 იანვარში ახალციხის ჰასან-ფაშას გაუგზავნა ფირმანი, რომ გაზაფხულამდე მომზადებულიყო იმერეთის დასასჯელად, თან აცნობებდა, ანალოგიური ბრძანება სხვა ფაშებსაც გავუგზავნეო. სულთანი ნებას იძლეოდა, რომ თუ აღმოსავლეთ საქართველოდან იმერეთს ისევ აღმოუჩენდნენ დახმარებას, მისი სარდლები დაუყოვნებლივ შეჭრილიყვნენ ქართლ-კახეთში და ერეკლე სასტიკად დაესაჯათ. ამ განზრახვაზე მტერს ხელი რუსეთის დიპლომატიამ ააღებინა. ოსმალთა გამალებული საომარი სამზადისი იმერეთის მეფის დიდ ვაჟკაცობაზე მეტყველებდა.

ცნობილი რუსი ისტორიკოსის, ოლგა მარკოვას აზრით, სოლომონმა არაერთი პრობლემა შეუქმნა ოსმალეთის ხელისუფლებას და მასში დიდ შიშს იწვევდა. ახალციხის ფაშა სულთანს ატყობინებდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების დახმარების გარეშე მას არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა იმერეთის მეფისთვის. ქართველები არბევდნენ ოსმალეთის ტერიტორიებს, იტაცებდნენ ხალხს და პირუტყვს. 1765 წელს ახალციხის საფაშოს ჯარის განადგურებამ სოლომონის მიერ დიდი პანიკა და შიში გამოიწვია მტერში. საქმე ეხებოდა იმერლების მიერ ერთ-ერთი ციხის აფეთქებას და 5000 ოსმალო მოლაშქრის დაღუპვას. ამ გამარჯვების მიუხედავად, მეფე კარგად აცნობიერებდა მტრის დიდ უპირატესობას იმერეთთან შედარებით, ამიტომ დაჟინებით ცდილობდა რუსეთიდან რაიმე სახის დახმარების მიღებას, თუმცა, უშედეგოდ.

იმერეთ-ოსმალეთის სამხედრო დაპირისპირებათა შესახებ სხვაგვარად ფიქრობდა ზემოთნახსენები თურქი ისტორიკოსი სადიკ ბილგე. მისი აზრით, 1760 წელს ოსმალეთის სულთანმა, მუსტაფა III, სოლომონ I-ს გაუგზავნა წერილი და მოითხოვა ტყვეთა ვაჭრობის კვლავ დაშვება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმერეთის დაპყრობით დაემუქრა, თუმცა, ოსმალეთს არავითარი სამხედრო მანევრი არ ჩაუტარებია (Bilge, 2005:130).

როგორც ვხედავთ, თურქული ისტორიოგრაფია შეგნებულად მალავს და არ საუბრობს იმ სამხედრო ოპერაციებზე, რომელიც ოსმალეთმა განახორციელა იმერეთის წინააღმდეგ 1760-1765 წლებში და სადაც ოსმალთა ლაშქარმა ყველგან მარცხი განიცადა. ბილგე იმასაც აღნიშნავდა, რომ 1766 წელს ერეკლე II-მ ელჩები გაგზავნა სტამბოლში და შეეცადა ოსმალეთთან დაზავებას. მეორე თურქი ისტორიკოსი, ნები გუმუში, აჰმედ ჯევდეთ ფაშას ნაშრომზე ,,ყირიმისა და კავკასიის ისტორია“ დაყრდნობით განმარტავს, რომ ერეკლე II თავდაპირველად შევიდა ოსმალეთის ქვეშევრდომობაში, მაგრამ შემდეგ რუსეთის მხარეს გადავიდა (Gümüş, 2010:927).

როგორც ჩანს, აჰმედ ჯევდეთ ფაშას საქმის ნამდვილი ვითარება არ სცოდნია, რამაც შეცდომაში შეიყვანა მომდევნო თაობის ისტორიკოსებიც. სინამდვილეში ერეკლეს ელჩები სტამბოლში ჩავიდნენ, რათა სოლომონი სულთანთან მოერიგებინათ და არა იმიტომ, რომ ქართლ-კახეთის მეფეს ოსმალეთის ქვეშევრდომობა მიეღო.

ასეთ ვითარებაში 1767 წელს იმერეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის შესახებაც საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ო. მარკოვამ, თავის საკმაოდ ცნობილ წიგნში ,,Россиа, Закавказье и международные отношения В XVIII веке“, (Москва, 1966). მოკლედ შევეხოთ ამ მოსაზრებებს.

რუსეთ-ოსმალეთის მოახლოვებული ომის წინ რუსებს ერეკლეზე მეტად სოლომონის იმედი ჰქონდათ, რომელმაც აკრძალა ტყვეთა სყიდვა და ადამიანებით ხარკს აღარ უხდიდა მოსისხლე მტერს, რომელმაც, თავის მხრივ, ამ აკრძალვების შემდეგ მნიშვნელოვანი შემოსავალი დაჰკარგა. პარალელურად იმერეთის მეფე რუსეთს დიპლომატიურ დახმარებას სთხოვდა, რათა ამ უკანასკნელს დაეთანხმებინა სულთანი იმაზე, რომ აღარ მოეთხოვათ ადამიანებით ხარკის გადახდა და მის ნაცვლად ფულადი გადასახადით დაკმაყოფილებულიყვნენ. თავის მხრივ, სულთნის ხელისუფლება სოლომონთან

მორიგებას ერეკლეს დახმარებით ცდილობდა, რადგან სამართლიანად ეჭვობდა, რომ სოლომონი ამდენ წინააღმდეგობის გაწევას ერეკლეს დახმარების გარეშე ვერ მოახერხებდა. 1765 წლით დათარიღებულ თავის წერილში, რუსეთის რეზიდენტი, ობრესკოვი, იმედს გამოთქვამდა, რომ შეძლებდნენ ქართლ-კახეთის მეფის დათანხმებას, რათა მას ზედმეტად აღარ შეეწუხებინა ოსმალეთი. 1766 წლის სექტემბერში ერეკლეს ელჩები ჩავიდნენ სტამბოლში და ოსმალეთის ხელისუფლებასთან დადეს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სულთანი სოლომონს თავის ხელქვეითად კი არა, მის მფარველობაში მყოფ მეფედ აღიარებდა, ხარკის გადახდის საკითხში კი სულთანი შეუვალი იყო და დაჟინებით ითხოვდა ყოველწლიურად 60 ქალის გაგზავნას, თუმცა, სავალდებულო არ იყო, რომ ეს ქალები აუცილებლად ქართველები ყოფილიყვნენ. სულთანი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო ქართველებთან, რადგან იმერეთთან ომი მას ძალიან ძვირი უჯდებოდა, შედეგი კი მეტისმეტად მცირე იყო (Маркова, 1966:136). ამ დათმობის ძირითად მიზეზად რუს მეცნიერს ის მიაჩნდა, რომ ოსმალეთი რუსეთთან მოახლოებული ომის საფრთხის წინაშე იდგა, იმერეთთან ომი კი ფინანსურად საკმაოდ წამგებიანი იყო.

1766 წელს მტერმა განმეორებით გადაწყვიტა იმერეთში ლაშქრობა და 45000 მეომარი შეკრიბა, თუმცა, გამარჯვების იმედი ახლაც ნაკლებად ჰქონდა. იმერეთის მეფის ძლიერებას, მისი პიროვნული სიდიადეს ხაზს უსვამს რუსი აკადემიკოსის, პაველ ბუტკოვის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სოლომონ მეფის ჯარი არასდროს აღემატებოდა 7000 კაცს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მეფეს არასდროს ჰქონია ფული ჯარის გაძლიერებლად ან დამხმარე ძალის დასაქირავებლად, ის კი, მიუხედავად ამისა, განუწყვეტლივ ებრძოდა მტერს და მას საკმაოდ დიდ ზიანს აყენებდა. ოსმალეთისთვის ხელსაყრელიც კი იყო სოლომონთან დაზავება. შუამავლობა ამ შემთხვევაში ერეკლე მეორემ იკისრა, ხოლო იმერეთის ელჩობას სოლომონის ძმა, იოსები ხელმძღვანელობდა. ერეკლეს აქტიურობა ამ ხელშეკრულების დადების დროს სოლომონს მაინც და მაინც სასიამოვნოდ არ მიუღია, შესაძლოა, იმიტომ, რომ იმერეთის მეფე სულაც არ თვლიდა საკუთარ თავს ერეკლეზე რანგით დაბალ სახელმწიფო მოღვაწედ. ამასთან ერთად სოლომონი, ალბათ, იმასაც ფიქრობდა, რომ რადგან მან მოახერხა და სამეფოს ძირითადი ნაწილი ერეკლეს დახმარების გარეშე გაწმინდა დამპყრობლისაგან, მოლა-

პარაკების მაგიდასთანაც შეძლებდა სხვისი დახმარების გარეშე საკუთარი ინტერესების დაცვას. ყოველ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ამ ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი ,,ტყვეთა სყიდვის“აღდგენის თაობაზე, სოლომონის დიპლომატიურ წარმატებაზე მეტყველებს. მეფემ საბოლოოდ 60 ქალის გაგზავნაზეც უარი უთხრა ოსმალეთს და ახალციხის ფაშას პირდაპირ უთხრა, მე ასეთი ხარკის გადახდის წინააღმდეგ ვიბრძოდი და ახლა სულთანს ქალებს აღარ გავუგზავნიო (რეხვიაშვილი, 1982:77).

1.3. რუსეთ-იმერეთის ურთიერთობა XVIII ს-ის 60-70-იან წლებში

60-იან წლებში რუსეთი, ოსმალეთის გაღიზიანების შიშით, ერიდებოდა სულთნის ვასალ იმერეთთან აშკარა ურთიერთობას. იმერეთის მეფე კავშირის დასამყარებლად თერგის კაზაკებს და ქართველ კოლონისტებს იყენებდა. მართალია, სოლომონს უკვე ჰქონდა დადებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ქართლ-კახეთთან, მაგრამ ის სავსებით სამართლიანად ფიქრობდა, რომ ეს საკმარისი არ იყო. მარტო 1763 წელს იმერეთში 53000 მტრის მეომარმა ილაშქრა. ოსმალო დამპყრობლის მრავალრიცხოვანი ძალების წინააღმდეგ ბრძოლას იმერეთი მხოლოდ ქართლ-კახეთის დახმარების იმედად ვერ შეძლებდა, აღმოსავლეთ საქართველოს საკუთარი პრობლემებიც საკმარისად ჰქონდა, ამიტომ ცდილობდა იმერეთის მეფე დახმარების მიღებას რუსეთიდან. მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას სოლომონი ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში შეეცადა, მაგრამ ერეკლეს შვილის გარდაცვალების გამო ელჩების გაგზავნა გადაიდო. 1764 წლის ზამთარში მეფემ ალექსანდრე ბაქარის ძეს წერილი გაუგზავნა, რომელიც რუსეთში თერგის კაზაკებმა წაიღეს. ეჭვგარეშეა, ეს იყო რუსეთთან კავშირის დამყარების მორიგი მცდელობა. სოლომონი წერდა, რომ სულთანი დიდი ხელმწიფეა, იმერეთის დასასჯელად ის დიდ ჯარს აგროვებს, არ ვიცი ეს საქმე როგორ დამთავრდება და იქნებ რუსეთში წამოსვლაში დამეხმაროო (მაჭარაძე, 1988:59).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1764 წელს, მაქსიმე აბაშიძის ცნობით, ოსმალთა 80 000-იანი ჯარი (რიცხვი გაზვიადებულად გვეჩვენება) შემოიჭრა იმერეთში. ამ ჯარს სერასკირი ჰასან-ფაშა სარდლობდა. სოლომონმა ისევ დაამარცხა მტერი. ამ მარცხის შემდეგ მტერმა 30000-იანი ჯარი შეკრიბა. მოახლოებულ ლაშქრობასთან დაკავშირებით ოსმალეთში რუსეთის რეზიდენტი ობრესკოვი და საგარეო საქმეთა რწმუნებული ლევაშოვი

იმედს გამოთქვამდნენ, რომ იმერლები თავიანთი საოცარი სიმამაცის წყალობით და ქვეყნის თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენებით მტერს ახლაც დაამარ-ცხებდნენ. ამ ჯარის შეგროვების ამბავი რუსმა დიპლომატებმა სტამბოლში შეიტყვეს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის მთავრობა დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას.

თავის სადისერტაციო ნაშრომში ,,დასავლეთ საქართველო XVIII ს-ის II ნახევარში და რუსეთი“ (თბ, 2001) ზურაბ სულაბერიძე ამ პერიოდის იმერეთ-რუსეთის დიპლომა-ტიურ ურთიერთობას ახასიათებს, როგორც ურთიერთობის პირველ ეტაპს, რომელიც გაგრძელდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომამდე და ის გამოირჩეოდა იმე-რეთის სამეფოს ცალმხრივი აქტიურობით. რუსეთს არ გადაუდგამს რაიმე ნაბიჯი ამ ურთიერთობის გაღრმავების და, მითუმეტეს, იმერეთისთვის რაიმე სახის დახმარების აღმოჩენის მიზნით. რუსი დიპლომატები თავიანთ მთავრობას 1765 წლის 14 იანვარს სტამბოლიდან იმასაც ატყობინებდნენ, რომ სულთანს იმერეთში ლაშქრობები 1200 ქისა ანუ 360000 მანეთი დაუჯდა, შედეგი კი მეტისმეტად მცირე იყო. ამიტომაც ფიქრობდა ოს-მალეთის ხელისუფლება, რომ დათანხმებოდა ერეკლეს შუამდგომლობას იმის თაობა-ზე, რომ არ მოეთხოვათ იმერეთიდან ადამიანებით ხარკის გადახდა და დაკმაყოფილე-ბულიყნენ ფულადი გადასახადის მიღებით. საბოლოოდ მან ამ შუამდგომლობაზე უარი თქვა იმის გამო, რომ არც ერეკლეს ენდობოდა.

1765-1766 წლებში ქართველები პარტიზანულ ომს აწარმოებდნენ. 1766 წლის 15 თე-ბერვალს იგივე ობრესკოვი და ლევაშოვი თავიანთ ხელისუფლებას ატყობინებდნენ, რომ გამართლდა ოსმალების ეჭვი იმის შესახებ, რომ ქართველების ნდობა არ შეიძ-ლებოდა. როგორც კი მათი მთავარი ძალა საქართველოდან გავიდა, იმერლები თავს დაესხნენ და ააოხრეს მათი სოფლები. ამან დიდად შეურაცხჰყო სულთანი და მან 40-45 ათასი კაცის შეგროვება ბრძანა, ხარჯებისთვის კი 150000 ლევკი ანუ 90000 მანეთი გამოჰ-ყვესო. ამ ლაშქრობაში ერთად უნდა ემოქმედათ ახალციხის ფაშას და ჯანიკელ ალი-ბეგს, რომელსაც აზიის პროვინციის ფაშები უნდა შეერთებოდნენ. ეს ლაშქრობა 1766 წლის ზაფხულში დაიწყო. თავდაპირველად მტერმა რაიმე ხელშესახებ წარმატებას ვერ მიაღწია, რაც ძალიან ახარებდათ რუსებს. ისინი ლოგიკურად იმედოვნებდნენ, რომ იმე-

რეთში წარუმატებლობის შემთხვევაში ოსმალეთი აქტიურად ვეღარ იმოქმედებდა პოლონეთთან მიმართებაში, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა 1766 წლის ზაფხულის ბოლოს, როცა ოსმალებმა შეძლეს და ერთთვიანი ალყის შემდეგ სვერის ციხე აიღეს, შემდეგ კი ქუთაისშიც შევიდნენ. მტერმა სოლომონის შეპყრობა ვერ შეძლო, თუმცა კი ძალიან ცდილობდა ამას.

ტახტიდან ჩამოგდებულმა სოლომონმა 1766 წლის 20 ოქტომბერს ყიზლარის კომენდანტ გენერალ პოტაპოვთან გაგზავნა სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და გიორგი აბდუშელიძე წერილით, სადაც წერდა, რომ სულთანი მისგან დაჟინებით ითხოვდა ტყვეთა სყიდვის აღდგენას და სწორედ ეს იყო მიზეზი მტრის გახშირებული ლაშქრობებისა იმერეთში. ოსმალებს ტყვეები სჭირდებოდათ იანიჩართა კორპუსისთვის, ჰარამხანებისთვის და გასაყიდად, რაც დიდ მოგებას იძლეოდა მონათა ბაზარზე. სოლომონი ამბობდა, თუ ტყვეთა სყიდვა არ დამაძალეს, დავრჩები ჩემს სამეფოში, თუ არა და ამაზე არ დავთანხმდები, ქრისტიანების ცოდვას არ დავიდებ და რუსეთში წამოვალ საცხოვრებლად, ოღონდ იმპერატორმა იმათთვის, ვინც მე საქართველოდან გამომყვება, რომელიმე ადგილი მოგვცეს საცხოვრებლადო. მეფემ იცოდა, რომ რუსეთიდან პასუხს მალე ვერ მიიღებდა ამიტომ პოტაპოვს იმასაც სწერდა, რომ ჩემი ელჩები მალე გამომიგზავნე უკან, იმპერატორის პასუხი კი იღუმენ გრიგოლის პირით მაცნობეო (მაჭარაძე, 1988:63). ეს წერილი პეტერბურგში 1767 წლის იანვარში მიიღეს. ამავე დროს ერეკლეს ელჩები ჩავიდნენ სტამბოლში, სადაც ისინი დიდი პატივით მიიღეს. რუსი დიპლომატები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ელჩობის მიზნის შესახებ ვერაფერი გაიგეს. ოსმალეთი მაქსიმალურად ასაიდუმლოებდა ამ მოლაპარაკების დეტალებს. არაფერია ცნობილი, თუ როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკება სოლომონთან, მაგრამ პეტერბურგის წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ოსმალეთ-იმერეთის ურთიერთობა ამ მოლაპარაკების შემდეგ ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ, როგორც სჩანს, სოლომონმა არ მიიღო მტრის პირობები, რადგან 1766 წლის ნოემბერში მან უფრო დააკონკრეტა თავისი მოთხოვნები რუსეთის ხელისუფლების მიმართ.

იმერეთის მეფეს არ მიუღია ერეკლეს ელჩის მიერ ჩამოტანილი შეთანხმების პირობები, რადგან ის რაჭის ერისთავის სამფლობელოში გადავიდა და ოსეთთან ახლოს, კუ-

დაროში დასახლდა, თან რუსეთის ხელისუფლებას პოტაპოვის პირით ოსმალეთთან შუ-ამდგომლობას სთხოვდა იმის თაობაზე, რომ პორტა დათანხმებოდა ფულად გადასახა-დს და ხელი აეღო ადამიანებით ვაჭრობის მოთხოვნაზე, თუ ეს არ მოხერხდებოდა, რუ-სეთის მთავრობას ნება მიეცა სოლომონისთვის დასახლებულიყო საქართველო-რუსე-თის საზღვრის სიახლოვეს, ოღონდ, საქართველოს ტერიტორიაზე.

რუსეთში ბევრი იფიქრეს და დაასკვნეს, რომ იმ მომენტისთვის პოლონეთში შექმნილ რთულ ვითარებასთან დაკავშირებით, სოლომონის მოთხოვნების მიღება არ შეიძლე-ბოდა რადგან ის ოსმალეთის ვასალი იყო და ამ უკანასკნელს ეჭვი გაუჩნდებოდა რუ-სეთის მიმართ, ეს ეჭვი კი ბევრ გაუგებრობას შეიტანდა ორი ქვეყნის ისედაც გართულე-ბულ ურთიერთობაში. ოსმალეთში ფიქრობდნენ, რომ რუსეთი იმერეთს დახმარებას უწევდა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. რუსებს არც მეფის განაწყენება უნდოდათ, ამიტომ პასუხად მიწერეს, კმაყოფილებით შევიტყვეთ შენი წარმატებული ბრძოლების შესახებ, რომელმაც ოსმალეთი ისე დაასუსტა, რომ შენი გადმოსახლება რუსეთში საჭი-რო არ არისო (მაჭარაძე, 1988:65). ეს პასუხი მეფეს სიტყვიერად ჩამოუტანა იღუმენმა გრიგოლმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეეტყო, თუ რა შედეგი მოჰყვა ერეკლეს ელჩების სტამბოლში ყოფნას. იღუმენს უნდა აეხსნა სოლომონისთვის, თუ რატომ არ შეეძლო რუსეთს მისი მოთხოვნების შესრულება და სამომავლოდ იმედი მიეცა მისთვის.

როგორც 1767 წლის 5 თებერვლის პატაკით ირკვევა, გენერალმა პოტაპოვმა არქი-მანდრიტი გრიგოლი სოლომონთან გაგზავნა. იმავე თვეში პოტაპოვთან ჩავიდა ერეკ-ლესგან გამოგზავნილი არქიმანდრიტი პორფირი, რომელმაც კომენდანტს შეატყობინა, რომ სოლომონმა არ მიიღო ოსმალეთის მოთხოვნები და ბრძოლას აგრძელებდა მის წინააღმდეგ. იგივეს ატყობინებდა პოტაპოვს იმერეთში ჩასული გრიგოლი, ჩამოვედი, მაგრამ მეფე ვერ ვნახე, ის მტრის მიერ დაპყრობილი ქალაქების გასათავისუფლებლად იბრძვისო (მაჭარაძე, 1988:66).

მეფემ ტახტი კი დაიბრუნა, მაგრამ ქვეყანაში მძიმე მდგომარეობა იყო. მეურნეობა და-ეცა, დამპყრობლის ხელში იყო ბათუმის, ქობულეთის, ციხისძირის, ფოთის, ანაკლიის, სოხუმის, ქუთაისის, შორაპნის, ბაღდათის და ცუცხვათის ციხეები, სადაც 3000 იანიჩარი იდგა. 1759 წლის საეკლესიო კრებაზე მიღწეული საზეიმო შეთანხმება იმის შესახებ, რომ

დასავლეთ საქართველოს მთავრები და თავადები მეფეს მხარში ამოუდგებოდნენ და დაეხმარებოდნენ მტერთან ბრძოლაში, 1766 წელს ფიქციად იქცა. ოსმალეთთან ზავი დიდი შეღავათი არ იყო, საჭირო იყო მოღალატე მთავრების დასჯა, მხოლოდ ძალით დამორჩილების შემდეგ დაითანხმებდა მეფე მათ 1759 წლის შეთანხმების შესრულებაზე. მაგრამ ეს მთავრები თავიანთი ძლიერებით მეფეს არ ჩამოუვარდებოდნენ, ამიტომ სოლომონი, მიუხედავად რუსეთიდან მიღებული უარისა, მაინც ფიქრობდა ახალი ელ-ჩობის გაგზავნაზე და 1768 წლის 23 ივნისს რუსეთში დიპლომატიური მისიით მაქსიმე ქუთათელი გაგზავნა.

ამრიგად, ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ იმერეთის ახალგაზრდა და ენერგიული მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მისი მეფობის პირველ ეტაპზე, რომელიც გრძელდებო-და XVIII ს-ის 50-იანი წლების დასაწყისიდან 60-იანი წლების დასასრულამდე. მთავარი მისი საშინაო პოლიტიკიდან იყო მოღალატე აბაშიძეების და რაჭის ერისთავის დასჯა, საეკლესიო კრების მოწვევა და ,,ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვა, მეფის ხელისუფლების-თვის მტკიცე დასაყრდენის შექმნა ,,ფიცის კაცთა“ ინსტიტუტის და სახასო მამულების და-არსებით, მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელსაც ემსახურებოდა მე-ფის სოციალური პოლიტიკა. საგარეო პოლიტიკაში კი სამი მთავარი გარემოება იყო აღსანიშნავი:

1) ოსმალეთის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა. 1757 წლის 14 დეკემბერს ხრესი-ლის ბრძოლა, 1758წელს გაანადგურა ახალციხიდან წამოსული სამი ათასიანი ჯარი. ქეჰა ანუ სარდალი კლდიდან გადააგდეს. 1760წელს ოსმალთა დიდი ჯარი მოლა აბდუ-ლა ფაშას მეთაურობით დასავლეთ საქართველოს ასაოხრებლად დაიძრა. იმავე წელს მტერი სოლომონმა მეორედ დაამარცხა. 1761 წ. ოსმალებმა ისევ გამოგზავნეს ჯარი და-სავლეთ საქართველოს დასაპყრობად, მაგრამ ისევ დამარცხდნენ. 1763 წელს მტერმა ისევ ილაშქრა დასავლეთ საქართველოში. იანვარში იმერეთს შეესია 13 ათასიანი ჯარი იბრაჰიმ ფაშას სარდლობით. ოსმალებსა და ქურთებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. პირველს ქვეყნის დამორჩილება უნდოდა, მეორეს-მისი ძარცვა-აოხრება. ამ წინააღმ-დეგობით ისარგებლა სოლომონმა და მტერი დაამარცხა. 1764 წელს იმერეთში ოსმალ-თა უზარმაზარი ჯარის შემოჭრა, რომლის შესახებაც ცნობას გვაწვდის მაქსიმე აბაშიძე,

ჩვენ გაზვიადებულად გვეჩვენება. მიუხედავად ჩვენი დიდი პატივისცემისა იმერეთის მეფის მიმართ, სოლომონს არ შეეძლო გამკლავებოდა და, მით უმეტეს, დაემარცხებინა ამ რაოდენობის ჯარი.

1765-1766 წლების ომიც წარმატებით დაიწყო მეფემ, იმერლებმა ააფეთქეს ციხე და მოკლეს 5000 მტრის ჯარისკაცი. ამ მარცხმა თავზარი დასცა ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელმაც ძალების მაქსიმალური მობილიზება მოახდინაა და საბოლოოდ ჰასან-ფაშამ, რომელიც 40000 კაცით შემოიჭრა იმერეთში, გარდატეხა შეიტანა ომის მსვლელობაში, 1766 წელს სვერის ციხე აიღო, შემდეგ კი - ქუთაისი. ტახტიდან ჩამოგდებულმა სოლომონმა თავი მოდინახეს ციხეს შეაფარა.

2) საგარეო პოლიტიკის მეორე მნიშვნელოვანი მომენტი იყო ურთიერთობის გაუმჯობესება ქართლ-კახეთის სამეფოსთან, 1758 წელს სოლომონ I-მა აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმა. ამ ხელშეკრულებას ორივე მხარისთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

3) ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება-დიპლომატიური ურთიერთობის გაღრმავების მცდელობა რუსეთთან, რათა ერთმორწმუნე მეზობლისგან ფინანსური ან სამხედრო დახმარება მიეღო ოსმალო აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1768 წელს მაქსიმე ქუთათლის ელჩობა რუსეთში სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ, არსებული საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე ამ დიპლომატიურ მისიას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

1.4. სამცხე-საათაბაგოს საკითხი სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ის ურთიერთობაში და საგარეო ორიენტაცია

სამცხე-საათაბაგოს ანუ ახალციხის საფაშოს საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა XVIII ს-ის II ნახევარში, რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის დროს. ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეები საქართველოში შემოსული რუსი სამხედროების დახმარებით ცდილობდნენ ამ საჭირბოროტო პრობლემის მოგვარებას.

ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ ომში ერეკლეს მონაწილეობა ახალციხის საფაშოს შემოერთების დიდმა სურვილმა განაპირობა. ჯაყელების სამფლობელო, რომელიც ოსმალების მიერ დაპყრობილი უძველესი ქართული ტერიტორიებისგან შედგებოდა, ,,ყვე-

ლაზე ადრე ჩამოშორდა დედა-სამშობლოს და მას პოლიტიკურად და რელიგიურად ყველაზე მეტად დაშორდა“ (სამსონაძე, 1988:145). ახალციხის საფაშოს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, მისი შემოერთება საქართველოს მშვიდობიანი არსებობისთვის აუცილებელი პირობა იყო. ეს ტერიტორია დასავლეთ საქართველოს სამხრეთიდან და დასავლეთიდან იცავდა და მისი ქართლ-კახეთისთვის შეერთება აღმოსავლეთ საქართველოს მეფისთვის დასავლეთ საქართველოზე საკუთარი გავლენის გაზრდის კარგი საშუალება იყო. ამიტომაც იყო, რომ, როგორც ერეკლეს, ისე სოლომონის პოლიტიკურ გეგმებში, ახალციხის შემოერთებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ერეკლე იმედოვნებდა, რომ რუსეთის დახმარებით ის ახალციხეს გაათავისუფლებდა და მას აღმოსავლეთ საქართველოს მიუერთებდა. ის ცდილობდა, რომ ოსმალეთისთვის ხელიდან გამოეგლიჯა მესხეთი, რომელიც ჯერ კიდევ XVI ს-ში ჩამოშორდა დანარჩენ საქართველოს. აქ დაარსებული ახალციხის საფაშო იქცა პლაცდარმად დანარჩენ საქართველოზე თავდასხმებისთვის. აუცილებელი იყო ამ ტერიტორიების უკან დაბრუნება.

რა საფუძველი ჰქონდა ქართველი მეფეების პრეტენზიას ახალციხის საფაშოზე?

ჯერ კიდევ 1744 წელს, როცა ნადირ-შაჰი ყარსის ციხეს მიადგა, თეიმურაზ II ახალციხის დაპყრობას ცდილობდა, რათა ზავის დადების შემდეგ ეს ტერიტორია საქართველოს დარჩენოდა. შაჰი აიმედებდა მას: ,,ვითა შვილი ჩემი ეგრე გიყურებ, მარტო ქართლი შენი საკადრისი არ არის, სხვის ქვეყანასაც მოიმედე იყავო“ (ორბელიანი, 1981: 375). ახალქალაქში შეხვედრისას თეიმურაზმა აგრძნობინა ირანის შაჰს, რომ ის ამ ქვეყნის მემკვიდრეობით მეპატრონე იყო. შაჰი ლორეს გზით დაბრუნდა უკან, ბორჯომის ხეობაში მყოფი ქართული ჯარი კი ახალციხის საფაშოს შეესია. ქართველებმა საკირის ციხე და სხვა სიმაგრეები აიღეს. ისაყ-ფაშამ ამ ციხეების დასაბრუნებლად ჯარი გამოგზავნა. მეციხოვნეებს თეიმურაზმა იარაღი მიაშველა, მაგრამ მოგვიანებით შაჰის ბრძანებით ქართველებმა ეს ციხეები დატოვეს. კახეთის მეფე დარწმუნდა, რომ სპარსელთა დახმარებით ახალციხეს ვერ დაიბრუნებდა. ასე უშედეგოდ დამთავრდა სამცხე-საათაბაგოს ოსმალთაგან გათავისუფლების I პერიოდი, რომელიც, დაახლოებით, 170 წელი გაგრძელდა.

თეიმურაზის მცდელობიდან გამომდინარე ადვილი ასახსნელი ხდება მისი შვილის პრეტენზია ახალციხის საფაშოს მიმართ. ერეკლე არამარტო მის შემოერთებაზე ფიქრობდა, არამედ აპირებდა ოსმალთა მორჩილებაში მყოფ სხვა ქრისტიან ხალხთა: სომეხთა, ბერძენთა და ასირიელთა გათავისუფლებას და მათზე საკუთარი გავლენის გავრცელებას. ამის თაობაზე წერდა მეფე 1769 წლის 4 სექტემბერს გრაფ ნიკიტა პანინს: ,,ეს ხუთი პოლკი ჯარი იმად მინდა, რომ არარატის მთის გარშემო ანუ ახალციხისა და ანუ ყარსის გარშემო ქრისტიანენი არიან და იგინი ოსმალთა მონებასა ქუეშე არიან " (Цагарели, 1898:14).

იმ მიზნით, რომ ომის დაწყებამდე რუსეთიდან დახმარების მიღება უფრო რეალური გამხდარიყო, ერეკლე სტამბოლამდე ოსმალური ქალაქების დაპყრობის პირობას იძლეოდა (რეხვიაშვილი, 1982:105). ქართლ-კახეთის მეფე, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ომში ახალციხის საფაშოს შემოერთების გარდა ოსმალეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სხვა ტერიტორიების ხელში ჩაგდებასაც გეგმავდა. ეს საკმაოდ ამბიციური გეგმა იყო, რომლის განხორციელებაც სავსებით შესაძლებელი იყო რუსეთის მხრიდან ერეკლესთვის ჯეროვანი სამხედრო დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ ერეკლეს ოსმალეთთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, რუსი სამხედროების საქართველოში შემოსვლით კი ეს ურთიერთობა გაფუჭდა. რატომ გადადგა მან ეს ნაბიჯი? პასუხი მარტივია - საჭირო იყო მესხეთში ქართული ელემენტის შენარჩუნება-გაძლიერება, რადგან ახალციხის საბოლოო გამაჰმადიანების, იქ ქართული ფესვის საბოლოოდ ამოკვეთის შემთხვევაში მისი ისტორიულ დედა-სამშობლოსთან დაბრუნება შეუძლებელი გახდებოდა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ არარატის და ყარსის მიმდებარე ტერიტორიების, აქ მცხოვრები ქრისტიანების გათავისუფლებით და ოსმალეთის ქალაქების დაპყრობით ერეკლე ერთგვარი ბუფერული ზონის შექმნას აპირებდა, დაახლოებით იმის მსგავსს, რაც თამარ მეფემ შექმნა ტრაპიზონის იმპერიის სახით.

ახალციხის საფაშოს მიმართ თავისი ინტერესი ჰქონდა სოლომონ I-ს. იმერეთის მეფე, მიუხედავად ერეკლესთან შედარებით თავისი სისუსტისა, თვითონაც გეგმავდა სამცხე-საათაბაგოს ხელში ჩაგდებას (მაჭარაძე, 1988:118). მის სურვილს გარკვეული საფუძ-

ველი ჰქონდა. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1515-1565) 1535 წელს დაამარცხა სამცხის ათაბაგი და მისი სამფლობელო 10 წლით, 1545 წლამდე, იმერეთის სამეფოს შეუერთა. სოლომონი, აქედან გამომდინარე, ლეგიტიმურად მიიჩნევდა თავის განზრახვას ახალ-ციხის საფაშოზე საკუთარი გავლენის აღდგენისა, მაგრამ მისი ინტერესი ერეკლეს სურ-ვილს დაუპირისპირდა. სოლომონისთვის ეს დაპირისპირება არ იყო მომგებიანი, ამი-ტომ მან უარი თქვა ახალციხის ფაშას წინააღმდეგ დაგეგმილ ლაშქრობაში მონაწილე-ობაზე, რადგან ფიქრობდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ახალციხე ერეკლეს დარჩე-ბოდა.

საინტერესოა, ვისი პრეტენზია უფრო საფუძვლიანი იყო ახალციხის საფაშოსთან და-კავშირებით, ერეკლესი თუ სოლომონის?

1490 წლის შემდეგ წარმოქმნილ ქართულ სამეფოებს შორის ქართლი, მიუხედავად იმერეთის მეფეების პოლიტიკური აქტიურობისა, ყველაზე ძლიერი იყო, ის უნდა მივიჩ-ნიოთ ერთიანი საქართველოს სამართალმემკვიდრედ და ქართლის მეფის პრეტენზიაც უფრო სამართლიანი იყო ახალციხის საფაშოზე, ვიდრე იმერეთის მეფისა. როცა სო-ლომონ I ახალციხის საკითხში ერეკლეს დაუპირისპირდა, მისი მოქმედება საერთო ქარ-თული საქმისთვის ხელის შეშლად უნდა შეფასდეს. იმერეთის მეფე, მართალია, საკმა-ოდ წარმატებულად ებრძოდა მტერს და 1757 წელს ოსმალთა 40000-იანი ჯარიც გაანად-გურა ხრესილის ველზე, მაგრამ ის არ ფლობდა იმ რესურსს, რომელიც მას ახალციხის საფაშოს შემოერთების და, მითუმეტეს, მისი შენარჩუნების საშუალებას მისცემდა. სავსე-ბით მართალი იყო პროფესორი ზურაბ დათუაშვილი, როცა ამბობდა, რომ იმერეთის წარმატება სოლომონის პიროვნულ თვისებებს უკავშირდებოდა და არა ქვეყნის სიძლი-ერეს. ერეკლესთვის ხელის შეშლის მცდელობით, რაც იმაში გამოიხატა, რომ იმერეთის მეფემ მონაწილეობა არ მიიღო აწყურის ციხის ალყაში და უარი თქვა ახალციხისთვის მოსალოდნელ ბრძოლაში, სოლომონმა შეცდომა დაუშვა.

რუსეთ-ოსმალეთის მოახლოებული ომის მნიშვნელობა საქართველოში კარგად ეს-მოდათ. ერეკლე ამბობდა: ,,ვიმყოფებით იმ დროსა შინა, რომელიცა აქვს ყოველთა სა-ქართველოთა გამოხსნისა“ (ლომსაძე, 1975:71), მაგრამ იმერლებმა ,,არ ინებეს“ ახალ-ციხის ლაშქრობაში მონაწილეობა. ახალციხის საფაშოს დაპყრობა, უფრო ზუსტად, სა-

ფაშოს იმერეთის მოსაზღვრე ტერიტორიების მიერთება სოლომონსაც სურდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოლომონი მთელ საფაშოს კი არ ადებდა ხელს, არამედ იმერეთის მოსაზღვრე პროვინციებს: აჭარას, ქობულეთს, ფოთს და სამცხის დასავლეთ ნაწილს, დაახლოებით, დღევანდელ ადიგენის რაიონს. სოლომონ I ამ დროს მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება-გათავისუფლებას ისახავდა მიზნად და ,,ქართველობისთვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა“ (ბერძენიშვილი, 1965:242.), მაგრამ ქვეყნის გაერთიანება, დიდი მეცნიერის აზრით, ერეკლეს ხელით უნდა მომხდარიყო.

მკვლევართა ნაწილი, მაგალითად, მიხეილ სამსონაძე, არც მეორე ვარიანტს გამორიცხავდა, რომელიც მოგვიანებით შესაძლებლად მიიჩნევდა ქვეყნის გაერთიანებას სოლომონ I-ის მეთაურობით. ვფიქრობთ, რომ სიმართლესთან უფრო ახლოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის მოსაზრება დგას, სოლომონი საკუთარი შესაძლებლობით ვერ შეძლებდა ქვეყნის გაერთიანებას, ამის გაკეთება, რეალურად, ერეკლეს შეეძლო, მაგრამ იცოდა რა ქართლ-კახეთის მეფის სურვილის შესახებ ახალციხის შემოერთებისა, იმერეთის მეფეს არ აწყობდა ერეკლესთან დაპირისპირება, ამიტომ არ დაეთანხმა სოლომონი მის გეგმას ახალციხეზე ერთობლივი გალაშქრების შესახებ, რადგან წარმატების შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლიანად ერეკლე დარჩებოდა მოგებული და მთელი ყურადღება თავის ძირითად მიზანს დაუთმო: ეს იყო გურიისა და სამეგრელოს სამთავროების დამორჩილება და დასავლეთ საქართველოს ციხეების ოსმალო მეციხოვნეებისგან გათავისუფლება.

თუმცა, როგორც შემდეგ გამოჩნდა, სამცხის საკითხს ოდნავადაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა იმერეთის მეფისთვის, რომელიც აპირებდა არა ერეკლესთან, არამედ ტოტლებენთან ერთად ელაშქრა საათაბაგოს ხელში ჩასაგდებად. ის მოემზადა ამ ლაშქრობისთვის ჯარით და სურსათით, მაგრამ ტოტლებენმა უთხრა, თუ ხუთასი კაცით წამოხვალ, წამოდი, უფრო დიდი ჯარით შენი წამოსვლა შეუძლებელიაო. გაკვირვებული სოლომონი გრაფ პანინს წერდა: „..მე ამის სმენა დია მეოცა და განვკვირდი, ხონთქრის ბრძოლა და დიდროანის ქალაქების დაპყრობა ხუთასი კაცით როგორ იქნებაო“ (ლომსაძე, 1975:72). გენერალს თვითონ უნდოდა ახალციხის ხელში ჩაგდება, მაგრამ დაიწუნა ფერსათის მთებზე გამავალი გზა და ლაშქრობა გადაიფიქრა.

ქართლ-კახეთის მეფე ჩააფიქრა სოლომონის უარმა და ის სამართლიანად ჩათვალა მტრულ მოქმედებად. მოგვიანებით სოლომონის ამ ნაბიჯმა ისე დაძაბა მისი და ერეკლეს ურთიერთობა, რომ ეს უკანასკნელი იმერეთში ჯარით შეჭრას და სოლომონის დასჯას აპირებდა. ამის შესახებ ერეკლე დაუფარავად წერდა ნიკიტა პანინს. ეს ფაქტი იმდროინდელი ქართული სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობის შავ ლაქად უნდა მივიჩნიოთ. საბედნიეროდ, საღმა აზრმა გაიმარჯვა და საქმე სამხედრო დაპირისპირებამდე არ მისულა.

ოსმალები დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოში ძალით ნერგავდნენ ისლამს და ამაჰმადიანებდნენ მოსახლეობას. ახალციხის აღებით ერეკლეს უნდოდა გაეკონტროლებინა იმერეთში და ქართლში გადასასვლელი გზები და აღეკვეთა ოსმალთა და ლეკთა მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხე. ეს გეგმა სოლომონისთვისაც მისაღები უნდა ყოფილიყო, რადგან ახალციხეზე წარმატებული ლაშქრობის შემთხვევაში იმერეთის მოღალატე თავადებს და სამეფოს ციხეებში გამაგრებულ ოსმალო მეციხოვნეებს ახალციხის ფაშას დახმარება მოაკლდებოდათ და გამაჰმადიანებული ჯაყელების სამფლობელო იმერეთზე ამაოხრებელი თავდასხმების პლაცდარმის ფუნქციას დაკარგავდა.

რუსეთის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ერეკლეს გეგმას, თუმცა მის განსახორციელებლად პრაქტიკული თვალსაზრისით არაფერი გაუკეთებიათ.

ახალციხის საფაშო მდიდარი რეგიონი იყო. მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და მატერიალური სიმდიდრე იყო მიზეზი იმისა, რომ საფაშოს ქართველი მეფეების თუ უცხოელი დამპყრობლის ყურადღება არასდროს აკლდა. ეკონომიკური ძლიერება ახალციხის ფაშების პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც უწყობდა ხელს. ისინი ხშირად ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებასაც არ ემორჩილებოდნენ (ლომსაძე, 2011:193) და თავიანთი მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტის დროს. ხშირად ახალციხის ფაშა სულაც არ განიხილავდა თავის სამფლობელოს, როგორც იმპერიის განუყოფელ ნაწილს და ერეკლესთან ერთად თავს ესხმოდა საფაშოს გარეთ მცხოვრებ ოსმალებს. 1776 წელს რუსეთის დესპანი სტამბოლში წერდა ეკატერინე II-ს, რომ ახალციხის ფაშამ უარი განაცხადა სულთნის მორჩილებაზე, არ

ისურვა მასთან მოლაპარაკება, გააგდო მოლაპარაკების მიზნით მასთან მისული მოხელე და შეთანხმებას დაპირდა სოლომონ I-ს (გიგინეიშვილი, 1959:220).

გამაჰმადიანებულ ჯაყელებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველ მეფეებთან. ერეკლეს და ახალციხის საფაშოს შორის რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე მშვიდობიანი ურთიერთობა იყო. ამას ნაამან-ფაშაც აღნიშნავდა ერეკლესადმი გაგზავნილ წერილში. სამაგიეროდ, ფაშა აღშფოთებას და რისხვას არ მალავდა სოლომონის მიმართ, რომელმაც ,,გულში ჩადებული სიავე, სიფინთე, ღალატი, მუხანათობა და ჰარამზადობა გამოუცხადა მოსკოვს უშჯულოებთან... კაცი გაუგზავნა და რამდენიმე ასი მოუყვანინებია "(Цагарели, 1891:15). ნაამან-ფაშა თავს უფლებას აძლევდა და ერეკლეს ურჩევდა, რომ არ მიებაძა სოლომონისთვის და კავშირი არ დაემყარებინა რუსეთთან.

70-იან წლებში ახალციხის საფაშოს განაგებდა ნაამან-ფაშას შემცვლელი სულეიმან-ფაშა ჯაყელი, რომელიც საკმაოდ ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. საინტერესო ცნობას გვაწვდის იესე ცინცაძე თავის წერილში ,,XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან", რომელშიც მოჰყავს ახალციხის სულეიმან-ფაშას წერილი ერეკლე II-ს. ის ეხებოდა ახალციხის საფაშოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენას. წერილი ინახება ფონდში ,,Грузинские дела," (საბ. № 11, გვ.134-135) და ის ქართულ ენაზეა დაწერილი.

წერილის დასაწყისში ფაშა აღნიშნავდა, რომ ახალციხე მისი მამა-პაპის საკუთრება იყო ისევე, როგორც ქართლ-კახეთი ეკუთვნოდა ერეკლეს მამა-პაპას. ისე მოხდა, რომ ახალციხე სულთანმა უცხო ფაშას (გულისხმობდა ნაამან-ფაშას) მისცა, რომელიც ერეკლეზე ამბობდა, რომ ისიც სოლომონივით ორგული იყო ოსმალეთისა, მაგრამ სულთანი ფიქრობდა, რომ ერეკლე მისი ერთგული იყო. შემდეგ ფაშობა ისევ გათაბეგის (ათაბაგის) ოჯახს, ე. ი. მას მისცეს. მას შემდეგ, რაც სოლომონმა იმერეთში რუსები მიიყვანა და ციხეები დაანგრია, სულთანი აპირებდა სოლომონის დასჯას. სულეიმანს სერასკირობა უბოძეს, აჯი-ალიბეგი 20000 კაცით მასთან გაგზავნეს, საფაშოს სანჯაყებში შეკრებილი 20000 ჯარიც მის განკარგულებაში იყო, არზრუმიდან 30000 შეიარაღებული ქურთიც მოჰყავდათ. გამოდის, რომ სოლომონის დასასჯელად სულთანმა 70000-იანი ჯარი შეკრიბა. (შესაძლოა, ამ ჯარს გულისხმობდა მაქსიმე ქუთათელი, როცა 80000-იანი ჯარის იმერეთ-

ში მოსალოდნელ შეჭრაზე საუბრობდა). სულეიმანს აინტერესებდა, თუ რას აპირებდა ერეკლე, ის მტრობას ირჩევდა თუ მეგობრობას ახალციხის ფაშასთან? სანამ მისი პოზიცია გაირკვეოდა, ფაშა, ყოველი შემთხვევისთვის, ლეკებს ახალციხეში ტოვებდა. სულეიმანის აზრით, ქართლ-კახეთი და ახალციხის საფაშო სულ ტყუილად მტრობდნენ ერთმანეთს. სულთანი და რუსეთის იმპერატორი ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ათაბაგებსა და ქართველ მეფეებს შორის ყოველთვის ძმური სიყვარული სუფევდა. ფაშა სოლომონს ადანაშაულებდა ურთიერთობის დაძაბვაში, რისთვისაც სულთანი მას საკადრისად დასჯიდა. სულეიმანს აინტერესებდა ერეკლეს პოზიცია ამ ომში და მისგან საპასუხო წერილს ელოდებოდა.

ნათელია, რომ ოსმალეთი დიდ ყურადღებით აკვირდებოდა ერეკლეს მოქმედებას. ფაშა ითხოვდა ერეკლესგან ნეიტრალიტეტის დაცვას. ჯარის რაოდენობა გადაჭარბებული გვეჩვენება, ამ დროს რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა, არ ვფიქრობთ, რომ იმერეთის წინააღმდეგ 70000 კაცს გამოიყვანდნენ, რადგან ბალკანეთის ფრონტზე რუსეთს 400000 ჯარისკაცი დაუპირისპირა ოსმალეთმა. ამ არმიის დაახლოებით მეექვსედი პატარა იმერეთისთვის საჭირო არ იყო. შესაძლოა, ფაშას ქართლ-კახეთის მეფის დაშინებაც უნდოდა ჯარის გაზვიადებული რაოდენობით.

ერეკლეს პასუხი პროგნოზირებადი იყო. ქართლ-კახეთის მეფე უყოყმანოდ დაადგა გზას, რომელიც თავის დროზე, მისმა დიდმა პაპამ, ვახტანგ VI-მ გაკვალა, ვგულისხმობთ მის დაახლოებას პეტრე I-თან. საბოლოოდ, რაც პაპამ მოიგო ამ დაახლოებით, ის მოიგო მისმა შვილიშვილმაც, მაგრამ ერეკლეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი პიროვნული ნიჭის წყალობით ამ დაახლოების უმძიმესი შედეგი აღმოსავლეთ საქართველომ უფრო ადვილად გადაიტანა, ვიდრე ვახტანგისდროინდელმა ქართლმა.

1768-1774 წლების ომის დამთავრების შემდეგ ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკა უფრო გაძლიერდა. სულთნის სამიზნე იმერეთთან ერთად ქართლ-კახეთიც გახდა, საქართველო სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო რუსეთთან დაახლოვების გამო. ამ დროს შესამჩნევი გახდა ერთი უცნაური გარემოება: ოსმალეთის ხელისუფლება ნაკლებად ენდობოდა ახალციხის ფაშას და აქცენტს მოღალატე ქართველ თავადებზე და ჯანიკელ

ალი-ფაშაზე აკეთებდა. ეს უკანასკნელი წარმოშობით ლაზი იყო, მაგრამ ქართველების მიმართ დიდი სიძულვილით გამოირჩეოდა.

ოდნავ მოგვიანებით ოსმალეთმა ჩათვალა, რომ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, საჭირო იყო ქართლ-კახეთის მეფის გადმობირება, რათა არ დაეშვათ მისი და ქერიმ-ხანის კავშირი. მოლაპარაკებას ახალციხის ფაშა აწარმოებდა, რომელიც ალი-ფაშას დაჩრდილვას ცდილობდა. ამ შემთხვევაში ქართველი ბაგრატიონების და გამაჰმადიანებული ჯაყელების ინტერესი ერთმანეთს დაემთხვა. ალი-ფაშა ამ დროს ანატოლიას განაგებდა და სულთანს არ ემორჩილებოდა, ხოლო ახალციხის ფაშა ცდილობდა, რომ ალი-ფაშას გავლენა საქართველოზე არ გავრცელებულიყო. ქართველი მეფეებიც ეთანხმებოდნენ მის სურვილს, არც მათ უნდოდათ სულეიმან ჯაყელის მეტოქე ალი-ფაშას გაძლიერება, რადგან ახალციხის ფაშასთან უფრო ადვილი იყო საერთო ენის გამონახვა.

ქართველ მეფეებთან სულეიმან-ფაშას ლოიალური დამოკიდებულება სტამბოლში შეუმჩნეველი არ დარჩათ და ფაშას თავის მოკვეთით დაემუქრნენ. ამ მიზნით ახალციხეში კაფუჯი-ბაში გაგზავნეს (გიგინეიშვილი, 1959:228). სულეიმანმა თავიდან აიცილა სასჯელი. მას მდგომარეობა ერეკლემაც შეუმსუბუქა, რომელმაც 80-იან წლებში ორჯერ დაამარცხა ჯანიკელი ფაშა და მას დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის სურვილი დიდი ხნით დაუკარგა. ოსმალეთის ხელისუფლებამ მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა ახალციხის ფაშას დახმარება, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქართველი მეფეები რუსეთს უცხადებდნენ ერთგულებას.

ერეკლე ასპინძის ბრძოლის შემდეგაც განაგრძობდა შეტევებს. აოხრებდა მტრის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს. 1770 წლის 1 ივლისს წერილით ატყობინებდა პეტერბურგს. წელს სამჯერ ვილაშქრე ახალციხეზე და გამარჯვება ყოველთვის მე დამრჩაო. ამას ანტონ მოურავოვიც აღიარებდა 1770 წლის 28 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში პოლკოვნიკ ტუტჩევისადმი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ერეკლე განუწყვეტლივ გზავნიდა რაზმებს სალაშქროდ და ქართველები ყოველთვის დიდი ალაფით ბრუნდებოდნენ უკან.

1771 წლის 23 მაისს კაპიტანი იაზიკოვი მოხსენებას უგზავნიდა გრაფ პანინს, სადაც წერდა, რომ ერეკლეს მიერ გაგზავნილმა ათასმა მოლაშქრემ ახალქალქის სოფლებიდან 28 ტყვე, ხუთასი ცხენი და ოცდაორი ათასი სული პირუტყვი წამოიყვანა (Цагарели, 1891:304).

ერეკლეს მარბიელმა ლაშქრობებმა ისე გაამწარა სულთანი, რომ მან ქერიმ-ხანს წერილი მისწერა:

„ჩვენსა და თქვენს შორის მშვიდობა არის, რადგანაც შერიგებული ვართ, მაგრამ შენ აგიშვია ერთი ლომი, რომელ არს საქართველოს ვალი მეფე ერეკლე, რომელიც აოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსა...მე მეგობრობით თქვენა გთხოვთ, რომ დააყენოთ ამისთანა მძლავრობისაგან საქართველოს ვალი“ (ხერხეულიძე, 1989:89) .

ქერიმ-ხანს თავისი ვეზირებისთვის და აზერბაიჯანელი ხანებისთვის უთქვამს: „შეხედეთ მეფეს ერეკლესა, ახლა მე ის როგორ არ უნდა მიყვარდეს... რომელ ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩივლებს... ამისთანა კაცი ერანის ხელმწიფისგანაც და ერანელისაგანაც დიდად პატივსაცმელი არის“ (ხერხეულიძე, 1989:90).

საქართველოდან რუსული კორპუსის გაყვანის შემდეგ სამცხის საკითხის მოგვარებას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. სოლომონმა და ერეკლემ ურთიერთკავშირი აღადგინეს და 1773 წელს ოქტომბერში გორიდან ჯავახეთში შეიჭრნენ, ახალქალაქის გარეუბნის დაკავების შემდეგ ყარსის მიმართულებით განავითარეს შეტევა და არდაგანამდე მიაღწიეს, მაგრამ სოლომონის ავადმყოფობის გამო ლაშქრობა შეწყდა.

მიუხედავად ამისა, 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ერეკლემ მაინც ვერ შეძლო ახალციხის შემოერთება. მას მხოლოდ ბრძოლებში მოპოვებული დიდება და ოსმალებისა და ლეკების მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხე დარჩა (Авалов, 1901:95). თავისთავად ცხადია, ვერც სოლომონმა შეძლო ამის გაკეთება. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ სოლომონ-ტოტლებენის ნეგატიური როლი ამ დროს განვითარებულ მოვლენებში. იმერეთის მეფეს საკმაოდ მტრული პოზიცია რომ არ დაეკავებინა ერეკლეს მიმართ, ეს უკანასკნელი, დიდი ალბათობით, მისი და დადიანის დახმარებით ახალციხის საფაშოს აღმოსავლეთ საქართველოს შეუერთებდა და ამას მოახერხებდა რუსული კორპუსის დახმარების გარეშე. შემდეგ კი ერეკლე ყარსის და

ბაიაზეთის აღებას გეგმავდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ოსმალური ჩაგვრის ქვეშ მყოფი ქრისტიანი მოსახლეობის: სომხების, ქურთების და ასირიელების გათავისუფლება.

იმერეთის მეფის და რუსი გენერლის გაუმართლებელმა მოქმედებამ შედეგად ის მოიტანა, რომ ახალციხე აუღებელი დარჩა. მისი აღებით კი შემდეგი საკითხები მოგვარდებოდა: მოიშლებოდა საფაშოს ცენტრი, რომლის ტახტზეც გამაჰმადიანებული ჯაყელები ისხდნენ, გაუქმდებოდა მტრის ყველაზე დიდი პლაცდარმი სამხრეთ კავკასიაში, მოისპობოდა ლეკთა თავშესაფარი, საიდანაც ისინი თავს ესხმოდნენ ქართლს და იმერეთს. გაუქმდებოდა პოლიტიკურ ემიგრანტთა და ავანტიურისტების შეკრების ადგილი, ოსმალთა ვასალური დამოკიდებულებისაგან დასავლეთ საქართველოს სამთავროებიც გათავისუფლებოდნენ და, რაც მთავარია, ქვეყანას დაუბრუნდებოდა მისი ძირძველი კუთხე (ლომსაძე, 2011:74).

XIXს-ის დასაწყისში მთავარმართებელი პაველ ციციანოვი ცდილობდა ახალციხის დაპყრობას, მაგრამ არა იმის გამო, რომ სიკვდილის მერე მაინც აღესრულებინა ერეკლეს ან სოლომონ I-ის სურვილი სამცხე-საათაბაგოს შემოერთებისა. აღმოსავლეთ საქართველო ჩრდილოელი მეზობლის მფარველობაში იყო შესული (რუსი მოხელეების აზრით, ის რუსეთის პროვინცია იყო) და დასავლეთ საქართველოც მალე გაიზიარებდა მის ბედს. ახალციხის ფაშას მხრიდან საქართველოზე თავდასხმა აღიქმებოდა როგორც რუსეთის ტერიტორიაზე თავდასხმა და ეს იწვევდა ციციანოვის აღშფოთებას. პოლიტიკური მოსაზრებების გამო რუსეთის ხელისუფლებამ მთავარმართებელს არ ურჩია ამის გაკეთება. მეოთხედი საუკუნის შემდეგ ახალციხის დაპყრობის პატივი გენერალ პასკევიჩს ხვდა წილად.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ სამცხე-საათაბაგოს შემოერთება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო XVIII ს-ის II ნახევარში ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეების საგარეო პოლიტიკაში. სამწუხაროდ, მათი შეუთანხმებელი და ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების გამო ამ საშვილიშვილო საქმის გაკეთება არ მოხერხდა. ერეკლეს მოქმედება უფრო მეტად წააგავდა საერთო ქართული საქმის გაკეთების მცდელობას, სოლომონი კი საკუთარი სამეფოს გაფართოებაზე ზრუნავდა. ვფიქრობთ, რომ

ქართლ-კახეთის მეფის გეგმა, მისი მოქმედება უფრო მისაღები და გამართლებული იყო, ვიდრე იმერეთის მეფისა.

საქართველოს საშინაო ან საგარეო ურთიერთობის რაიმე ცვლილება მყისიერად აისახებოდა ქართველი მეფეების ურთიერთობაზე, ის ან უარესდებოდა ან, პირიქით, უმჯობესდებოდა. ერეკლე თავისი პაპის, ვახტანგ VI-ის, საქმის გამგრძელებელი იყო. მას შემდეგ, რაც მან ამიერკავკასიაში უდიდესი პოლიტიკური გაერთიანება შექმნა, დღის წესრიგში დადგა ქვეყნის ,,აღდგომისა" და ,,გამოხსნის" პროგრამის შემდგომ ეტაპზე გადასვლა (სამსონაძე, 1988:171). ქართლ-კახეთის მეფე სწორად აფასებდა საგარეო ვითარებას. ის ხედავდა, რომ ოსმალეთის ძლიერება სულს ღაფავდა. მისი ჩაგვრის ქვეშ მყოფი ქრისტიანი მოსახლეობა (სომხები, ასირიელები) ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისთვის ემზადებოდნენ და იმედის თვალით ერეკლეს შეჰყურებდნენ. ბევრი ურჩევდა მეფეს, რომ დაუყოვნებლივ დაეწყო ანტიოსმალური აჯანყება. მას ამის გაკეთება არ უნდოდა, სანამ ქვეყანას არ გააერთიანებდა, რადგან კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ გაერთიანებულ საქართველოს შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა თუნდაც დასუსტებულ-დაუძლურებული ოსმალეთისთვის. ალ. ორბელიანის ერთ ცნობაზე დაყრდნობით, აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე აღნიშნავდა, რომ ,,საქართველოს გაერთიანების და ერთმთავრობის მიზნით ერეკლეს გადაწყვეტილი ჰქონდა იმერეთის შემოერთება და იქ სოლომონის ნაცვლად თავისი ნიჭიერი შვილის, ლევანის დანიშვნა" (ლეონიძე, 1958:171) ძნელია ამ ცნობის ჭეშმარიტების მტკიცება, თუმცა მის არსებობას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ერეკლეს ქორწინება სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის ძმისწულის, გიორგი კაციას ძის ასულზე, ხოლო მისი დის, ელისაბედის, ქორწინება კაცია დადიანზე, მისი ურთიერთობა დადიანთან, გურიელთან და რაჭის ერისთავთან ამ დიდი საქმის განხორციელებისკენ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს. ერეკლე ნელ-ნელა აძლიერებდა თავის მცდელობას, რომელიც მიმართული იყო დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისკენ. მისი და დადიანის კავშირი, რომელიც იმერეთის მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული, არც რუს დიპლომატებს დარჩათ უყურადღებოდ. 1772 წ. გრაფი პანინი სწერდა თავად ლვოვს: ,,ისე ჰგავს, ერეკლე და დადიანი თითქმის ესწრაფვიან, რომ სოლომონს მთლიანად ჩამოართვან სამფლობელო" (ლეონიძე,

1958:342). არავინ უარყოფს სოლომონ I-ის დიდ ღვაწლს და დამსახურებას, მის თავდაუზოგავ ბრძოლას შინაური და გარეშე მტრის წინააღმდეგ, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერეკლეს გეგმა უფრო პროგრესული იყო, რადგან ქვეყნის საშველი მის გაერთიანებაში იყო. ასეთივე პროგრესული იქნებოდა იმერეთის მეფის მცდელობაც, თუ ის საქართველოს გაერთიანებას დაისახავდა მიზნად, მაგრამ, სამწუხაროდ, სოლომონს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. საინტერესოა ერთი ცნობა: ,,მეფე ირაკლის, იმერთა დიდი მეფის სოლომონის გადაგდება განეზრახა, იმერეთის და ქართლ-კახეთის შესაერთებლად. მეფე სოლომონს ეს ამბავი შეეტყო და შემოუთვალა: მეფე ირაკლი, შენ გინდა ხლინკი გამიკეთო და მე უფრო ადრე მოგვერდზე წამოგიყვანო“ (სამსონაძე, 1988:173). ეს ამბავი ანეკდოტს უფრო წაგავს, ვიდრე რეალურ ფაქტს, მაგრამ მის უკან ორივე მეფის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესი იკვეთება.

საყურადღებო ცნობა შემოუნახეს იესე ბარათაშვილს თავის ,,ცხოვრება-ანდერძში“. საქართველოში ტოტლებენის უსარგებლო მოქმედების შემდეგ რუსეთის იმპერატორი ერეკლეს ცუდი თვალით უყურებდა, ერეკლეს მტრები კი გამოსავალს მეფის შეცვლაში ხედავდნენ. მათი აზრით, ურიგო არ იქნებოდა, თუ ქართლ-კახეთს ვინმე რუსს ან, თუნდაც, სოლომონს მისცემდნენ. აქ კარგად ჩანს, რომ ქართული საზოგადოების ერთი ნაწილისთვის საქართველოს გაერთიანება თუნდაც იმერეთის გარშემო სულაც არ ყოფილა უჩვეულო ან მოულოდნელი ამბავი.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ორი დიდი მეფე ერთმანეთის მარტო მოკავშირეები კი არა, მეტოქე-მოწინააღმდეგენიც იყვნენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება მათი ესა თუ ის მოქმედებაც განსხვავებულად შეფასდეს.

1769 წლის 21 მაისიდან 4 ივნისამდე, სოლომონ I თბილისში იმყოფებოდა და ერეკლესთან რუსეთ-ოსმალეთის ომში ერთობლივი მოქმედების გეგმას ამუშავებდა. მოლაპარაკების შემდეგ ერეკლე რუსეთს აცნობებდა, რომ მასა და სოლომონს შორის ყოველგვარი გაუგებრობა თუ უთანხმოება აღმოფხვრილი იყო და ერთობლივად აპირებდნენ ბრძოლას მართლმადიდებლური სარწმუნოებისთვის. როგორც შემდეგ გამოჩნდა, საქმე მთლად ასე არ იყო. აზრთა სხვადასხვაობა დარჩა ახალციხის საფაშოსთან მიმართებით, მაგრამ უფრო დიდი წინააღმდეგობა არსებობდა დადიანთან დამო-

კიდებულების საკითხში. სამეგრელოს მთავარი დასავლეთ საქართველოში ერეკლეს მთავარი დასაყრდენი იყო, სოლომონი კი მის მოსპობას ისახავდა მიზნად.

რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთი თავის მთავარ მოკავშირედ იმერეთს მიიჩნევდა. მოსალოდნელი იყო, რომ სოლომონ-დადიანის დაპირისპირებაში პეტერბურგში მხარს მეფეს დაუჭერდნენ. ამიტომ ერეკლე ცდილობდა, რომ თურქეთთან ომში დადიანი რუსეთის მოკავშირედ გამოეყვანა სოლომონისგან დამოუკიდებლად. იმერეთის მეფემ წინასწარ გაითვალისწინა ეს საფრთხე და სამეგრელოს მთავრის იზოლირებას ცდილობდა, თანაც, ისე, რომ ეს ამბავი ერეკლეს არ შეეტყო. რუსეთში იმერეთის ელჩი პირდაპირ ითხოვდა, რომ მთავრის წერილები რუსეთში არ მიეღოთ. ელჩი ამავე დროს ითხოვდა, რომ ,,მთავრები ახალციხის, დადიანი და აფხაზეთისა მის მორჩილებაში იყვნენ და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით მათზე ძალაუფლების დიპლომი მიეცეს“ (Цагарели, 1898:93). მალე ყიზლარის კომენდანტმა მართლაც მიიღო დადიანის წერილი, სადაც ის ოსმალების წინააღმდეგ ომში საკუთარ დახმარებას სთავაზობდა რუსეთს და ამ დახმარების სარგებლობას იმით ასაბუთებდა, რომ სამეგრელოდან ადვილი იყო შავი ზღვის სანაპიროზე შეტევის განხორციელება.

რუსეთის დიპლომატია არჩევანის წინაშე დადგა: ან სოლომონისთვის დაეჭირათ მხარი, ან დადიანისთვის. პეტერბურგში ორი კურდღლის დაჭერა გადაწყვიტეს. სოლომონს იმდენად დაუჭერდნენ მხარს, რამდენადაც სასარგებლო იქნებოდა მისი მოქმედება რუსეთის ინტერესებისთვის და ამავე დროს არც დადიანისთვის აპირებდნენ ხელის კვრას. ასტრახანის გუბერნატორს მითითება მიეცა, თუ როგორ უნდა ემოქმედა იმ შემთხვევაში, თუ დადიანი ელჩებს გამოუგზავნიდა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩართვის სურვილს გამოხატავდა. პეტერბურგში წინასწარ ხვდებოდნენ, თუ რას მოითხოვდა დადიანი სანაცვლოდ. ეს იყო სოლომონისგან თავის დაღწევა და საკუთარი სამთავროს დამოუკიდებლობის განმტკიცება.

რუსეთმა საჭიროდ ჩათვალა ოდიშის მთავრის მონაწილეობა ომში და გადაწყვიტა მისი ელჩების მიღება. როცა საქართველოში ჩამოსულმა ტოტლებენმა იმერეთში გადასვლა დააპირა, გავრცელდა ხმები, რომ ის იქ სურსათს ვერ იშოვიდა ხუთასკაციანი რაზმისთვის. ფიქრობდნენ, რომ ამ ხმების გავრცელებაში ერეკლეს ხელი ერია, რომე-

ლიც ეჭვქვეშ აყენებდა სოლომონის შესაძლებლობას მიმდინარე ომში. თუმცა, ერეკლეს მიერ ხმების გავრცელება სულაც არ იყო საჭირო. იმერეთის მეფე ამ დროს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო. პირველი შეხვედრის შემდეგ რუსული კორპუსის წევრი, ფრანგი ოფიცერი დე გრაი დე ფუა, მას ყაჩაღების მეთაურს უფრო ამსგავსებდა, ვიდრე მეფეს.

სოლომონის მდგომარეობის გაუარესებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დადიანმა ღალატით მოკლა მისი უერთგულესი თავადები: წერეთელი და იაშვილი. სოლომონი ამ ამბავში ერეკლეს ადანაშაულებდა და პასუხსაც მას სთხოვდა. (Цагарели, 1898:67-68).

როცა ტოტლებენმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დატოვა იმერეთი და ქართლში დაბრუნდა, სოლომონი აღშფოთდა. რუსთა ჯარი საქართველოში მის დასახმარებლად შემოვიდა, გენერალმა კი ის მიატოვა და ერეკლეს მიაშურა. იმერეთის მეფე ამაშიც ერეკლეს ადანაშაულებდა, მისი ეჭვი არ იყო საფუძველს მოკლებული. ქართლ-კახეთის მეფეს მოგვიანებით თავის მართლება დასჭირდა საიმპერატორო კართან. სოლომონმა საკუთარი აღშფოთება არ დამალა და ერეკლეს ელჩების პირით ბრალი დასდო გენერლის მდიდრული საჩუქრებით მოქრთამვაში და თავის მხარეზე გადაბირებაში. ქართლ-კახეთის მეფემ ეს ბრალდება უარყო, მაგრამ ტოტლებენის მოქმედებაში ერეკლეს ,,დახმარებაზე“ ზოგიერთი ქართული წყაროც მეტყველებს. ერთ-ერთი მათგანის ავტორი მისი შვილიშვილი, დავით ბატონიშვილია. იგულისხმება მისი ,,საქართველოს ისტორია “(დ. ბატონიშვილი 1971: 163) (რუს).

სოლომონს ერეკლეზე განაწყენებისთვის საკმარისზე მეტი საფუძველი ჰქონდა. ამიტომაც არაფრად უღირდა იმერეთის მეფეს ახალციხეზე ლაშქრობა, რადგან გამარჯვების შემთხვევაში, პირველ რიგში, ერეკლე ისარგებლებდა. ამიტომ მან არც თვითონ მიიღო ამ ლაშქრობაში მონაწილეობა და არც დადიანს მისცა ამის გაკეთების შესაძლებლობა, მას გზა ჩაუკეტა.

როგორ უნდა შევაფასოთ სოლომონის ეს მოქმედება? ცხადია, უარყოფითად, მიუხედავად დიდი სურვილისა, სოლომონს რეალურად არ შეეძლო ამ ტერიტორიების მიერთება, რადგან მას ამისთვის საჭირო არც ძალა ჰქონდა და არც საშუალება. ერეკლეს მცდელობის მიმართ უარყოფითი პოზიციის დაკავებით და პრაქტიკული ნაბიჯის გადა-

დგმით, მან, ჩვენი აზრით, შეცდომა დაუშვა. სამცხე-საათაბაგოს ქართლ-კახეთისთვის შეერთებით ეს ტერიტორია ბაგრატიონების გავლენის სფეროს დაუბრუნდებოდა. თავისთავად ცხადია, ის დაჰკარგავდა ოსმალეთის ხელში საქართველოზე თავდასხმისთვის მეტად მნიშვნელოვანი პლაცდარმის როლს და, ამასთან ერთად, მოიშლებოდა სხვადასხვა რჯულის ავანტიურისტის, ყაჩაღ-მძარცველის და ჩრდილოეთ კავკასიელი ლეკების თავშეყრის ადგილი. აქედან გამომდინარე, სოლომონის მოქმედება ცალსახად უნდა შეფასდეს, როგორც საერთო ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის ხელის შეშლის მცდელობად.

ერეკლეს შვილიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილი, სოლომონს ადანაშაულებდა იმაში, რაც ტოტლებენმა აწყურის ციხის ალყის შემდეგ გააკეთა. ეს მეტისმეტად გაზვიადებული ბრალდება იყო. არანაირი საშუალება არ ჰქონდა სოლომონს იმისთვის, რომ რაიმე გავლენა მოეხდინა გენერალზე. თუმცა, მაინც საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსთა სამარცხვინო უკანდახევაში სოლომონის მონაწილეობაზე ფიქრობდნენ. ამის შემდეგ შევსებული ჯარით ტოტლებენი ისევ გადავიდა იმერეთში, სადაც მას, სავარაუდოდ, თავის მართლება მოუხდა იმერეთის მეფესთან. აშკარა იყო, რომ გენერალს პეტერბურგიდან ახალი მითითება მისცეს.

ერეკლესა და გრაფს შორის დაპირისპირება სოლომონს თავის გამარჯვებად მიაჩნდა. იმ დროს, როცა გენერლის ღალატზე ქართლ-კახეთის მეფე აღშფოთებით რუსეთის ხელისუფლებას ატყობინებდა, იმერეთის მეფეს მოღალატე ტოტლებენი ქება-დიდებით ცაში აჰყავდა, ეკატერინესადმი გაგზავნილ წერილში მას ,,ბრწყინვალე გრაფს“, ,,მამაც გმირს“ და ,,დაუმარცხებელ მხედართმთავარს“ უწოდებდა, ხოლო ბაღდათის ციხის ოცდაათკაციანი გარნიზონის დამარცხებაში გენერალს, სოლომონის სიტყვით, იმხელა ნიჭი და განსწავლულობა გამოუჩენია, რომ ალექსანდრე მაკედონელსაც შეშურდებოდა. ,,ამ დროს თქვენი დიდებულების სამხედრო უფროსმა, გაგვაკვირვა თავისი შეუპოვრობით, მამაცობით, სამხედრო მოქმედების სრულყოფილი ცოდნით და კეთილგონივრული... განკარგულებებით...“ (Цагарели, 1891:152). ეჭვგარეშეა, სოლომონი ამას ერეკლეს ჯიბრით აკეთებდა, თორემ ტოტლებენის სამხედრო ნიჭზე მას სრულიად სხვაგვარი წარმოდგენა უნდა ჰქონოდა.

იმერეთის მეფემ ჩათვალა, რომ რაკი დადიანს ერეკლე მფარველობდა, ხოლო ამ უკანასკნელს რუსეთში ამრეზით უყურებდნენ (როცა ერეკლემ ასპინძის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ აცნობა რუსეთში და ნაალაფარი დროშები და ტყვეებიც გაგზავნა, ის პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს. აშკარა იყო, რომ რუსეთის სიმპათია ტოტლებენის მხარეს იყო), ახლა შეიძლებოდა რუსთა დახმარებით სამეგრელოს მთავრის დამორჩილება. 1770წ. ივლისში მოურავოვისადმი გაგზავნილ წერილში სოლომონი წერდა: ,,თქვენ გვწერდით დადიანზე, რომელსაც ჩვენს ქვეშევრდომობაზე სრულიად უარის თქმა და თვითმპყრობელად გახდომა სურს, მაგრამ ჩვენი ამაზე დათანხმება არაფრით არ შეიძლება და ვიდრე ცოცხალი ვართ ცდას არ დავაკლებთ, რათა იგი ჩვენდამი ისეთ ქვეშევრდომობაში ვიყოლიოთ, როგორც ადრე იყო“ (სამსონაძე, 1988:179).

იმერეთის მეფე ცდებოდა, როცა ფიქრობდა, რომ დადიანისადმი რუსეთის წყალობას განაპირობებდა ის, რომ მას ქართლ-კახეთის მეფე მფარველობდა. სოლომონისთვის ცხადი გახდა, რომ რუსების იმერეთში ჩასვლის მიზანი მისთვის დახმარება და ურჩ ქვეშევრდომებთან ბრძოლაში შემწეობის აღმოჩენა კი არა, პირიქით, ქართველების თავიანთი მიზნებისთვის გამოყენება იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გენერლის ახირება ან რაიმე კაპრიზი არ ყოფილა, ეს იყო რუსეთის დიპლომატიის სურვილი, რომ რუსული საქმე ქართველების ხელით გაკეთებულიყო.

რუსეთ-ოსმალეთის ომმა ვერ შეძლო ქართველი მეფეების დაახლოება. ორივე მათგანს საკუთარი მიზნებისთვის უნდოდა რუსული კორპუსის გამოყენება. საბოლოოდ ამის გაკეთება ვერც სოლომონმა შეძლო და ვერც-ერეკლემ. ამის მიზეზი კი მათი განსხვავებული მიზნები და ამ მიზანთა წინააღმდეგობა იყო. მეფეების საშინაო პოლიტიკაში გადაულახავ პრობლემად დარჩა დადიანის საკითხი. 1771 წ. თებერვალში სოლომონი ეკატერინე II-ს სთხოვდა: სადადიანო მუდამ ჩემი იყო და თქვენც მიწყალობეთო (Цагарели, 1891:289-290). დადიანი კი ამ დროს თავს სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდა და უნდოდა რუსეთის მხარეს დადგებოდა, უნდოდა-ოამალეთს მიემხრობოდა.

როცა თხოვნით ვერაფერს მიაღწია, სოლომონმა ფული აამოქმედა. რუსეთის სამეფო კარზე უცნობ, მაგრამ ფრიად გავლენიან პირს 100 ქისა ვერცხლს ჰპირდებოდა, თუ

დადიანის დამორჩილებაში დაეხმარებოდა (Цагарели, 1898:260). აქაც ხელი მოეცარა მეფეს. დადიანი არც მისი ქვეშევრდომების აღიარებას აპირებდა და არც რაჭის მიტაცებული სოფლების დაბრუნებას.

თავის მხრივ, ერეკლეც დარწმუნდა, რომ რუსების დახმარებით ის თავის მთავარ მიზანს, ახალციხის შემოერთებას, ვერ მიაღწევდა, ამიტომ მათდამი ინტერესი დაკარგა. საგულისხმოა მისი წერილი მოურავოვისადმი, სადაც აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ტოტლებენი იმერეთში ომობდა, სურსათს და იარაღს კი მისგან ითხოვდა. სხვის ნაცვლად მე რატომ უნდა დავეხმარო რუსებსო? კითხულობდა მეფე. ერეკლეს ამ ომში თავისი მიზანი ჰქონდა, რუსების ინტერესები კი იმდენად აინტერესებდა მას, რამდენადაც ეს ინტერესი ქართლ-კახეთისას ემთხვეოდა.

ერეკლესთან და სოლომონთან დაპირისპირების შემდეგ ტოტლებენმა დადიანის გადამტერებაც მოახერხა და რუსეთში საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მისი შეცვლა იყო საჭირო. გენერალ სუხოტინის ჩამოსვლის შემდეგ ქართველ მეფეებს იმედი გაუჩნდათ, რომ რუსული ჯარის გამოყენებით თავიანთ მიზნებს მიაღწევდნენ. დაიწყო ახალი ქიშპი ერეკლესა და სოლომონს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან უნდა შეეტიათ ოსმალეთისთვის. ერეკლე ამის გაკეთებას ახალციხიდან აპირებდა (რადგან ძირძველი ქართული ტერიტორია ქართლ-კახეთისთვის შეეერთებინა), სოლომონი კი შავი ზღვის სანაპიროსკენ გალაშქრებას უჭერდა მხარს იმის იმედით, რომ საბოლოოდ დათრგუნავდა დადიანის ურჩობას.

არსებობს საინტერესო მოსაზრება, რომ ჯერ კიდევ ტოტლებენს ერეკლე საჩუქრებით ქრთამავდა, რათა მისი შენაერთი საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა. იგივეს გაკეთება მან სცადა სუხოტინთან, თუმცა უშედეგოდ. ინტერესთა შეუსაბამობის გამო ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო საკუთარი მიზნის მიღწევა. რუსეთმა ვერ შეძლო თავისი მოწინააღმდეგისათვის არსებითი ზიანის მიყენება არა თუ ქართველების ხელით, როგორც დაგეგმილი იყო ამის გაკეთება, არამედ რამდენიმე ათასი რუსი ჯარისკაცის სიცოცხლის ფასადაც კი, მან ვერ შეძლო შავიზღვისპირა ციხეების ხელში ჩაგდება, პირიქით, გურიაში ოსმალებმა ახალი სოფლები დაიკავეს. მართალია სოლომონმა გაათავისუფლა იმერეთის ციხეები ოსმალო მეციხოვნეებისგან, მაგრამ იმდენად არამყარი იყო მისი მდგო-

მარეობა, რომ ეს ციხეები კი არ გაამაგრა, არამედ დაანგრია, რათა იქ კვლავ არ გამაგრებულიყო მტერი. ეტყობა, ამ ციხეებში გარნიზონის ჩაყენება და მისი მომარაგება სოლომონისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა. მოუგვარებელი დარჩა მისი მთავარი პრობლემა, დადიანის საკითხიც.

გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ერეკლე. მან ვერ შეძლო ახალციხის საფაშოს შემოერთება, ვერც იმერეთზე გააძლიერა საკუთარი გავლენა. გავრცელდა ხმები, რომ ერეკლეთი უკმაყოფილო რუსეთს შეიძლება ქართლ-კახეთის სამეფო იმერეთისთვის შეეერთებინა, რადგან სოლომონი აშკარად ერთგული იყო რუსეთისა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ქვეყნის გაერთიანების მსურველ ქართველ პატრიოტთა ოცნება იყო.

1772 წ. რუსეთმა ჯარი გაიყვანა საქართველოდან და ქართველი მეფეები დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ. გრაფი პანინი ამ გადაწყვეტილებას შემდეგნაირად ხსნიდა: ოსმალეთი ახლა ისეა დასუსტებული, რომ ქართველებს ჩვენი დახმარების გარეშეც შეუძლიათ მას დიდი ზიანი მიაყენონო. (სამსონაძე, 1988:190). ახლა დრო იყო, რომ ერეკლეს და სოლომონს ერთმანეთთან გამოენახათ საერთო ენა. სოლომონს ისიც აფიქრებდა, რომ ამ ომში აშკარად გამოჩნდა ერეკლეს განზრახვა იმერეთის მიმართ. ქართლ-კახეთის მეფეს ახლა საზრუნავი არ აკლდა, მაგრამ სოლომონის დასამარცხებლად საშუალებას მაინც გამოძებნიდა. მდგომარეობას ისიც აუარესებდა, რომ როგორც იმერეთში, ისე, ზოგადად, დასავლეთ საქართველოში, სოლომონს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ამ დროს მას საკუთარი ძმები: კათალიკოსი იოსები და არჩილ ბატონიშვილიც უპირისპირდებოდნენ. ამიტომ იმერეთის მეფემ სწორი ნაბიჯი გადადგა და კაპიტან ლვოვის შუამდგომლობით ერეკლესთან შერიგება ითხოვა.

აკადემიკოს პიოტრ ბუტკოვის აზრით, ერეკლე სოლომონს არ თვლიდა თავის ტოლსწორად, პირიქით თავის თავს იმერეთის მეფეზე ძლიერად და აღმატებულად თვლიდა, ამიტომაც ეწყინა მას, რომ რუსეთის წარმომადგენლები ჯერ სოლომონთან მივიდნენ, შემდეგ მასთან.

მეფეებს შორის არსებულ დაპირისპირებაზე ნათლად მეტყველებდა ის ფაქტიც, რომ მოგვიანებით იმერეთში დიდი პატივით მიიღეს პაატა ბატონიშვილის შეთქმულების მონა-

წილე ალექსანდრე ამილახვარი, მას მრავალმხრივი დახმარება აღმოუჩინეს და ჩერქეზეთში მიმავალს სარეკომენდაციო წერილიც კი გაატანეს, მით უმეტეს, რომ ალექსანდრეს არ დაუმალავს თავისი ნამდვილი მიზანი სოლომონთან საუბრის დროს. ეს მიზანი იყო ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა (ამილახვარი, 1939:154).

სოლომონის სურვილით ქართლ-კახეთის მეფესთან შერიგებისა ერეკლემ ისარგებლა და იმერეთის მეფე ახალციხეზე ერთობლივ ლაშქრობაზე დაითანხმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1773 წლის ივნისში სოლომონი და ერეკლე გაერთიანდნენ და ლეკების დახმარებით ყარსის და ახალციხის მიმართულებით დაიწყეს შეტევა. მეფეები ამ შერიგებას იმდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, რომ იასონ ლორთქიფანიძის ცნობით, თავადი დოლენჯიშვილი ერეკლემ, სოლომონმა და თავადმა ლვოვმა რუსეთში გაგზავნეს ელჩად 1773 წელს ერეკლესა და სოლომონს შორის დადებული ხელშეკრულების წარსადგენად (ლორთქიფანიძე, 1940:93).

რაოდენ სუსტიც არ უნდა ყოფილიყვნენ, იმერეთის მეფეები მაინც არ კარგავდნენ მთელი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მეთაურის პრეტენზიას. ,,მთელი ლიხთიქითი იმერეთის მეფეს თავის საყმოდ მიაჩნდა და მის წინააღმდეგ მებრძოლი მთავრები თუ თავადები აჯანყებულ-უკუმდგარებად წარმოედგინა“ (ბერძენიშვილი, 1973: 346). ეს პრეტენზია ხშირად უსაფუძვლო იყო, რადგან ზოგჯერ იმერეთის მეფეები თავიანთი მატერიალური თუ სამხედრო შესაძლებლობით ცალკეულ მთავრებსაც კი ჩამოუვარდებოდნენ. მთავართა და თავადების სეპარატიზმი აქ ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ამიტომაც იყო, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს სოლომონს რუსთა ჯარით მოწინააღმდეგე თავადებისა და მთავრების საბოლოო დამორჩილება, ოსმალების ქვეყნიდან გაძევება და მათ მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება უნდოდა. ერეკლეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამცხე-საათაბაგოს შემოერთება, ჭარ-ბელაქნის დაპყრობა და ქართლ-კახეთში ,,ლეკიანობის“ მოსპობა სურდა.

70-იანი წლების II ნახევარი მნიშვნელოვანი საგარეო ცვლილებებით აღინიშნა, რაც მყისიერად აისახა ქართველი მეფეების ურთიერთობაზე.

1768-1774 წლების ომში ოსმალეთის დამარცხებით ისარგებლა ირანმა და მას 1776 წელს ქალაქი ბასრა წაართვა. ამ დროს ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება.

ჯერ კიდევ ნადირ-შაჰის დროს იმ პერიოდის მკვლევარები სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ ერეკლემ ირანს ხმალი ,,უჩვენა". თეიმურაზი თამამად აწარმოებდა სპარსეთის შაჰთან სხვადასხვა საკითხებზე მოლაპარაკებას, რადგან ამ დროს ერეკლე საომრად გამზადებულ ჯართან ერთად საქართველოში იმყოფებოდა. შვილი თავისი სამხედრო ძალით და ნიჭით ირანში მყოფ მამის პოზიციას ამაგრებდა. მოგვიანებით, ქერიმ-ხანის დროს, ერეკლეს მიიჩნევდნენ ირანის წესრიგის ,,ბაირახტარად" (ტუხაშვილი, 1983:78).

70-იანი წლების ბოლოს ერეკლემ აშკარად შეცვალა საგარეო ორიენტაცია და ისტორიკოსთა ნაწილისთვის ძნელად ასახსნელი გადაწყვეტილება მიიღო. ამ პერიოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის ურთიერთობის და საგარეო ორიენტაციის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა პროფესორმა რომან გოგოლაურმა წიგნში ,,საისტორიო ძიებანი".

1776 წელს ერელემ მოკავშირედ ოსმალეთი აირჩია (გოგოლაური, 2017:207). 1778 წლის 23 მაისს კართლ-კახეთის მეფეს სულთნისგან ძვირფასი საჩუქარი მოუვიდა მირზა გურგინა ენაკოლოფაშვილის ხელით. ამიერიდან ქართლ-კახეთი ოსმალეთის მოკავშირედ ითვლებოდა (ბერძენიშვილი, 1973:438). ამავე წლის შეთანხმებით ერეკლე კისრულობდა ,,ხელი შეუშალოს აზერბაიჯანის ხანების კავშირს ქერიმ-ხანთან" (გოგოლაური, 2017:208). ეს თურქი ისტორიკოსის, ჯევდეთ ფაშას, მოსაზრება იყო და ის ფრიად საინტერესო წინადადებით გრძელდებოდა: ,,მისი უდიდებულესობა ფადიშაჰისგან მას (ერეკლეს) მიეცემა ერთგვარი შესაძლებლობა თავის ძალისა და ძლიერების უზრუნველსაყოფად" (გოგოლაური, 2017: 208). მკვლევარი მიხეილ სამსონაძე ამ ფრაზაზე დაყრდნობით ფიქრობდა, რომ ერეკლემ იმერეთის შეერთების დასტური მიიღო (სამსონაძე, 1988:209:211). სოლომონმა ამ შეთანხმებაში მის საწინააღმდეგოდ გადაგმული ნაბიჯი ამოიკითხა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაწყვიტა. მან იგრძნო სამეფო ტახტის დაკარგვის საფრთხე.

1778 წლის 20 აგვისტოს იმერეთის მეფემ რუსეთის გავლით ირანში ელჩად გაგზავნა ცნობილი პოეტი, ბესარიონ გაბაშვილი და მას 3 კაცი გააყოლა: მამუკა ღებელი, გიორგი დავიდოვი (დავითაშვილი) და გიორგი პაპუნოვი (პაპუნაშვილი) (რეხვიაშვილი, 1982: 146). ვ. მაჭარაძის აზრით, იმერეთის მეფემ გადაწყვიტა, რომ ირანის სახით თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირე შეეძინა(მაჭარაძე, 1968:26-30). ამიტომ 1778 წლის 20 აგვისტოს ბესიკი ელჩად გაგზავნა ირანში იმ მიზნით, რომ მიეღო ირანის დახმარება, რომელიც უაღრესად საჭირო იყო იმ დროს, როცა სულთანი თავისი ურჩი ქვეშევრდომის, იმერეთის მეფის, დასჯას აპირებდა და დიდ ჯარს აგროვებდა ანატოლიაში. რადგან ერეკლე ოსმალეთს დაუახლოვდა და ეს კავშირი თავისთვის სახიფათოდ მიიჩნია სოლომონ I-მა, ამიტომ მან მოკავშირის ძებნა ირანში დაიწყო, რადგან ოსმალეთის გაღიზიანების შიშით რუსეთი თავს არიდებდა იმერეთთან რაიმე სახის ურთიერთობას.

ასტრახანის გუბერნატორმა ბესიკი თავისი ორი მხლებლით (მამუკა ღებელი ასტრახანიდან უკან დაბრუნდა) გემით გაგზავნა ირანში, მაგრამ ელჩმა ქერიმ-ხანის ნახვა ვერ მოასწრო, ის 1779 წლის 22 მარტს გარდაიცვალა. ასტრახანის კომენდანტი, გენერალი იაკობი, საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობებდა, რომ მიიღო წერილი სოლომონისგან, რომლითაც შეიტყო, რომ ოსმალები ანატოლიაში 80000-იან ჯარს აგროვებდნენ ჰაჯიალი-ფაშას მეთაურობით. გაურკვეველი იყო, თუ ვის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ ამ ჯარს, რუსეთის თუ იმერეთის წინააღმდეგ, მეფე რუსეთიდან დახმარებას ითხოვდა. გენერალს აინტერესებდა, როგორ უნდა მოქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუ ეს ჯარი იმერეთში შეიჭრებოდა.

ზურაბ სულაბერიძის აზრით, ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული აზრი, რომ ამ ელჩობის მიზანი იყო ალექსანდრე ბაქარის ძის ჩამოყვანა საქართველოში და მისი დაპირისპირება ერეკლესთან (ჭიჭინაძე, 1885:9-10), ემყარება ორ ცნობას, ერთს ვხვდებით მარი ბროსესთან (ბროსე, 1900:342), მეორე ცნობა კი მოსე ჯანაშვილმა გამოაქვეყნა 1905 წელს და მის ავტორად დავით ბატონიშვილი მიიჩნევა (ჯანაშვილი, 1905: 25-26).

ქერიმ-ხანის გარდაცვალებით ისარგებლა ალექსანდრე ბაქარის ძემ, ირანიდან გამოიპარა, იმერეთში ჩამოვიდა და დაუკავშირდა ერეკლეს მოწინააღმდეგეებს. მას ახალ-

ციხის ფაშაც ეხმარებოდა. რომან გოგოლაურის აზრით, სწორედ ალექსანდრე ბაქარის ძის ირანში ყოფნა, შემდეგ კი მისი ,,აშვება", რაც მიზნად ისახავდა ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდებას (გოგოლაური, 2017:208), გახდა ქართლ-კახეთის საგარეო ვექტორის შეცვლის მიზეზი. რუსეთიდან ერეკლემ დახმარება ვერ მიიღო, ქერიმ-ხანი კი მის მეტოქეს თავშესაფარს აძლევდა, ამიტომ ის მოკავშირედ არ გამოდგებოდა, რჩებოდა მხოლოდ ოსმალეთი (გოგოლაური, 2017:215).

ვალერიან მაჭარაძის და მიხეილ რეხვიაშვილისგან განსხვავებით, რომელიც ასევე ფიქრობდა, რომ ბესიკის ელჩობის მიზანი ირანის სახით იმერეთისთვის მოკავშირის შეძენა იყო (რეხვიაშვილი, 1982:146), მკვლევარები: ზაქარია ჭიჭინაძე, მოსე ჯანაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, შოთა ბურჯანაძე, სარგის ცაიშვილი ფიქრობდნენ, რომ ბესიკის ელჩობის მიზანი იყო ირანიდან ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოყვანა და მისი გამეფება ერეკლე II-ის ნაცვლად. 1885 წ. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: ,,1775 წლებში ერეკლესა და სოლომონ მეფეში ერთობ ასტყინდა შფოთები, ორნი ერთმანეთის დამხობას ცდილობდნენ: ამიტომ იმერეთის მეფემ 1779 წ. ბესარიონ გაბაშვილი სპარსეთში გაგზავნა, დასაბარებლად ალექსანდრე ბატონიშვილისა, რომელიც იყო შვილისშვილი ვახტანგ მეფისა. ის ეძებდა სამეფო ტახტსა და ამიტომ ყეინს სთხოვდა დახმარებას და შემწეობას"... (რეხვიაშვილი, 1982:147).

ასევე საყურადღებოა რომან გოგოლაურის ვარაუდი ქართველ მეფეებს შორის ურთიერთობის გაუარესებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ერეკლესა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკების დროს ახალციხის სულეიმან ფაშა შუამავლის როლს ასრულებდა. ფაშა დაინტერესებული იყო შეთანხმების მიღწევით რადგან ერეკლეს სახით ოსმალეთი სერიოზულ მოკავშირეს შეიძენდა, მაგრამ, როგორც კი ეს შეთანხმება შედგა, ანუ ერეკლემ ოსმალეთის უზენაესობა აღიარა და ამით უარი თქვა ირანის ქვეშევრდომობაზე, ქართლ-კახეთის მეფესა და ახალციხის ფაშას შორის ურთიერთობა მკვეთრად გაცივდა.

ასევე მკვეთრად გაუარესდა ურთიერთობა ერეკლესა და სოლომონ I-ს შორის, რომელმაც თავშესაფარი მისცა ირანიდან დაბრუნებულ ალექსანდრე ბატონიშვილს და აშკარად თანაუგრძნობდა მის ბრძოლას ერეკლეს წინააღმდეგ. სულეიმან ჯაყელის პოზიციის აშკარა შეცვლა კი იმან გამოიწვია, რომ მან გაიგო ერეკლესა და ოსმალეთის შე-

თანხმების დეტალები და მისთვის საგანგაშო ერთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც სულ-თანი ერეკლეს ახალციხის საფაშოს უთმობდა. სულეიმან ფაშამ და სოლომონმა ქართლ-კახეთის მეფეში თავისი უშუალო მეტოქე დაინახა. ცნობილია, რომ იმერეთის მეფესაც უნდოდა სამცხე-საათაბაგოს იმერეთთან მიერთება.

ამ დროს ოსმალეთმა დაკარგა კონტროლი ყირიმზე, მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას, რათა არ მომხდარიყო რუსეთის ჯარის რაოდენობის გაზრდა კავკასიაში. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ერეკ-ლეს ოსმალეთთან დაახლოება გამართლებული უნდა იყოს, რადგან ის, ფაქტიურად, მთელ საქართველოს გააერთიანებდა. ოსმალეთი ბევრს არაფერს კარგავდა, რადგან ახალციხის ფაშა უკვე დამოუკიდებლობას ამჟღავნებდა და ნომინალურად ემორჩილე-ბოდა სულთანს, აღმოსავლეთ საქართველოზე კი სტამბოლს ხელი არ მიუწვდებოდა. ერეკლეს სახით კი ოსმალეთი სერიოზულ მოკავშირეს იძენდა რუსეთ-ირანის წინააღმ-დეგ. ამიტომაც ამოქმედდა ენერგიულად სოლომონ I და 1779 წლის სექტემბერში ალექ-სანდრე ბაქარის ძე უკვე იმერეთში იყო. თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალეთი ერეკლესთან კარგ ურთიერთობას იქიდანაც ჩანს, რომ დააპირეს ერეკლესა და მისი ხელქვეითი ხანებისთვის ორ-ორი ათასი ცხენის და ალმასებით შემკული თითო ხანჯლის გაგზავნა. საბოლოოდ კი ამის გაკეთება გადაიფიქრეს, რადგან ერეკლეს ერთ-გულებაში ეჭვი ეპარებოდათ (გოგოლაური, 2017:266).

იმერეთის მეფე შიშობდა, რომ ერეკლე მთელ დასავლეთ საქართველოს და სამცხე-საათაბაგოს შეიერთებდა, რადგან ის ისტორიული სამცხე-საათაბაგოს მფლობელად იყო აღიარებული (გოგოლაური, 2017:267), თუმცა, ქართლ-კახეთის მეფე იმასაც ითხოვ-და, რომ აჭარა და ქობულეთი იმერეთს დაბრუნებოდა. მისი ეს მოთხოვნა რუსებმა ისე საიდუმლოდ შეინახეს, რომ სულეიმან-ფაშამ ვერაფერი გაიგო, რადგან ამის შესახებ არაფერს ამბობდა თავის წერილში პაველ პოტიომკინისადმი (ლორთქიფანიძე, 1940:71).

როგორც ვხედავთ, ზემოთაღნიშნულ მკვლევარებს განსხვავებული მოსაზრებები გა-აჩნიათ როგორც ქართლ-კახეთ-ოსმალეთის ურთიერთობის, ისე ირანში ბესიკის ელჩო-ბასთან დაკავშირებით. ვინაიდან ეს დიპლომატიური მისია ჩვენი სადისერტაციო თემის

არეალში ექცევა, ქვემოთ კონკრეტულად მასზე გვექნება საუბარი. ვიდრე უშუალოდ შევეხებოდეთ ბესიკის ელჩობას, მოკლედ მიმოვიხილოთ იმერეთის სამეფოს რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის შემდგომდროინდელი ვითარება საგარეო ორიენტაციის მიმართულებით.

1774 წლის ნოემბერში იმერეთის მეფე სოლომონ I-მა, ვიდრე რუსეთსა და ოსმალეთს ზავის დადების ამბავს შეიტყობდა, საგანგებო დავალებით დავით კვინიხიძე გაგზავნა რუსეთში (Цагарели, 1898:176). ასტრახანის გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა კრეჩეტნიკოვმა, ხელმძღვანელობდა რა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთ-იმერეთის ურთიერთობაში უკვე დამკვიდრებული ტრადიციით, იმერეთის ელჩი სამეფო კარზე გაისტუმრა და 1775 წლის 6 თებერვლის პატაკით თავის მთავრობას აცნობა: დაუყოვნებლივ ვგზავნი იმერეთის ელჩს, თავად კვინიხიძეს, რადგან 1769 წლის 19 სექტემბრის რესკრიპტში ნათქვამია, რომ ქართველ მფლობელთა ელჩები სამეფო კარზე შეუფერხებლად გამოგზავნეთო (Цагарели,1902:10).

იმერეთის ელჩს საკმაოდ დიდხანს (1775 წლის მარტიდან ოქტომბრამდე) სამეფო კარზე ალოდინეს (როგორც ჩანს, ოსმალეთთან საზეიმო ელჩობის გაცვლისა და ტრაქტატის ძალაში შესვლის მოლოდინში), შემდეგ კი ხელცარიელი გამოისტუმრეს სამშობლოში და, რაც მთავარია, თან ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიისადმი 1775 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერდნენ გრაფი პანინი და ოსტერმანი, ასეთი გაფრთხილებაც მოაყოლეს: ,,ოტომანთა პორტასთან დადებული ზავის შემდეგ მიზანშეწონილი არ იყო ქართველ მფლობელთა ელჩების გამოშვება ასტრახანიდან დედაქალაქში“ (Цагарели, 1902:10-11).

სამართლიანად ფიქრობდა ვალერიან მაჭარაძე, რომ იმერეთის სამეფოს საკითხი 1774 წლის ტრაქტატით საბოლოოდ გადაუჭრელი დარჩა, ხოლო რუსეთის მთავრობა, ოსმალეთის გაღიზიანების შიშით, 1775 წლიდან იმერეთთან ოფიციალურ ურთიერთობას გაურბოდა. აი, რატომ სჭირდებოდა იმერეთის მეფეს იმის კითხვა ასტრახანის გუბერნატორთან, შეიძლებოდა თუ არა რუსეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის მისალოცად ელჩის გაგზავნა სამეფო კარზე (მაჭარაძე, 1968:41). გასაზიარებელია ვალერიან მაჭარაძის ის მოსაზრებაც, რომ, რადგან რუსეთი ოსმალეთის გაღიზიანებისა და ზავის დარ-

ღვევის შიშით იმერეთის სამეფოსთან ოფიციალურ ურთიერთობას თავს არიდებდა, იმერეთის მეფეს, მოპოვებული წარმატებები რომ შეენარჩუნებინა, სხვა გზა უნდა მოეძებნა და ეს გზა ირანში მიდიოდა (მაჭარაძე, 1968:43).

რომან გოგოლაურის შენიშვნით, ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის საწყის ეტაპზე ერეკლე II ურჩევდა ირანის ვექილს, ქერიმ-ხანს, ჩართულიყო ომში რუსეთის მხარეს და დაებრუნებინა ის პროვინციები, რომლებიც ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული (გოგოლაური, 2021:221). მართალია, იმ დროს ქერიმ-ხანმა თავი შეიკავა ომში ჩაბმისაგან, მაგრამ რუსეთთან ომში დამარცხებულ ოსმალეთს 1775 წელს მაინც გამოუცხადა ომი და ჯარები დაძრა ორი: ბასრის და ანატოლიის მიმართულებით. 1776 წლის 15 აპრილს ბასრა აიღეს.

თავის მხრივ, 1777 წლის 2 მაისს ოსმალეთმაც გამოუცხადა ომი ირანს და იმავე წლის 5 და 22 მაისს მარცხი აგემა მას (Bilge, 2005:136).

საინტერესო ცნობას გვაწვდის ზემოთნახსენები თურქი ისტორიკოსი სადიკ ბილგე, რომლის თანახმად ,,ქერიმ-ხანმა 1778 წელს დედოფალ ეკატერინასთან დადო შეთანხმება ოსმალეთის წინააღმდეგ. რუსები რუმელიაზე, ხოლო ირანელები ანატოლიაში აპირებდნენ ოსმალეთზე თავდასხმას“ (Bilge, 2005:137).

თუ ოფიციალურ ისტორიოგრაფიას გადავხედავთ, არც რუსულ და არც სპარსულ ისტორიოგრაფიაში ასეთი ხელშეკრულება არაა დაფიქსირებული. უფრო მეტიც, 1735 წლის განჯის ტრაქტატის შემდეგ რუსეთსა და სპარსეთს შორის არანაირი ხელშეკრულება არ დადებულა (შარაშენიძე, 1970:75). მაშ, რასთან გვაქვს საქმე?

ხომ არ ჰქონდა ადგილი რუსეთსა და სპარსეთს შორის ისეთ არაოფიციალურ საიდუმლო შეთანხმებას, როგორიც იყო ოსმალეთ-ქართლ-კახეთის ურთიერთობაში? ვფიქრობთ, სავსებით შესაძლებელია საქმე გვქონდეს ისეთ საიდუმლო გარიგებასთან, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

რაც შეეხება იმერეთის მეფის დიპლომატიურ გააქტიურებას, ეს ერთგვარი რევანში და ადეკვატური ღონისძიება იყო მისი მხრიდან ერეკლეს წინააღმდეგ შექმნილ ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებაში. სოლომონ I-ის ეს ნაბიჯი იმ დროს, როცა მისმა ,,მოკავშირე“

რუსეთის იმპერიამ დროებით, მაგრამ მაინც შეასუსტა დაინტერესება ამიერკავკასიით, გამართლებული უნდა ყოფილიყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართლ-კახეთ-ოსმალეთის საიდუმლო შეთანხმება საფუძვლიან ეჭვს იწვევდა სოლომონ I-ში. ის გრძნობდა, რომ ეს ხელშეკრულება მის წინააღმდეგ იყო მიმართული და იმერეთზე მის კანონიერ უფლებას ხელყოფდა. მეორეც, ხელშეკრულების დადების შემდეგ ოსმალეთმა დაიწყო ჯარების მობილიზაცია ანატოლიასა და ტრაპიზონში. მართალია, ეს ნაწილები მოგვიანებით ყირიმში გადაისროლეს, მაგრამ თვითონ პროცესი დიდ შეშფოთებას იწვევდა იმერეთში.

შექმნილ სიტუაციაში იმერეთის მეფემ გადაწყვიტა სტრატეგიული მოკავშირე ირანში მოეძებნა ქერიმ-ხანის სახით. იმ დროისათვის ეს ნაბიჯი ერთგვარი შემაკავებელი ძალა უნდა ყოფილიყო მიმართული ოსმალეთ-ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ირანში თავს აფარებდა ქართლის ტახტის მემკვიდრე, ალექსანდრე ბაქარის-ძე, რომლის პერსონა ,,დამოკლეს“ მახვილივით ეკიდა ერეკლეს თავზე და მისი საქართველოში ჩამოყვანა დიდი თავსატეხი იქნებოდა ქართლ-კახეთის მეფისთვის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ქერიმ-ხანთან კავშირის დამყარება და ერეკლეს დასამხობად ალექსანდრე ბაქარის ძის საქართველოში ჩამოყვანა იყო ბესიკის ელჩობის ამოცანა.

მიგვაჩნია, რომ იმ მომენტში სოლომონს მთავარ საშიშროებად მიაჩნდა არა ოსმალთა ახალი სადამსჯელო ლაშქრობა, არამედ ერეკლეს მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე, რაც იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის დაკარგვით ემუქრებოდა. ოსმალეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ბრძოლაში დამარცხების შემთხვევაშიც კი სოლომონი ამ საფრთხეს, სავარაუდოდ, თავიდან აიცილებდა, თუნდაც იმით, რომ აღიარებდა სულთნის უზენაესობას ან ნაწილობრივ შეამსუბუქებდა ,,ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვის პოლიტიკას. ამიტომ მან მთელი თავისი ძალები ერეკლეს წინააღმდეგ აამოქმედა და თავისი ელჩი, ბესარიონ გაბაშვილი, ირანში გაგზავნა.

ჩვენთვის უცნობია ბესიკის ირანის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დეტალები. ვალერიან მაჭარაძის აზრით, ,,იმერეთის ელჩის ამოცანა უნდა ყოფილიყო ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ირანთან კავშირის დამყარება“ (მაჭარაძე, 1968:46). ჩვენი აზ-

რით, ეს იმერეთის სამეფოს საგარეო ორიენტაციის ერთგვარ ორპოლუსიანობაზე უნდა მეტყველებდეს, რაც არათუ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, არამედ ერთგვარ უნისონ-შიც კი მოდიოდა. ქერიმ-ხანის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ირანი შინაომებ-მა მოიცვა. ამის შემდეგ იმერეთის ირანზე ორიენტაციის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

მაშასადამე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, XVIII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს, რუსეთის საგარეო დიპლომატიის საქართველოსთან ურთიერთობის შენელების შემდეგ, სოლომონ I-მა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საგარეო ორიენტაცია ირანზე აიღო. ამით იმერეთი უარს არ ამბობდა რუსეთთან ურთიერთობის გაგრძელებაზე. ორი-ენტაციის დროებითი შეცვლა იყო იძულებითი ნაბიჯი, რომელიც რუსეთისთვის საზიანო არ უნდა ყოფილიყო, რადგან რუსეთი და ირანი სტრატეგიული მოკავშირეები იყვნენ კავკასიის საკითხებში.

ოსმალეთზე ორიენტაციის აღებამ ქართლ-კახეთის მეფის იმედები ვერ გაამართლა. რუსეთი და ირანი ფარულად თუ აშკარად ეხმარებოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს. საჭირო იყო ახალი მოკავშირის ძებნა. ერეკლემ იმედის თვალი ევროპას მიაპყრო. მან კათოლიკე მისიონერები დაიახლოვა და ორჯერ გაგზავნა კაპუჩინელი ბერები ევროპაში ელჩად. პირველად გაგზავნა პატრი დომენიკე ტრიესტელი, რომელთანაც მეფეს ცხრა-მეტი წლის ურთიერთობა აკავშირებდა (გოგოლაური, 2017:120), მაგრამ ელჩი 3 ივლისს მოულოდნელად გარდაიცვალა. ამის შემდეგ პატრი მაურო ვერონელი გაგზავნა ევრო-პაში რუსეთის გავლით. ერეკლე პირობას იძლეოდა, რომ კათოლიკეებს ჩამორთმეულ ეკლესიებს და სახლებს დაუბრუნებდა და სხვა მფარველობასაც აღმოუჩენდა მათ. ეს ელჩობაც უიღბლო გამოდგა, მეორე ელჩიც გარდაიცვალა პოლონეთში. მაგრამ მეფის წერილებმა ავსტრიაში მაინც ჩააღწია. იმპერატორმა იოსებ II-მ პეტერბურგში ავსტრიის ელჩს, კობენცლს, ჰკითხა, თუ რა ვითარება იყო საქართველოში. ელჩის პასუხით კი შეიტყო, რომ რუსეთს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს ბედი. პასუხს თან ახლდა გეორგიევსკის ტრაქტატის თარგმანი გერმანულ ენაზე. ერეკლეს ცდა, რომ როგორმე გაერღვია მოჯადოებული წრე და მოკავშირე ევროპაში მოეძებნა,

მარცხით დამთავრდა. მას სხვა გზა აღარ ჰქონდა. ტახტის დაკარგვის შიშით იძულებული გახდა ისევ რუსეთის მფარველობა ეთხოვა (გოგოლაური, 2017:214).

დიპლომატიურ ასპარეზზე სოლომონიც აქტიურობდა. ის მარტო სპარსეთის დახმარების იმედად არ ყოფილა, უცხოეთშიც ცდილობდა მოკავშირის მოძებნას და, ამ მიზნით, 1779 წელს რომის პაპს, პიუს VI-ს დახმარებისთვის მიმართა, მაგრამ პასუხად მხოლოდ ლოცვა-კურთხევა მიიღო (რეხვიაშვილი,1989:271).

ყოველივე ეს კი კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად შორსმჭვრეტელი და ალღოიანი პოლიტიკოსები იყვნენ სოლომონ I და ერეკლე II საგარეო ორიენტაციის საკითხში, თუმცა, მათი ყველა მცდელობა ევროპასა და აზიაში ახალი მოკავშირის მოძებნისა, უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჯერ ქართლ-კახეთი, შემდეგ კი იმერეთი მხოლოდ და მხოლოდ მისი გავლენის სფეროში დარჩენილიყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების შემდეგ რუსეთი იმერეთის სამეფოსთან ოფიციალურ ურთიერთობას, ოსმალეთის გაღიზიანების შიშით, თავს არიდებდა, მაგრამ 80-იანი წლებიდან ვითარება არსებითად შეიცვალა.

ამ დროს ყირიმის საკითხმა უკიდურესად გაამწვავა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა. ვალერიან მაჭარაძის შენიშვნით, რუსული დიპლომატიისათვის ცხადი გახდა, რომ სულთანი თავს არ ანებებდა ყირიმის სახანოს, თუმცა, წინანდელი პოზიციის აღდგენის ძალა მას აღარ შესწევდა. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ყირიმის სახანოს გაუქმება და მისი შეერთება. ამ ნაბიჯის გადადგმით ჩრდილოეთ კავკასიაში ოსმალეთს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, რუსეთის გავლენის ზრდისათვის კი ხელსაყრელი ვითარება დგებოდა, რაც, თავის მხრივ, საქართველოსთან კავშირს აადვილებდა. შესაძლებელი იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში საქართველოს საკითხიც დამდგარიყო. ასე რომ, 1782 წელს რუსეთს ერთდროულად ორი საკითხი უნდა მოეგვარებინა: ყირიმისა და საქართველოსი (მაჭარაძე, 1968:60).

თავისთავად ცხადია, ასეთ ვითარებაში რუსეთ-იმერეთის დიპლომატიური ურთიერთობა კვლავ გამოცოცხლდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა სწრაფად აუღეს ალღო

შეცვლილ ვითარებას და სოლომონ I-მა 1781 წლის 1 სექტემბერს რუსეთის მთავრობას მფარველობის თხოვნით მიმართა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

ოსმალეთმა თავისი აგრესიული პოლიტიკა შავი ზღვის სანაპიროებზე უფრო გააქტიურა, რის გამოც იმერეთის მეფემ 1782 წლის 15 აგვისტოს ისევ მიმართა რუსეთის იმპერატორს თხოვნით (Цагарели, 1891:13). ამჯერად ეს თხოვნა უპასუხოდ არ დარჩა, რაც იმაში გამოიხატა, რომ, პირველი, რუსეთის მთავრობამ სტამბოლში თავის ელჩს, ბულგაკოვს, 1782 წლის დეკემბერში განკარგულება მისცა ქართულ სამეფოებს სულთნის კარზე რუსეთის სახელით გამოსარჩლებოდა და, მეორე, იმპერატორის მითითებით 1782 წლის დეკემბერში გრაფმა ბეზბოროდკომ თავად გრიგოლ პოტიომკინს აცნობა რუსეთის მთავრობის განზრახვა და პრინციპები, თუ რა პირობებში უნდა დადებულიყო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, ხოლო 1783 წლის დასაწყისში მომზადდა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც სახელმძღვანელოდ ეძლეოდა გრიგოლ პოტიომკინს ქართულ სამეფოებთან მფარველობითი ტრაქტატის გასაფორმებლად (Цагарели, 1891: 30-41).

მართალია, 1783 წლის ტრაქტატი მარტო ქართლ-კახეთის სამეფოსთან გაფორმდა, მაგრამ პროექტის თავდაპირველ ვარიანტში, რომელიც რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში ინახება, სადაც კი ტექსტში ნახსენებია ქართლ-კახეთის სამეფო, იქვე წერია ,,и Имеретинское“, ხოლო სადაც ერეკლე იხსენება, მინდორზე მიწერილია ,,Соломон“ (მაჭარაძე, 1968:62).

1783 წლის აპრილის დასაწყისში უკვე გადაწყვეტილი იყო აღმოსავლეთ საქართველოსთან მფარველობითი ტრაქტატის გაფორმება, ხოლო დასავლეთ საქართველოსთან ასეთივე ხელშეკრულების დადება რუსეთმა უფრო ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებისთვის გადადო. 1783 წლის 3 აპრილით დათარიღებულ გრიგოლ პოტიომკინის მიერ ხელმოწერილ საიდუმლო ბრძანება-ინსტრუქციის მეორე მუხლში, რომელიც ქართველ მეფეებს ეძლეოდათ, რუსეთ-იმერეთის ხელშეკრულების დადების შემაფერხებელ გარემოებად იმერეთის სამეფოს ოსმალეთისადმი დაქვემდებარება იყო.

პაველ პოტიომკინმა, იმერეთის მეფეს მერყეობა რომ არ დაეწყო, დროის მოგების მიზნით მასთან პოლკოვნიკი შტედერი გაგზავნა წინადადებით, რომ იმერეთიდან სა-

იმედო კაცი გაეგზავნთა რუსეთის წარმომადგენლებთან ტრაქტატის პირობებზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ სოლომონმა, რუსეთში კაცის გაგზავნამდე რუსეთის მთავრობას მოსთხოვა ერეკლესთან შემარიგეთო და სასურველ შედეგსაც მიაღწია (მაჭარაძე, 1968:84).

შტედერის მოხსენებით ბარათებში აშკარაა, რომ იმერეთის მეფის რუსული ორიენტაცია ურყევი იყო, მაგრამ რუს მოხელეებს აშინებდათ ის გარემოება, რომ სოლომონის სიკვდილის შემთხვევაში საქმე, შესაძლოა, ოსმალეთის სასარგებლოდ შეტრიალებულიყო. ამიტომ საქართველოში რუსეთის წარმომადგენლის, პოლკოვნიკ ტამარას, წინადადებით შეიქმნა დოკუმენტი, თხოვნის ტექსტი, რომელიც 1784 წლის 6 მარტს ვარციხიდან გაეგზავნა რუსეთის ხელისუფლებას და მასზე ხელს აწერდნენ: სოლომონ მეფე, ტახტის მემკვიდრე ორივე დავითი, გურიის მთავარი, გიორგი, მისი შვილები: სიმონი და ვახტანგი, მიტროპოლიტები: დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, არქიეპისკოპოსი იოანე, მეფის სიძე, ელიზბარ ერისთავი, თავადები: ბორის (ალბათ, ბერი) წულუკიძე, პაპუნა წერეთელი, გიორგი წულუკიძე, ზურაბ წერეთელი, ზურაბ მაჩაბელი, მესაიდუმლე მდივანი და პირველი აზნაური („первой дворянин“) ბესიკი (ალბათ, ბესიკ გაბაშვილი). ეს დოკუმენტი შედგენილია 1784 წლის 4 მარტს და მასზე ბესიკის ხელმოწერა იმაზე მეტყველებს, რომ პოეტი იმერეთის თავკაცთა პირველ რიგებშია (მაჭარაძე, 1968:89).

ტექსტში განმეორებულია თხოვნა, ისეთივე მფარველობა მოგვანიჭე, როგორიც ქართლ-კახეთის სამეფოს მიეცითო.

იმერეთის სამეფოს მხრიდან რუსეთის მფარველობის მიღებას ოსმალეთი მტრულად უყურებდა და ამ ნაბიჯს აღიქვამდა, როგორც მისთვის ქვეშევრდომის წართმევის მცდელობად, რადგან სოლომონ I მთელი დასავლეთ საქართველოს პატრონად მიიჩნევდა თავს, ხოლო ოსმალეთს ამ ტერიტორიაზე ციხეები ჰქონდა დაკავებული და იქ ჯარი ეყენა.

ასეთ ვითარებაში, 1783 წლის შემოდგომაზე იმერეთის რუსეთის მფარველობაში მიღების საკითხი დღის წესრიგიდან უნდა მოხსნილიყო და, როგორც პროფესორი ვალე-

რიან მაჭარაძე მიიჩნევდა, ეს ასეც მოხდა 1783-1784 წლების ზამთარში (მაჭარაძე, 1968:70).

სამაგიეროდ, რუსეთის მთავრობამ ისარგებლა ოსმალეთის სიძნელეებით და სტამბოლში თავის ელჩს დაავალა დიპლომატიური მოლაპარაკების გზით გადაესინჯა ქუჩუკ-კაინარჯის ზავი და და აინალი-კავაკის კონვენცია. 1783 წლის 28 დეკემბერს ოსმალეთის დედაქალაქში ივან ბულგაკოვმა და ვეზირმა ჰასან-ფაშამ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც გაუქმდა 1774 წლის კაინარჯის ტრაქტატის მე-3 მუხლი და აინალი-კავაკის 1779 წლის კონვენციის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები. რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზღვარი დაწესდა მდ. ყუბანზე (Бутков, 1869:105). ზემოაღნიშნული ტრაქტატი დამტკიცდა 1784 წლის 11 მარტს. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ხელშეკრულებით არ გაუქმებულა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი, რომელიც უშუალოდ იმერეთის სამეფოს ეხებოდა. რუსეთის მიერ ოსმალეთთან აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებამ არსებითად მოხსნა იმერეთთან ტრაქტატის გაფორმების საკითხი. ამით დამთავრდა სოლომონ I-ის ხანგრძლივი საგარეო ორიენტაცია რუსეთზე და დამთავრდა მარცხით. ეს მძიმე დარტყმა იყო იმერეთის მეფისთვის, რომელსაც ფიზიკური ჯანმრთელობა შეერყა და მალე, 1784 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა.

ამრიგად, იმერეთის საგარეო ორიენტაცია რუსეთზე, რომელსაც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ატარებდა სოლომონ I, და, თუ ირანთან მოკლევადიან ურთიერთობას არ ჩავთვლით, რომლიდანაც მას არ გადაუხვევია, მარცხით დამთავრდა. რუსეთისათვის ამ ეტაპზე ყირიმი და ქართლ-კახეთი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე იმერეთის სამეფო, რომელიც ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთის მიერ ოსმალეთის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყირიმიც და ქართლ-კახეთიც იმერეთისაგან განსხვავებით ნაკლებად პრობლემური იყო რუსეთისთვის, რადგან ისინი ოსმალეთის გავლენის სფეროში არ იმყოფებოდნენ, განსხვავებით იმერეთისა, რომლის მფარველობაში აყვანას, შესაძლოა, ოსმალეთთან ახალი ომი გამოეწვია. რუსეთს მოსაგვარებელი რჩებოდა დუნაისპირა და შავი ზღვის ტერიტორიების საკითხი. მხოლოდ მისი მოგვარების შემდეგ დადგებოდა იმერეთის საკითხი დღის წესრიში, თავისთავად ცხადია, უკვე სხვა გარემოებასა და ვითარებაში.

თავი II. იმერეთ-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა და საგარეო ორიენტაცია 1784-1790 წლებში

მე-XVIII ს-ის II ნახევარში იმერეთის სამეფოში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა პროფესორმა ზურაბ დათუაშვილმა თავის ნაშრომში ,,ტრაქტატი მეფე-მთავართა-ორასწლოვანი სევდა“ (საისტორიო შტუდიები ქუთაისი, 1993). მისი აზრით, 50-80-იან წლებში მოპოვებული წარმატებები დროებით ხასიათს ატარებდა და ის სოლომონ პირველის პირად ნიჭს და ენერგიას ემყარებოდა და არა იმერეთის საზოგადოების შინაგან გაჯანსაღებას (დათუაშვილი, 1993:26).

ჩაქვის ბრძოლის შემდეგ იმერეთის მეფე მალე გარდაიცვალა. მას ტახტის მემკვიდრე არ დარჩენია. ალექსანდრე ბატონიშვილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1780წ. გარდაიცვალა. მას დარჩა შვილი, გიორგი, რომელიც ქორწინების გარეშე იყო დაბადებული და ამიტომ ტახტზე ვერ ავიდოდა. სოლომონმა თავის სიცოცხლეში მემკვიდრედ თავის ძმის, არჩილის, და ერეკლე II-ის ასულის, ელენეს, შვილი, დავითი აღიარა (რეხვიაშვილი, 1989:280) მაგრამ მეფის გარდაცვალების დროს ის 12 წლის იყო. სოლომონ I-მა წინასწარ გაითვალისწინა ტახტის მემკვიდრის მცირეწლოვნება და თავის სიკვდილის შემთხვევაში იმერეთის გამგებლობა დროებით მიანდო დავით გიორგის ძეს. ცნობას ამ ფაქტის შესახებ ვხვდებით ბაგრატ ბატონიშვილის ,,ახალ მოთხრობა“-ში, რომელიც მოგვიანებით თამარ ლომოურმა გამოსცა: ,,სოლომონის ძმისწულნი იყვნენ მცირე ყრმანი. ამის მიზეზისათვის დასვეს იმერთა ბიძაშვილი მისი დავითი არა მეფედ, არამედ ნაიბად, ვიდრე აღზრდამდე არჩილის ძის დავითისა. (ლომოური, 1941: 59). ამ მიზეზის გამო იმერეთის დიდებულებმა ტახტზე აიყვანეს სოლომონის ბიძაშვილი, დავით გიორგის ძე, რომელიც იმ დროისთვის 29 წლის (ბუტკოვი, 1869:136) და ერეკლეს კარზე, მისივე ხელშეწყობით და დახმარებით ცხოვრობდა.

იმერეთის დიდებულების მსგავსად, ოსმალეთის ხელისუფლებასაც ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, რომ ტახტზე ერეკლე II-ის მომხრე მეფე არ ასულიყო. ოსმალური საარქივო დოკუმენტებიდან, კერძოდ, პრეზიდენტის არქივში არსებული საბუთებით ირკვევა, რომ სულთანი გეგმავდა იმერეთის ტახტზე აეყვანა ხრესილის ბრძოლის დროს მოკლუ-

ლი ლევან აბაშიძის შვილი, ქაიხოსრო, რომელიც სოლომონ I-ს ბიძად ეკუთვნოდა, ოსმალური ორიენტაციის მომხრე იყო და სტამბოლში ცხოვრობდა. მისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინა ჯანიკელ ალი ფაშას 8000-იანი ჯარით. იგი მართლაც შეიჭრა გურიაში, მაგრამ დამარცხდა და ოსმალეთში დაბრუნდა (COA, HAT,1-333-c) (თურქეთის პრეზიდენტის არქივი).

იმერეთის ახალი მეფის საგარეო პოლიტიკაში ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ურთიერთობის მოგვარება აღმოსავლეთ საქართველოსთან, რუსეთთან და ოსმალეთთან, უფრო ზუსტად კი-ახალციხის საფაშოსთან, ხოლო საშინაო პოლიტიკა მიზნად ისახავდა ქვეყანაში მშვიდობიანი მდგომარეობის შენარჩუნებას, რათა გარეშე ძალისთვის, პირველ რიგში კი, ოსმალეთისთვის, არ მიეცა იმერეთის სამეფოში ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობა. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ დავით გიორგის ძემ წარმატებით გაართვა თავი ამ პრობლემების მოგვარებას.

2.1. დავით გიორგის ძის ურთიერთობა ერეკლე II-სთან

იმერეთის დიდებულებს არ აწყობდათ ტახტზე ერეკლეს შვილიშვილის ასვლა, რადგან სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ ეს გააძლიერებდა ერეკლეს გავლენას იმერეთში, რასაც შეიძლება ქართლ-კახეთ-იმერეთის სამეფოების გაერთიანება მოჰყოლოდა. ეს იყო ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი გარდაცვლილი მეფის ბიძაშვილის, დავით გიორგის ძის გამეფებისა, რომელიც 1778 წელს სოლომონ I-ის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებას ემხრობოდა. მის გამეფებაში დიდი როლი ითამაშეს სარდალმა პაპუნა წერეთელმა, რომელიც ახალი მეფის სიძე, დის ქმარი, იყო, ბოქაულთუხუცესმა ბერი წულუკიძემ და ,,შემწეობითა დადიანისათა იქმნა იმერთა ზედა დავით გიორგის ძე“. (კაკაბაძე, 1914:89.). მათ მეფეს სამოქმედო პროგრამა მისცეს: არ უნდა დაემდაბლებინა ისინი, წყალობა არ უნდა მოეკლო მათთვის, პირობაც ჩამოართვეს მის შესასრულებლად და მხოლოდ ამის შემდეგ გამოუცხადეს ერთგულება. სამართლიანად შენიშნავდა შოთა ბურჯანაძე, რომ ბერი წულუკიძემ, პაპუნა და ზურაბ წერეთლებმა დავით გიორგის ძეს ,,წაართვეს ხელმწიფის უფლება და საკუთარ თავთან გაიტოლეს“ (ბურჯანაძე, 1960:83).

ახალი მეფის ტახტზე ასვლას ხელი იმანაც შეუწყო, რომ დავით არჩილის ძე, ტახტის მთავარი პრეტენდენტი, ამ დროს კახეთში იმყოფებოდა აღსაზრდელად. მისი დედა, ელენე, მეორედ იყო გათხოვილი ქიზიყის მოურავ ანდრონიკაშვილზე (ბურნაშოვი, 1886:22). იმერეთის დიდებულებმა ახალ მეფეს პირობა ჩამოართვეს, რომლის მიხედვითაც მეფე ვალდებული იყო აღეკვეთა ტყვეთა სყიდვა, პატივი მიეგო ერთგულ ქვეშევრდომებისათვის, დაესაჯა მტრები, ქვეყნიდან გაეძევებინა მოღალატეები, გაეძლიერებინა ეკლესია, გაეგრძელებინა რუსეთთან ურთიერთობა, დაეცვა იმერეთის სამეფოს ტერიტორია. ფაქტიურად, ახალმა მეფემ ტახტი წაართვა ერეკლეს შვილიშვილს, მაგრამ რუსეთის დახმარებით ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა ქართლ-კახეთის მეფესთან და თვითონაც რუსულ ორიენტაციას დაადგა. 1784 წლის 1 მაისს მან წერილი გაუგზავნა პაველ პოტიომკინს, რომელშიც აცნობებდა სოლომონის გარდაცვალებას და იმასაც, რომ მისი ანდერძით ავიდა ის სამეფო ტახტზე. დავით გიორგის ძე აცხადებდა, რომ მთლიანად დაიცავდა სოლომონის საგარეო კურსს, იქნებოდა რუსეთის საიმპერატორო კარის ერთგული და პოტიომკინს დახმარებას სთხოვდა, რათა იმერეთი კვლავ ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ არ აღმოჩენილიყო. მეფე პასუხის დაჩქარებასაც ითხოვდა ამ წერილზე, რადგან შიშობდა, რომ რუსეთის დახმარების გარეშე იმერეთში შინაარეულობა დაიწყებოდა.

იმავე დღეს პოტიომკინს წერილს იმერეთის თავადაზნაურობაც უგზავნიდა, რომელიც რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. წერილში იმერეთის დიდებულები ასაბუთებდნენ იმას, თუ რატომ აირჩიეს მეფედ დავით გიორგის ძე. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მათ მიაჩნდათ, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა ამ ეტაპზე სწორედ მას შეეძლო (რეხვიაშვილი, 1982:175). წერილს ხელს აწერდნენ: ქუთათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე, მთავარეპისკოპოსი იოანე, ელიზბარ ქსნის ერისთავის შვილი, ბერი და ქაიხოსრო წულუკიძეები, ზურაბ მაჩაბელი, დავით მდივანბეგი და მდივანი მესაიდუმლე ბესარიონ გაბაშვილი. ამ წერილით იმერეთის დიდებულებმა ერთხმად აღიარეს სოლომონის საგარეო კურსი.

ახალი მეფის კანდიდატურა მისაღები იყო რუსეთისათვისაც, რადგან ის რუსული ორიენტაციის მომხრე იყო და იმერეთში ოსმალების გაბატონებას არ ისურვებდა. საინ-

ტერესო იყო ერეკლეს დამოკიდებულება იმერეთში განვითარებული მოვლენების მიმართ. შოთა ბურჯანაძე ფიქრობდა, რომ დავით გიორგის ძის გამეფებას ეწინააღმდეგებოდნენ დავით არჩილის ძის მომხრეები და ერეკლეც მათ ემხრობოდა. ვითარება იმერეთში ამ ნიადაგზე საკმაოდ დაიძაბა (ბურჯანაძე, 1960:83-84.).

ამ პერიოდის იმერეთის სამეფოს შიდაპოლიტიკური ვითარების შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, საკამათო მოსაზრება გამოთქვა ზურაბ სულაბერიძემ თავის წერილში ,,რუსეთ-იმერეთის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიისათვის XVIII ს-ის 80-90-იან წლებში". (ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი კლიო. თბილისი 2001). ავტორის აზრით, ერეკლეს და სოლომონის შერიგება დავით არჩილის ძის იმერეთის ტახტის მემკვიდრედ დასახელებამ გამოიწვია. ზურაბ სულაბერიძე, გაეცნო რა რუსეთის სამხედრო-ისტორიულ არქივის გრიგოლ პოტიომკინის ფონდში (№52) არსებულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერეკლეს იმერეთში შინაომის ცეცხლი არ დაუნთია, როგორც თავის დროზე შოთა ბურჯანაძე ფიქრობდა ამით ერეკლე უფრო დიდ სახელმწიფო მოხელედ წარმოგვიდგება, რომელიც პირადი ინტერესით არ იზღუდებოდა სახელმწიფო საკითხის გადაწყვეტისას.

ამ საკითხს ჩვენ სხვაგვარად ვუყურებთ. ის ფაქტი, რომ დავით გიორგის ძის გამეფების შემდეგ ვითარებაში გასარკვევად ერეკლემ იმერეთში მიტროპოლიტი მაქსიმე გაგზავნა, რომელსაც ჩასვლისთანავე უბოძეს იმერეთი-აფხაზეთის კათალიკოსის ხარისხი, იმაზე მეტყველებს, რომ ქართლ-კახეთის მეფე ყურადღებით აკვირდებოდა იმერეთში შექმნილ მდგომარეობას. არ ვფიქრობთ, რომ ის მაინცდამაინც დიდი სიხარულით შეხვდა დავით გიორგის ძის გამეფებას, პირიქით, ერთობ უკმაყოფილო დარჩებოდა ამ ამბით, თუმცა, გარეგნულად არაფერი შეიმჩნია და მოვლენების განვითარებას დაელოდა. ბუდუ ლომინაძის აზრით, ერეკლემ გარკვეული მიზნით დააბრუნა მაქსიმე აბაშიძე იმერეთში (ლომინაძე, 1954:137). ვფიქრობთ, რომ ქართლ-კახეთის მეფე მარტო ამბოხებული თავადების დასაწყნარებლად არ გააგზავნიდა მაქსიმეს, მას აუცილებლად დაავალებდა დავით არჩილის ძის საკითხის გარკვევას.

იმერეთი ტახტისთვის მებრძოლ პრეტენდენტთა სიმცირეს არ განიცდიდა. ორი დავითის გარდა პრეტენზია ჰქონდათ ქაიხოსრო აბაშიძეს და როსტომ ერისთავის შვილს,

ქიორ-ბეის, გიორგის. მისი მოქმედება ცალკე აღნიშვნის ღირსია, რადგან მეფობაზე უარი თქვა და აღარ ჩაება ტახტისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში. გიორგის ბებია სოლომონ I-ის მამიდა და ვახტანგ VI-ის დისწული იყო და აქედან გამომდინარე ჰქონდა მას იმერეთის ტახტზე პრეტენზია. დავით არჩილის ძეს მხარს უჭერდა ერეკლე II, დავით გიორგის ძეს კი გავლენიანი იმერელი დიდებულები: პაპუნა და ზურაბ წერეთლები, ბერი წულუკიძე, ოდიშის და გურიის მთავრები (ბერძენიშვილი, 1973:740).

მოგვიანებით გაირკვა, რომ სოლომონს სიკვდილის წინ არავითარი განკარგულება არ გაუცია თავისი ბიძაშვილის სასარგებლოდ. აშკარაა, რომ დავით გიორგის ძე ტახტზე პოლიტიკურად დაინტერესებულმა პირებმა აიყვანეს მეფის ანდერძის საწინააღმდეგოდ. ისინი შიშობდნენ, რომ ერეკლე სამხედრო ძალით აღადგენდა სამართლიანობას. ამიტომ აჭიანურებდნენ თბილისში ინფორმაციის გაგზავნას და ახალი მეფის აღიარებას ჯერ პოტიომკინისგან ელოდნენ.

ტახტზე ასულმა დავით გიორგის ძემ 1784 წლის 26 აპრილს ფიცი დაუდო იმერეთის დიდებულებს, რომ იქნებოდა სოლომონ პირველის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთგული და მისი გამგრძელებელი. ერეკლე მიხვდა, რომ ძალით ჩარევა არ ივარგებდა, ამიტომ შეეცადა სამომავლო გარანტიები მიეღო პოტიომკინის მხრიდან დავით არჩილის ძის შესახებ. პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე იმერეთის დიდებულები და გურია-ოდიშის მთავრები დავით გიორგის ძეს უჭერდნენ მხარს. დადიანი ერეკლეს სიძე იყო. ისმის კითხვა რატომ არ უჭერდა ის მხარს ერეკლეს შვილიშვილს? უნდა ვივარაუდოთ, რომ არც მას აწყობდა იმერეთში ერეკლეს პოზიციის გამყარება.

12 მაისს ერეკლემ თავისი მოთხოვნები წამოაყენა. მან რუსეთს ახალ მეფეზე ზემოქმედება მოსთხოვა, რათა ამ უკანასკნელს მისი შვილიშვილისთვის ყმა-მამული დაებრუნებინა, მისთვისვე გადაეცა მამუკა ბატონიშვილის ქონება და ეღიარებინა ის ტახტის მემკვიდრედ. 1786 წლის პირველი ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტში დავით არჩილის ძე სრულიად ლიხთ-იმერეთის უფლისწულად მოიხსენიებოდა (დათუაშვილი, 1993:29).

ახალი მეფე ენათესავებოდა დასავლეთ საქართველოს დიდებულებს. პაპუნა წერეთელი, როგორც აღვნიშნეთ, დავით გიორგის ძის სიძე იყო, თვითონ მეფე-კაცია დადიანის მამიდაშვილი (რეხვიაშვილი, 1989:281).

ვფიქრობთ, დავით არჩილის ძის უფლისწულობასთან დაკავშირებით არსებული ცნობა ცნობა განმარტებას საჭიროებს. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში, ფონდში №1449, ანაწ.1. განთავსებულია საქმე №3289, რომლის გაცნობის შემდეგ უამრავი კითხვის ნიშანი ჩნდება. საბუთი შემდეგი შინაარსისაა: ,,მე მეფე სრულიად იმერეთისა, სოლომონი, სულიწმინდის მოფენის დღეს, კვირას, 1787 წლის თიბათვეს...“ საქმე ეხება იმერეთის მეფის მიერ რაჭის, როგორც საბუთში წერია, ღირსეულ შვილს, მაქსიმე მათეს ძე ლობჟანიძეს, ,,ერთგულ მსახურსა ჩემი კარისა და იმერეთისასა, რაჭა-ლეჩხუმის საღროშეს სარდლად სტრატილატისა და ვიპატოსის იქმნას ძე მათესი, მაქსიმე ლობჟანიძე, ვწოდებ რა თავადობას განდგომისა შემდეგ ჩემი და ჩემისადმი, შემდეგ გადაშლილია და იკითხება ,,როსტომისა და ოდიშის მეფის, ჩემი ცოლის (აქ კვლავ გადაშლილია ჩანაწერი, უნდა ვივარაუდოთ ძმის)... ,,ბითა (ალბათ, შემწეობითა)...“

სოლომონ I, როგორც ცნობილია (და ეს არავის გაუხდია საკამათოდ) 1784 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა. 1787 წელს გაცემულ საბუთში მეფედ ისევ სოლომონი იხსენება. თავისთავად ცხადია, ამ შემთხვევაში სოლომონ II უნდა ვიგულისხმოთ. აქამდე არსებული ცნობების მიხედვით, დავით არჩილის ძე მეფედ პირველად 1789 წელს, ხუნწმათხოჯის ბრძოლის შემდეგ იხსენება. როგორ შეიძლება აიხსნას 1787 წელს მისი მეფედ ხსენება?

1784-1789 წლებში ოფიციალურად იმერეთის მეფედ დავით გიორგის ძეა ცნობილი, თუმცა, ამ ხუთი წლის განმავლობაში მისი მდგომარეობა და ძალაუფლება დიდი სიმტკიცით არ გამოირჩეოდა. რაჭის საერისთავოს აღდგენის შემდეგ მეფემ ის როსტომის შვილებს გადასცა სამართავად. ზემოთ ნახსენები ლობჟანიძე, ეჭვგარეშეა, დავით არჩილის ძის მომხრეა. ვფიქრობთ, რომ 1787 წელს სოლომონ II-ს მეფედ მოხსენიება იყო დავით გიორგის ძის მოწინააღმდეგეთა (პირველ რიგში, ბერი წულუკიძის და პაპუნა წერეთლის) მცდელობა, რომ არალეგიტიმურად ეცნოთ მისი გამეფება და დავით არჩილის ძის სრულწლოვანებამდე თუ მათთვის არასასურველი მეფის დამხობას ვერ მოახერხებდნენ, იმერეთში ორხელისუფლებიანობა მაინც დაეკანონებინათ. ასე უფრო ადვილად მი-

აღწევდნენ თავიანთ მიზანს, დაკარგული პატივის და დიდების აღდგენას, მღვრიე წყალში ადვილი იყო თევზის დაჭერა.

იმერეთის დიდ თავადებს ამ ნაბიჯის გადადგმისკენ დავით გიორგის ძის საშინაო პოლიტიკამ უბიძგა. მეფე არათანმიმდევრულად და წინააღმდეგობრივად მოქმედებდა. მან ჯერ გულუხვად დაასაჩუქრა წერეთელი და წულუკიძე, შემდეგ ნაჩუქარი მამულები ისევ ჩამოართვა მათ.

გავლენიან თავადებს არ მოეწონათ, რომ მეფემ საჭილაო-სამიქელაო თავის მოკავშირე დადიანს გადასცა, ვახტანგ გურიელს თავისი სიდედრი მიათხოვა, რომელსაც მზითევში საჯავახო ,,გაატანა". გამოდის, რომ წულიკიძე-წერეთლის განაწყენება დადიან-გურიელის მამულებით გულუხვად დასაჩუქრებამ გამოიწვია. ამის შემდეგ ვითარება საბოლოოდ დაიძაბა. მეფემ მოწინააღმდეგეთა დასჯა გადაწყვიტა და ალყა შემოარტყა ბერი წულუკიძის სახლს. მდგომარეობა განმუხტა ქართლ-კახეთის ჯარმა, რომელიც ,,მაყრიონის" სახით გამოუშვა ერეკლემ, რადგან მისი ვაჟი, ვახტანგი, ჯვარს იწერდა ბერი წულუკიძის ასულზე. ჯერ სოლომონ დიდი იყო წულუკიძის მძახალი, ახლა ერეკლე დაუნათესავდა მას. როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის მეფე დავით გიორგის ძის მოწინააღმდეგე გაერთიანების ცენტრალური ფიგურა ხდებოდა. ამჯერად იმერეთის მეფემ უკან დაიხია, უფრო მეტიც, დავით არჩილის ძეს გადასცა დიდი მნიშვნელობის მქონე მინდას ციხე (დათუაშვილი, 1993:30). ეს ფაქტი ცალსახად უნდა შეფასდეს როგორც ერეკლეს ჩარევა იმერეთის საშინაო საქმეებში დავით გიორგის ძის ინტერესების საწინააღმდეგოდ. მეფის წინააღმდეგ გამოსვლისთვის განდგომილმა თავადებმა მოიმიზეზეს გულქან დედოფლის და მისი შვილიშვილის დაჭერა, სინამდვილეში კი ისინი იბრძოდნენ რაჭის საერისთავოს აღდგენის წინააღმდეგ, რადგან ამ საერისთავოს მიწების დიდი ნაწილი მათ ჰქონდათ მითვისებული. მაგრამ უკმაყოფილების მთავარი მიზეზი იყო ელიზბარ ქსნის ერისთავის დაწინაურება იმერეთის სამეფო კარზე, მასთან ერთად კი ბერი წულუკიძის და პაპუნა წერეთლის დაქვეითება.

ტახტის მაძიებელი დავით არჩილის ძე და მისი მომხრეები ახალციხის ფაშასთან გაიქცნენ და დახმარება სთხოვეს. თვითონ მეფე 1785 წლის 16 მაისს ბურნაშოვისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: თავადებმა ისეთ დღეში ჩამაგდეს, რომ აღარც ღომი მაქვს

და აღარც ღვინო, ჩემი უმცროსი ძმა, დავითიც ამიმხედრეს და აღარ მემორჩილებიანო. იმერეთის სამღვდელოების და თავადების ერთი ნაწილი პროგრესულად ფიქრობდა. ისინი ერეკლესადმი გაგზავნილ წერილში ბერი წულუკიძეს და პაპუნა წერეთელს ადანაშაულებდნენ არეულობის მოწყობაში. ერეკლეს შვილიშვილიც მათი გავლენის ქვეშ მოექცა. მათ 1785 წლის შემოდგომაზე 1500 ლეკი გადმოიყვანეს ახალციხის საფაშოდან. მათთან ერთად იყო დავით არჩილის ძე ბორჩალოელთა რაზმით. ისინი სურამის გზით გადავიდნენ და რაჭა დაარბიეს. 1786 წ. 15 იანვარს დავით გიორგის ძემ სასტიკად დაამარცხა მოღალატე თავადების და ლეკების გაერთიანებული ჯარი.

ზურაბ სულაბერიძისგან განსხვავებით პროფესორი ვალერიან ვაჭარაძე ფიქრობდა, რომ ერეკლე მხარს უჭერდა თავის შვილიშვილის გამეფებას და, აქედან გამომდინარე, ხელს უწყობდა იმერეთში შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებას. ანალოგიურად ფიქრობდა შოთა ბურჯანაძეც. მისი აზრით, დავით გიორგის ძის ოპოზიციას მხარს უმაგრებდა ერეკლე, რომელიც მოითხოვდა თავისი შვილიშვილის გამეფებას და ამით ახალი მეფის პოზიციას ასუსტებდა (ბურჯანაძე, 1960:83). მიხეილ რეხვიაშვილს მიაჩნდა, რომ ერეკლე მხარს უჭერდა იმერეთში ვითარების სტაბილიზაციას.

ზურაბ დათუაშვილის აზრით, ეს საეჭვო მოსაზრება იყო. ვფიქრობთ, ამ ორი მოსაზრებიდან სიმართლესთან უფრო ახლოს ვალერიან მაჭარაძის და შოთა ბურჯანაძის ვარაუდი დგას. ერეკლე, ჩვენი აზრით, ,,კუნთებს ათამაშებდა“ დავით გიორგის ძის დასაშინებლად და შესაძლებლობას არ უშვებდა, რომ მისთვის საკუთარი უპირატესობა დაემტკიცებინა. მან კატეგორიულად მოითხოვა თავისი შვილიშვილისთვის გზის დანებება და დატყვევებული ბორჩალოელების გათავისუფლება (დათუაშვილი, 1993:31).

უფრო ადრე, 1784 წლის 9 ივნისს, პოლკოვნიკი ბურნაშოვი და ყოფილი კათალიკოსი მაქსიმე, იმერეთში გადავიდნენ, სადაც მათ ზეიმით შეხვდნენ. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ერეკლე თანახმა იყო დავით გიორგის ძის გამეფებაზე. მაქსიმეს კათალიკოსობა დაუბრუნეს (რეხვიაშვილი, 1989:286). დავით გიორგის ძის მოწინააღმდეგე თავადები ფიქრობდნენ, რომ მას რუსეთი დაეხმარებოდა, ამიტომ დაჟინებით ითხოვდნენ რუსეთთან კავშირის გაწყვეტას (რეხვიაშვილი, 1989:288), წინააღმდეგი იყვნენ რუსეთში ელჩების გაგზავნისა და მეფის ბურნაშოვთან კავშირისა.

იმერეთში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. თავადები დევნიდნენ მეფის კანონს, მის ნაცვლად ამკვიდრებდნენ ძალმომრეობას. რუსეთის და მოღალატე თავადების ინტერესი ერთმანეთს დაუპირისპირდა, რადგან რუსეთმა მხარი დაუჭირა დავით გიორგის ძეს, როგორც იმერეთში წესრიგის დამცველს. მეფის ძალაუფლებას და ეკლესიას დაუპირისპირდნენ ურჩი თავადები და ოსმალები (ბურჯანაძე, 1960:85-87). განდგომილი თავადები დაუკავშირდნენ დავით არჩილის ძეს, რომელსაც მხარს უჭერდა ერეკლე. ე.ი. სამკუთხედი ერეკლე, დავით არჩილის ძე და იმერეთის მეამბოხე თავადები მთლიანად მიმართული იყო დავით გიორგის ძის წინააღმდეგ.

ახალციხიდან თბილისში დაბრუნებულმა დავით არჩილის ძემ იმერეთის მამულების დაბრუნებაში დახმარება ქართლ-კახეთის მეფეს სთხოვა. მისი აზრით, ურიგო არ იქნებოდა, თუ ერეკლე დავით გიორგის ძესთან მოსალაპარაკებლად რომელიმე ბატონიშვილს ან კათალიკოსს გაგზავნიდა. ერეკლემ იმერეთში შვილიშვილი, იოანე გიორგის ძე გაგზავნა, რომელიც ახალი დაქორწინებული იყო ზურაბ წერეთლის ასულზე (სულაბერიძე, 2001:120) და მოითხოვა, რომ დავით არჩილის ძისთვის დაებრუნებინათ იმერეთის მამულები, რომელიც ეკუთვნოდა მამუკა ბატონიშვილს, გადაეცათ მისთვის დამატებითი სამი ციხე და გამოეცხადებინათ ის ტახტის მემკვიდრედ, მითუმეტეს, რომ ასეთი იყო განსვენებული სოლომონ მეფის სურვილი. ბერი წულუკიძის შემდეგ ზურაბ წერეთელთან ერეკლეს დანათესავება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ეს უკანასკნელი დავით გიორგის ძის წინააღმდეგ მიზანმიმართულად მოქმედებდა და მოკავშირეებად ირჩევდა იმერეთის მეფის მოწინააღმდეგეებს.

დავით გიორგის ძემ ერეკლეს მოთხოვნა უსიტყვოდ შეასრულა. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ზურაბ სულაბერიძის მოსაზრებას იმერეთის საკითხთან მიმართებით ერეკლეს ნეიტრალური პოზიციის შესახებ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველო არ ყოფილა რუსეთის ან აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ანტიოსმალური კოალიციის ოფიციალური წევრი, მაგრამ თავისი ბრძოლით ის დიდ დახმარებას უწევდა რუსეთს, უკრაინას და პოლონეთს, რომელთა ინტერესებიც შავი ზღვის აუზში ერთიანდებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე სულთნის ხელისუფლებას არ აწყობდა იმერეთის ტახტზე რუსული

ორიენტაციის მქონე მეფის ყოფნა და ენერგიულად დაიწყო მოქმედება მის შესაცვლელად. სოლომონ I-ის შემდეგ იმერეთში ერეკლეს შვილიშვილის გამეფება რუსეთის გამარჯვება იქნებოდა, ამიტომ უნდოდა სულთანს ქაიხოსრო აბაშიძის გამეფება. ოსმალეთი აბაშიძის გამეფების მცდელობით იმერეთში მტერს იმრავლებდა, რუსეთი კი ჭკვიანურად იქცეოდა და დავით გიორგის ძეს უჭერდა მხარს, როგორც სოლომონ I-ის კანონიერ მემკვიდრეს (სოსელია, 1981:171-172).

2. 2. იმერეთის სამეფოს ურთიერთობა ოსმალეთთან

იმერეთში საშინაო ვითარების დამშვიდებას საშველი არ დაადგა. სამეფო აჯანყების და სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე იდგა. თავი იჩინა ანარქიის და შფოთის ნიშნებმა. ვითარების დაძაბვას ხელი მეფის არათანმიმდევრულმა მოქმედებამაც შეუწყო. არსებობდა იმერეთში ოსმალური ინტერვენციის საფრთხე. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ როგორ ურთიერთობას დაამყარებდა დავით გიორგის ძე მეზობელ ქვეყნებთან.

დასავლეთ საქართველოში ვითარების გაუარესების შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ხელსაყრელი დრო დადგა იმერეთის მეფის შესაცვლელად. ამ საქმისთვის შესაფერისად მიიჩნიეს ქაიხოსრო აბაშიძე, რომელიც შვილიშვილი იყო იმ გიორგი აბაშიძისა, რომელიც ადრე მეფობდა იმერეთში. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ის ოსმალეთში გაიქცა და გამეფების შემთხვევაში თავის მფარველებს ხარკის სახით ყოველწლიურად 190 ბავშვის მიცემას დაპირდა, იმერეთის თავადებს კი იმ მდგომარეობის აღდგენას შეპირდა, რომელიც მამამისის, ლევან აბაშიძის, დროს იყო, ე.ი. თავადების ძალმომრეობისა და ტყვეთა სყიდვის განახლებას. სულთანმა მას მეფედ დამტკიცების ფირმანი მისცა, 12000-იანი ჯარი გამოაყოლა და იმერეთში გამოუშვა. ოსმალეთის გააქტიურება იმ დიპლომატიურმა და სამხედრო მარცხმა გამოიწვია, რომელიც მან რუსეთთან დაპირისპირების დროს განიცადა. დასავლეთ საქართველოც ხელიდან ეცლებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად. სტამბოლში მიხვდნენ, რომ დაყოვნების დრო აღარ იყო. მითუმეტეს, რომ იმერეთის ახალი მეფე აშკარად აცხადებდა თავის რუსულ ორიენტაციას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავით გიორგის ძის დაახლოება რუსეთთან მის მოწინააღმდეგე თავადებს არ მოსწონდათ, რადგან სამართლიანად შიშობდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლება იმერეთის მეფეს დაუჭერდა მხარს. ისინი მეფეს ბურნაშოვთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტისკენ მოუწოდებდნენ, წინააღმდეგი იყვნენ მეფის ელჩების გაგზავნისა რუსეთში (დუბროვინი, 1886:67). პაპუნა წერეთელი დაუფარავად ეუბნებოდა ვიტენბერგს, რუსეთის წარმომადგენელს იმერეთში, რომ მეფე თავადებთან შეთანხმების გარეშე მართავდა მოლაპარაკებას ბურნაშოვთან. ამის საპასუხოდ კი მათ ტახტზე დავით არჩილის ძის აყვანა ჰქონდათ გადაწყვეტილი (დუბროვინი, 1886:66).

ახალციხის სულეიმან-ფაშა წერილებს უგზავნიდა იმერეთის მეფეს, ახსენებდა მას, რომ იმერეთი ოსმალეთის ვასალი იყო და მორჩილებისკენ მოუწოდებდა. მეფე დუმილით პასუხობდა მის წერილებს. ფაშა მითითებებს იღებდა სტამბოლიდან, რომ ფული არ დაეზოგა იმერეთში ქაიხოსროს გასამეფებლად, რომელიც 1784 წ. შემოდგომაზე 12000-იანი ჯარით იმერეთისკენ დაიძრა. დასაწყისში მან დადიანის და გურიელის გადაბირება გადაწყვიტა, მათ წერილი გამოუგზავნა, სადაც ამბობდა, რომ მისი გამეფება ოსმალეთის უმაღლესი ხელისუფლების სურვილით ხდებოდა. სულთანი დადიანს და გურიელს მორჩილებისაკენ მოუწოდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი საქრისტიანოს დამხობით იმუქრებოდა (მაჭარაძე, 1968:115-116). მსგავსი შინაარსის წერილები აბაშიძემ იმერეთის სხვა თავადებსაც გაუგზავნა. ყველა ამ წერილმა იმერეთის მეფის ხელში მოიყარა თავი. აღნიშნული წერილები დავით გიორგის ძემ პაველ პოტიომკინს გაუგზავნა.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა გიორგი გურიელის პოზიცია. რომელმაც წერილები გაუგზავნა ახალციხის სულეიმან ფაშას და ტახტის მაძიებელ ქაიხოსროს. ფაშას აფრთხილებდა, აბაშიძე მეფური წარმოშობის არ არის და მე და დადიანი მხარს არ დავუჭერთო. ქაიხოსროს კი წერდა, შენ მეფე ვერ გახდები, ხალხი კი ტყუილუბრალოდ დაიხოცებაო. რუსეთი შეაშფოთა ოსმალეთის გააქტიურებამ და სტამბოლში ელჩ ბულგაკოვს მითითება მიეცა, რომ ეს საკითხი მსჯელობის საგნად ექცია სულთნის ხელისუფლებასთან, რათა ამ უკანასკნელს მის გადაწყვეტამდე თვითნებურად არაფერი მოემოქმედებინა. ელჩმა ეკატერინე II-ის მითითებაც კი მიიღო, რომლითაც იმპერატორი ავალებდა მას, რომ წინააღმდეგობა გაეწია ოსმალეთის სურვილისათვის საკუთარი შეხე-

დულებით შეეცვალა იმერეთის მეფე-მთავრები. ბულგაკოვმა გააფრთხილა ოფიციალური სტამბოლი, რომ იმერეთის საწინააღმდეგო მოქმედება რუსეთის მტრობად ჩაითვლებოდა (ჩხატარაიშვილი, 1964:138). თუ ოსმალეთი აბაშიძის ავანტიურას განახორციელებდა, მაშინ რუსეთი მასთან დადებულ ზავს გააუქმებდა. მაგრამ ამ გაფრთხილებამდე აბაშიძე 6000-იანი ჯარით გურიაში შეიჭრა. მტერმა ირგვლივ ყველაფერი ააოხრა და ოზურგეთამდე მიაღწია. დავით გიორგის ძე 4000-იანი ჯარით გურიელის მისაშველებლად წავიდა და დახმარება პოტიომკინსაც სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ. მეფემ მაინც გაავრცელა ყალბი ხმები, რომ თითქოს მის დასახმარებლად რუსები მოდიოდნენ და თვითონაც შეტევისთვის მოემზადა. ოსმალო ინტერვენტები დაფრთხნენ, ნაწილმა ფოთის ციხეს შეაფარა თავი, ნაწილი კი ქაიხოსრო აბაშიძესთან ერთად ტრაპიზონში გაიქცა თანაც ისე სწრაფად, რომ აღჭურვილობა, ცხენები და 1400 თოფი გურიაში დატოვეს.

მტრის წინააღმდეგ მეფის მხარდამხარ იბრძოდნენ დადიანი, გურიელი, იმერეთის თავადობა და გლეხობა. სწორედ მათი დახმარებით მოხერხდა საგარეო საფრთხის მოგერიება.

ოსმალეთი დიპლომატიური გზითაც ცდილობდა დავით გიორგის ძის გადაბირებას. 1784 წელს სულეიმან-ფაშამ სამი წერილი გაუგზავნა დავით მეფეს, მას ხან ძმას ეძახდა, ხან-შვილს და წინადადებას აძლევდა, რომ წერილობით ეთხოვა ოსმალეთის მფარველობა, ე.ი. მიეღო ისეთივე ფირმანი, როგორიც მიიღო სოლომონ I-მა, ასევე სთხოვდა იმერეთის მეფეს, რომ ფაშასთან გაეგზავნა ვინმე ,,გონიერი“ კაცი, რომელთანაც ყველაფერზე მოილაპარაკებდნენ. დავით მეფემ კი არც ფირმანი ითხოვა და არც ,,გონიერი“ კაცი გაგზავნა, ამის გამო ფაშა ერთობ უკმაყოფილო იყო (ლორთქიფანიძე, 1940:68). 1785 წელს სულეიმან-ფაშას სახელით სელიმ ყიფიანი დახმარებას ჰპირდებოდა იმერეთის მეფეს დავით არჩილის ძის წინააღმდეგ, თუ იმერეთის მეფე მფარველობის თხოვნას გაუგზავნიდა სულთანს. დავით გიორგის ძემ კი ამის სანაცვლოდ ერთი ულაყი და შევარდენი გაგზავნა საჩუქრად ახალციხეში (ლორთქიფანიძე 1940:69).

სტეპან ბურნაშევის აზრით, ფაშა ორივე დავითს ჰპირდებოდა დახმარებას (რეხვიაშვილი, 1982:222).1785 წლის 23 მაისს დავით არჩილის ძის მომხრე ბერი წულუკიძემ ახალ-

ციხის ფაშას აჩუქა განჯელი ურიები. სანაცვლოდ 1786 წელს ფაშა საფაშოს და ლეკთა გაერთიანებული ჯარით დავით არჩილის ძეს დაეხმარა (ლორთქიფანიძე, 1940:69).

როგორც ვხედავთ, იმერეთის მეფე მაქსიმალურად არიდებდა თავს ახალციხის ფაშასთან, მისი სახით კი ოსმალეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით მის მეტოქეზე. როდესაც დავით არჩილის ძე დახმარებისთვის ახალციხეში მივიდა, ფაშამ ის არზრუმში გაგზავნა, სადაც ქაიხოსრო აბაშიძესთან ერთად იმყოფებოდა. ოსმალეთმა მათ საზრდო გაუჩინა არზრუმის ბაჟიდან, ე. ი. მზადდებოდა დავით გიორგის ძის ტახტიდან ჩამოგდება. ნიკოლოზ ბერძენიშვილის ცნობით, ფაშამ ახალციხეში მყოფ ლეკებს დავით გიორგის ძის გადაგდება და დავით არჩილის ძის გამეფება უბრძანა (ბერძენიშვილი, 1967:187). იმერეთის მეფე რუსეთის ერთგულების გამო უნდა დაესაჯათ. მისი მცდელობა ჩრდილოელ მეზობელთან დაახლოებისა იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა სულეიმან ფაშასთვის, რომ ის იმერეთში საკუთარი მტრის, ერეკლეს, შვილიშვილის გამეფებაზეც კი დათანხმდა.

2. 3. იმერეთის ურთიერთობა რუსეთთან

ოსმალური აგრესიის საფრთხემ რუსეთ-იმერეთის დაახლოება დააჩქარა. დავით გიორგის ძე დიპლომატიურ ასპარეზზე საკმაოდ აქტიურობდა. ჯერ კიდევ 1784 წლის 31 სექტემბერს მეფემ ელჩობა გაგზავნა რუსეთში მაქსიმე კათალიკოსის, სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის და მდივანბეგ დავით კვინიხაძის შემადგენლობით (რეხვიაშვილი, 1982 :188). წერილში, რომელიც მეფემ პოტიომკინს გაუგზავნა, გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მეზობლები მას დასცინოდნენ, რადგან რუსეთი, ფაქტიურად, არ ეხმარებოდა იმერეთს, რომელიც ჯიუტად ცდილობდა მისი მფარველობის მიღებას.

ელჩების გამგზავრების თარიღის დადგენისას მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ნიკოლაი დუბროვინი ფიქრობდა, რომ ელჩებმა 1784 წლის აგვისტოში დატოვეს იმერეთი და 25 დეკემბერს ჩავიდნენ პეტერბურგში. შოთა ბურჯანაძე ამ ცნობას ეყრდნობოდა და ფიქრობდა, რომ ელჩები 1784 წლის აგვისტოში გაემგზავრნენ იმერეთიდან. ოლგა მარკოვა კი ელჩების გამგზავრების თარიღად 1784 წლის ოქტომბერს ასახელებდა (Маркова, 1966:198). ზურაბ სულაბერიძე არ ეთანხმებოდა მათ მოსაზრებას და ფიქ-

რობდა, რომ რადგან ელჩებმა წაიღეს იმერეთის მეფის და დიდებულების თხოვნა რუ-სეთის იმპერატორისადმი, რომელიც დათარიღებულია 1784 წლის 15 სექტემბრით, მათი გამგზავრება 15 სექტემბრის შემდეგ უნდა მომხდარიყო (სულაბერიძე, 2001:96). დავით მეფემ და დავით არჩილის ძემ ერთდროულად გაუგზავნეს წერილები ეკატერინე II-ს. მეფის წერილზე ხელს აწერდა ქუთაისის მიტროპოლიტი დოსითეოსი, დავით არჩილის ძის წერილზე კი - მისი ნათლია, მაქსიმე კათალიკოსი. ე. ი. მაქსიმე გადავიდა იმერეთში, დაიბრუნა კათალიკოსის ხარისხი და ამის შემდეგ დაიწერა ეს წერილები. მეფის წერილი დათარიღებულია 1784 წლის მაისით, დავით არჩილის ძის წერილი -1784 წლის 15 სექ-ტემბრით. გამოდის, რომ ორ დავითს შორის შეთანხმებას დავით გიორგის ძის გამეფე-ბაზე 4 თვე დაჭირდა.

ის, რომ დავით არჩილის ძის წერილი სექტემბერშია დაწერილი და არა აპრილში, როგორც ალექსანდრე ცაგარელი ფიქრობდა, იმითაც დასტურდება, რომ მაქსიმემ რუ-სეთში კაცია დადიანის იმავე წლის 2 სექტემბრით დათარიღებული წერილიც წაიღო. ვფიქრობთ, ბოლო ორი მოსაზრება უფრო სანდოა, მაგრამ ძნელია დაზუსტებით თქმა, ოლგა მარკოვას ვარაუდი უფრო სწორია, თუ ზურაბ სულაბერიძის, რადგან, რუსი მეც-ნიერის მიერ დასახელებული თარიღიც 15 სექტემბრის შემდეგ მოდის.

ელჩობას ორი საკითხი უნდა მოეგვარებინა:

1) რუსეთის მხარეს ლეგიტიმურად ეცნო დავით გიორგის ძის გამეფება,

2) იმერეთს მიეღო რუსეთის მფარველობა.

იმავე წლის 29 დეკემბერს ელჩები ეკატერინე II-მ მიიღო. პარალელურად რუსეთმა განუცხადა ოსმალეთს, რომ იმერეთი რუსეთის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის მოსაზღვრე ქვეყანა იყო და იქ კანონიერი მეფის ჩამოგდება და არეულობა მისთვის მიუღებელი იყო. საპასუხოდ სულთნის ხელისუფლებამ მოიშველია ქუჩუკ-კაინარჯის ზა-ვის ხელშეკრულების 23-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველო მის ქვეშერდომად იყო აღიარებული. რუსეთის აქტიური ჩარევის შედეგად ოსმალეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ის არ აპირებდა კანონიერი მეფის ტახტიდან ჩამოგდებას, მაგრამ ითხოვდა, რომ იმერეთის მეფეს სამეფო რეგალიები მისგან მიეღო, ეს კი ოს-მალეთის ხელქვეითობას ნიშნავდა (ბერძენიშვილი, 1973:745). საკითხი მოუგვარებელი

დარჩა, თუმცა, რუსეთმა აიძულა სულთნის ხელისუფლება უარი ეთქვა იმერეთში თავისი კანდიდატის გამეფებაზე (რეხვიაშვილი, 1989: 292).

პეტერბურგში იმერეთის მეფის ელჩობისთვის კონკრეტული პასუხის გაცემას არ ჩქარობდნენ. ზურაბ წერეთელმა, იმ მიზნით, რომ გაზრდილიყო ინტერესი დასავლეთ საქართველოს მიმართ, გრიგოლ პოტიომკინს ასეთი გეგმა შესთავაზა: თუ რუსეთი გაავრცელებდა თავის გავლენას დასავლეთ საქართველოზე, ის შეძლებდა ციხისძირში ნავსადგურის აშენებას. აქედან კი შეიძლებოდა გაბატონება იმერეთ-გურია-სამეგრელო-აფხაზეთზე. ამ ადგილის დასახლება შეიძლებოდა ანატოლიიდან გადმოყვანილი ბერძნებით. აქედან ყირიმამდე გემი ორ დღეში მივიდოდა. ციხისძირში რუსების გამაგრებით ოსმალები იძულებულები გახდებოდნენ დაეტოვებინათ ფოთის, ბათუმის და ჩაქვის ციხეები, რუსები დაიკავებდნენ ბათუმი-ფოთი-ჩაქვის ხაზს და აღკვეთდნენ მტრის შესაძლო ინტერვენციას ახალციხის საფაშოდან დასავლეთ საქართველოში. გარდა ამისა, რუსებს შეეძლოთ აქედან სტრატეგიული ნედლეულის გატანა. ეს გეგმა ჯერ კიდევ სოლომონ I-მა შესთავაზა რუსებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში ფიქრობდნენ: ,,საღ პოლიტიკას სავსებით ეწინააღმდეგება, დავკმაყოფილდეთ იმ დიდებით, რომ იმერეთი ჩვენ მფარველობაშია, მის დასაცავად ხელი გამოვიღოთ და ძალა გავლიოთ“ (Цагарели, 1891:41). ასეთი იყო რუსეთის დამოკიდებულება იმერეთის მიმართ ჯერ კიდევ XVIII ს-ის 60-იან წლებში. ის არც დავით გიორგის ძის დროს შეცვლილა. შოთა ბურჯანაძის აზრით, ზურაბ წერეთლის გეგმა შეთანხმებული არ ყოფილა დავით გიორგის ძესთან და ელჩის ზედმეტი აქტიურობა იყო გაგრძელება იმ დაპირისპირებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმერეთის მეფესა და მის მოწინააღმდეგე თავადებს შორის. პაპუნა წერეთლის ძმაც მათ რიცხვს ეკუთვნოდა (ბურჯანაძე, 1960:93).

სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, ამ გეგმის რუსული მხარისთვის შეთავაზებით მას იმერეთის ინტერესის საწინაამდეგო არაფერი ჩაუდენია. გრიგოლ პოტიომკინი პასუხის გაცემას აგვიანებდა, ელჩების ცივად უკან გამობრუნებასაც მიზანშეუწონლად თვლიდნენ პეტერბურგში. ამიტომ მათ მდიდრულად ასაჩუქრებდნენ და დაპირებებსაც უხვად აძლევდნენ. ეკატერინე II-ს პასუხის გასაცემად 9 თვე დაჭირდა. 5 ოქტომბერს მან

უარი თქვა იმერეთის მფარველობაში მიღებაზე, თუმცა, დავით მეფეს ანდრია პირველწოდებულის ორდენი და საჩუქრები გაუგზავნა, თან ურჩია, რომ ურთიერთობა ჰქონოდა გრიგოლ პოტიომკინთან, რომელიც კავკასიის და შავი ზღვის ხაზის მთავარსარდალი იყო. დაახლოებით ერთი წელი იყვნენ ელჩები პეტერბურგში, რომ ეს პასუხი მიეღოთ. რუსეთის მფარველობაში ყოფნა ქართული სამეფოებისთვის დიდი შვება არ იყო, რადგან რუსეთი აქტიურად არ მოქმედებდა მათი ინტერესების დასაცავად, მაგრამ უკეთესი არჩევანი, უბრალოდ, არ არსებობდა. 1785 წელს ოსმალთა წაქეზებით ლეკებმა ააოხრეს ქართლ-კახეთი, რუსეთმა კი მის მფარველობაში მყოფ ერეკლეს ვერ (ან არ) უშველა, არც ჯარი გამოუგზავნა და ერეკლეს მოთხოვნილი 30000 მანეთის ნაცვლად 4000 მანეთით დაეხმარა. ახალციხის ფაშა პირდაპირ ეუბნეოდა ერეკლეს, რომ თუ მას მშვიდობა უნდოდა, რუსეთის ჯარი შორს უნდა ყოფილიყო ქართლ-კახეთის საზღვრებიდან და ის აღარ უნდა გაზრდილიყო არც ერთი ჯარისკაცით (რეხვიაშვილი, 1982:190). ფაშა დაჟინებით მოითხოვდა ერეკლესგან რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას. ასეთ ვითარებაში რუსეთი ვერ აიყვანდა მფარველობაში ოსმალეთის ვასალ იმერეთს. ამიტომაც გააჩერეს იმერეთის მეფის ელჩები ამდენ ხანს რუსეთში. ისინი 1786 წლის ბოლოს, ე.ი. იმერეთიდან წასვლიდან 2 წლის შემდეგ ცარიელი დაპირებებით დაბრუნდნენ საქართველოში. მაქსიმე კათალიკოსი რუსეთში დარჩა გრიგოლ პოტიომკინთან კავშირის დასამყარებლად. რუსეთი საერთაშორისო ვითარების შეცვლას ელოდა და ჯერჯერობით არ აპირებდა იმერეთის მფარველობაში მიღებას, მან მხოლოდ ფუჭი დაპირებები მისცა იმერეთის ელჩებს.

საჭიროდ ჩავთვალეთ წინ გავუსწროთ მოვლენებს და უფრო ვრცლად ვისაუბროთ აფხაზ-იმერთა კათალიკოსის რუსეთში ყოფნაზე, რომელიც ათი წელი გაგრძელდა, რათა უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას დასავლეთ საქართველოს უკანასკნელ კურთხეულ პატრიარქზე.

1787 წლის მარტში მაქსიმემ სთხოვა პოტიომკინს, რომ მისთვის რუსეთში დარჩენის ნება მიეცათ, რადგან ფიქრობდა, რომ აქედან უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა იმერეთს. შოთა ბურჯანაძის აზრით, ბესიკმა 1787 წლის ელჩობის დროს მოზდოკში ნახა მაქსიმე (ბურჯანაძე, 1960:94). კათალიკოსი იმავე წლის 12 ივლისს პოტიომკინს წერდა, რომ

მას და იმერეთის ახალ ელჩს, ბესარიონ გაბაშვილს ისეთი საიდუმლო საქმე ჰქონდათ, რომ სხვას ვერ გაუმხელდნენ და საჩქაროდ ითხოვდა მასთან შეხვედრას (ლორთქიფანიძე, 1940:90). მოგვიანებით ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი მაქსიმე რუსეთის იმპერატორს დახმარებას სთხოვდა ბიჭვინთის საკათალიკოსო ტაძრის აღდგენაში. ის დიდ ყურადღებას უთმობდა აფხაზეთის იმერეთთან დაახლოებას და რუსეთში ახალი ელჩის რანგში მყოფ ბესიკისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ რუსული ორიენტაციის მიღება აფხაზეთისთვის დიდად საჭირო იყო.

დავით გიორგის ძის მიერ გაგზავნილი პირველი ელჩობის დროს კათალიკოსი, როგორც ვხედავთ, დიპლომატიურთან ერთად საეკლესიო საკითხების მოგვარებაზეც მუშაობდა. ის ცდილობდა, რომ იმერეთისთვის და აფხაზეთისთვის რუსეთის მფარველობა მიეღო (სულაბერიძე, 2010:80), ამით ის დიდი ქართული საქმის გაკეთებას ცდილობდა. საქმე ეხებოდა აფხაზეთის გაქრისტიანებას. XVIII ს-ში აფხაზეთის კავშირი ქართულ სამყაროსთან შესუსტდა, მოსახლეობის ეთნოსი შეიცვალა, გავრცელდა მაჰმადიანობა, მიუხედავად იმისა, რომ სამთავროს ენა ქართული იყო, ხოლო შარვაშიძეები ქართველ დიდებულებად ითვლებოდნენ. (ძიაპშპებისგან განსხვავებით -კ. გლოველი).

აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში კათალიკოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბიჭვინთის საეკლესიო ტაძრის აღდგენას, რომლის ირგვლივაც უნდა დაწყებულიყო ეს პროცესი. 1787 წლიდან მაქსიმე ახალ ელჩთან, ბესარიონ გაბაშვილთან, ერთად აგრძელებდა დიპლომატიურ საქმიანობას. ისინი თავგამოდებით ცდილობდნენ აფხაზეთის მხრიდან რუსული ჯარის შემოყვანას, აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლებას და ერთიანად რუსეთის მფარველობაში შესვლას. აფხაზეთით რუსეთის დაინტერესების გაზრდის მიზნით მაქსიმემ ყურადღება გაამახვილა ყუბანის საკითხზე და მიანიშნა რუსეთის ხელისუფლებას, რომ აფხაზეთის და ყუბანის გაერთიანება კარგ შედეგს არ მოიტანდა მისთვის, სამაგიეროდ, საფრთხე აღმოიფხვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთს იმერეთის სამეფოს შეუერთებდნენ (გამახარია, 2005:327).

სამწუხაროდ, ელჩთა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. იმედგაცრუებული კათალიკოსი 1792 წლის 27 ივლისს სამეგრელოს სამღვდელოებას წერდა, რომ რუსეთში იგი

დარჩა: ,,ამ მიზეზით, შავი ზღვის პირებზედ რომ ჯარი წამოვიდა, სათუოდ არა მქონდა ანაფიას (ანაპა) აღების შემდეგ აფხაზეთში და იმერეთში მოვლენ. ანაფია რომ აიღეს (1791 წლის 22 ივნისს)... მე ამას ვემზადებოდი, რაც იმ ჩვენს საყდარს (ბიჭვინთას) ეჭირ-ვებოდა, სულ ხელმწიფეს მოვახსენებ და წყალობას ვთხოვ...“, მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა. გულნატკენი კათალიკოსი ამბობდა: ,,საუკუნო ტკივილი დაშთა სულსა შინა ჩემსა“ (გამახარია, 2005:339). მაქსიმე ვერ ეღირსა დასავლეთ საქართველოს აფხაზეთ-თან ერთად გაერთიანებას, ოსმალეთისგან მის გათავისუფლებას და ბიჭვინთის საკა-თალიკოსო საყდრის აგებას, თუმცა თავის შემდგომ კათალიკოსს მთავარ ამოცანად სწორედ აფხაზეთის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა და ბიჭვინთის საკათალიკო-სო ტაძრის აღდგენა დაუსახა (ქორიძე, 2000:170).

სალოცავად მიმავალი მაქსიმე კიევში გარდაიცვალა, დაკრძალეს კიევ-პეჩორის ლავრაში. სიკვდილამდე მან კიევში ანდერძი შეადგინა, რომლის მიხედვითაც თავისი ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგა, თანხის ნაწილი კიევ-პეჩორის ლავრის ძმობას და-უტოვა. კათალიკოსის მიტრა ოქროს პანაღიას ხატის გამოსახულებით და ოქროთი და-ფენილი ღვთისმშობლის პანაღია ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძარს უნდა გადაცემოდა. მისი ანდერძი ნაწილობრივ შესრულდა. მისი პანაღიები და მიტრა XX ს-ის 20-იან წლე-ბამდე ამავე ლავრაში თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოფენილი. რუსეთში ის იმერეთის კათალიკოსად იწოდებოდა, ჰქონდა მიტრის ტარების უფლება, მაგრამ წირვა-ლოცვის დროს ადგილი მეორე კლასის ეპისკოპოსის შემდეგ უნდა დაეკავებინა.

საერთაშორისო ვითარების შეცვლასთან ერთად უფრო აქტიური ხდებოდა ოსმალე-თის მოქმედება. 1786 წელს ფოთში 40, ხოლო ბათუმში 30 ზარბაზანი შეიტანეს, 35000 თურქი ტრაპიზონთან იყო თავმოყრილი იმერეთში შემოსაჭრელად, ახალციხიდან ისევ იმუქრებოდნენ ლეკები. არზრუმის ფაშამ 1786 წელს ერეკლეს რუსეთთან კავშირის გაწ-ყვეტა მოთხოვა და პასუხის მოსაფიქრებლად ექვსი თვე მისცა. ქართლ-კახეთის მეფემ დახმარებისათვის პოტიომკინს მიმართა, თუმცა უშედეგოდ. მათ მხოლოდ პროტესტი გამოუცხადეს ახალციხის სულეიმან ფაშას. ასეთი იყო ვითარება, როცა ოსმალეთმა 1787 წლის 15 აგვისტოს ომი გამოუცხადა რუსეთს.

ერეკლესა და ოსმალეთის ურთიერთობის დეტალებზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღებას, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს საფრთხე, რომელიც დასავლეთ საქართველოს ემუქრებოდა. თუ ოსმალეთი ულტიმატუმის ენით ესაუბრებოდა რუსეთის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის მეფეს, ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა ურთიერთობის ფორმა დასავლეთ საქართველოსთან და დავით გიორგის ძესთან.

იმერეთის მეფისთვის რუსეთის მფარველობა და იმერეთის ქვეშევრდომობა წარმოადგენდა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს კავშირს (ბურჯანაძე, 1960:97). რუსეთი კი სხვაგვარად ფიქრობდა, მისთვის იმერეთის მფარველობა ან ქვეშევრდომობა მისი რუსეთის პროვინციად გადაქცევას ნიშნავდა. დავით გიორგის ძე იმერეთის მეფისთვის თვითმპყრობელობის უფლების შენარჩუნებას ითხოვდა. მოგვიანებით სოლომონ II-მ ეს პუნქტი ამოიღო და მხოლოდ მეფის ტიტულის შენარჩუნებისთვის იბრძოდა.

2.4 ბესიკის ელჩობა რუსეთში

იმერეთის ახალმა მეფემ არასწორად შეაფასა საგარეო ვითარება. მისი წინა ელჩობა 2 წელი იყო რუსეთში და სამშობლოში ხელცარიელი დაბრუნდა. ამის შემდეგ დავით გიორგის ძემ ახალი ელჩი, ბესარიონ გაბაშვილი გაგზავნა რუსეთში. ბესიკს ორი წელი აცდევინეს კრემენჩუგში და 1789 წლის ძლივს ჩავიდა პეტერბურგში (ცინცაძე, 1960:292-293). ამ ელჩობასთან და მის შედეგებთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერებს შორის, აზრთა სხვადასხვაობაა. პროფესორი ვალერიან მაჭარაძე ფიქრობდა, რომ ელჩობის მიზანი იყო იმ ამოცანის მოგვარება, რომელიც წინა ელჩობამ მაქსიმე კათალიკოსის, დავით კვინიხაძის და ზურაბ წერეთლის შემადგენლობით ვერ მოაგვარა. ეს იყო იმერეთის რუსეთის მფარველობაში შესვლა (მაჭარაძე, 1968:147). პროფესორი ავთანდილ იოსელიანი ფიქრობდა, რომ 1787 წელს ოსმალეთი განსაკუთრებით გააქტიურდა და იმერეთის მეფემ ელჩი სამხედრო დახმარების სათხოვნელად გაგზავნა რუსეთში. იგი წერდა, რომ: ,,თურქებმა ჯერ კიდევ ომის გამოცხადებამდე (იგულისხმება 1787-1791 წლების ომი) დაიწყეს პროვოკაციულ საომარი მოქმედებანი დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ... ბესიკი, როგორც ელჩი და მეფის უახლოესი სანდო მოღვაწე, საგანგებო

დავალებით წარიგზავნა რუსეთში, რათა სამხედრო დახმარება ეთხოვა“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წლის 11 ნოემბერი).

ვფიქრობთ, რომ ელჩობის მიზანთან დაკავშირებით უფრო სანდოა ვალერიან მაჭარაძის მოსაზრება, რადგან ქვემოთ ჩამოთვლილი სათხოვარი პუნქტებიდან, რომელიც ბესიკმა რუსეთის წარმომადგენლებს მოგვიანებით გადასცა, პირველი სწორედ მფარველობის მიღებას შეეხებოდა. იმერეთის მეფე თავისი მთავარ მოთხოვნას ან სურვილს წერილის დასაწყისში მოახსენებდა რუსეთის ხელისუფლებას და არა ბოლოში.

1787 წელს გაგზავნილ ელჩობის შემადგენლობა შემდეგი იყო: ელჩი ბესარიონ გაბაშვილი (გაბაონოვი, ელჩის მოადგილე, მისი ბიძაშვილი, დათუკა გრძელიძე და ივანე მეგრელი. ელჩობა დაიწყო მაისის ბოლოს ან ივნისის დასწყისში, რადგან დავით მეფის წერილი, რომელიც პოეტ-ელჩს მიჰქონდა რუსეთში, დათარიღებულია 1787 წლის 29 მაისით (ბურჯანაძე, 1960:93-94). მოგზაურობის მარშუტი იყო: ქუთაისი-მამისონის უღელტეხილი-ეკატერინოგრადი-მოზდოკი-კრემენჩუგი-კიშინევი-იაში (იასი). თავის 1787 წლის 29 მაისით დათარიღებულ წერილში პაველ პოტიომკინისადმი იმერეთის მეფე თავაზიანი ფორმით გამოხატავდა გაკვირვებას იმის გამო, რომ წინა ელჩობის გაგზავნის შემდეგ მან რუსეთიდან პასუხი ვერ მიიღო. ის ფაქტიურად, ძველ წერილებზე ითხოვდა პასუხს. ბესიკი ჩავიდა ეკატერინოგრადში, მეფის წერილი გადაცა პაველ პოტიომკინს და იქიდან მოზდოკში წავიდა მაქსიმე კათალიკოსთან მოსალაპარაკებლად. მალე პაველ პოტიომკინმა ბესიკი კრემენჩუგში გაგზავნა გრიგოლ პოტიომკინთან. მათი შეხვედრა შედგა 16 სექტემბერს (სულაბერიძე, 2001:121). ელჩმა მას გადასცა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ითხოვდა შემდეგს:

1) დავით გიორგის ძე რუსეთის სამეფო კარს სთხოვდა იმერეთის მფარველობაში მიღებას და ისეთივე სამეფო ნიშნებს, როგორიც მიიღო ერეკლე II-მ,

2) იმერეთის დედოფალ ანასთვის ისეთივე პატივი მიეგოთ, როგორიც მიაგეს ერეკლეს მეუღლეს, დარეჯან დედოფალს.

3) სამეგრელო მიეღოთ რუსეთის მფარველობაში, ხოლო კაცია დადიანისთვის სამთავრო ნიშანი ან გერბი მიეცათ, მისი მეუღლისთვის კი ბეჭედი ან სხვა რამე ნიშანი.

4) დაჯილდოვდეს გურიელი და მიეცათ მისთვის წერილი და კავალერის ნიშანი, რადგან მას რუსეთის ერთგულებისთვის ოსმალები ხშირად ესხმოდნენ თავს, ის კი, როგორც ერთგული ქრისტიანი, შავი ზღვის სანაპიროს შეძლებისდაგვარად იცავდა მათი თავდასხმებისგან.

5) რუსეთის მთავრობამ ურჩიოს ქართველ მეფე-მთავრებს, ერეკლეს, დავით გიორგის ძეს, დადიანს, გურიელს, იმერ-ამერის სამღვდელოებას და მოსახლეობას, რომ დაიფიცონ რუსეთის ერთგულებაზე. ასევე ერთმანეთს შეჰფიცონ, რომ ურთიერთდახმარების ხელი გაუწოდონ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და არ ეცადონ ერთმანეთის დამდაბლებას (ამ პუნქტში ჩანს ქართველ მეფე-მთავრებს შორის 1790 წელს დადებული შეთანხმების იდეა).

6) დასავლეთ საქართველოდან ოსმალების განდევნის მიზნით, რუსეთმა ჯარი შეიყვანოს აფხაზეთში. ამაში დახმარების გაწევა შეეძლო დადიანს, რომელიც აფხაზეთში შესასვლელ გზას მისცემდა რუსთა ჯარს. შემდეგ იმერთა ჯარიც შეუტევდა და მტერს გააძევებდნენ სამთავროდან, ამის შემდეგ ადვილი იქნებოდა აფხაზეთის გაქრისტიანება.

7) იმერეთის სამეფო ითხოვდა სესხს, ოღონდ ისე, რომ რუსეთიდან გამოეგზავნათ სანდო კაცი, რომელსაც ექნებოდა ეს თანხა. თუ მას ჭკუაში დაუჯდებოდა ესა თუ ის საქმე, ფული დაეხარჯა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნუ დახარჯავდა, იმერეთის სამეფო კარს ამის საწინააღმდეგო არაფერი (მაჭარაძე, 1968:150-153).

გრიგოლ პოტიომკინი პასუხის გაცემას არ ჩქარობდა. ოსმალეთი იმერეთის კი არა, ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში მიღებასაც ვერ ეგუებოდა. საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ ვითარება, თითქოს, შეიცვალა. რუსეთს აწყობდა იმერეთის მოკავშირეობა ამ ომში, მაგრამ იმერეთის მეფის წინადადებას რუსეთში კვლავ დუმილით შეხვდნენ.

საქმე იმაში იყო, რომ ქართლ-კახეთიდან გაყვანილი ორი ბატალიონის უკან დაბრუნება დიდ შედეგს რუსეთისთვის ვერ მოიტანდა. დამატებითი ძალების შეყვანა დარიალის ხეობის გავლით სათუო იყო, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის მოწინააღმდეგე ძალები მეტისმეტად გააქტიურდნენ. მოსალოდნელი იყო, რომ ისინი ხეობას ჩაკეტავდნენ. რუსეთის ფლოტის მაშინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით არც

შავი ზღვიდან იყო ადვილი დასავლეთ საქართველოში ჯარის შეყვანა, ოსმალეთს კი აღმოსავლეთ პროვინციებიდან ადვილად შეეძლო ამიერკავკასიაში ჯარების გადასროლა. ომის მსვლელობის დროს ანატოლიიდან ბატალი ფაშას მეთაურობით დიდი ძალები გადაიყვანეს ყუბანის რაიონში, ამიტომაც არ აწყობდა რუსეთს იმერეთის ჩართვა ამ ომში, რადგან დასავლეთ საქართველო ისევ მისი დასახმარებელი გახდებოდა. ბესიკის მოთხოვნებზე პასუხიც ამიტომ იყო დუმილი.

მიხეილ წურწუმიას მოსაზრებით, ანაპის ციხე ჩრდილო კავკასიელთა მთავარი დასაყრდენი იყო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და 1787-1791 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთი დიდ ყურადღებას უთმობდა მის აღებას (წურწუმია, 2017: 213), რასაც ომის საწყის ეტაპზე ვერ ახერხებდა, საომარი მოქმედებები მისთვის არასასურველი მიმართულებით მიმდინარეობდა და ამიტომ ვერ აძლევდა კონკრეტულ პასუხს იმერეთის ელჩს, რომელიც, თავის მხრივ, გაკვირვებას ვერ მალავდა შექმნილი ვითარების გამო. მან წერილი გაუგზავნა პოტიომკინის კანცელარიის უფროსს. ბესიკის აზრით, ახლა საუკეთესო დრო იყო რუსთა და ქართველთა ერთობლივი მოქმედებისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ და არ ღირდა ამ მომენტის ხელიდან გაშვება. რუსეთის დუმილის მიზეზი კი იმერეთის ელჩმა, რასაკვირველია, არ იცოდა. უსაქმურობით დატანჯული ბესიკი თავის ბედს წყევლიდა, რომელმაც ის კრემინჩუგში მოიყვანა. მირიან ბატონიშვილისადმი გაგზავნილი წერილში, რომელიც მან ერეკლეს შვილს ელისავეტბერგში (კიროვოგრადში), გაუგზავნა, პოეტი აღნიშნავდა, რომ აქ სხვა ქვეყნების ელჩებიც მასავით უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი, ჭამა-სმის მეტს არაფერს აკეთებდნენ და დაბმული ღორებივით სუქდებოდნენ (მაჭარაძე, 1968:158). მიუხედავად იმისა, რომ ბესიკი ქართლ-კახეთიდან გაძევებული იყო, ერეკლეს ოჯახის წევრებთან მაინც მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა.

1789 წლის ივლის-აგვისტოში პოეტმა-ელჩმა იმერეთის მეფის წერილი მიიღო. დავით გიორგის ძეც ერთობ გაკვირვებული იყო რუსეთში მისი დაყოვნების გამო. რაც შეეხება იმერეთის ამბებს, მეფე ატყობინებდა თავის ელჩს აფხაზეთის მთავართან ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ, რომელიც გარდაცვლილი კაცია დადიანის ნაცვლად მისი უმც-

როსი შვილის, მანუჩარ დადიანის, (ლეონ შერვაშიძის სიძე) აყვანას სთხოვდა სამეგრელოს სამთავროს ტახტზე და იმერეთის მეფეს მდიდრული საჩუქრებიც მოართვა

1789 წლის შემოდგომაზე ბესიკი უკვე კიშინევში იყო, რადგან აქ არის დაწერილი მისი ახალი წერილი გრიგოლ პოტიომკინისადმი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმერეთის მეფისა და მაქსიმე კათალიკოსის მიერ გამოგზავნილი წერილები ელჩმა პირადად გადასცა პოტიომკინს, რადგან ამ წერილებს თავზე რუსულად აწერია ,,10 сентября, 1789“ (მაჭარაძე, 1969:169). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის წერილების პოტიომკინთან მიტანის დრო. ამავე წლის სექტემბერში დაწერა ბესიკმა თავის მოხსენებითი ბარათი გრიგოლ პოტიომკინისადმი, რომელიც შემდეგი პუნქტებისგან შედგებოდა:

1) იმერეთი ომს გამოუცხადებდა ოსმალეთს და რუსეთთან ერთად იბრძოლებდა მის დამთავრებამდე, მაგრამ რუსეთის მთავრობისგან ითხოვდა პირობას, რომ ომში დაპყრობილ მიწებს რუსეთი საქართველოს დაუკანონებდა.

2) ელჩი ითხოვდა ბრძანებას, რომ იმერეთი ჩაბმულიყო ომში, რადგან ეს იყო ომი ქრისტიანებისა მაჰმადიანების წინააღმდეგ და ქართველები ვალდებულად თვლიდნენ თავს ეომათ ქრისტიანი რუსების გვერდით.

3) თუ ადრე დავით გიორგის ძე შინაურ მტერთან ბრძოლაში ტახტის შენარჩუნებისთვის რუსებისგან დამხმარე ჯარს ითხოვდა, ახლა მეფე გაძლიერდა, ურჩი თავადები დაამარცხა, ჯარით დახმარება საჭირო აღარ იყო. საკმარისი იყო საჭურვლით (ანუ იარაღით) და დიპლომატიური დახმარება.

4) იმერეთის მეფე რუსეთის ერთგულებისთვის დაიმედებული იყოს რუსეთის მფარველობაში მიღებით და დაჯილდოვდეს ორდენით, ისე, როგორც მისი წინამორბედი სოლომონ მეფე.

5) აფხაზეთის საკითხი სასწრაფოდ უნდა მოგვარებულიყო იმერეთის და რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე.

ბესიკი ეჭვს გამოთქვამდა ერეკლე მეფის ელჩების პატიოსნებაში. მისი აზრით, ისინი იმერეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. რუსულად გადათარგმნილი ეს მოხსენება გრიგოლ პოტიომკინს 1789 წლის 17 სექტემბერს გადაეცა. ბესიკს დელიკატურად აგრძნობინეს იმერეთის მეფის სისუსტე. ზემოთ აღნიშნულ მოხსენებაში ამიტო-

მაც აღნიშნავდა ხაზგასმით ელჩი, რომ იმერეთის მეფე ახლა ძლიერია, მან დაამარცხა მოწინააღმდეგე თავადები, გარეშე მტერიც და მას აღარ სჭირდებოდა რუსეთის მხრიდან ჯარით დახმარება. ითხოვდა მხოლოდ იარაღს და დიპლომატიურ მხარდაჭერას.

ბესიკი ფიქრობდა, რომ ახლა, როცა რუსეთმა ომი გამოუცხადა იმერეთის საძულველ მტერს, ხოლო მისი ქვეყანა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ომში ჩართვას ითხოვდა და ამ სურვილს მაინც დუმილით ხვდებოდნენ, ყველაფერი ეს ერეკლეს და მისი დიპ-ლომატების ბრალი იყო და 1789 წლის 14 ოქტომბერს კიშინევში დაწერილ მოხსენებით ბარათში თავს ესხმოდა მათ. (მაჭარაძე, 1969:173). ელჩი იმერეთში გაშვებას ითხოვდა, რათა ჩამოეტანა მეფის წერილი და გრიგოლ პოტიომკინი თვითონ დარწმუნდებოდა მისი სიტყვების სიმართლეში. ბესიკმა, რომელიც იმერეთის მეფის 1789 წლის 14 ივნისის წერილის მიხედვით მოქმედებდა, არ იცოდა, რომ იმავე წლის ივლისში დავით გიორგის ძე ტახტიდან ჩამოაგდეს. სამაგიეროდ, ეს იცოდა რუსეთის დიპლომატიამ. ამიტომაც იყო პასუხი დუმილი. ერეკლეს დიპლომატების მტრობა კავშირში არ იყო ამ დუმილთან.

1790 წლის 9 იანვარს იმერეთის ელჩი იასაში (იასში) იყო და სამშობლოში გამოშვებას ითხოვდა. პოტიომკინი დაპირდა ამის გაკეთებას, მაგრამ დაპირება არ შეასრულა (რეხ-ვიაშვილი, 1982:204). ბესიკი აგრძელებდა ერეკლეზე და მის ელჩებზე თავდასხმას და პოტიომკინს სთხოვდა, რომ იმერეთიდან გამოგზავნილი წერილები მასთან გადაეთარ-გმნათ და არა კავკასიის ხაზზე, რადგან იქ შეიძლებოდა, რომ ერეკლეს ხალხს ამ წერი-ლების შინაარსი შეეცვალათ. განსაკუთრებული აგრესიულობით ელჩი გაიოზ არქიმან-დატს იხსენებდა. ის ვერ აცნობიერებდა, რომ რუსეთი დავით მეფის მოთხოვნას დაპყ-რობილი მიწების მისთვის დაკანონების შესახებ ვერ შეასრულებდა, რადგან 1768-1774 წლების გამოცდილებით კარგად იცოდა, რომ ევროპის ქვეყნები საზავო მოლაპარაკე-ბის დროს ოსმალეთს დაუჭერდნენ მხარს. ასეთ პირობებში დიპლომატიურ სარბიელზე იმერეთის მხარდაჭერა გაძნელდებოდა. ევროპა არ იყო დაინტერესებული ოსმალეთის დასუსტებით და მის ხარჯზე რუსეთის გაძლიერებით. გარდა ამისა, საფრანგეთის ბურჟუ-აზიულმა რევოლუციამ, რომელმაც შეარყია ბურბონთა სამეფო ტახტი, ევროპის და რუ-სეთის მონარქებს ბევრი საზრუნავი გაუჩინა. ასეთ ვითარებაში პატარა, სუსტი იმერეთის-

თვის თავის მართლება ევროპელი დიპლომატების წინაშე რუსეთისთვის არ იყო მომგებიანი.

1789 წელს ბესიკმა კიდევ ერთი მოხსენებითი ბარათი შეადგინა პოტიომკინისთვის გადასაცემად. ეს ბარათი მოგვიანებით ითარგმნა. მასში აისახა იმერეთში შექმნილი ახალი რეალობა, სოლომონ II-ის ტახტზე ასვლა. აქედან გამომდინარე იმერეთის სამეფოს მოთხოვნებიც საკმაოდ შერბილებულ-შემცირებული იყო. იმერეთს უკვე აღარ ჰქონდა რუსეთის მფარველობაში შესვლის და ომში ჩაბმის იმედი. ამის მიუხედავად, ამ ბარათში რამდენიმე ახალი და საინტერესო მოთხოვნა იყო ჩამოყალიბებული:

1) რუსეთის კონსულის დანიშვნა ახალციხეში, რათა შემცირებულიყო ოსმალთა მტრული გამოხდომები იმერეთის სამეფოს მიმართ.

2) ბათუმში და ფოთშიც დაესვათ რუსეთის კონსულები, რათა საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ამ ადგილებიდან ტყვეთა გაყიდვა, გარდა ამისა, აქ შემოსულიყვნენ რუსეთის სავაჭრო გემები.

3) აფხაზეთი იყოს თავისუფალი, რადგან ის მალე თავისით გაქრისტიანდება და თავის ნებით აირჩევს რუსეთის მფარველობას. მის ნავსადგურებშიც უნდა შესულიყვნენ რუსეთის სავაჭრო გემები, რითაც ორივე მხარე, ბესიკის აზრით, დიდ სარგებლობას ნახავდა.

4) რადგან ამ ეტაპზე რუსეთი იმერეთთან მფარველობითი ტრაქტატის დადებას არ აპირებდა, ბესიკი ითხოვდა საიდუმლო ხელშეკრულების გაფორმებას, რაც ასევე სასარგებლო იქნებოდა ორივე მხარისთვის.

5) იმერეთის მეფეს, როგორც თვითმპყრობელს, უნდა ჰქონოდა ოსმალეთთან ომის ან დაზავების უფლება. ამით რუსეთი იმერეთის სახით ომში საიმედო მოკავშირეს შეიძენდა და რუს დიპლომატებს თავის მართლებაც აღარ მოუწევდათ ევროპელი კოლეგების წინაშე. ბესიკის ეს მოხსენებითი ბარათი შენახულია რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში. (მაჭარაძე, 1968:181). ეს იყო უკანასკნელი მოთხოვნები, რომლითაც იმერეთის ელჩი რუსეთის ხელისუფლებას მიმართავდა. ამის შემდეგ ის მალე, 1791 წლის 24-25 იანვარს, მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. იასში და იქვე დაკრძალეს.

ამის შემდეგ მის მოვალეობას მისი ბიძაშვილი, სვიმონ გაბაშვილი, ასრულებდა. არც მის მოღვაწეობას მოჰყოლია რაიმე არსებითი შედეგი. იმერეთის ელჩობა ისე დაბრუნდა სამშობლოში, რომ ვერ მიაღწია რუსეთის მფარველობაში შესვლას ან, თუნდაც, საიდუმლო შეთანხმების დადებას, რომლის მიხედვითაც, ომის გამოცხადების ან ზავის დადების უფლება მაინც ექნებოდა იმერეთს. ელჩებმა მხოლოდ ერთი დაპირება მიიღეს გრიგოლ პოტიომკინისგან. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ სამშობლოში დაბრუნებას ეხებოდა.

რაც შეეხება ბესიკის ელჩობის შეფასებას. ავთანდილ იოსელიანმა და სარგის ცაიშვილმა გამოთქვეს აზრი, რომ ელჩობამ მაინც მოიტანა გარკვეული დადებითი შედეგი იმერეთისთვის. 1791 წლის 29 დეკემბრის იასის საზავო ხელშეკრულებით, რომელიც 1792 წლის 10 იანვარს გაფორმდა, ოსმალეთს კატეგორიულად აეკრძალა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა და მასზე ყაჩაღური თავდასხმები. ამ გადაწყვეტილების მიღებაში ისინი ბესიკის დიდ დამსახურებას ხედავდენ. განსხვავებულად ფიქრობდა ვალერიან მაჭარაძე. მის აზრით, როცა იასის საზავო მოლაპარაკებები დაიწყო, ბესიკი უკვე 9 თვის გარდაცვლილი იყო. შეიძლება დავუშვათ, რომ მან სიცოცხლეში მოასწრო რაიმეს შეთანხმება რუსეთის ხელისუფლებასთან და ეს გაითვალისწინეს ზავის დადების დროს, მაგრამ იასის ტრაქტატში იმერეთი ნახსენებიც კი არ არის. ოსმალეთს ეკრძალებოდა მხოლოდ რუსეთის მფარველობაში შესული ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარევა და მასზე ყაჩაღური თავდასხმები (Юзефович, 1869:41-49).

ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ბესიკის ელჩობას რუსეთში გარკვეული წარმატება ახლდა. ვფიქრობთ, რომ დავით გიორგის ძის მიერ გაგზავნილ ორ ელჩობას რუსეთში რაიმე ხელშესახები ან ღირებული შედეგი იმერეთისთვის არ მოუტანია.

XVIII-ს-ის 80-90-იანი წლების მიჯნაზე სამეფო-სამთავროებად დაშლილ-დანაწევრებული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა ერთი, ფრიად საყურადღებო ფაქტი, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას და ისტორიკოსთა მრავალი თაობისთვის განსხვავებულ შეფასება-განსჯის საგნად დარჩა.

საქმე ეხება იმერეთის დელეგაციის ჩასვლას თბილისში და ერეკლესთვის იმერეთის სამეფოს ქართლ-კახეთთან შეერთების თხოვნას. ეს იყო უაღრესად პროგრესული ში-

ნაარსის მოვლენა, რადგან დღის წესრიგში დადგა ქვეყნის გაერთიანების საკითხი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერეკლე II-ს პოზიციის შესაფასებლად უამრავი მოსაზრება არსებობს. არ ვაპირებთ მათ დეტალურ განხილვას, მხოლოდ ჩვენს ვარაუდს გამოვთქვამთ მათთან დაკავშირებით და შევეცდებით უფრო მეტი კონკრეტიკა შევიტანოთ ელჩობის თარიღთან დაკავშირებით.

ერეკლე II-ის გადაწყვეტილებას მკაცრად აკრიტიკებდა პლატონ იოსელიანი, რომელიც მის უარს დიდ შეცდომად თვლიდა, მაგრამ ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ის მეფის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე, ობიექტურობის მაღალი საზომით მისი მოსაზრების შეფასება საკმაოდ ძნელია.

ანალოგიურად ფიქრობდა ისტორიკოსი მამია დუმბაძეც: ,,ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად ერეკლეს პოზიციის გამართლება იმით, რომ ამერთ-იმერეთის გაერთიანებას ოსმალეთი არ მოითმენდა“. ამ მოსაზრებას ვხვდებით საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომში (დუმბაძე, 1973:728).

საწინააღმდეგო პოზიციაზეა საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ვახტანგ გურული, რომლის აზრით: ,,ერეკლე 1790 წელს საქართველოს ვერ გააერთიანებდა, რადგან იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთება მის რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ნიშნავდა, ამას კი ოსმალეთის სულთანი არ დაუშვებდა...“. ,,...რუსეთი ერეკლეს არ მისცემდა იმის ნებას, რომ იმერეთის შეერთების გამო რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა დაეძაბა...“ (გურული, 2018:192-193).

ანალოგიურად ფიქრობდა ისტორიკოსი მიხეილ რეხვიაშვილიც. მისი აზრით, ,,ერეკლეს პასუხი გაერთიანებაზე უარყოფითი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც იგი უკავშირდებოდა ოსმალეთის, სპარსეთის, რუსეთისა და საქართველოს აწეწილ, გართულებულ მდგომარეობას, ამასიის ზავის პირობებს, რომელიც ძალაში რჩებოდა, ორი აგრესორი ქვეყნის: ოსმალეთისა და ირანის ურთიერთობას საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხში“ (რეხვიაშვილი, 1989:304).

გამოვხატავთ ჩვენს დიდი პატივისცემას ზემოთ ხსენებულ მკვლევართა მიმართ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ერეკლეს მოქმედება შეიძლება შეცდომად შეფასდეს. ქართლ-კახეთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირანის ვასალი იყო და მას (ირანს) იმერეთის შეერ-

თების საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა. რაც შეეხება ოსმალეთს, ის ამ დროს დასუს-ტებული იყო და ებრძოდა რუსეთს. ომის დაწყებისას მან ძლივს შეაგროვა 2000 კაცი („Всемирная история" V. 1958:219), ხოლო, ჯევდეთ ფაშას აზრით, ოსმალეთის ხელი-სუფლებას (გეორგიევსკის ტრაქტატით გამწარებულს) ჯარის დასაქირავებელი ფულიც აღარ ჰქონდა და ქართლ-კახეთს მხოლოდ მარბიელ-ქურდულ ბრბოებს უსევდა (დუმ-ბაძე, 1973:723).

სულთან სელიმ III-ის დროს რუს და ევროპელ დიპლომატთა აზრით, ოსმალეთის აღსასრული მოახლოებული იყო (Новичев, Турция, Краткая история,1965:53-62). ამი-ტომ ვფიქრობთ, რომ თავის პრობლემებში ჩაფლულ ოსმალეთს ძალა არ შესწევდა ქართული სამეფოების წინააღმდეგ ახალი სადამსჯელო ღონისძიების მოწყობისა. მაგ-რამ არ შეიძლება გულუბრყვილოდ ვიფიქროთ, რომ ერეკლე საღად ვერ აფასებდა შექმნილ ვითარებას. მაშ, რა იყო მისი უარის მიზეზი?

ახალციხის საფაშო ქართულ ტერიტორიაზე შექმნილი ოსმალური პოლიტიკური ერ-თეული იყო, გამაჰმადიანებული მოსახლეობით, მმართველობის სათავეში ასევე მაჰმა-დიანი ფაშით, ცხოვრების წესით და მეურნეობით ტიპიური ოსმალური საფაშო. როცა XVIII ს-ის 70-იან წლებში ერეკლე მისი შემოერთების მიზნით ტოტლებენის მხარდამხარ აწყურისკენ დაიძრა, მაშინაც ხომ არსებობდა ოსმალეთიდან მომდინარე საფრთხე? ლოგიკას მოკლებულია იმ არგუმენტის მოშველიება, რომ ამ დროს რუსეთ-ოსმალეთის ომი მიმდინარეობდა და ქართლ-კახეთის მეფეს რუსული შენაერთის დახმარების იმედი ჰქონდა. მის მეთაურზე და სამხედრო შესაძლებლობაზე ერეკლეს მკაფიოდ ჩამოყალი-ბებული აზრი უნდა ჰქონოდა.

იმერეთი ქრისტიანული ქვეყანა იყო, ქრისტიანი მოსახლეობით და მეფით. ის ოს-მალეთის ქვეშევრდომი იყო და არა იმპერიის ვილაიეთი. ახალციხის საფაშოს შემოერ-თება უფრო მეტად ტოვებდა სულთნისთვის ქვეშევრდომის ან ტერიტორიის წართმევის შთაბეჭდილებას, ვიდრე-იმერეთის. გარდა ამისა, 1787-1791 წლების ომი უკვე დაწყებუ-ლი იყო, ოსმალეთი კი ბევრად უფრო სუსტი, ვიდრე 1768-1774 წლების ომში.

ჯერ კიდევ გენერალ ტოტლებენს, შემდეგ კი მის შემცვლელს, გენერალ სუხოტინს, რუსეთის ხელისუფლება მკაცრად აფრთხილებდა, რომ რუსი ჯარისკაცების ხარჯზე

ერეკლესთვის რაიმე ტერიტორიების დაპყრობის საშუალება არ მიეცათ. ეკატერინე II ქართველების გამოყენებას აპირებდა რუსული საქმის გასაკეთებლად და-არა პირიქით. მდგომარეობა უცვლელი დარჩა 90-იან წლებშიც.

ვფიქრობთ, ამ დროს საქართველოს გაერთიანება ყველაზე მეტად რუსეთს არ აწყობდა. თუ თვალს გადავავლებთ 1783 წელს ტრაქტატის დადების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, მივიღებთ ერთ მთლიან ჯაჭვს რუსეთის მცდელობისა საქართველოს დაუძლურება-დასუსტებისა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ომარ-ხანის გამანადგურებელი ლაშქრობა სწორედ რუსეთის ინსპირირებული იყო, ქართლ-კახეთის მეფე ერთმანეთის მიყოლებით კარგავდა გავლენას ამიერკავკასიის სახანოებზე, აღარაფერს ვამბობთ გუდოვიჩის დანაშაულებრივ უმოქმედობაზე კრწანისის ბრძოლის წინ. მიზანი კი ყოველივე ამისა საქართველოს უფრო მეტად დასუსტება-დაძაბუნება იყო, რათა შემდეგ უფრო ხმამაღლა და რიხით ემცნოთ ყველასთვის, რომ ქართველები არც ბრძოლის ველზე ვარგოდნენ რამედ და არც მოკავშირედ, რჩებოდა ხელქვეითობა, რაც რუსეთის ხელისუფლებისთვის მონობის ტოლფასი იყო. ერეკლეს და, ზოგადად, ქართველების დამამცირებელ დახასიათებას ხაზს უსვამდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, კოჩუბეი, თავის წერილებში რუსეთის იმპერატორისადმი.

არ შეიძლება ამის შესახებ არ სცოდნოდა ერეკლეს. მან ისიც მშვენივრად იცოდა, რომ რუსეთისთვის მიუღებელი იყო მისი მცდელობა რაიმე სახით გაძლიერებისა, მითუმეტეს, იმერეთის სამეფოს შემოერთებით. ასევე მიუღებელი იყო მცდელობა ქართველი მეფის გავლენის გაფართოებისა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ჩვენი აზრით, სწორედ რუსეთის ხელისუფლების უარყოფით პოზიციას გაუწია უფრო მეტად ანგარიში ქართლ-კახეთის მეფემ, ვიდრე ოსმალეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეს, ან დარეჯან დედოფლის აზრს, როცა უარი თქვა ქვეყნის გაერთიანებაზე. საყურადღებოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ერეკლეს კარზე სამდღიანი გაცხარებული კამათის დროს მოწინააღმდეგე მხარეებს არც უხსენებიათ ოსმალური საფრთხე (დუმბაძე, 1973: 728). ნაკლებ სავარაუდოთ მიგვაჩნია ის აზრი, რომ რუსეთი საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგი ოსმალეთთან ურთიერთობის გაუარესების საფრთხის გამო იყო, 1787-1791 წლების ომი

უკვე დაწყებული იყო, საომარი მდგომარეობის უფრო მეტად გაუარესება, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.

რაც შეეხება იმერეთის დელეგაციის თბილისში ჩასვლის თარიღს, არც ამ საკითხთან დაკავშირებითაა აზრთა ერთიანობა. პლატონ იოსელიანის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1790 წელს (მაჭარაძე, 1995:243). ზურაბ ცქიტიშვილიც ამ თარიღის მომხრეა (Цкитишвили, 1992:70-72).

განსხვავებულად ფიქრობდა ვალერიან მაჭარაძე, რომელიც გამორიცხავდა, რომ დელეგაციის ჩასვლა ერეკლესთან 1790 წელს მოხდებოდა, რადგან 1789 წლის ივლისში, ხუნწ-მათხოჯის ბრძოლის შემდეგ, დავით გიორგის ძე ტახტიდან ჩამოაგდეს (მაჭარაძე, 1995:245)

ამავე აზრს იმეორებს ის ცნობილ წიგნში ,,ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე," სადაც მოჰყავს კავკასიაში რუსეთის ჯარების სარდლის, გრაფ სალტიკოვის 1789 წლის 17 აგვისტოს წერილი გრიგოლ პოტიომკინისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ 1789 წლის 12 ივლისს დადიანმა ტახტიდან ჩამოაგდო იმერეთის მეფე და 18 წლის სოლომონ II გაამეფა (მაჭარაძე, 1968:174).

ნიკოლოზ ბერძენიშვილიც, რომელიც ეყრდნობოდა იესე ცინცაძის ცნობას (ცინცაძე, 1940: 90) ფიქრობდა, რომ 1789 წელს დავით გიორგის ძე იმერეთიდან გააძევეს და გამეფდა დავით არჩილის ძე სოლომონ II-ის სახელით.

ერთი ცნობა იწვევს მცირეოდენ გაუგებრობას. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1789 წლის 15 იანვარს სოლომონ II თავის მეუღლესთან ერთად მეფედ იწოდება ამ დღეს გაცემულ შეწირულობის წიგნში, რომლითაც მან გელათის მონასტერს შესწირა ბოსლეველი ჭუმბურიძეები (კაკაბაძე, 1921:94). დამარცხებული დავით გიორგის ძე კი ბაღდათში გამაგრდა და იქიდან უწევდა მტრებს წინააღმდეგობას, თუმცა, წარუმატებლად და კიდევ ერთი მარცხის შემდეგ (ხუნწ-მათხოჯის ბრძოლაში) 1789 წლის 14 ივლისს ახალციხეში გადავიდა, ე.ი. მან იმერეთში მოკავშირეები დაკარგა.

როგორც ვხედავთ, სოლომონ II-ს მეფედ ხსენების და დამარცხებული მეფის ახალციხეში გადასვლის თარიღებს შორის ნახევარწლიანი მონაკვეთია, რაც იმას ნიშნავს,

რომ ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ დავით გიორგის ძე ექვსი თვის განმავლობაში იმერეთში რჩებოდა.

ვფიქრობთ, რომ ეს ექვსთვიანი მონაკვეთი იყო იმერეთში ორხელისუფლებიანობის ანუ გამორჩეულად არასტაბილური ვითარების და გაურკვევლობის პერიოდი. ძველი მეფე ჯერ არ იყო საბოლოოდ დამარცხებული, ახალს კი მოწინააღმდეგის სრული განადგურებისთვის ვერ მიეღწია. გაჭიანურებული სამოქალაქო დაპირისპირებით მოქანცულ იმერეთში სანატრელიც კი გამხდარიყო მშვიდობა. ვვარაუდობთ, რომ სწორედ ამ დროს, უფრო ზუსტად, დავით არჩილის ძის საბოლოო გამეფებამდე მოხდებოდა იმერთა დელეგაციის სტუმრობა ერეკლესთან.

თავი III. სოლომონ II-ის მმართველობა იმერეთში და საგარეო ორიენტაცია

3.1. სოლომონ II-ის გამეფება იმერეთში

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საგარეო საფრთხის გაუვნებელყოფა დავით გიორგის ძემ დადიანის, გურიელის და სხვა ერთგული ქვეშევრდომების დახმარებით მოახერხა.

ძნელია ვისაუბროთ ნიკო დადიანის, როგორც ისტორიკოსის, ობიექტურობაზე, მაგრამ როცა ის ხაზგასმით აღნიშნავდა კაცია დადიანის როლს XVIII ს-ის 80-იანი წლების იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მის მოსაზრებაში არის სიმართლის მარცვალი. იმერეთის მეფის წარმატებას მოღალატე წერეთლებთან და წულუკიძეებთან ბრძოლაში მნიშვნელოვანწილად სწორედ ოდიშის და გურიის მთავრების დახმარება განაპირობებდა. სამეგრელოს მთავარი უანგაროდ როდი ეხმარებოდა მეფეს. ის, გურიელთან ერთად, საკმაოდ დიდ ადგილ-მამულს იღებდა საჩუქრად გაწეული სამსახურის სანაცვლოდ და სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი, ერთი მხრივ, იმერეთის მეფესა და, მეორე მხრივ, წულუკიძეებსა და წერეთლებს შორის დაპირისპირებისა, რომელმაც ორად გახლიჩა იმერეთის საზოგადოება. გაჩნდა უფსკრული, რომლის ამოსავსებად იმერეთში არც ჭკუა აღმოაჩნდა ვინმეს და არც სურვილი ან საშუალება.

კაცია დადიანი 1788 წელს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ თავისი ღვაწლი და დამსახურება შეახსენა მეფეს და თავისი შვილები, მანუჩარი და გრიგოლი შეავედრა. დავით გიორგის ძემ ,,აღუთქვა შემწეობა და ნაცვლად მისსა მამობის გაწევა“ (დადიანი, 1962 :184). ახალი მთავარი გრიგოლ დადიანი გახდა. იმერეთის მეფეს არ მოსწონდა გრიგოლი, შეკრიბა ჯარი და ოდიშზე გაილაშქრა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ოდიშში შეჭრით დავით გიორგის ძემ დასაბამი დაუდო თავის დასასრულს. ამ ნაბიჯით მეფემ საკუთარი ხელით გაიკეთა კისერზე ყულფი, რომელიც მისთვის სასიკვდილოდ გაკვანძეს დავით არჩილის ძემ, ერეკლე II-მ და ზურაბ წერეთელმა.

დამარცხებული გრიგოლი ლეჩხუმში გაიქცა. მეფემ მთავრად მისი ძმა, მანუჩარი დასვა. ოდიშში ლაშქრობამ სამეფოს ისედაც არეული მდგომარეობა კიდევ უფრო არია. იმერეთის მეფეს ბევრი მტერი ჰყავდა. ახალციხის ფაშაც მტრულად უყურებდა. დავით

არჩილის ძეც შემთხვევას უცდიდა ტახტზე ასასვლელად. 2 ივნისს ბურნაშოვი ატყობინებდა პაველ პოტიომკინს, რომ მასთან მივიდა ზურაბ წერეთელი და განუცხადა, რომ არაფერი ჰქონდა საერთო თავისი ძმის, პაპუნა წერეთლის, მტრულ მოქმედებებთან იმერეთის მეფის მიმართ და მზადყოფნას გამოთქვამდა, რომ ახალციხიდან გადმოეყვანა დავით არჩილის ძე (სავარაუდოდ, მეფის შესაცვლელად). ყოფილი ელჩი იმასაც აღნიშნავდა, რომ დავით გიორგის ძე ფულსაც კი შეჰპირდა ახალციხის ფაშას, რომ ტახტის მემკვიდრე იმერეთში არ გამოეშვა.

რუსებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ, თუ ის ახალციხეში დარჩებოდა, რადგან რუსეთ-ოსმალეთის ომის შემთხვევაში ოსმალები დავით არჩილის ძის იმერეთში ყოფნას მდგომარეობის დესტაბილიზაციისთვის გამოიყენებდნენ. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ის ახალციხიდან იმერეთში კი არა, თბილისში დაბრუნდებოდა, ერეკლესთან.

დავით არჩილის ძის ჩასვლა იმერეთში მართლაც გაამწვავებდა ვითარებას, რადგან იქაური თავადაზნაურობის ნაწილი უკმაყოფილო იყო მეფის მოქმედებით და განსაკუთრებით იმით, რომ სამეფოში ძალზე დიდი იყო ქსნის ერისთავის გავლენა, რომელიც დავით გიორგის ძემ თავის პირველ მრჩევლად დანიშნა, ამას კი იმერეთში ვერ ურიგდებოდნენ (რეხვიაშვილი, 1982:194).

საგულისხმოა იმავე პაველ პოტიომკინის ბურნაშოვისადმი პასუხის ის ნაწილი, რომელიც დავით გიორგის ძეს ეხება. რუსი მოხელის აზრით, უსამართლობა იყო მეფის უმოქმედებაზე საუბარი, რადგან მან სამეფოში შეჭრილი მტერი გაანადგურა, ორჯერ ლეკებიც დაამარცხა, მრავალი მათგანი დაატყვევა და თავი შესანიშნავი მამაცობით გამოიჩინა. აღსანიშნავია, რომ პაპუნა წერეთელი, რომელიც ოსმალების მხარდამხარ იბრძოდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ, ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. მეფეს გამოაკლდა ძლიერი მოწინააღმდეგე, რომელიც თავისი ეგოისტური მიზნების მისაღწევად სამშობლოში დამპყრობელთა პარპაშს და უამრავი ქრისტიანის სიკვდილსაც კი არ ერიდებოდა. იმერეთის მეფესთან დაპირისპირების დროს პაპუნა ახალციხის ფაშას ჯარს სთხოვდა, მაგრამ საბოლოოდ ფაშამ უარი უთხრა, რადგან, ზურაბ წერეთლის თქმით, მისმა ძმამ საკუთარი შვილები მძევლებად არ გაგზავნა ახალციხეში.

იმერეთის მეფისთვის საბედისწერო აღმოჩნდა სამეგრელოს საქმეებში ჩარევა. მან გაილაშქრა ოდიშში, მაგრამ გრიგოლის და ქართლ-კახეთის ერთობლივ წინააღმდეგობას წააწყდა. მათი შემაკავშირებელი იყო დავით არჩილის ძე, რომელიც კაცია დადიანის ასულზე დაქორწინდა. სწორედ ეს შეკავშირება აღმოჩნდა მეფისთვის დამღუპველი.

ნიკო დადიანი წერდა: ,,მეფემან დავით დაივიწყა კეთილობა კაცია დადიანისა და ანდერძიცა მისი...“ (დადიანი, 1962:184). ხუნწ-მათხოჯის ბრძოლაში, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრით, 1789 წლის 11 ივლისს მოხდა, დავით გიორგის ძე დამარცხდა. ,,მეფე დავით იძლივა და განივლტო ახალციხეს“ (დავით ბატონიშვილის ისტორია, 1905:36). გამეფდა დავით არჩილის ძე.

ზურაბ დათუაშვილის აზრით, ეს ბრძოლა 1788 წლის ბოლოს უნდა მომხდარიყო, რადგან 1789 წლის 11 ივლისს დავით არჩილის ძე უკვე მეფედ იხსენიება. ვფიქრობთ, რომ აქ მცირეოდენ უზუსტობას აქვს ადგილი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1789 წლის 15 იანვარს სოლომონ II მეფედ იწოდება ამ დღეს გაცემულ შეწირულობის წიგნში, რომლითაც მან გელათის მონასტერს შესწირა ბოსლეველი ჭუმბურიძეები (კაკაბაძე, 1921: 94). ამ სიგელს ხელს აწერდნენ სოლომონ II-ს მოკავშირე პაპუნა წერეთელი, სარდალი გიორგი წულუკიძე და სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, რომელმაც განჭვრიტა დავით არჩილის ძის მომავალი გამარჯვება და წინასწარ დადგა მის მხარეს. შეუძლებელია, რომ დავით გიორგის ძეს ერთ დღეში დაეკარგა ტახტი, მას მცირეოდენი, მაგრამ დასაყრდენი მაინც ეყოლებოდა იმერეთში.

ნიკო დადიანი წერდა: გამარჯვებულნი ოდიშარნი ,,მიჰყვნენ უკანითა გაქცეულსა მეფეს დავითს და მივიდნენ ქუთაისს, აღიღეს ყოველნი ციხე-სიმაგრენი იმერეთისანი... და მიათვალეს დავითს“ (არჩილის ძეს). (დადიანი,1962:185). დამარცხებული მეფე ბაღდათში გამაგრდა და იქიდან უწევდა მტრებს წინააღმდეგობას. ზურაბ დათუაშვილის მიერ დასახელებულ ხუნწ-მათხოჯის ბრძოლასა და სოლომონ II-ის მეფედ მოხსენიების თარიღებს შორის ექვსთვიანი შუალედია, რაც ნამდვილად არ არის ერთი დღე. ხოლო, თუ ამ თარიღს და სარგის კაკაბაძის მოყვანილ თარიღებს (1788 წლის ბოლოს და 1789 წლის

15 იანვარს) ერთმანეთს შევადარებთ, გამოვა, რომ მეფემ მართლა ერთ დღეში დაკარგა ძალაუფლება, რაც არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს.

დამარცხებული მეფე 1789 წლის 14 ივლისს ახალციხეში გადავიდა, ე.ი. მან იმერეთში მოკავშირეები დაკარგა. როგორც ვხედავთ, სოლომონ II-ს მეფედ ხსენების და დამარცხებული მეფის ახალციხეში გადასვლის თარიღებს შორის ნახევარწლიანი მონაკვეთია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ დავით გიორგის ძე ექვსი თვის განმავლობაში იმერეთში რჩებოდა, ამას კი მოკავშირეების ან გარკვეული დასაყრდენის გარეშე ვერ მოახერხებდა.

ნიკო დადიანის ცნობით, დავით გიორგის ძეს დაუპირისპირდა მხოლოდ ოდიშისა და ლეჩხუმის ლაშქარი ,,თვინიერ მიბარებულისა მეფისა“ (დადიანი, 1962:184). აქ ისევ უღალატა მას ობიექტურობამ, რადგან არც კი ახსენებდა იმერეთის სამეფოში მეფის მთავარ მოწინააღმდეგეებს: ძმებ წერეთლებს და ბერი წულუკიძეს. ცნობილი ისტორიკოსი ამ შემთხვევაშიც გადაჭარბებულად აფასებდა დადიანის როლს იმერეთის მეფის დამხობაში.

განსხვავებულ ცნობას გვაძლევს თეიმურაზ ბატონიშვილი თავის ,,ახალ ისტორიაში“. მისი ცნობით, ხუნწ-მათხოჯის ბრძოლაში გრიგოლ დადიანს და დავით არჩილის ძეს ეხმარებოდა ერეკლეს შვილიშვილი დავითი, გიორგი XII-ის შვილი, რომელსაც იმერეთ-ოდიშის საზღვარზე სამხედრო მანევრი ჩაუტარებია (ბაგრატიონი, 1983:61) ეს კიდევ ერთი ფაქტია, რომელიც ერეკლეს აქტიურ მონაწილეობას ადასტურებს იმერეთში განვითარებული მოვლენების დროს. დავით გიორგის ძეს ფარ-ხმალი არ დაუყრია. ის დაქირავებული ლეკებით და ახალციხის ფაშას ჯარით შემოიჭრა იმერეთში და ზოვრეთის ბრძოლაში დაამარცხა სოლომონ II, რომელიც საჩხერეში გადავიდა და თავი წერეთლებს შეაფარა. ამ ბრძოლის თარიღად მიჩნეულია 1790 წლის 11 ივნისი, თუმცა ზურაბ დათუაშვილის აზრით, შეცდომით. იესე ლორთქიფანიძეს მიაჩნდა, რომ ეს ბრძოლა მოხდა 1792 წელს. (ლორთქიფანიძე,1940:53-54). ვფიქრობთ, რომ ეს თარიღი უფრო სანდოა, რადგან იოანე ხუცესზე დაყრდნობით ამ წელს მოხდა იმერეთის მეფეთა მესამე შერიგება და ის, ჩვენი აზრით, ბრძოლის ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ მოხდებოდა.

ზოვრეთის ბრძოლის შემდეგ სოლომონმა რამდენიმე თვით დაკარგა ტახტი. მან დახმარება ერეკლეს სთხოვა, რომელმაც თავისი შვილიშვილი, იოანე, მიახმარა სოლომონ II-ს. დადიანიც დაიძრა ოდიშიდან, ბრძოლა მოხდა ლომსიათხევთან. ქართლ-კახეთის ჯარმა ზარბაზნები გამოიყენა დავით გიორგის ძე ისევ დამარცხდა. ტახტზე ისევ სოლომონ II ავიდა. ამის შემდეგ ორი დავითი შერიგდა და სოლომონმა მას საბატონიშვილო მამული მისცა (დადიანი, 1962:186).

როგორც ვხედავთ, იმერეთის მეფეების შერიგება სამჯერ მოხდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი არ იყვნენ ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებულნი. მათი პირველი შერიგება ერეკლეს ინიციატივით მოხდა. დავით გიორგის ძე ქართლ-კახეთის მეფესთან ახალციხის ფაშას შუამდგომლობით მივიდა. ეს ფაქტიც იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ფაშას დიდ როლზე მეტყველებდა. ერეკლემ დავით გიორგის ძეს ანტონ კათალიკოსი გააყოლა სოლომონ II-თან და მოხდა მათი პირველი შერიგება (ბერძენიშვილი, 1973:751), რომელიც 5 თვე გაგრძელდა. მეორე შერიგების დროს ახალციხეში გაქცეულმა დავით მეფემ კავშირი შეკრა მოღალატე ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძესთან, რომელიც ადრე მას მეფობას ეცილებოდა და მას მამულებიც კი მისცა: კაცხის ეკლესია სასაფლაოდ, სვერის და შორაპნის ციხეები სოფლებთან ერთად, ლომსიათხევი, იმერეთის სოფლები: ლიჩი, შალაური, დილიკოური, საქარა, სანახშირე (,,კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“, 1868: 372. შემდეგში ამ წყაროს აღვნიშნავთ, როგორც ,,აქტებს“).

დავით გიორგის ძის ახალციხეში ყოფნაზე სანდო ცნობებს გვაწვდის იოანე ხუცესი 1790 წლის 25 აპრილის, 18 და 30 მაისის ცნობებში. 8 სექტემბერს კი წერდა, რომ დავით მეფე ლეკებით გურიაში წავიდა, რათა იქიდან იმერეთში შეჭრილიყო. მართლაც, იმავე წელს დავით გიორგის ძე ისევ შემოიჭრა იმერეთში ლეკთა დაქირავებული რაზმებით, მაგრამ დამარცხდა. მესამე შერიგების თარიღად იოანე ხუცესს 1792 წელი აქვს ნახსენები. სარგის კაკაბაძის ცნობით, დავით გიორგის ძემ ცოტა ხნით დაიბრუნა მეფობა 1792 წელს (კაკაბაძე, 1922:232). სოლომონმა ისევ ერეკლეს სთხოვა დახმარება. ივანე მუხრან-ბატონი 4000-იანი ჯარით და ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი 900 ლეკით იმერეთში გადავიდნენ, დადიანმა ცხენის-წყალი გადმოლახა და ქუთაისი აიღო. სო-

ლომონი კვლავ გამეფდა 1792 წელს, ხოლო დავით გიორგის ძე ახალციხეში გაიქცა და იქიდან სთხოვა შუამავლობა ერეკლეს. მას საუფლისწულო მამული მისცეს იმერეთში.

როგორც ჩანს, სოლომონი აღარ ენდო დავით გიორგის ძეს, მას შვილი მძევლად გამოართვა და მუხურის ციხეში გამოკეტა (ხახანაშვილი, 1911:8). თუმცა, ტახტიდან ჩამოგდებულ მეფეს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ბრძოლა და ახალციხის საფაშოდან ცდილობდა იმერეთში დაბრუნებას. იოანე ხუცესის სხვა ცნობით, 1794 წლის 27 სექტემბერს ,,აბაშიძე (ქაიხოსრო) ლეკებით იმერეთზე წავიდა მეფისათვის“ (ლომსაძე, 1979:175). როგორც ვხედავთ, ყოფილი მეფე ამჯერად ტახტის კიდევ ერთ პრეტენდენტთან ერთად ცდილობდა მიზნის მიღწევას. მის მომხრეებად გამოდიან დადიანი, გურიელი და აფხაზეთის მთავარი. ცნობას იმერეთის პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანაცვლების შესახებ (ვგულისხმობთ დადიან-გურიელის გადასვლას დავით გიორგის ძის მხარეს) გვაწვდის იესე ცინცაძე (ცინცაძე, 1940:57. გუდოვიჩის წერილი, რომელშიც რუსეთის ხელისუფლება გარკვეულ დავალებას აძლევდა ერეკლეს). საუბარი იყო იმაზე, რომ ერეკლეს მშვიდობა უნდა უზრუნველეყო იმერეთში.

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთის ხელისუფლებისგან დავალებული ჰქონდა წესრიგის დაცვა და ჩარევა დასავლეთ საქართველოს საქმეებში. მან 1794 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი გაგზავნა იმერეთში დავით გიორგის ძის, დადიანის და გურიელის წინააღმდეგ, რათა ამ გზით დახმარება აღმოეჩინა თავისი შვილიშვილისთვის (რეხვიაშვილი, 1982:221). სოლომონ II-მ და ალექსანდრე ბატონიშვილმა მოისყიდეს ლეკთა ბელადი დურმამა, რომელიც განუდგა დავით გიორგის ძეს, მალე მის ბანაკს ქელაიშ-ბეგ შერვაშიძეც ჩამოშორდა და ყოფილი მეფე საბოლოოდ დამარცხდა. ეს იყო ყველაზე დიდი კოალიცია, რომელიც შეიკრიბა არა იმდენად დავით გიორგის ძის დასახმარებლად, არამედ დასავლეთ საქართველოში ერეკლეს გავლენის ზრდის შესაჩერებლად. ერეკლემ, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული თავისი შვილიშვილის ტახტზე ასვლით, ქართლ-კახეთის ჯარი იმერეთის საზღვარს მიაყენა (რეხვიაშვილი, 1982:209). ასე იყო ხუნწ-მათხოჯის ბრძოლის დროს, 1789 წელს და ასე მოხდა ახლაც,1794 წელს. დავით გიორგის ძე საბოლოოდ დამარცხდა და ახალციხეში დაბრუნდა, სადაც 1795 წლის 11 იანვარს ქრისტესიას სახლში ყვავილით გარდაიცვალა (ლომ-

საძე, 2011:222). 20 წლის შემდეგ სოლომონ II ტრაპიზონში აღესრულა. უფროსი დავითი მოგვიანებით საჩხერეში, ჯრუჭის მონასტერში, მშობლების გვერდით დაკრძალეს, სოლომონ II-ის ნეშთი კი ორი საუკუნის შემდეგ მიაბარეს ქართულ მიწას.

პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც დაიწყო სოლომონ დიდის გარდაცვალების შემდეგ, დასრულდა მისი ბიძაშვილის ტახტიდან ჩამოგდებით და ძმიშვილის გამეფებით. მიგვაჩნია, რომ 1789-1792 წლებში იმერეთში სამეფო ხელისუფლების შეცვლა იყო მცირე მასშტაბის სახელმწიფო გადატრიალება, რომლის მთავარი მოქმედი პირი ერეკლე II იყო.

3.2. იმერეთის ურთიერთობა ქართლ-კახეთის სამეფოსთან

უკანასკნელი ქართველი მეფეების ურთიერთობის გასაცნობად საინტერესო მასალას ვხვდებით როგორც საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის რუსული საბუთების ფონდში, ისე ,,კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში". აქ მოთავსებული ცნობები საკმაოდ ფასეულია იმდენად, რამდენადაც მათი დიდი ნაწილის ავტორი რუსი მოხელეები არიან, რომლებიც სოლომონ II -ისა და გიორგი XII-ის დროს მოღვაწეობდნენ საქართველოში.

საყურადღებოა გენერალ ლაზარევის მოსაზრება საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. რუსი გენერლის აზრით, ქართლ-კახეთი პატარა ქვეყანა იყო, აღსავსე ინტრიგებით და შიდადაპირისპირებით, მეფე კეთილი იყო, მაგრამ ავადმყოფი. მისი მეუღლე ციციშვილის (ციციანოვი) ქალი იყო. მათი შვილი, დავითი, თავისი ქორწინების გამო (მან ცოლად სომეხი ქალი შეირთო) თავადებს არ უყვარდათ. დარეჯან დედოფალი უკმაყოფილო იყო იმით, რომ სამეფოს თვითონ არ განაგებდა. გიორგი XII-ის ყველაზე ნორმალური შვილი 16 წლის მიხეილი იყო, რომელმაც თანატოლების რაზმი შეკრიბა და მას რუსულ ყაიდაზე წვრთნიდა. დარეჯანის უფროსი შვილი, იულონი, გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტახტის დასაკავებლად ემზადებოდა. ლაზარევი კიდევ ერთხელ აღნიშნავდა, რომ იმერეთი ქართლ-კახეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყანა იყო (,,აქტები", 1866:184-185). ამის მიზეზი კი ის იყო, რომ იქ დარეჯანის შვილიშვილი მეფობდა.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ამ მტრობის და ურთიერთდაპირისპირების საფუძველი იყო გიორგი XII-ის ურთიერთობა სამეგრელოს მთავართან, გრიგოლ დადიანთან, რომელიც მისი სიძე იყო. უცნაურია, მაგრამ ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეებს შორის ურთიერთობა იმდენად გაუარესდა, რომ გიორგი XII-ის თხოვნით სამოქალაქო მმართველმა, კოვალენსკიმ, წერილი მისწერა სოლომონ II-ს, სადაც ის ეხებოდა იმერეთის მეფის და დადიანის ურთიერთობას. კოვალენსკი აუწყებდა მეფეს, რომ ის მინისტრად დაინიშნა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე. რუსეთის იმპერატორი გიორგი XII-ს წყალობდა და მას ესიამოვნებოდა, თუ სხვა სამეფო-სამთავროების წარმომადგენლები ქართლ-კახეთის მეფის მიმართ მეტ პატივისცემას გამოხატავდნენ. გიორგი მათზე ასაკითაც უფროსი იყო. სოლომონი საპასუხოდ სწერდა, რომ ისიც კარგად აცნობიერებდა ქართული სამეფოების ერთიანობის, მათ შორის მეგობრული ურთიერთობის მნიშვნელობას. იმერეთის მეფე იმასაც აღნიშნავდა, რომ საერთო ქართული საქმისთვის მან სისხლიც დაღვარა (ალბათ, კრწანისის ბრძოლას გულისხმობდა) და ყველანაირად ეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთის მეფისთვის საზიანო ნაბიჯი არ გადაედგა. თუ მის მიმართ გიორგი XII-ს ან რუსეთის ხელისუფლებას რაიმე შეკითხვები ექნებოდა, ის ღირსეულად გასცემდა პასუხს ამ კითხვებზე („აქტები“, 1866:113). კოვალენსკის აღუთქვა, რომ თავის სანდო კაცს გააგზავნიდა მასთან, თუმცა, ეს არ გააკეთა და კვლავ დადიანთან განაახლა ბრძოლა. მეფე, კოვალენსკის აზრით, მიუხედავად ახალგაზრდობისა, საღად მოაზროვნე, მამაცი, სამართლიანი ადამიანი იყო, თუმცა, ფიზიკურად ტანდაბალი. ხელქვეითებს უყვარდათ, გარდა ზოგიერთი თავადის და მთავრისა. დიდ ანგარიშს უწევდა თავის ბიძებს, გიორგი XII-ის ძმებს. თვითონ გიორგისთან ურთიერთობა დაეძაბა, რადგან ქართლ-კახეთის მეფე მის წინააღმდეგ თავის სიძეს, გრიგოლ დადიანს ეხმარებოდა.

პროფესორი მანუჩარ სამსონაძე ფიქრობდა, რომ ერეკლეს მიერ ქართლ-კახეთის საუფლისწულოებად დაყოფა გიორგი ბატონიშვილის წინააღმდეგ და სოლომონ II-ის სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი იყო. ქართლ-კახეთის მეფის შემდეგ სოლომონი ითვლებოდა ბაგრატიონებში პირველ კაცად და არა გიორგი. ერეკლეს ლაშქარში სოლომონ II-ის დროშა უნდა ყოფილიყო პირველი და არა გიორგი ბატონიშვილისა, რომელიც მოღალატურად მოიქცა კრწანისის ბრძოლის დროს. ერეკლეს სიმპათიამ სო-

ლომონ II-ის მიმართ ამ უკანასკნელსა და გიორგის შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბა. ე.ი. სოლომონ II მოიაზრებოდა ერეკლეს პოლიტიკურ მემკვიდრედ (სამსონაძე, 1988:13), გაერთიანებული საქართველოს მეფედ. ერეკლეს 5 ვაჟი ჰყავდა, მაგრამ არაფერად ვარგოდნენ. სოლომონ II-ს ბევრი კარგი თვისება ჰქონდა, ამიტომ დაასახელა სოლომონ I-მა ის თავის მემკვიდრედ (სამსონაძე, 1988:9).

(სოლომონ I-ის გარდაცვალების დროს ტახტის მემკვიდრე 10-11 წლის იქნებოდა. საინტერესოა, პატარა ბავშვს რა თვისებები აღმოაჩნდა ასეთი??)

პარალელურად იმერეთის მეფე მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა ალექსანდრე, ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილებთან და მათ შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა.

1802 წელს კახეთის თავადებმა შეთქმულება მოაწყვეს და მეფედ იულონ ბატონიშვილის არჩევა მოინდომეს. რუსეთმა შეთქმულებაში მონაწილე 69 ქართველი დიდებული მკაცრად დასაჯა, ბატონიშვილებმა კი იმერეთს შეაფარეს თავი. რაც, თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლების გაღიზიანებას და უკმაყოფილებას იწვევდა. წერილში, რომელიც გენერალ ლაზარევს გაუგზავნა (,,აქტები“, 1866:52). მეფე ამბობდა, რომ თავისი ბიძების საქმის მოსაგვარებლად რუსეთში ელჩად გზავნიდა საჩინო ჯაფარიძეს და მთავარმართებელს მის მგზავრობაში დახმარებას სთხოვდა. იმავე წლის 18 დეკემბრის რაპორტიდან, რომელიც პოდპოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა გაუგზავნა გენერალ ლაზარევს (,,აქტები“,1868:340), ვიგებთ, რომ სოლომონმა შეავიწროვა დადიანი, ამავე დროს მეფემ ქართლიდან წერილები მიიღო, რომლებიც ტყვიის მასრებში იყო ჩადებული. რუსი მოხელეები ვარაუდობდნენ, რომ იგეგმებოდა მეფის და ალექსანდრე ბატონიშვილის ერთობლივი თავდასხმა აღმოსავლეთ საქართველოზე.

მოგვიანებით, 1803 წლის 2 იანვრის წერილში (,,აქტები“, 1868:3-4), იმერეთის მეფე წერდა ციციანოვს, რომ მასთან ხშირად ჩადიოდნენ ერეკლეს შვილები, მისი ბიძები. სოლომონის სახლი ერეკლეს სახლი იყო და ის თავს ვალდებულად თვლიდა ბიძებისთვის დახმარება აღმოეჩინა. ციციანოვი უარყოფითად აფასებდა მეფის გრიგოლ დადიანთან ურთიერთობას, იმას, თუ როგორ ექცეოდა მეფე სამეგრელოს მთავარს.

მეფის პოზიცია შეუვალი იყო: დადიანის სამფლობელო მას ეკუთვნოდა, ის კი კავშირს კრავდა ოსმალებთან, ურწმუნო აფხაზებთან, სვანებთან და ჯიქებთან. მეფე იძულებული

იყო, რომ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ახალციხიდან ლეკები ჩამოეყვანა. სოლომონი სიამაყით აღნიშნავდა, რომ ღმერთმა გამარჯვება მას მისცა, ურწმუნოები დაამარცხა და ლეჩხუმიც შემოუერთა თავის სამეფოს.

იმერეთის მეფე რუს მოხელეებთან მიმოწერის დროს ყოველთვის კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ქართული სამეფოების გაუქმებას. პირიქით, გენერალი ლაზარევისგან ითხოვდა, რომ ბატონიშვილებს ის ტერიტორიები მიეღოთ, საგანმგებლოდ, რომელთა გადაცემაც მათთვის ერეკლეს უნდოდა. სოლომონი რუსეთის იმპერატორს თავის ბიძებს ავედრებდა, ითხოვდა, რომ იულონ ბატონიშვილისთვის მეფობა მიეცათ, სანაცვლოდ, ქვეყანაში მოპოვებულ მადანს მთლიანად იმპერატორს დაუთმობდნენ, ხოლო თვითონ იულონი ერთგულ სამსახურს გაუწევდა რუსეთს. საკმაოდ მიამიტური და გულუბრყვილო თხოვნა იყო, მეფისთვის ცოტა შეუფერებელიც კი. მან ვერ გააცნობიერა, რომ რუსეთის მთავარი მიზანი ერეკლეს შთამომავლების საქართველოდან გასახლება იყო ან ბატონიშვილების ნებით, ან ძალით, რათა ბაგრატიონების მეფობა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ისტორიას ჩაბარებოდა. თავისი არაერთი თხოვნით, რომ ქართლ-კახეთში იულონ ბატონიშვილი გაემეფებინათ, სოლომონი ისევე მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის ხელისუფლებისთვის, როგორც ერეკლეს შვილები. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთის ყურმოჭრილი მონა რომ ყოფილიყო, სამეფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას მოახერხებდა. დღეები იმერეთის დამოუკიდებელი არსებობისა უკვე დათვლილი იყო.

3.3. სოლომონ II-ის ურთიერთობა რუსეთთან

იმერეთის მეფემ საგარეო პოლიტიკაშიც სოლომონ I-ის კურსის გაგრძელება გადაწყვიტა და 1796 წელს რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვა, თუმცა, პასუხი ვერ მიიღო. ამ დროისთვის შესამჩნევი გახდა რუსეთის ინტერესის დროებით შესუსტება დასავლეთ საქართველოში. ეს ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას:

1) რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომი რუსეთისთვის მისაღები შედეგით დასრულდა. ახალი ომის წამოწყება დასავლეთ საქართველოს ხელში ჩასაგდებად მის გეგმებში ჯერჯერობით არ შედიოდა.

2) საფრანგეთის 1789-1794 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელმაც თავდაყირა დააყენა ევროპისა და რუსეთის მონარქიული სისტემა. გაურკვეველი იყო რევოლუციის შემდგომი განვითარების მიმართულება, განსაკუთრებით ის, თუ რა ბედი ეწეოდა ბურბონთა დინასტიას.

ამ ფონზე იმერეთის საკითხი ნაკლებ ინტერესს იწვევდა რუსეთის ხელისუფლებაში. შეიძლება ამითაც აიხსნას რომ, როცა ზემოთნახსენებ წერილში სოლომონმა გუდოვიჩს პეტერბურგში ელჩის გაგზავნის ნებართვა სთხოვა, გენერალმა უარი უთხრა, მხოლოდ იმას შეპირდა, როცა საშუალება მექნება, თქვენი სურვილის შესახებ იმპერატორს შევატყობინებო. 1798 და 1801 წლებშიც გაიმეორა მეფემ იგივე თხოვნა. რუსეთმა ისევ აარიდა თავი მასთან ურთიერთობას და ცდილობდა ოსმალეთისთვის უკმაყოფილების საბაბი არ მიეცა.

თუმცა, მდგომარეობა შეიცვალა საქართველოში მთავარმართებლად გენერალ ციციანოვის დანიშვნის შემდეგ. 1802წ. საფრანგეთ-ოსმალეთს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის ძალითაც ფრანგულმა გემებმა შავ ზღვაში შესვლის უფლება მიიღეს. ამიერიდან საფრანგეთისთვის საქართველოც საინტერესო ქვეყანა ხდებოდა. ნაპოლეონის დაინტერესებამ შავი ზღვის აუზით რუსეთის ინტერესი დასავლეთ საქართველოში მყისიერად გაზარდა.

1779 წლის 16 აპრილს, გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე, რუსეთმა თავის წარმომადგენლად ქართლ-კახეთში კოვალენსკი დანიშნა, რომელიც უხეშად ერეოდა გიორგი XII-ის საქმიანობაში. მართალია, იმერეთის მეფეს მასთან მჭიდრო ურთიერთობა არ ჰქონია, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ მასზე ყურადღების გამახვილება, რათა ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას იმდროინდელ საქართველოში მოღვაწე რუს მოხელეებზე, რომლებთან ურთიერთობა სოლომონ II-საც უწევდა. ამ მხრივ საკმაოდ საინტერესოა საიდუმლო მრჩეველ სოკოლოვის 1802 წლის მოხსენება, რომელიც გაუგზავნა კანცლერ ვორონცოვს („აქტები“, 1868:5). მასში ჩამოთვლილი ფაქტები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადამიანზე, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ აღმოსავლეთ საქართველოში სამოქალაქო მინისტრად დანიშნა.

სოკოლოვის აზრით, კოვალენსკიმ პირველი უხამსობა მაშინ ჩაიდინა, როცა:

1) რუსეთიდან საქართველოში მომავალი, შეხვდა რა საქართველოდან რუსეთში მიმავალ ქართველ ელჩებს, მათ უკან დაბრუნება უბრძანა, გიორგი XII ს-ს კი მიწერა, თუ შენს ელჩებს საქართველოში არ დატოვებ მაშინ მეც უკან გავბრუნდები და რუსულ ჯარსაც თან წავიყვანო. (ძნელი წარმოსადგენია ამაზე უაზრო და უტაქტო ულტიმატუმი, რომელიც რუსმა მოხელემ გაუბედა ქართლ-კახეთის მეფეს).

2) თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მან თავისი ქცევით ყველა გააკვირვა. მეფე არც ნახა, ხოლო მის თავაზიან მოკითხვაზე ჯანმრთელობის შესახებ მხოლოდ შეატყობინა, რომ ჯანმრთელად იყო. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა მეფესთან მისვლა, ოღონდ მოითხოვა, რომ მისთვის შესაფერისი სავარძელი დაედგათ სასახლეში. მეფე დათანხმდა ამაზე. სასახლეში მისული კოვალენსკი აღშფოთდა, რადგან სავარძელი მეფისგან მოშორებით დაედგათ. მან სავარძელი მიაჩოჩა მეფესთან და ისე დაჯდა, რომ ფეხებით მის ფეხებს ეხებოდა. ეცვა თბილი ქურქი, ჩექმები, თავზე თბილი ქუდი ეხურა, ე.ი. ყოველმხრივ დაარღვია დიპლომატიური ეტიკეტი, მეფეს კი ხშირად ახსენებდა, რომ ის იმპერატორის წარმომადგენელი იყო.

3) გიორგი XIIს-თან შეხვედრის შემდეგ შეხვდა მის მეუღლეს იმავე ჩაცმულობით, ე.ი. ქუდით და ქურქით, ხოლო მასთან საუბრის დროს მოურიდებლად დახედა საათს და თქვა, რომ რუსული წეს-ჩვეულებით შუადღეს ეძახდნენ ადმირალის საათს და არაყს სვამდნენ. დედოფალმა არაყი მოატანინა, კოვალენსკიმ დალია და აუდიენცია ამით დაამთავრა. მეფე აღაშფოთა მისმა საქციელმა. შეიძლება მან თავადაც არ იცოდა, თუ როგორი ჩაცმულობით უნდა მისულიყო კოვალენსკი მასთან, მაგრამ ეს მშვენივრად იცოდა გარსევან ჭავჭავაძემ. მასთან მოლაპარაკების შემდეგ მეფემ უთხრა რუსეთის წარმომადგენელს, რომ სასახლეში მისვლა ამ ჩაცმულობის გარეშეც შეიძლებოდა.

4) როცა კოვალენსკის რწმუნების სიგელი უნდა გადაეცა მეფისთვის, მან სამი საათით დააგვიანა მისვლა, რითაც მეფეს დიდი შეურაცხყოფა მიაყენა.

5) ერთხელ მეფემ სადილად მიიწვია ის. მინისტრმა კი თავის ნაცვლად მსახურები გაგზავნა. თვითონ სხვა ტანსაცმელი ჩაიცვა, ქალბატონების სამყოფ აივანზე აძვრა და იქიდან უთვალთვალებდა ყველაფერს. სუფრის დამთავრების შემდეგ კი იქაურობა დატო-

ვა. ერთი რამეა გაუგებარი: რას უთვალთვალებდა აივნიდან, სუფრის მიმდინარეობას თუ ქალბატონებს?

,,აქტების“ II ტომის 407-ე გვერდზე ვხვდებით ზემოთნახსენები სოკოლოვის მიერ იმერეთის აღწერას. რუს მოხელეს მიაჩნდა, რომ ბევრი მწერალი ამ ადგილს მიწიურ სამოთხედ აღიქვამდა, მაგრამ ის სხვაგვარად ფიქრობდა. მისი აზრით, ბუნება აქ ველური იყო, ცხოვრება კი - ცხოველური. (,,жизнь скотская“). ქართველებს ბიბლიად მიაჩნიათ ხელნაწერი, რომელიც იგავებზე აგებულ არარეალური ამბების აღწერას წარმოადგენდა. ამას წერდა ადამიანი, რომლის წინაპრებს XVII-XVIII სს-ში პეტრე პირველმა ასწავლა წვერის გაპარსვა და საპნით ხელის დაბანა (ხაზგასმა ჩვენია).

რუსი ჩინოვნიკის შეხედულებას იმერეთზე იმიტომ შევეხეთ, რომ ქუთაისში მისი და მისი მსგავსი მოხელეების ამორალური საქციელი გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მოგვიანებით სოლომონმა სამეფოს დედაქალაქი მიატოვა. 1805 წლიდან მეფის სასახლეში მოკალათებული რუსები იმერეთის თავადებს მოახლეებს ართმევდნენ და მრავალ უწესობას ჩადიოდნენ. ეს ხალხის აღშფოთებას იწვევდა. მოგვიანებით, როცა მეფეს ცოტა ხნით ქალაქში დაბრუნების საშუალება მიეცა, მან ძირფესვიანად დაანგრია რუსი ჯარისკაცების ყაზარმები.

კნორინგმა და ლაზარევმა საქართველოს საქმეები ვერ მოაგვარეს. მთავარმართებლად გამოგზავნეს პაველ ციციანოვი, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ ,,აზიაში პოლიტიკას ქმნიდა ძალა, სათნოებას-სიმამაცე, ხოლო ორივეს ერთად-ფული“ (გურამიშვილი, 2009:137). ციციანოვი გარუსებული ქართველი იყო, რომლის წინაპარი ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში. სწორედ მისი დანიშვნის შემდეგ გააქტიურდა რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში, ის ცდილობდა ოსმალეთის დათანხმებას, რომ ამ უკანასკნელს ხელი აეღო იმერეთზე, სამეგრელოზე და ახალციხის საფაშოზე. რეალური ხდებოდა საქართველოს გაერთიანება, მაგრამ რუსეთისადმი მტრულად განწყობილმა საფრანგეთმა ხელი შეუშალა ამ განზრახვის განხორციელებას. დანიშვნისთანავე ახალმა მთავარმართებელმა დიპლომატიურ ნიჭთან ერთად ოქროც აამოქმედა და იმერეთის დიდებულების და სოლომონ II-ის მოქრთამვას ცდილობდა მდიდრული საჩუქრებით. მან იმერეთში 10000 მანეთი გაგზავნა მოღალატე თავადებზე გადასაცემად (რეხვიაშვილი, 1982: 258-259).

საინტერესოა ფრანგი ბუნებისმეტყველის, შარლ ბელანჟეს აზრი პაველ ციციანოვზე (1754-1806წწ). ,,იგი საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამ ციციშვილის ნათესავი იყო, მაგრამ რუსეთის არმიის გენერალი და თავისი ახალი სამშობლოს სრულიად ერთგული... მან სისასტიკით გააუჩინარა საქართველოდან უკანასკნელი ნაშიერები მონარქიისა, რომელიც 97 მეფეს ითვლიდა, დაივიწყა რა სამეფო ოჯახთან სისხლით ნათესაობა“ (ნაჭყებია, 2018:30).

ციციანოვი განუსაზღვრელი უფლებებით იყო აღჭურვილი. ალექსანდრე I-ის არაერთი რესკრიპტით ირკვევა, რომ იმპერატორი მთელი რიგი საკითხების მოგვარების დროს გენერლის აზრს დიდ ყურადღებას უთმობდა. მაგალითად, როცა საქმე მიდგა გრაფ მუსინ-პუშკინის იმერეთში სტუმრობაზე (საქმე ეხებოდა ინფორმაციის მიღებას ადგილობრივი სასარგებლო წიაღისეულის შესახებ). გენერალს საკუთარი შეხედულებით, პეტერბურგის თანხმობის გარეშე შეეძლო გადაეწყვიტა მთელი რიგი საკითხები (დუმბაძე, 1957:147).

სოლომონის შემოტევებისგან თავის დაცვის მიზნით, დადიანმა დახმარება ციციანოვს სთხოვა, მის მიერ ციციანოვთან გაგზავნილი ელჩის მარშრუტი იყო: სვანეთი-კავკასიის უღელტეხილის გავლით მოზდოკი-თბილისი (იმერეთზე ვერ გაიარა), ხოლო აქედან მის დასახმარებლად წასული ჯარის მარშრუტი იყო: თბილისი-ახალციხის საფაშო-ფოთი-ჭალადიდი-სამეგრელო.

მთავარმართებელს ორი საკითხი უნდა მოეგვარებინა პირველ რიგში: სოლომონ მეფის ტყვეობიდან უნდა გამოეხსნა კონსტანტინე ბატონიშვილი და ხელში ჩაეგდო იმერეთში მყოფი ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილები. იმერეთის მეფის წინააღმდეგ ციციანოვმა მრავალ საშუალებას მიმართა. სოლომონს ჯერ იმპერატორის მოკითხვის წიგნი გაუგზავნა, სადაც მას ,,სიყვარულს“ და ,,მშვიდობას“ ჰპირდებოდნენ, შემდეგ ფულიც ბლომად დახარჯა და იმერეთის თავად-აზნაურები და საეკლესიო მოღვაწეები მოისყიდა, ამის შემდეგ თავის წარმომადგენელი გაგზავნა იმერეთში და კატეგორიულად მოითხოვა კონსტანტინეს გათავისუფლება. (ბერძენიშვილი, 1967:288) მეფის შეშინების მიზნით გენერალ ტუჩკოვის ჯარი იმერეთის საზღვარს მიაყენა.

მეფე არ შეშინდა ასე ადვილად. მოლაპარაკება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ დათანხმდა სოლომონი კონსტანტინეს გათავისუფლებაზე. ოქროთი მოსყიდულმა ქაიხოსრო წერეთელმა და დოსითეოზ კათალიკოსმა (წერეთელი) მეფეს ტყვის გათავისუფლება ურჩიეს და ცხრა წლიანი პატიმრობის შემდეგ კონსტანტინე დავითის ძე თავისუფლებას ეღირსა. ეს საეჭვო მოსაზრებაა, დოსითეოს კათალიკოსი მოწამეობრივად აღესრულა რუსებთან დაპირისპირების დროს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ის ციციანოვის ოქროთი იყო მოსყიდული.

სოლომონი შიშობდა, რომ რუსეთი გათავისუფლებულ ბატონიშვილს მის წინააღმდეგ გამოიყენებდა. მაგრამ რუსი მოხელეები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი ბაგრატიონების ერთმანეთთან დაპირისპირებით, მათ სხვა გეგმა ჰქონდათ, რომელიც სამეფო გვარის წარმომადგენლების იმპერიის სხვადასხვა ადგილებში გადასახლებას ითვალისწინებდა. 1803 წლის 30 მაისს კონსტანტინე ბატონიშვილი თბილისში ჩაიყვანეს ციციანოვთან. მას თან ჩაჰყვა სოლომონ ლიონიძე (რეხვიაშვილი, 1982:253).

დადიანის პოლიტიკურ აქტიურობას იმერეთის მეფემ დიპლომატიური გააქტიურება დაუპირისპირა, გადაწყვიტა დაესწრო ოდიშის მთავრისთვის და რუსეთში ელჩად სოლომონ ლიონიძე გაგზავნა, რომელსაც იმერეთისთვის ისეთივე მფარველობა უნდა მოეპოვებინა, როგორიც ქართლ-კახეთმა მიიღო ერეკლეს დროს.

სოლომონ II-ის მოთხოვნა შემდეგი პუნქტებისგან შედგებოდა:

1) თუ რუსეთი იმერეთს მფარველობაში მიიღებდა, მას, ე.ი. რუსეთს, ამის შესახებ ყველა ქვეყნისთვის უნდა ეცნობებინა (ამით იმერეთის მეფე ხელშეუხებლობის გარანტიას იღებდა).

2) იმერეთის მეფის ელჩებს მთავარმათებლის ნებართვის გარეშე უშუალოდ იმპერატორთან მიმოსვლის უფლება უნდა ჰქონოდათ.

3) იმპერატორს სოლომონისთვის სიგელი უნდა მიეცა, რომლის ძალითაც კავკასიის მთავარმართებელი საჭიროების შემთხვევაში იმერეთის დასახმარებლად 1000 კაციან რაზმს გაგზავნიდა.

4) იმპერატორი უნდა დათანხმებოდა სოლომონის არჩევანს, სამეფო ტახტი იმისთვის დაეტოვებინა, ვისთვისაც იმერეთის მეფე მოისურვებდა.

თავის მხრივ, სოლომონი ვალდებულებას იღებდა, რომ:

1) იქნებოდა იმპერატორის ერთგული,

2) მისცემდა რუსეთს ხე-ტყეს გემების ასაგებად, ნებას აძლევდა მას შავი ზღვის სანაპიროზე თევზის ჭერისა და რუსეთის კუთვნილი ნავების რიონით იმერეთში შესვლისა.

3) ოსმალეთთან ომის შემთხვევაში იბრძოლებდა რუსეთთან ერთად,

4) შეიერთებდა აფხაზეთის სამთავროს, რაც ფრიად სასარგებლო იქნებოდა რუსეთისთვის (რეხვიაშვილი,1989:335-336).

სოლომონ ლეონიძის მიერ შედგენილ ცალკე თავში ჩამოთვლილი იყო ყველა ის სიკეთე, რასაც რუსეთი ნახავდა შავი ზღვის სანაპიროზე ფეხის მოკიდებით იმ დროს, როცა დასავლეთ საქართველოს ერთადერთი მფლობელი, იმერეთის მეფე, რუსეთის ქვეშევრდომი გახდებოდა. იმერეთის ელჩი საქმეს ისე წარმოაჩენდა, თითქოს სოლომონს მთელი დასავლეთ საქართველო ემორჩილებოდა, ხოლო აფხაზეთი მისი უძველესი სამკვიდრო იყო. იმერეთს ეკუთვნოდა პალიასტომის ტბა, სადაც დიდი თევზჭერა იყო გაჩაღებული და საიდანაც გემები 25 საათში მივიდოდნენ ყირიმში. ოსმალეთთან და ირანთან ომის შემთხვევაში იმერეთი დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენდა. აქედან შეიძლებოდა ახალციხე-არზრუმ-ანატოლიისკენ გაჭრა. აქვე იყო საშენი მასალა გემების მშენებლობისთვის, კანაფი-საიალქნე თოკებისთვის, მადნეული (ბერძენიშვილი, 1965:290).

ლიონიძე საქმეს ისე წარმოადგენდა, თითქოს იმერეთის დაცვა რუსეთის ინტერესებისთვის აუცილებელი იყო. მაგრამ ამ დროისთვის ქართული სამეფო-სამთავროების გაძლიერება უკვე აღარ შედიოდა რუსეთის გეგმებში, საჭირო იყო მათი შემოერთება, რაც დაიწყო კიდევაც ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებით. მალე იმერეთის ჯერიც მოვიდოდა. ამას კარგად გრძნობდა სოლომონ II, რომელიც, უნდა ითქვას, რომ ორმაგ თამაშს თამაშობდა. მან ლიონიძის ელჩობასთან ერთად ოსმალეთშიც გაგზავნა ელჩი, რათა სულთანი მას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდა (ბერძენიშვილი, 1965:293).

სავარაუდოდ, მეფის ასეთი არამყარი პოზიცია და მისი ორჭოფული მოქმედება გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მოლაპარაკება ლიონიძესთან პეტერბურგში უცებ შეწყვიტეს. ელჩი ცივად და ნაჩქარევად გამოისტუმრეს უკან. ნიკოლოზ ქორთუას აზრით, ლე-

ონიძის წარუმატებლობა ზურაბ წერეთლის ვერაგობამ განაპირობა. ცნობილი ისტორიკოსი, ეყრდნობოდა რა სოლომონ ლიონიძის მოურავის ნაამბობს, არ გამორიცხავდა, რომ ოსმალურ ენაზე დაწერილი წერილი მეფის სახელით ზურაბ წერეთელმა გაგზავნა, რათა იმერეთის მეფე და მისი ელჩი იმპერატორის წინაშე გაეშავებინა (ქორთუა, 1964: 79). ცნობილია, რომ წერეთელი სოლომონ ლიონიძეს თავის მტრად თვლიდა, რადგან ლიონიძე წერეთლის ,,დიდგულობას" ვერ იტანდა, წერეთელი კი-შემოხიზნული ლიონიძის მეფეზე დიდ გავლენას და მის გაპირველკაცებას. სოლომონ II ყველაფერს მას უჯერებდა. მოგვიანებით ეს დაეხმარა რუს მოხელეებს სახლთუხუცესის გადმობირებაში და მეფის წინააღმდეგ მის გამოყენებაში (სოსელია, 1981:122).

პროფესორი მიხეილ გონიკიშვილი ფიქრობდა, რომ ელჩის ცივად გამოშვების მიზეზი ის სათხოვარი პუნქტი იყო, რომლის მიხედვითაც, თუ რუსეთი იმერეთს მფარველობაში მიიღებდა, ამის შესახებ უცხოეთის ქვეყნებისთვის უნდა განეცხადებინა. რუსეთს უკვე ჰქონდა გადაწყვეტილი დასავლეთ საქართველოს დაპყრობა და ის მეფის მოთხოვნას არ შეასრულებდა. ეს გახდა ლიონიძის ცივად და ნაჩქარევად გამოშვების მიზეზი (გონიკიშვილი, 1979: 90), ხოლო დადიანი იმიტომ მიიღეს მფარველობაში, რომ სამეგრელოდან და ქართლ-კახეთიდან ერთდროულად უფრო ადვილი იქნებოდა სოლომონის დამორჩილება. ოდიშის მთავარი ისე იყო გამწარებული სოლომონის იერიშებით (ეს ემთხვევა თედო ჟორდანიას მოსაზრებას), რომ მზად იყო რუსეთის მფარველობა კი არა, ქვეშევრდომობაც მიეღო. სოლომონი, თავის მხრივ, ოდიშის დამორჩილებას და სამუდამოდ ხელში ჩაგდებას გეგმავდა და, თუ ამას მიაღწევდა, რუსეთის მხრიდან ამის აღიარებას ითხოვდა. ესეც გახდა ლიონიძის წარუმატებლობის მიზეზი. იმერეთის მეფის ელჩს ვერ უშველა იმან, რომ მან ალექსანდრე I-ის ერთ-ერთ დას სახოტბო შინაარსის ლექსი შეუთხზა და მიართვა. მისი ტექსტი ინახება მატენადარანში-მესროფ მაშტოცის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (გონიკიშვილი, 1979:92).

ალექსანდე I-მა ახალი დავალება მისცა ციციანოვს.

1) სოლომონ მეფე ვერაგულად იქცეოდა. ის რუსეთს მფარველობას, ხოლო ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას სთხოვდა. ამიტომაც შეწყვიტეს მის ელჩთან მოლაპარაკება.

2) მეფე არ იყო საიმედო, ამიტომ ციციანოვს აღმოსავლეთ საქართველო უნდა დაეცვა იმ არეულობისგან, რომელიც დაიწყო იმერეთში.

3) საჭირო იყო ქუთაისის და იმერეთის სტრატეგიული ადგილების სამხედრო ძალის გამოყენებით დაკავება.

4) აუცილებელი იყო ამ ღონისძიებების გატარება სოლომონის მხრიდან შესაძლო წინააღმდეგობის შემთხვევაშიც. იმერეთის დაკავება აუცილებელი იყო რუსეთისთვის სამეგრელოსთან კავშირის დასამყარებლად ე.ი. იმერეთის საქმეებში ციციანოვს სრული თავისუფლება ეძლეოდა. ის უკვე აღარც მალავდა, რომ ბრძანება ჰქონდა მიღებული ძალით დაეკავებინა იმერეთის სამეფო, მაგრამ ერიდებოდა სისხლისღვრას და მშვიდობიანი გზით უნდოდა სამეფოს დამორჩილება. მეფეზე ზეგავლენის მოსახდენად მან სოლომონს ბრალად დასდო რუსეთის მფარველობაში მყოფ დადიანთან მტრობა. საბუთად მოიტანა თავად კვინიხაძის მკვლელობა, რომელიც გენერალსა და დადიანს შორის შუამავლის როლს თამაშობდა.

ციციანოვმა მეფესთან მოსალაპარაკებლად მიხეილ ვორონცოვი გაგზავნა და თავისი შედგენილი ტექსტი გაატანა, რომლის მიხედვითაც სოლომონს რუსეთის მფარველობაში შესვლა უნდა მოეთხოვა. მეფემ რუსეთის იმპერატორისთვის ერთგულების ფიცის მიცემაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ ტექსტს ხელი არ მოაწერა, რადგან ლიონიძის დაბრუნებას ელოდებოდა. რუსეთიდან. საინტერესოა, რომ დადიანის ციციანოვთან გაგზავნილი კაცის მოკვლას ნიკოლოზ ქორთუა აფასებდა როგორც სოლომონის მიერ რუსული ორიენტაციის მქონე პირთა დევნა-განადგურებას (ქორთუა 1964:77).

ახალმა მთავარმართებელმა თავდაპირველად მეფე-მთავრის შერიგება გადაწყვიტა. საქმე გაართულა სოლომონ II-ის კატეგორიულმა მოთხოვნამ. ის დაჟინებით ითხოვდა დადიანის მორჩილებას და იმერეთისთვის ლეჩხუმის გადაცემას. დადიანი კი იმუქრებოდა, თუ რუსეთი არ დამეხმარება და არ დამიცავს მეფის ძალადობისგან, მაშინ იძულებული ვიქნები სულთანს ვთხოვო მფარველობაო. ციციანოვისთვის ეს ულტიმატუმი მეტად ხელსაყრელი იყო. 1804 წლის 7 თებერვალს ის წერდა ქაიხოსრო წერეთელს, რომ იმერეთს ჩრდილოეთიდან ქარიშხალი უახლოვდებოდა და სამეფოს განსაცდელს მხოლოდ სოლომონ II-ის უსიტყვო მორჩილება ააშორებდა. (ქორთუა, 1964: 101) მეფე თა-

ნახმა იყო მიეღო რუსეთის მფარველობა, თუ მას ლეჩხუმს მისცემდნენ, მაგრამ ციციანოვმა უარით უპასუხა, რუსეთი დადიანის ინტერესს იცავდა.

1804 წლის 17 მარტს რუსეთიდან დაბრუნდა სოლომონ ლიონიძე, რომელსაც ციციანოვმა უთხრა, რომ იმპერატორთან მისი უშედეგო მოლაპარაკება აიძულებდა მას, რომ იარაღის ძალით დაეპყრო იმერეთი. მეფეს აღარც საშინაო დამოუკიდებლობას უტოვებდნენ (ქორთუა, 1964:101)

რუსეთის გეგმაში მთელი საქართველოს შეერთება შედიოდა, ამიტომ მთავარმართებელმა გადაწყვიტა ოდიშის რუსეთის მფარველობაში მიღება და მოლაპარაკება დაიწყო გრიგოლ დადიანთან, პარალელურად შეეცადა გაეგო, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ოსმალეთი რუსეთის მიერ სამეგრელოს მფარველობაში აყვანის შემთხვევაში. რუსეთის ელჩმა სტამბოლში, იტალინსკიმ, გაარკვია, რომ ოსმალეთის ხელისუფლება უმტკივნეულოდ დათმობდა სამეგრელოს და იმერეთსაც, რადგან მას ამ დროს აგრესია ემუქრებოდა ნაპოლეონის მხრიდან. ასეთ პირობებში ოსმალეთი რუსეთს უყურებდა როგორც თავის მოკავშირეს. მოლაპარაკება ციციანოვსა და გრიგოლ დადიანს შორის 1803 წლის 4 დეკემბრის შეთანხმებით დამთავრდა, რომლის მიხედვითაც სამეგრელოს სამთავრო ავტონომიის უფლებით უერთდებოდა რუსეთს. გრიგოლი ოდიშის მთავრად რჩებოდა, მემკვიდრედ კი მისი ვაჟი ცხადდებოდა (რეხვიაშვილი, 1982:253).

ახალ მთავარს რუსეთის სამეფო კარი ამტკიცებდა. სამთავროში დგებოდა რუსეთის ჯარი გარეშე მტრის მხრიდან აგრესიის მოსაგერიებლად (გარეშე მტერში იმერეთის მეფეც იგულისხმებოდა). თავდაპირველად რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ დადიანისთვის მთავრის ნაცვლად უფროსი ეწოდებინა, ის რუს მოხელედ ექცია და მისთვის ხელფასი დაენიშნათ. მაგრამ ციციანოვი ამტკიცებდა, რომ ოდიშის და დადიანის უკმაყოფილებას შეიძლებოდა აჯანყება გამოეწვია, ხოლო იარაღით სამთავროს დაპყრობა რამდენიმე ათას კაცს შეიწირავდა, გარდა ამისა, რუსეთი საბოლოოდ დაკარგავდა ხალხის ნდობას. გენერლის აზრით, აჩქარება არ იყო საჭირო. ჯერ რუსეთის ჯარი უნდა შესულიყო სამთავროს ტერიტორიაზე, იქ მომძლავრებულიყო და ამის შემდეგ შეიძლებოდა მთავრის უფლებების შეკვეცა და სამთავროს გაუქმებაც. მისი რჩევა რუსეთის სამეფო კარმა გაითვალისწინა (დუმბაძე, 1957:155).

სამეგრელოს მთავარი, ამ შეთანხმების ძალით, ვალდებული იყო ყველაფერში მთავარმართებელს ან მის მიერ გაგზავნილ რუს მოხელეს დამორჩილებოდა. ლეჩხუმი, რომელზეც პრეტენზიას იმერეთის მეფე აცხადებდა, რუსეთთან დადებული შეთანხმების მიხედვით სამეგრელოს შემადგენლობაში რჩებოდა. მთლიანობაში კი ეს ხელშეკრულება იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. სოლომონ II-ს აღარ შეეძლო სამთავროს საქმეებში ჩარევა და იქ თავისი ინტერესების დაცვა. ეს იყო იმერეთის მეფის დიდი მარცხი. რუსეთმა ისარგებლა მისი სისუსტით, იმით რომ მან ვერ მოახერხა ურჩი მთავრის დამორჩილება და ადვილად ჩაიგდო ხელში სამეგრელოს სამთავრო. ოდიშში მეფისადმი ლოიალურად განწყობილი მთავარიც რომ ყოფილიყო, რუსეთი მაინც შეიერთებდა მას, უბრალოდ, ეს მოგვიანებით, მაგრამ მაინც მოხდებოდა. რუსეთს მთელი დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ ის ადრე თუ გვიან დაიპყრობდა ან მფარველობის საფარქვეშ მიიღებდა დასავლეთ საქართველოს ყველაზე დიდ პოლიტიკურ ერთეულს, იმერეთს, იგივე ბედი ეწეოდა ოდიშის, გურიის და აფხაზეთის სამთავროებსაც. ეს ასეც მოხდა, ოღონდ, ცოტა მოგვიანებით, დაახლოებით 50 წლის შემდეგ (რეხვიაშვილი, 1982:304).

სამწუხაროდ, სოლომონ II-ის სამართლიანი ბრძოლა ოდიშის სამთავროს წინააღმდეგ იმერეთისთვის კატასტროფული შედეგით დასრულდა. მეფე გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ თუ ურჩ მთავრებს დაიმორჩილებდა და ქართლ-კახეთში იულონი გამეფდებოდა, იმერეთის სამეფო დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა და იმასაც მიაღწევდა, რომ რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავს შეთანხმებას დადებდა. აშკარა იყო, რომ რუსეთის და სოლომონის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. საერთო ენის გამონახვა, ფაქტიურად, შეუძლებელი იყო და სწორედ ეს განაპირობებდა იმერეთის მეფის არამყარ, წინააღმდეგობრივ პოზიციას რუსეთის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს.

ჯერ კიდევ 1801 წელს ნათელი გახდა, რომ ქართლ-კახეთში მეფობა გაუქმდებოდა, მაგრამ იმერეთის მეფის მიერ გაგზავნილი ელჩობის მთავარი მოთხოვნა ქართლ-კახეთში მეფობის აღდგენა და იულონ ბატონიშვილის გამეფება იყო (ქორთუა, 1964:64). სოლომონის სურვილი და მოთხოვნა აშკარად აღარ შეესაბამებოდა რეალობას. მთა-

ვარმართებელმა კნორინგმა დაუფარავად შეუთვალა მას, რომ ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმება გადაწყვეტილი იყო ხოლო, სოლომონის რჩევა თუ რეკომენდაცია ტახტზე იულონის აყვანის თაობაზე, რუსეთის იმპერატორის შეურაცხყოფას ნიშნავდა (რეხვიაშვილი, 1982:247).

მიუხედავად მფარველობაზე უარის თქმისა, რუსეთი დიდი ყურადღებით აკვირდებოდა იმერეთის საშინაო საქმეებს და თავისი საგანგებო მოხელე, სოკოლოვიც, მიავლინა იქ, რომელსაც დაევალა იმერეთის სამეფო კარის მდგომარეობის შესწავლა, ვითარების გაკონტროლება და ზეგავლენის მოხდენა იმერეთის მეფეზე. მაგრამ არც სოლომონი კარგავდა უქმად დროს. მისი დავალებით სოლომონ ლიონიძეს აღმოსავლეთ საქართველოში უნდა მოეძებნა იმერეთის მეფის თანამზრახველები, დაემყარებინა მათთან კავშირი და შემდეგ ერთად ებრძოლათ რუსების განდევნისა და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენისათვის. ,,მზადდებოდა კოალიციური გამოსვლა, რომელშიც სოლომონთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართლ-კახეთის თავადებს, ახალციხის ფაშას, განჯის, შუშისა და სხვა ხანებს. შეთქმულებას დახმარებას აღუთქვამდა ირანი და ოსმალეთი“ (დუმბაძე, 1957:140). იმერეთი ყოველთვის იბრძოდა ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ, მაგრამ იმ დროს საკმაოდ მაღალი იყო საფრთხე იმერეთის დამოუკიდებლობის დაკარგვისა. ამიტომ სოლომონ II-მ ოსმალეთთან დაახლოვება ამჯობინა, რადგან მისი დახმარებით რუსეთისთვის ხელი შეეშალა იმერეთის დაპყრობის საქმეში.

ამ დროისთვის ციციანოვმა განჯის კამპანია დაასრულა, რუსეთიდან ორი პოლკიც მიიღო და იმერეთში ჯარის შეყვანა გადაწყვიტა. პარალელურად დაიწყო იმერეთის თავადაზნაურობის მოსყიდვა. მეფის მომხრე თავადები სწრაფად გადავიდნენ ციციანოვის მხარეზე. გიორგი აბაშიძემ ათი ათასი მანეთი მიიღო მეფის მოღალატეებზე გადასაცემად. გენერალს საკმარისი ჯარი ჰყავდა იმერეთში შეჭრისთვის მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის მაინც მშვიდობიანი გზით ცდილობდა ამ პრობლემის მოგვარებას და 1804 წლის 30 მარტს წერილი გაუგზავნა სოლომონ ლიონიძეს. (,,აქტები“, 1868:29). მეფეს ხელი უნდა მოეწერა იმ პუნქტებზე, რომლითაც იმერეთი რუსეთის მფარველობაში შევიდოდა, სანაცვლოდ კი მეფე უწინდელ წყალობას მიიღებდა იმპერატორისაგან. თუ სოლომონი ამაზე უარს იტყოდა, ციციანოვს უფლება ჰქონდა ძალით დაეპყრო იმერეთი,

მას კი ამის გაკეთება არ უნდოდა და პასუხის გასაცემად ლიონიძეს, როგორც იმერეთის მეფის სრულუფლებიან ელჩს, 8 დღეს აძლევდა. გენერალს ზუსტად ჰქონდა გამოთვლილი, თუ რა დრო იყო საჭირო იმისთვის, რომ მისი წერილი წაეღოთ მეფესთან, ხოლო პასუხი უკან მოეტანათ. წერილის ბოლოს ციციანოვი დანანებით ამბობდა, რომ იმერეთის თავადები (სავარაუდოდ, გულისხმობდა სოლომონის ერთგულ თავადებს) მისთვის წინააღმდეგობის გაწევით თავიანთ სამშობლოსთან, ე.ი. იმ ქვეყანასთან დამაკავშირებელ ძაფს წყვეტდნენ, სადაც ისინი დაიბადნენ და გაიზარდნენ. (ს ე ა ს ც ა, ფონდი 2. აღწ. 1. საქმე №56. ფ. 31). ამასთან ერთად მთავარმართებელმა წერილი გაუგზავნა მეფეს, სადაც ამბობდა: ,,იმერეთში არ არის ადამიანი, რომელსაც ჩემზე მეტად უნდა სიკეთე თქვენთვის“ (,,აქტები“, 1868:411).

ეტყობა, მას სიკეთე თავისებურად ესმოდა, რადგან მოგვიანებით ახალციხის სელიმ-ფაშას სთხოვდა, რომ ამ უკანასკნელს დაესაჯა სიმონ აბაშიძე და მისი შვილი, ლევანი. (ალბათ, სოლომონის ერთგულებისთვის). 1804 წლის 15 ნოემბრის საპასუხო წერილში ფაშა ამბობდა, რომ აბაშიძემ დანაშაული მოინანია და მას ღმერთმა აპატია ეს დანაშაული. თუ ღმერთმა აპატია, მაშინ კაცმაც (ე.ი. ციციანოვმაც) უნდა აპატიოს და მას ნაწყვეტს ახსენებდა: ,,ვითარცა ცათა შინა ეგრეცა ქვეყანასა ზედა“. ხიმშიაშვილი ითხოვდა, მე მაჩუქეთ მისი დანაშაულიო. სჩანს, რომ ამ დროს სოლომონი და ფაშა მოკავშირეები არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი მთავარმართებელს აბაშიძეებს გადასცემდა. საინტერესოა, რომ გამაჰმადიანებული ხიმშიაშვილი ახსენებდა ქრისტიან ციციანოვს ადგილს სახარებიდან. თუმცა, ხიმშიაშვილს და იმერეთის მეფეს შორის ყოველთვის არ ყოფილა მეგობრული ურთიერთობა. მაგალითად, 1802 წ. 5 სექტემბრის რაპორტით პოდპოლკოვნიკი სიმონოვიჩი ატყობიბინებდა გენერალ ლაზარევს, რომ სოლომონი აპირებდა აჭარაში გალაშქრებას, რადგან აქაური ბეგი, ხიმშიაძე, მეფეს სამაგიეროს გადახდით ემუქრებოდა საბუდ-ფაშას მოკვლის გამო (,,აქტები“, 1866:252).

1803 წლის 25 მარტს, კაფუჯი-ფაშა სელიმ-ბეგ ხიმშიაძე (ე.ი. ის ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ფაშა) წერდა ციციანოვს, (,,აქტები“, 1868:892.), რომ მან დაატყვევა იმერეთიდან მომავალი 55 ქვეითი და 60 ცხენოსანი ლეკი, რომლებიც სოლომონ მეფესთან იყვნენ შერიფ-ფაშას მოწოდებით. შერიფ-ფაშა ჯაყელი ერთნაირად მიუღებელი იყო როგორც

სელიმ ხიმშიაშვილისთვის, ისე ოსმალეთის და რუსეთის ხელისუფლებისთვის, როგორც ერთმანეთის დროებითი მოკავშირეებისთვის. ხოლო სოლომონ II-ის მასთან ახლო ურთიერთობა საკმაოდ კარგად იყო ცნობილი. იმერეთის მეფემ და შერიფ-ფაშამ თავიანთი კავშირი ფიცით გაამაგრეს (,,აქტები", 1868:340). ამიტომ წერდა გენერალი მოგვიანებით ახალციხის რეჯებ-ფაშას, რომ მან მზადყოფნაში მოიყვანა ბამბაკში მყოფი რუსული ნაწილები, რათა გამოჩენისთანავე შერიფ-ფაშა ან მოეკლათ, ან დაეტყვევებინათ და მასთან მიეყვანათ. ამით მთავარმართებელი ორ საქმეს გააკეთებდა: თავის მეგობრობას დაუმტკიცებდა ოსმალეთს და იმერეთის მეფესაც მოკავშირეს წაართმევდა.

დამაფიქრებელია მისი 1803 წლის 2 აპრილის წერილი ყარსის მამედ-ფაშას მიმართ, რომელშიც რუსეთის სამხედრო ძლიერებაზე ამახვილებდა ყურადღებას. ციციანოვის აზრით, ერეკლეს მმართველობა და რუსეთის იმპერატორის მმართველობა უფრო მეტად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ვიდრე დღე და ღამე. ჭარ-ბელაქნელები 100 წელი აოხრებდნენ საქართველოს, ქართველ მეფეებს კი ალაზნის გადალახვის და მათთან ბრძოლის ეშინოდათ (აშკარად არასწორი მოსაზრებაა), რადგან ლეკებმა ნადირ-შაჰის ძმა 14000 კაცთან ერთად მოკლეს. ციციანოვმა კი 1000 კაცით და 2 საათიანი ბრძოლით გადაჭრა ეს პრობლემა. ახლა ყარსის ფაშას ერთმანეთისთვის უნდა შეედარებინა რუსეთის ძალა და საქართველოს შესაძლებლობა. თუ მთავარმართებელი ასე ირონიულად აფასებდა ერეკლეს მრავალრიცხოვან, წარმატებულ ბრძოლებს ლეკების წინააღმდეგ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა მისი აზრი იმერეთის სამხედრო პოტენციალზე (,,აქტები", 1868:904).

ძალზე საყურადღებოა ციციანოვის 1804 წლის 8 აპრილის წერილი სელიმ ხიმშიაშვილს, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთდროულად დამაფიქრებელიც არის და შეურაცხმყოფელიც, თუმცა, საკმაოდ დიდი დოზით შეიცავს სიმართლეს. წერილი შემდეგი შინაარსისაა: 9 ლეკმა ატენის ხეობაში 2 ქართველი დაატყვევა, რომელიც იქ პირუტყვს მწყემსავდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ქართველებმა ვიღაც ქურთი მოკლეს, რომელიც საბალახოს (გადასახადს) არ იხდიდა. სელიმ ყიფიანი გაკვირვებული კითხულობდა, ქართველებს 200 წელი არ მოუთხოვიათ ეს გადასახადი და ახლა რატომ მოითხოვესო? სწორედ ციციანოვის პასუხი უნდა იყოს დამაფიქრებელი საქართველოს ხელისუფ-

ლებისთვის (დღევანდელსაც ვგულისხმობთ). გენერალს მიაჩნდა, რომ მას, ვისაც არ შეუძლია წინ აღუდგეს ძალას, (მისი აზრია საქართველოზე) არც რაიმის მოთხოვნის უფლება აქვს. ე.ი. მისი აზრით, საქართველო იმდენად სუსტი იყო, რომ უფლებაც არ ჰქონდა მოეთხოვა რამე (ამ შემთხვევაში საბალახოს გადახდა), მაგრამ ახლა საქართველო რუსეთის მფარველობაშია ე.ი. მას ჰყავს ძლიერი მფარველი, მას აქვს ამ გადასახადის მოთხოვნის უფლება და კიდევაც მიიღებდა მას (,,აქტები", 1868:896).

ძირითადი დაბრკოლება რუს მოხელეებთან მოლაპარაკების დროს იყო ლეჩხუმის საკითხი. მეფე ითხოვდა ლეჩხუმს, როგორც თავის სამემკვიდრეო მამულს, ციციანოვი კი მას დადიანის კუთვნილებად თვლიდა. სოლომონი და ციციანოვი 1804 წლის 19 აპრილს შეხვდნენ ერთმანეთს სოფელ ელაზნაურში. გენერალმა მეფეს შესთავაზა იმპერატორის ქვეშევრდომობაში შესვლა და ამ მიზნით თხოვნის დაწერა. მეფეს ხელი უნდა აეღო სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე, ხოლო საშინაო საქმეებში სისხლის სამართლის საქმეების წარმოებაზე. სოლომონმა კვლავ დაჟინებით მოითხოვა ლეჩხუმის შენარჩუნება.

პროფესორ ვახტანგ გურულის აზრით, მეფე 1804 წლის 21 აპრილის წერილით მთავარმართებლისადმი ითხოვდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ იმერეთის მეფეს ქვეყანა ისე განეგო, როგორც შეუზღუდავ მონარქს, ხოლო იმერეთში განლაგებულ რუსეთის ჯარს უნდა შეესრულებინა მეფის ყველა ბრძანება (გურული, 2017: 183).

ციციანოვი ამის წინააღმდეგი იყო. მოლაპარაკება ჩაიშალა. იმერეთში მყოფი რუსი მოხელის, ლიტვინოვის აზრით, მეფის მომხრეები ურევდნენ გონებას მას და წინააღმდეგობისკენ უბიძგებდნენ. სწორედ რუსების პატივისცემის გამო გადასცა ლეჩხუმის მოსახლეობამ დეხვირის ციხე სოლომონს და არა დადიანს, რომელიც ასევე ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას. მეფე აჭიანურებდა რუსი ჯარისკაცებისთვის ყაზარმების მშენებლობას, დადიანი კი უფულობას იმიზეზებდა. ლიტვინოვის აზრით, რუსები თავიანთ ჯარს ლეჩხუმში ვერ შეინახავდნენ, რადგან მისი სურსათით მომარაგება ძალიან ძვირი ჯდებოდა. ის ასევე ფიქრობდა, რომ ოდიშში ერთი ბატალიონი აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ, ჯარის დარჩენილი ნაწილი კი ქუთაისში უნდა შეეყვანათ. მოგვიანებით კი რუსი მოხელე კმაყოფილებით ამბობდა, რომ რუსეთის ხომალდების დასავლეთ საქართველოში შე-

მოსვლის შემდეგ იმერეთის მეფე რუსეთისთვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა (რეხვიაშვილი, 1982:268). სოლომონი სხვაგვარად ფიქრობდა და ფარ-ხმალის დაყრას ჯერჯერობით არ აპირებდა.

უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ რუსეთის ჯარმა გენერალ ტუჩკოვის და პოლკოვნიკ ერისთავის მეთაურობით გადალახა იმერეთის საზღვარი, დაიკავა სოფლები და ხალხს რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი მიაღებინა. მეფე, ფაქტიურად, დასაყრდენის გარეშე დარჩა, რადგან ციციანოვმა წინასწარ მოისყიდა თავად-აზნაურების დიდი ნაწილი. სოლომონი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 25 აპრილს სოფელ ელაზნაურში სოლომონ II და გენერალი ციციანოვი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად სოლომონმა ხელი მოაწერა არა მფარველობით ტრაქტატს, არამედ თხოვნას რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ (რეხვიაშვილი, 1982:260). დოკუმენტი 17 მუხლისგან შედგებოდა. მეფემ სცადა ცვლილებები შეეტანა ამ დოკუმენტში, მაგალითად:

მას უნდოდა, რომ იმპერატორთან უშუალო მიმოწერა ჰქონოდა, რუს მოხელეებთან უკმაყოფილების შემთხვევაში პეტერბურგის სამეფო კართან ჩივილის უფლება მიეღო, ლეჩხუმში მისი ჯარი ყოფილიყო, გურია იმერეთის ნაწილად ეცნოთ, მეფისთვის ჯამაგირი დაენიშნათ და ა.შ. ციციანოვმა კატეგორიულად უარყო ეს მოთხოვნები, მაგრამ მცირეოდენ დათმობაზე მაინც წავიდა ლეჩხუმის საკითხში. მან მეფეს მისცა საიდუმლო წერილი, რომლითაც ლეჩხუმი მეფეს რჩებოდა, სანამ იმპერატორი არ განიხილავდა მისი კუთვნილების დამადასტურებელ საბუთებს, მეფისა და გურიელის ურთიერთობა კი გააფორმა როგორც ვასალური დამოკიდებულება. ლეჩხუმი ოდითგანვე იმერეთის მეფეების სამემკვიდრეო საკუთრება იყო, მაგრამ მისი სარდალ-მოურავი, კაცია ჩიქვანი, იმერეთის მეფეს განუდგა XVIII საუკუნის დასაწყისში და სამეგრელოში გამთავრდა, გადადიანდა. მან ძალით მიიტაცა ეს მხარე. ამიტომ იმერეთის მეფეები ყოველთვის თავიანთ მიწა-წყლად თვლიდნენ ლეჩხუმს.

1804 წლის 25 აპრილს სოლომონ II-მ ხელი მოაწერა სათხოვარ მუხლებს, რომლის ძალითაც ის რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი გახდა, იმერეთი კი-რუსეთის შემადგენელი ნაწილი (რეხვიაშვილი, 1982:261). ასე შეიერთა რუსეთმა იმერეთის სამეფო. ეს სათხოვარი მუხლები შემდეგი შინაარსის იყო:

1) იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოცხადდა. სოლომონს მეფობა სამუდამოდ უმტკიცდებოდა, თუ მეფეს შვილი არ ეყოლებოდა, მემკვიდრედ კონსტანტინე დავით გიორგის ძის შვილი ცხადდებოდა, (რეხვიაშვილი, 1989:343).

2) მეფის ტახტზე ასვლა იმპერატორის თანხმობით უნდა მომხდარიყო. იმერეთის მეფე პირობას დებდა, რომ დაემორჩილებოდა მთავარმართებელს და მისი ერთგული იქნებოდა, სისხლის სამართლის საქმეებს ამიერიდან რუსეთის მოხელეები აწარმოებდნენ.

3) მეფე ვალდებულებას იღებდა, რომ იმერეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის ჯარი მისაღებ ფასად უზრუნველეყო ბინით და სურსათით.

4) თუ იმერეთში რაიმე წიაღისეული აღმოჩნდებოდა, იქიდან მეფეს წილი უნდა მიეღო, მუშა ხელი გამოეყვანა, რომელსაც ხელფასს წიაღისეულის მომპოვებელი გადაუხდიდა.

5) გემთმშენებლობისთვის საჭირო ხე-ტყე მეფეს უფასოდ უნდა მიეცა რუსეთისთვის, ხე-ტყის გადაზიდვის ხარჯებს რუსეთის ხაზინა დაფარავდა.

6) იმერეთის სავაჭრო გზებზე ბაჟის აღება უნდა გაუქმებულიყო, მეფე წილს მიიღებდა რუსეთის საბაჟო შემოსავლიდან.

7) მეფეს უკან უნდა დაებრუნებინა სამეგრელოდან წამოყვანილი ტყვეები, მას რაიმე პრეტენზია აღარ უნდა ჰქონოდა სამეგრელოს სამთავროს მიმართ.

8) მეფე ვალდებული იყო გაეყვანა საურმე გზა ვახანიდან ქუთაისამდე და უზრუნველეყო ამ გზის მოვლა.

9) მეფეს უნდა დაემტკიცებინა კონსტანტინე ბატონიშვილისთვის საბატონო მამული ერთი პირობით, კონსტანტინეს იმერეთში არ უნდა ეცხოვრა, რათა არ მომხდარიყო რაიმე შფოთი ან არეულობა.

10) აიკრძალა მოსახლეობის აქეთ-იქით გადასახლება ხელისუფლების ნებართვის გარეშე (რეხვიაშვილი, 1982:262).

ციციანოვმა ბრწყინვალედ გაართვა თავი რუსეთის იმპერატორის მითითებას იმის შესახებ, რომ კავკასიაში რუსეთის საზღვრები კასპიის და შავ ზღვამდე გადაეწია.

მიუხედავად მოვლენების არასასურველი მიმართულებით განვითარებისა, იმერეთის მეფე საკუთარი ღირსების საქმედ თვლიდა ლეჩხუმის დაბრუნებას, რადგან მიაჩნდა,

რომ დადიანი მზაკვრობით დაეუფლა მას და ამ საქმეში დახმარების სანაცვლოდ რუს მოხელე ლიტვინოვს 7000 მანეთი შეაძლია (,,აქტები“, 1868:413), თუმცა, ეს მცდელობაც უშედეგოდ დამთავრდა.

იმპერატორმა ელაზნაურის შეთანხმების დადების დროს გაწეული სამსახურისთვის ზურაბ წერეთელს, რომელმაც ,,მოსდრიკა მეფე დამტკიცებასა ზედა მის მიერ ხელის მოწერილის ტრაქტატისასა“ (სოსელია,1981:123). ბრილიანტებით შემკული ოქროს სათუთუნე გამოუგზავნა, რომელიც მას პირადად ციციანოვმა გადასცა 1804-1806 წლებში (,,აქტები“, 1869:127). ამ სათუთუნეზე, პოდპოლკოვნიკის ჩინზე (გენერლობას შეპირდნენ) და 1200 მანეთზე გაყიდა ყოფილმა სახლთუხუცესმა სოლომონ II და იმერეთი.

ის, თითქოს, ხანდახან მერყეობდა, მეფეს თანაუგრძნობდა, უნდოდა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულებულიყო. ამის გამო რუსები მას ,,ორპირ პიროვნებას, ძველ მზაკვარს და ყველაზე საშიშ ადამიანს“ ეძახდნენ (,,აქტები“, 1870:359, 362-364, 376).

სტეპან ბურნაშოვი განსხვავებული აზრის იყო მის ერთგულებაზე და ფიქრობდა, რომ წერეთელს საკუთარი სისუსტე აიძულებდა რუსეთის ერთგული ყოფილიყო. ამის მიუხედავად გარეგნულად რუსები მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ (სოსელია, 1981: 124).

ამრიგად, იმერეთის სამეფოს რუსეთზე აღებული საგარეო ორიენტაცია საბოლოოდ 1804 წლის 25 აპრილის ელაზნაურის შეთანხმებით დასრულდა და იმერეთის სამეფომ, როგორც ქვეყანამ, არსებობა შეწყვიტა. იგი რუსეთის მფარველობაში შევიდა. ამიერიდან ახალი ეპოქა იწყებოდა იმერეთის საგარეო ორიენტაციაში, რომელიც სრულიად განსხვავებული რაკურსით წარიმართა.

3. 4. იმერეთის ურთიერთობა ოსმალეთთან და ირანთან

როგორი იყო იმერეთის მეფის მოქმედება ელაზნაურის შეთანხმების შემდეგ? შეეგუა შექმნილ რეალობას, ბედს შეურიგდა თუ ახალი ,,მფარველისგან“ თავის დაღწევას ცდილობდა? 1804 წლის 25 აპრილის სოლომონის შეთანხმება რუსეთის ხელისუფლებასთან, ეჭვგარეშეა, იყო იძულებითი და არა ნებაყოფლობითი ნაბიჯი. მეფე მშვენივრად ხვდებოდა, რომ რუსეთი მიღწეულით არ დაკმაყოფილდებოდა და მისი შემდგომი სა-

მიზნე იმერეთის სამეფო ტახტი, უფრო ზუსტად, მეფობის გაუქმება იქნებოდა. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირის მოძებნა რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის თურქული საბუთების ფონდში (№1453) მივაკვლიეთ ერთ უთარიღო ბარათს, რომელიც იმერეთის მეფემ, სოლომონ II-მ, გაუგზავნა ოსმალეთის სულთანს. ეს არის საქმე №128. ოსმალური ტექსტის გასწვრივ ქართულად წერია, რომ იმერეთის მეფე სოლომონი, (სოლომონ ხანი, საქართველოს მფლობელი), სთავაზობს სულთანს დახმარებას თავისი ჯარით (30000 კაცი?!) მეფე იმასაც აუწყებდა სულთანს, რომ ალექსანდრე მირზას (ერეკლე II-ის შვილს) ახალციხეში გავგზავნი, რომ ჩილდირის სელიმ-ფაშაც შემოგვიერთდესო.

ვფიქრობთ, რომ ეს ცნობა მოიძია და თურქული საბუთების ფონდში მოათავსა დიდმა ქართველმა მეცნიერმა და თურქოლოგმა, ბატონმა სერგი ჯიქიამ. დავინტერესდით წერილის შინაარსით, მაგრამ დიდ სიძნელეს წავაწყდით მისი თარგმნის დროს. დახმარების ხელი დიდსულოვნად გამოგვიწოდა დიდმა მეცნიერმა, აღმოსავლეთმცოდნემ, ქალბატონმა ცისანა აბულაძემ, რომელსაც პირად არქივში ჰქონდა ამ ცნობის ასლი, მაგრამ არ ჰქონდა ნათარგმნი და, მითუმეტეს, გამოქვეყნებული. გადაგვითარგმნა და სულგრძელად დაგვითმო მისი გამოქვეყნების უფლება. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ქალბატონ ცისანას ძალისხმევით და ჩვენი მცირედი მონაწილეობით იხილა დღის სინათლე ამ თურქული საბუთის ქართულმა თარგმანმა.

გაირკვა, რომ წერილს სოლომონ II უგზავნიდა არა ოსმალეთის სულთანს, არამედ ჩილდირის ვეზირ რუშან ზაჰირ სელიმ-ფაშას. ცისანა აბულაძის აზრით, იმერეთის მეფეს არ ჰქონდა იმის უფლება, რომ წერილი უშუალოდ სულთნისთვის გაეგზავნა, ეს მას ოსმალო მოხელის, ამ შემთხვევაში, ახალციხის ფაშას ხელით უნდა გაეკეთებინა. უნდა ითქვას, რომ ოსმალური მხარე დიდ ყურადღებას უთმობდა დიპლომატიური ეტიკეტის დაცვას. მეჰმედ რაშიდს მოყვანილი აქვს მეტად საინტერესო ცნობა, რომელშიც აღწერილია 1703 წლის ამბავი. საქმე ეხება გურიის მთავარს, რომელმაც ოთხი ახალგაზრდა ვაჟი და ოთხი ქალიშვილი გაუგზავნა სულთანს საჩუქრად თავისი ელჩების ხელით. სულთნის კარზე ჩათვალეს, რომ გურიელს არ ჰქონდა საჩუქრის გაგზავნის უფლება, მას

მხოლოდ ხარკი უნდა გადაეხადა. მისი ელჩები დააპატიმრეს, ხოლო საჩუქრად გაგზავნილი ახალგაზრდები მონებად გაყიდეს, აღებული ფული კი ხაზინაში შეიტანეს (რაშიდი, 1976:9-10). ეს მაგალითი კარგად მეტყველებს იმაზე, რომ სულთნის ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რა ფორმით ექნებოდათ მის ხელქვეითებს მასთან ურთიერთობა.

რაც შეეხება უშუალოდ ცნობას, ის, დაახლოებით, შემდეგი შინაარსისაა: ,,თბილისის ჯარი და კახეთის თავადები, აზნაურები და რეაია (მოსახლეობის დაბალი ფენა) ალექსანდრე-მირზას სარდლობით თქვენსკენ წამოვა. თბილისის მიწაზე და მთაში მყოფნიც, ყველანი შეერთდებიან და თბილისის გარშემო მტერს გაანადგურებენ. ჩვენ ხმალს ვიშიშვლებთ და 30000 ცხელსისხლიანი ვაჟკაცი თქვენსკენ წამოვა. ჩვენი და ჩვენი ოჯახის სახელით მოგახსენებთ... ყველა საქმე, რითაც ჩვენ დავკავდებით, აღსრულებული იქნება. ჩვენს ქვეყანაში მყოფ ოსმალეთის მტრებს შევუტევთ... ჩვენი ხელიდან რაც გამოვა, ყველაფერს გავაკეთებთ...“ წერილში ასევე ნათქვამია, რომ ეს ჯარი ლორეს ხეობაში გაგრილდება, ნახსენები არიან ლეკები და სპარსელები.

იმ დროისთვის ოსმალეთის მტრად შეიძლება მიგვეჩნია რუსეთი ან ირანი. თუ დავუშვებთ, რომ სოლომონი მტერში გულისხმობდა სპარსეთს, მაშინ ამ ცნობაში გაუგებრობას იწვევს ალექსანდრე-მირზას ხსენება, თუ ის ერეკლე II-ის შვილია, ჩნდება კითხვა: როდის აპირებდა ის ირანის წინააღმდეგ ბრძოლას? წერილს ხელს აწერს აჩიკ-ბაში სოლომონ-ხანი. უცნაურად გვეჩვენება, რომ არსადაა ნახსენები არც იმერეთის სამეფო და არც რუსთა წინააღმდეგ ბრძოლა. (შესაძლოა, თარგმანის ბრალია). ქ-ნ ცისანას აზრით, ეს წერილი არის ოსმალური ტექსტი, ნასხის ხელით ნაწერი.

ერთი შეხედვით, საკმაოდ ბუნდოვანი ცნობაა. საწყის ეტაპზე ვფიქრობდით, რომ ამ დროს ოსმალეთი და რუსეთი კი არ უპირისპირდებოდა ერთმანეთს, არამედ ოსმალეთი და ირანი. უფრო საინტერესო კი იმის გარკვევა იყო, თუ რის გამო აპირებდნენ ალექსანდრე ბატონიშვილი და სოლომონ II ამ დაპირისპირების დროს ირანის წინააღმდეგ გამოსვლას. ასევე შევეცადეთ, მიახლოებით მაინც დაგვეთარიღებინა ეს წერილი.

1798-1804 წლები შეიძლება ჩავთვალოთ რუსეთ-ოსმალეთის ,,მეგობრობის“ და დაახლოვების წლებად. ოსმალეთს ამ ნაბიჯის გადადგმისკენ საფრანგეთის მხრიდან მოსა-

ლოდნელმა საფრთხემ უბიძგა. ვერ ვიტყვით, რომ ეს მეგობრობა მაინცდამაინც მყარი იყო, მაგრამ, ფაქტია, რომ ორივე იმპერია ცდილობდა არ გადაედგა ურთიერთსაწინააღმდეგო ნაბიჯი. პირიქით, ვხვდებით ერთ ფრიად საინტერესო ცნობას, რომელიც ინახება თურქული საბუთების ფონდში № 1453, საარქივო № 111, ფურც.32, რომელშიც მეხდი-ხანი, დაღესტნის შამხალი და ვალი, გრაფ გუდოვიჩს ატყობინებდა, რომ გენერალმა გლაზუნოვმა ციხე აიღო და მას (ფადიშაჰს?!) გადასცა სამფლობელოდ, თუმცა, ისიც აღნიშნულია, რომ ამ ციხის ასაღებად დაღესტნის ხალხი მას ფულით დაეხმარა. თარიღი გადაშლილია, წერია მხოლოდ რეჯების თვე, ეს ცნობა კარგად მეტყველებს ოსმალეთ-რუსეთის იმდროინდელ დაახლოვებაზე.

ნაპოლეონის პოლიტიკით განაწყენებულმა სულთანმა 1798 წ. 23 დეკემბერს (ძველი სტილით) სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო ინგლისთან და რუსეთთან. ეს ხელშეკრულება დაიდო 8 წლის ვადით (ქორთუა, 1964:12). აქედან დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მოჩვენებითი ,,დაახლოვება და მეგობრობა“. მოგვიანებით ინგლისის და რუსეთის გადამტერება ინგლისის მიერ 1800 წ. მალტის კუნძულების დაკავებამ გამოიწვია, რადგან მან ეს კუნძულები რუსეთს არ გადასცა. პავლე I კი მალტის ორდენის მაგისტრად ითვლებოდა (ქორთუა, 1964:12).

ოსმალეთთან ურთიერთობის დათბობის გამო რუსეთის ხელისუფლებამ არ მოუწონა გენერალ ციციანოვს ახალციხის შემოერთების განზრახვა. 1803 წლის 28 ივნისის წერილში გრაფმა ვორონცოვმა მკაფიოდ აგრძნობინა მას, რომ რუსეთი არ აპირებდა ოსმალეთის კუთვნილი ტერიტორიების შემოერთებას, პირიქით, უნდოდა ამ ტერიტორიების დაცვა (ალბად, სპარსთა ხელყოფისაგან), მისი ტერიტორიული მთლიანობა იმჟამად ძალიან მნიშვნელოვანი იყო რუსეთისთვის და ციციანოვს ამგვარი მოქმედებისგან თავის შეკავებას ურჩევდნენ. გენერალი ისე უნდა მოქცეოდა ფაშებს, როგორც რუსეთის მეგობარი ქვეყნის მოხელეებს (,,აქტები”, 1868:894).

ფონდში არსებული სხვა ცნობებიდან, რომლებიც, ძირითადად, სხვადასხვა რანგის რუსი მოხელეების წერილებს წარმოადგენს, ვიგებთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი და სოლომონ II დიდ მზადებაში იყვნენ.

ერეკლეს შვილმა, ალექსანდრე ბატონიშვილმა, ბაბა-ხანის შვილს, აბას-მირზას, 1800 წლის 6 აგვისტოს წერილი გაუგზავნა და მას საქართველოზე თავდასხმისკენ მოუწოდა (,,აქტები", 1866:127). სამოქალაქო მმართველმა, კოვალენსკიმ, ხელში ჩაიგდო მისი წერილები დარეჯან დედოფლისადმი და შეიტყო ბატონიშვილის გეგმების შესახებ. კოვალენსკი კნორინგს ალექსანდრეს და აბას-მირზას შემოჭრის შემთხვევაში ცოცხალი ძალით დახმარებას სთხოვდა. იმავე ტომის 353-ე გვერდზეა გენერალ ლაზარევის 1802 წლის 20 მარტის რაპორტი მთავარმართებელ კნორინგს. გენერალს პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩისგან მიუღია ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ ირანის შაჰმა, ბაბა-ხანმა, კაცი გაგზავნა შერიფ-ფაშასთან ახალციხეში, იქიდან კი - იმერეთში. მისი პირით შაჰი ატყობინებდა სოლომონს, რომ დაღესტანი და აზერბაიჯანი მას უჭერდა მხარს და ის მალე დაესხმებოდა თავს რუსებს. შაჰი იმედოვნებდა, რომ ახალციხის ფაშა, სოლომონი და იმერეთში მყოფი ბატონიშვილები მას შეუერთდებოდნენ. აქ აშკარაა, რომ ქართული მხარე სპარსეთის მოკავშირედ მოიაზრება. 1803 წელს შაჰი სოლომონ მეორეს წერდა, რომ უწარჩინებულესი ალექსანდრე-მირზა და თეიმურაზ-მირზა (ერეკლე II-ის შვილები) მან დიდი პატივით მიიღო, ისინი ვალიებად ანუ თავის მოადგილეებად დანიშნა საქართველოში და თავის ,,თვალის ჩინთან", აბას-მირზასთან, გაგზავნა (თავის კეთილგანწყობის და ყურადღების ნიშნად) (ნაჭყებია, 2018:30).

როგორც ვხედავთ, საკმაოდ მეგობრული შინაარსის მიმოწერაა, არსად ჩანს, რომ იმერეთის მეფეს მტრული ურთიერთობა ჰქონდა სპარსეთთან და მის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლას აპირებდა.

ასევე საინტერესოა კაპიტან ბარტენევის რაპორტი პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩს. რომელიც თარიღდება 1802 წ 10 (7) აპრილით (,,აქტები", 1866:566) და რომლითაც ირკვევა, რომ იმერეთის მეფემ შერიფ-ფაშასგან და ალექსანდრე ბატონიშვილისგან წერილები მიიღო. რუსებმა შეიტყვეს, რომ ფაშა და მეფე სურამზე აპირებდნენ გალაშქრებას, სპარსელები-ბამბაკზე, ხოლო ლეკები-ქიზიყზე. ამავე დროს ახალციხეში 3000 ლეკი იმყოფებოდა, რომელსაც ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი შერიფ-ფაშასთან ერთად საჭირო მიმართულებით გამოიყენებდა.

1802წ. 12 თებერვლის წერილიდან, რომელსაც გენერალი ლაზარევი უგზავნიდა მთავარმართებელ კნორინგს (,,აქტები“, 1866:349), ვიგებთ, რომ გენერალმა ხელში ჩაიგდო ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები, რომლებიდანაც ერთს დავით ბატონიშვილს უგზავნიდა, გიორგი XII-ის შვილს, მეორეს-დარეჯან დედოფალს, მათ ცხენებს და აღკაზმულობას სთხოვდა. ალექსანდრე ერთ-ერთ წერილში ამბობდა, რომ თუ რუსები მას არ დაეხმარებოდნენ, ის კავშირს შეკრავდა ოსმალეთთან და ირანთან. როგორც ჩანს, ამ დროისთვის ბატონიშვილს ჰქონდა იმედი, რომ რუსეთი მას გარკვეულ დახმარებას აღმოუჩენდა თუმცა, უცნობია რა სახით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ალექსანდრესა და ირანს შორის იმ მომენტისთვის უკვე არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობა.

ასეთი ცნობების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ მათში არ შეიმჩნევა რაიმე ნიშანი იმისა, რომ იმ დროს არსებობდა ირან-ოსმალეთის საომარი დაპირისპირების საფრთხე. თუმცა, მდგომარეობა მალე შეიცვალა.

XIX ს-ის დასაწყისში გამწვავდა ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთს შორის. გახშირდა სასაზღვრო ინციდენტები ერევნის სახანოს და ყარსის საფაშოს შორის. გარდაუვალი ჩანდა ომის დაწყება. ჯერ კიდევ 1802 წლის 3 ივლისს ყარსის მამედ-ფაშა კოვალენსკის ერევნის ხანის წინააღმდეგ დახმარებას ჰპირდებოდა. ყარაჩორანის აბდულ-რახმან-ფაშამ, რომელიც თავისი სამფლობელოთი ადრე სულთანს ემორჩილებოდა, მოგვიანებით ირანის ქვეშევრდომობა მიიღო (ქორთუა, 1964:136), სულთანმა დიდი ჯარი, გუდოვიჩის ცნობით, 80000 კაცი შეკრიბა და საომარი მოქმედების დაწყებას აპირებდა. ირანის ჯარი 30000 კაცს ითვლიდა და მას ბაბა-ხანის შვილი, მემედ-ალი ბეგი, სარდლობდა. ომი ფრანგულმა დიპლომატიამ შეაჩერა (ქორთუა, 1964:137), რადგან ის დაპირისპირებული მხარეების მოკავშირეებად გადაქცევას ცდილობდა რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა, 1806 წელს შეტაკება მაინც მოხდა. ბაღდადის იუსუფ-ალი-ფაშამ ბაბა-ხანის უფროსი შვილი ერთ-ერთ შეტაკებაში დაამარცხა. კონფლიქტის აღმოფხვრაში ინგლისის დიპლომატიამაც დიდი როლი ითამაშა. პარალელურად აქტიურობდა საფრანგეთი, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის ომს აჩქარებდა, ხოლო რუსეთ-ირანის დაზავებას ხელს უშლიდა.

1802 წლის 5 დეკემბერს გენერალმა ლაზარევმა წერილი გაუგზავნა კარლ კნორინგს და შეატყობინა მას, რომ ნახიჩევნის ქელბ-ალი-ხანი ყარსის საფაშოზე აპირებდა თავ-

დასხმას („აქტები“, 1866:622-623). ამ დროს ახალციხიდან განდევნილი შერიფ-ფაშა ერევნის ხანს აფარებდა თავს, სელიმ-აღა (სავარაუდოდ, ხიმშიაშვილი) ყარსის ფაშასთან მეგობრობდა, რომელსაც, თავის მხრივ, კარგი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს რუსულ ხელისუფლებასთან და თვითონ რუსეთთან. შეიძლება ვიფიქროთ თუ არა, რომ ეს იყო სპარსულ-ოსმალური დაპირისპირება?

რასაკვირველია, ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ამ დროს ალექსანდრე ბატონიშვილი ქელბ-ალი-ხანთან იმყოფებოდა. ეს უკანასკნელი კი ყარსის ფაშას იმიტომ ებრძოდა, რომ მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან. საინტერესოა, რა ვითარებაში მოხდა ტახტის მაძიებელი ბატონიშვილის ორიენტაციის შეცვლა და მისი დაახლოება ოსმალეთის ხელისუფლებასთან?

ნახიჩევნის ხანი საბაბს ეძებდა ყარსის ფაშის დასასჯელად და პრინციპულად არ აღიარებდა დანიელს სომეხთა პატრიარქად მაშინ, როცა ოსმალეთი და რუსეთი მხარს უჭერდა მას. ხანი თვლიდა, რომ, რადგან იმ დროისთვის ოსმალეთსა და რუსეთს შორის მეგობრობის ოფიციალური შეთანხმება არ არსებობდა, ის რუსეთის წინააღმდეგ არ მოქმედებდა და ითხოვდა, რომ რუსეთს მისთვის ხელი არ შეეშალა ახალციხის გავლით ყარსის საფაშოზე ლაშქრობაში და არც დახმარება აღმოეჩინა ყარსის ფაშასთვის. ამ დროს ერევნის და ნახიჩევნის ხანები ერთად მოქმედებდნენ. ყარსი თურქეთის საზღვრიდან 30 ვერსით იყო დაშორებული, მაგრამ ითვლებოდა მის საფაშოდ. თავისთავად ცხადია, რომ ირანის შაჰის ხელქვეითი ნახიჩევნის ხანის ყარსის საფაშოს წინააღმდეგ ბრძოლა ორ ქვეყანას შორის სამხედრო კონფრონტაციად უნდა მივიჩნიოთ.

ორი მაჰმადიანური ქვეყნის დაძაბული ურთიერთობა მეტისმეტად არ მოეწონა ინგლისს. საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ნიკოლოზ ქორთუამ თავის წიგნში „ამიერკავკასია რუსეთ-თურქეთის 1826-1828 წლების ომში“. ის ფიქრობდა, რომ XIX ს-ის დასაწყისში ოსმალეთ-ირანის შერიგება-დაახლოვებაში გადამწყვეტი როლი ინგლისის დიპლომატიამ შეასრულა, რომელმაც იცოდა, რომ ამ ქვეყნების დაპირისპირება რუსეთს აძლევდა ხელს. თვითონ რუსეთისთვის, ჩვენი აზრით, ერთნაირად მიუღებელი იყო ოსმალეთიც და ირანიც, აქედან გამომდინარე, პეტერბურგში მათი ურთიერთმტრობის სა-

წინააღმდეგო არაფერი ექნებოდათ, რაც უფრო მეტად დაასუტებდნენ ისინი ერთმანეთს, მით უკეთესი იქნებოდა რუსეთისთვის.

შესაშური სისწრაფით ამოქმედდა კავკასიის რუსული კონტინგენტი, რომელიც 12000 ქვეითის და 3000 ცხენოსნისგან შედგებოდა, ხოლო მათ საარტილერიო მხარდაჭერას 22 ქვემეხი უზრუნველყოფდა.

1802 წლის 24 მაისის წერილში პოლკოვნიკი კარიაგინი ატყობინებდა მთავარმართებელს, რომ ოსმალეთის ჯართან ერთად სასწრაფოდ აპირებდა მტერზე იერიშის მიტანას (,,აქტები“, 1866:625), რადგან ქელბ-ალი-ხანი უკვე ყარსში იყო და მისი ფაშასგან თავისი ხალხის, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, უკან დაბრუნებას ითხოვდა. ერთი გარემოებაა მეტად დამაფიქრებელი. ამ მომენტში რუსეთის ხელისუფლება თავისი სამხედრო შენაერთით ყარსის ფაშას უფრო მეტად დაეხმარა, ვიდრე ერეკლეს, სოლომონ I-ს და დავით გიორგის ძეს 20-30 წლის განმავლობაში, 1765-1790 წლებში, არაფერს ვამბობთ გუდოვიჩის უმოქმედობაზე კრწანისის ბრძოლის წინ, როცა საქართველოს ბედი წყდებოდა. რუსეთისთვის ამ დროს ოსმალეთის ერთი საფაშოს დაცვა უფრო მნიშვნელოვანი გამოდგა, ვიდრე 1783 წლიდან მის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფოს სასიცოცხლო ინტერესებისა.

ოსმალურ საბუთში სოლომონ II-ის მიერ ნახსენებ ოსმალეთის მტერში, რომლის განადგურებასაც თბილისის გარშემო აპირებდნენ, შეიძლება ირანი ვიგულისხმოთ. ამ დროს რუსეთ-ოსმალეთის ისტორიული მტრობა და დაპირისპირება მოჩვენებით მეგობრულ სამოსში იყო გახვეული, მაგრამ 1805 წლიდან მდგომარეობა, ინგლისის ,,დამსახურებით“, მკვეთრად შეიცვალა. ახალციხის სელიმ ფაშა უკვე ერევნის ხანთან კავშირში მოქმედებდა რუსეთის წინააღმდეგ. 1803 წლის 14 ოქტომბრის ციციანოვის ვორონცოვისადმი გაგზავნილ წერილში ახალციხის ფაშად რეჯების ნაცვლად უკვე სელიმ ხიმშიაშვილი იხსენება. მაგრამ შერიფი ბრძოლას არ წყვეტდა და წარმატებასაც მიაღწია. იმავე წლის დეკემბერში მან დაიბრუნა საფაშო, დამარცხებული ხიმშიაშვილი აჭარაში წავიდა, თუმცა, 1804 წლის 28 მარტს ფაშად ისევ სელიმ ხიმშიაშვილი იხსენება. ვფიქრობთ, რომ თურქული საბუთის დაწერის ქვედა ქრონოლოგიურ ჩარჩოდ სწორედ ეს თარიღი უნდა მივიჩნიოთ.

ამასობაში ნახიჩევნის ხანი უფრო დაჟინებით ცდილობდა თავისი მოქმედების მართლზომიერების დასაბუთებას. 1802 წლის 26 მაისს ქელბ-ალი-ხანი წერილს უგზავნიდა მთავარმართებელ კნორინგს, სადაც ამბობდა, რომ ის არ იყო რუსეთის მტერი, მაგრამ მტერი იყო ყარსის მამედ-ფაშისა, რომელიც მის მტრებთან მეგობრობდა. მანამდე მისმა ბეგლარბეგმა წყალობის სიგელიც კი გამოსთხოვა სულთანს მამედ-ფაშისთვის, მან კი სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ ქურთების ტომთან ერთად, რომელსაც ალი-აღა მეთაურობდა, ირანის შაჰის კუთვნილი ტერიტორია, ხოის სახანო, დაარბია. შაჰმა ალი-აღას დასჯა გადაწყვიტა, მაგრამ ის ყარსში გაიქცა, ყარსის ფაშამ კი ის ირანის ხელისუფლებას არ გადასცა. მამედ-ფაშას სთხოვეს, ან ჩვენ შემოვალთ ყარსში და ალი-აღას დავსჯით, ან შენ გამოაგდე და ჩვენ დავსჯითო, მან არცერთი გააკეთა. ახლა ქელბ-ალი-ხანი ყარსის ფაშას დასჯას აპირებდა ისე, რომ ეს ერთნაირად მისაღები ყოფილიყო როგორც სულთნისთვის, ისე ირანის შაჰისთვის (,,აქტები“, 1866:625-626).

რას აკეთებდა ამ დროს ალექსანდრე ბატონიშვილი? როგორ აღმოჩნდა ის ოსმალურ-რუსული კოალიციის თანამზრახველი სოლომონ II-თან ერთად? თუ კარგად დავაკვირდებით ამ დროს განვითარებულ მოვლენებს, თვალში მოგვხვდება ერთი გარემოება. რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიეყენებინა ირანისთვის და განედევნა ის კავკასიიდან. 1804-1813 წლების ომს, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობდა, ეს საკითხი უნდა მოეგვარებინა. თავის მხრივ, ოსმალეთი რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებას თავს არიდებდა (რადგან ის თავის მოკავშირედ მიაჩნდა ნაპოლეონის მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ სწორედ გენიალური კორსიკელის მიმართ შიში იყო რუსეთ-ოსმალეთის ფარისევლური დამეგობრების ერთ-ერთი მიზეზი).

ირანის წინააღმდეგ აქტიურ საომარ ექსპანსიაზე მეტყველებდა გენერალ ციციანოვის ორი წერილი. პირველი დათარიღებულია 1804 წ. 6 ივლისით და მას საქართველოს მთავარმართებელი ყარსის მამედ-ფაშას უგზავნიდა (,,აქტები“, 1868:910) და ატყობინებდა, რომ მან გაანადგურა აბას-მირზას ჯარი და განდევნა ის არაქსისკენ, თანაც ისე, რომ ოსმალეთის ტერიტორიებს მცირედი ზიანიც არ განუცდია. ხოლო 1804 წ. 24 ივლისს მეორე წერილი გაუგზავნა ახალციხის სელიმ-ფაშას და აღწერდა, თუ როგორ შემუსრა

ირანის ქალაქები, ალყა შემოარტყა ერევანს, ბაბა-ხანის შვილი თავისი 3000-იანი მხედრობით გაანადგურა, 9 ფალკონეტი, 4 დროშა და 100 გირვანქა ტყვია-წამალი ხელში ჩაიგდო. უფრო ადრე, 15 ივლისს, არაქსთან სპარსელთა 15000-იანი ჯარი გაანადგურა, რომელსაც თვითონ ბაბა-ხანი მეთაურობდა. (,,აქტები", 1868:898). საინტერესოა, რომ ამ ბრძოლების შემდეგ ციციანოვი არსად ახსენებს ალექსანდრე ბატონიშვილს, ახსენებდა კი აუცილებლად, ის რომ იქ ყოფილიყო. ესე იგი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბატონიშვილი ამ დროს ან ახალციხეში იყო, ან იმერეთში და ამ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია. ერთი შეხედვით, ფრიად გაურკვეველ სიტუაციასთან გვაქვს საქმე.

იმერეთის მეფე, სოლომონ II, სულთანს ჰპირდებოდა, რომ ოსმალეთის მტრების განადგურების საქმეში ალექსანდრე ბატონიშვილიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა, მაგრამ ზემოთ ნახსენებ ორ ბრძოლაში მათ ვერ ვხვდებით. ციციანოვისთვის სპარსთა ბანაკიდან ბატონიშვილის გადმობირება უდიდესი წარმატება იქნებოდა და ამას არც დამალავდა, მაგრამ ალექსანდრეს ან სოლომონის შესახებ, როგორც რუსეთის თუნდაც დროებით მოკავშირეებზე, სიტყვაც არ არის ნათქვამი.

ალექსანდრე ბატონიშვილის იმდროინდელ მოქმედებაზე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ეთერ ორჯონიკიძემ წიგნში ,,ალექსანდრე ბატონიშვილი" (თბ, 2013). ,,როგორც ჩანს, სპარსეთის პასიურობით უკმაყოფილო ბატონიშვილი ორიენტაციის შეცვლას აპირებდა. ახალციხის საფაშოში და აბაშიძეების მამულში დამკვიდრების შემდეგ ტახტისთვის ბრძოლას აქედან უფრო ხელსაყრელად მიიჩნევდა" (ორჯონიკიძე, 2013: 82). მაგრამ დიმიტრი აბაშიძემ ქალის მიცემაზე უარი უთხრა, ხოლო მისი იქ ყოფნის გამო ირან-ოსმალეთის ურთიერთობა საკმაოდ გამწვავდა, ირანი მის უკან დაბრუნებას ითხოვდა. ალექსანდრე იძულებული გახდა ასეც მოქცეულიყო. მართალია, ეს ხდებოდა 1818-1820 წლებში, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ იგივე მომხდარიყო რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომის დაწყებამდეც. მით უმეტეს, აშკარად გამოჩნდა ნაპოლეონის ძლიერება და მასთან შედარებით რუსეთის სისუსტე, ამ დროისთვის კი ნაპოლეონიც და ოსმალეთიც რუსეთის მტრები იყვნენ და რატომ არ უნდა ეფიქრა ალექსანდრეს ოსმალთა დახმარებით ტახტის დაბრუნებაზე?

1802 წლის 9 მარტის გენერალ ლაზარევის რაპორტით, რომელსაც ის კარლ კნორინგს უგზავნიდა, ირკვევა, რომ რაპორტის ავტორი ცდილობდა გაერკვია, მიდიოდა თუ არა თურქეთის ჯარი ახალციხეში და მიიღო თუ არა ალექსანდრე ბატონიშვილმა სულთნის ფირმანი, რომლითაც მას დახმარებას ჰპირდებოდნენ. ამ მიზნით ერზრუმში 250 ქისა (мъшков) ფული შეაგროვეს. ჯარის შესვლა დადასტურდა, მაგრამ ფირმანის მიღება ტყუილი იყო და ამას ალექსანდრეს გარემოცვა ავრცელებდა. სინამდვილეში კი მას ირანში დაბრუნება უნდოდა.

ალექსანდრეს ამგვარმა მოქმედებამ, რომლის მიზანი იყო ოსმალეთის დახმარებით დაებრუნებინა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი, ისე განარისხა ბაბა-ხანი, რომ, როცა მოგვიანებით ხევსურეთში გამაგრებულმა ბატონიშვილმა 1805 წელს შაჰს დახმარება სთხოვა, შაჰი არათუ დაეხმარა მას, არამედ უბრძანა, რომ მის სამფლობელოს გაცლოდა (ორჯონიკიძე, 2013:59-60). ბატონიშვილის მიღება ვერც ყარსის ფაშამ გაბედა. ეს საინტერესო ცნობაა. ყარსის ფაშა უკვე ითვალისწინებდა შაჰის სურვილს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახეზე იყო ოსმალეთ-სპარსეთის დაახლოვება, მომდევნო წელს კი რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო.

ვფიქრობთ, რომ სწორედ 1805 წელი, უფრო ზუსტად, 1805 წლის დასასრული-1806 წლის დასაწყისი უნდა ჩავთვალოთ ოსმალური საბუთის ზედა ქრონოლოგიურ ჩარჩოდ. მაშასადამე, ის დაწერილი უნდა იყოს 1804 წლის მარტიდან 1805 წლის დასასრულ-1806 წლის დასაწყისამდე პერიოდში.

თუ დავუშვებთ, რომ წერილში ნახსენებ ოსმალეთის მტერში ირანი იგულისხმება, უნებურად ჩნდება კითხვა: რაში აწყობდა იმერეთის მეფეს ამ ეტაპზე მის წინააღმდეგ ბრძოლა?

ციციანოვის ფონდში („აქტები“, 1868:418) წავაწყდით 1804 წ. 10 დეკემბრით დათარიღებულ ახტალის ეპისკოპოსის წერილს, რომელშიც ის ატყობინებდა გენერალს, რომ 1804 წ. 18 ნოემბერს სოლომონმა სელიმ-ფაშასთან გაგზავნა დავით აბაშიძე და როსტომ ნიჟარაძე, რათა შეთანხმებულიყვნენ და ერთად ემოქმედათ რუსების წინააღმდეგ, ეს ცნობა თავდაყირა აყენებს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას ქართული მხარის ირანის წინააღმდეგ ოსმალეთის მხარდასაჭერად სავარაუდო გამოსვლის შესახებ. ეპის-

კოპოსის ცნობით, სელიმ ყიფიანი მთებში სხვა თავადებსაც შეხვდა. ხმები დადიოდა, რომ ახალციხის ფაშა სოლომონს 100 ქისა ოქროს სანაცვლოდ კონსტანტინე ბატონიშვილის ოსმალეთში გაგზავნას დაჰპირდა, მაგრამ გაურკვეველია, ფაშა შუამავლობისთვის იღებდა ამ ფულს, თუ, პირიქით, სოლომონს აძლევდნენ ამ ფულს კონსტანტინეს გაგზავნის სანაცვლოდ?

იმავე წლის 2 დეკემბერს მეფემ ორი სამღვდელო პირი გაგზავნა, რათა ოდიშის და გურიის მოსახლეობა რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად დაერაზმათ. ოფიციალური ვერსიით კი ეს ორი პირი იმიტომ ჩავიდა სამეგრელოში, რომ გარდაცვლილი დადიანისთვის საეკლესიო ლიტურგია შეესრულებინათ. ციციანოვის ჯაშუში ეპისკოპოსი იმაზე სწუხდა, რომ იმერეთში მხოლოდ ზურაბ წერეთელი იყო რუსეთის ერთგული. სოლომონი აპირებდა ოდიშის და გურიის, ანუ იმ ტერიტორიების მიმხრობას, რომლებზეც მისი ძალაუფლება ნომინალურად ვრცელდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ მას სურვილი ჰქონდა ქართველთა ძალების მაქსიმალური მობილიზების. ალბად, ამიტომ არის ნახსენები 30000 ვაჟკაცი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისი შეურიგებელი მტერი, ოდიშის მთავარი ამ დროისთვის უკვე გარდაცვლილი (ან მოკლული) იყო. ყურადსაღებია ერთი გარემოებაც, ახტალის ეპისკოპოსის ცნობა 1804 წლის დამლევს არის დაწერილი. ხოლო ორი თვის შემდეგ, 1805 წლის 3 თებერვლის წერილში (,,აქტები“, 1868:913.) ციციანოვი უხეშად სწერდა თავის ,,მეგობარ“ ყარსის ფაშას, რომ მისი საქმე სულაც არ იყო სულთნის ხელქვეითი ორი ფაშის შერიგება. იგულისხმებოდა ახალციხის და ყარსის ფაშების საკმაოდ მძიმე ურთიერთობა. ამავე წერილში გენერალი იმასაც ამბობდა, რომ მისი დაცვა ახალციხის ფაშისგან არც მისი საქმე იყო და არც მოვალეობა, რადგან ორივე ფაშა სულთნის მოხელე იყო და არც რუსეთის საქმე იყო ორი ერთმანეთს გადამტერებული ფაშის ურთიერთობის მოგვარება. უკვე აღარ ჩანს რუსი გენერლების ზრუნვა ყარსის ფაშაზე ან სურვილი მისი დახმარებისა, უკვე სხვა ტონი იგრძნობოდა მასთან ურთიერთობაში. აქვე ციციანოვი ახსენებდა ბუდაღ-სულთანს და ჯაფარ-ბეგს, რომელთა ცნობაც მას სავალდებულოდ არ მიაჩნდა და ამბობდა, რომ სუსტი ეძებდა ძლიერის მფარველობას. მათ რუსეთის ერთგულება საქმით უნდა დაემტკიცებინათ ციციანოვისთვის და არა ყარსის ფაშის სარეკომენდაციო წერილით. აქვე დელიკატურად ეუბნებოდა ფაშას უარს

ცხენების გაგზავნაზე, რადგან მას კარგი ცხენები არ ჰყავდა, ფაშა კი მხოლოდ საუკეთესოს იმსახურებდა. ეს ფაქტიც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუარესებაზე მეტყველებდა.

ამის შემდეგ რუსეთ-ოსმალეთის ,,მეგობრულ" ურთიერთობაში აშკარა ბზარი გაჩნდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ციციანოვის 1805 წ. 1ივლისის წერილი გენერალ ნესვეტაევს (,,აქტები", 1868:915), რომელშიც მითითებას აძლევდა თავის ხელქვეითს იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც უნდა გატარებულიყო იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი შეწყვეტდა მეგობრულ ურთიერთობას ოსმალეთთან. ციციანოვი აპირებდა ყარსის საფაშოს დაკავებას, მაგრამ ელოდებოდა პეტერბურგის ნებართვას. მან იცოდა, რომ ოსმალეთის ვეზირი 40000-იანი ჯარით ერზერუმში იდგა და, დიდი ალბათობით, ყარსის ფაშა მას ციხე-სიმაგრეს ჩააბარებდა. ციციანოვი ამავე წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ოსმალეთთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ყარსის საფაშოს აღება იმპერატორის ბრძანების გარეშე არ შეეძლო. ეს კი იმას ნიშნავდა, ორი იმპერიის ურთიერთობა ამ დროისთვის საბოლოოდ გაფუჭდა. უკვე აღარ იგრძნობოდა მათი ყალბი მეგობრობის ნატამალიც კი, ის მოახლოებული ომის სუსხმა მთლიანად გააქრო.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საბუთში ნახსენებ ოსმალეთის მტერში სოლომონი, პირველ რიგში, რუსეთს გულისხმობდა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ურთიერთობის გაფუჭებამდე რუსეთიც და ოსმალეთიც თავს არიდებდნენ ერთმანეთის საწინააღმდეგო ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ ეს თავშეკავებაც ისეთივე მოჩვენებითი იყო, როგორც მათი მეგობრობა. იმერეთის მეფის საომარი სამზადისი, ის, რომ სოლომონი იმერეთში ლეკებს გამოზამთრებისთვის ბინებს აძლევდა, ხოლო სულთნის ხელქვეით ახალციხის ფაშასთან ერთად ქართლში შემოჭრას აპირებდა და რუსეთის მოძულე ალექსანდრე ბატონიშვილის მიმხრობასაც აპირებდა, წარმოუდგენელია, რომ ოსმალეთის ხელისუფლების ყურადღების მიღმა დარჩენილიყო. არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ სულთანს რაიმე ფორმით შეეზღუდა სოლომონი ან ახალციხის სელიმ-ფაშა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათ ანტირუსულ საქმიანობას აკრძალვის საფრთხე არ ემუქრებოდა.

რაც შეეხება იმ დროის ოსმალეთ-ირანის დაპირისპირებას, მიუხედავად ნახიჩევნის ხანის მცდელობისა, საქმე სერიოზულ ბრძოლამდე ან, მითუმეტეს, ომამდე არ მისულა,

თუმცა, ოდნავ მოგვიანებით პატარა შეტაკებას მაინც ჰქონდა ადგილი და ის ნახსენებია ივან გუდოვიჩის ფონდში (,,აქტები“, 1869:266), სადაც ვხვდებით პოდპოლკოვნიკ კოტ-ლიარევის 2 თებერვლით დათარიღებულ რაპორტს, რომლის ადრესატიც მთავარმარ-თებელი იყო და საიდანაც ვიგებთ, რომ ერევნის ხანის ჯარმა ალყა შემოარტყა ადგილს, რომელსაც მაზიგბერდი ერქვა, ოსმალური საფაშოს (ყარსის) 2 სოფელი უკვე აიღო. 23-24 თებერვალს ერევნის ხანს და ყარსის ფაშას შორის ბრძოლა გაიმართა, თუმცა, ეს მცირე დაპირისპირება იყო. არაფერია ნათქვამი, თუ რა შედეგით დამთავრდა ეს შეტა-კება. ამ ცნობაში, ვფიქრობთ, თარიღები არასწორია, რადგან 2 თებერვლის რაპორტში არ შეიძლება 23-24 თებერვალს მომხდარი ამბავი იყოს აღწერილი. უფრო მასშტაბური დაპირისპირების ფაქტს ოსმალეთსა და ირანს შორის იმ პერიოდში ოსმალური ან რუსუ-ლი საარქივო მასალების მიხედვით ვერ ვხვდებით. ეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგ-ლისის დამსახურებით მოხდა, რომელმაც ძალისხმევა არ დაიშურა ორი მაჰმადიანური ქვეყნის შესარიგებლად.

ოსმალეთის ხელისუფლებაც მიხვდა, რომ მისი ირანთან დაპირისპირებით მხოლოდ რუსეთი ისარგებლებდა. ახლა კი, როცა რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს, ხელსაყ-რელი დრო დადგა მათი შერიგებისა და ურთიერთთანამშრომლობისთვის, რათა შემ-დეგ გაერთიანებული ძალით შეეტიათ ურწმუნო რუსებისთვის.

ამ დროისთვის იმერეთის მეფის პროოსმალურ განწყობაზე ცნობას გვაწვდის პროფე-სორი ვახტანგ გურული: ,,1806 წლის 10 მარტს ოსმალეთის სარდალი იუსუფ ფაშა თბი-ლისზე შეტევას გეგმავდა... ამ ბრძოლაში ოსმალებს სოლომონ II-ის იმედი ჰქონდათ“ (გურული, 2017: 208). ცხადია, ეს იმედი არ ექნებოდათ, იმერეთის მეფის ანტირუსული განწყობის შესახებ რომ არ ყოფილიყო ცნობილი.

ვფიქრობთ, რომ ოსმალურ ცნობაში სოლომონის მიერ სულთნისთვის გამოცხადე-ბული 30000-იანი ჯარით დახმარების ირანის საწინააღმდეგოდ გამოყენების საჭიროება ან აუცილებლობა არ არსებობდა. რჩებოდა რუსეთი, მაგრამ ვერც მის ხსენებას ვხვდე-ბით ამ წერილში.

ივან გუდოვიჩის საბუთებში (,,აქტები“, 1869:173) არის 1809 წლით დათარიღებული წე-რილი, რომელსაც იმერეთის მეფე უგზავნიდა ერევნის ჰუსეინ-ხანს. ამ წერილმა, რომე-

ლიც რუსულად არის დაწერილი, ჩვენი ყურადღება იმით მიიქცია, რომ მისი ქართული თარგმანის ჩვენი ვერსია შინაარსობრივად ძალიან დაემთხვა ქ-ნ ცისანა აბულაძის მიერ ზემოთნახსენები წერილის თარგმანს და ის შემდეგნაირად ჟღერს:

სოლომონ II-ის წერილი ერევნის ჰუსეინ-ხანს.

,,მივიღე თქვენი აღმატებულების წერილი ხუდად-ბეგისგან, ამიტომ ვჩქარობ შეგატ-ყობინოთ, რომ ჩემს სახლს და ჩემს სამფლობელოს აქვს შესაძლებლობა გამოიყვანოს 30000 კაცი, თავადი, აზნაური და გლეხი. თავს ვთვლი მაღალი ხელისუფლების მონად, მზად ვარ მის სამსახურს შევწირო თავი და დავღვარო სისხლი. იმერეთის გარდა მე თბილისსაც ჩემს სახლად ვთვლი. თუ თქვენთვის მისაღები იქნება, ჩემს ბიძას, ალექ-სანდრე მირზას გავგზავნი ჩილდირის ვალ სელიმ-ფაშასთან, რომ მან ასევე შეკრიბოს თავისი ერთგული ხალხი და იქ მყოფი ლეკები და მას (ალბათ, ალექსანდრეს) დახმა-რება აღმოუჩინონ. მაშინ მთელი თბილისის მხედრობა, ასევე თავადები, აზნაურები და გლეხები კახეთისა და ჩერქეზეთისა - ყველა ალექსანდრე მირზას მხარეს გადავლენ და თბილისისკენ გაეშურებიან, რათა მისი კაბის კალთას ემთხვიონ. თუ სპარსეთის მხედრო-ბა გამოვა წყეული გუდოვიჩის წინააღმდეგ თბილისში, ყველა სიძნელე მოიხსნება და ჩვენც წამოვალთ ჩვენი სამფლობელოდან მის წინააღმდეგ. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ, რომ ჩვენი ღვაწლი არ იყოს დავიწყებული. კიდევ ვიმეორებ, რომ მე მყავს 30000 ვაჟკაცი, რომლებიც მზად არიან სისხლი დაღვარონ. მაგრამ თქვენ უხვად უნდა დაასაჩუქროთ ისინი წყალობით და ჯილდოებით. ამ ხელგაშლილობის გამო თქვენი მთავრობა არაფერს დაკარგავს, ეს ერთ კოვზ წყალს ჰგავს, რომელსაც ზღვიდან ამო-იღებენ. ერთი სიტყვით, თუ თქვენი ჯარი ჩვენს ჯართან ერთად შეუტევს მოწინააღმდეგეს, ის განადგურდება ჩვენი მახვილით. თქვენ მხოლოდ უნდა მოხვიდეთ თქვენი ჯარით თბი-ლისში და ყველა ალექსანდრე ბატონიშვილს შეეგებება. ყველაფერს დაზუსტებით გატ-ყობინებთ ამის შესახებ. ჩვენი წარმატება მთლიანად დამოკიდებულია თქვენს შემწეობა-ზე, თუ ის აღმოჩენილ იქნება, წარმატება იქნება ისეთი, როგორსაც მე ვფიქრობ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ რუსები უკვე მოეწყვნენ სოფელ ქემხალში (ნ. ქორთუას აზრით, ანაკლიაში) და გამაგრდნენ შავი ზღვის სანაპიროზე. თუ ისინი დამარცხდებიან ახლა, არც თბილისის, არც იმერეთის გავლით მათ წასასვლელი გზა აღარ დარჩებათ. ეს

წყეული რუსები თავის წინააღმდეგ აამხედრებენ და შეაიარაღებენ აზნაურებს და ბეგებს, რომლებიც სანაპიროზე ცხოვრობენ. ჩვენ ასე გვესმის (ან ჩვენ ვიმედოვნებთ)".

როგორც ვხედავთ, ორივე წერილის შინაარსი საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს, აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ერთსა და იმავე მოვლენას ეხება, მაგრამ მათ შორის არსებობს გარკვეული განსხვავებაც. ოსმალური საბუთი უთარიღოა, გუდოვიჩის ფონდის წერილის თარიღი კი გარკვეულია, ერთი წერილი ახალციხის ფაშას გაეგზავნა, მეორე-ერევნის ხანს. როგორ შეიძლება ავხსნათ მათი შინაარსობრივი მსგავსება?

მთავარმართებელ ტორმასოვის საბუთებში („აქტები", 1870:207) ვხვდებით 1809 წლის 11 ოქტომბრის წერილს, რომელსაც გენერალი ტორმასოვი უგზავნიდა პოლკოვნიკ სიმონოვიჩს. წერილის ავტორი ერთხელ კიდევ აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ მეფე სამუდამოდ უნდა გააძევონ იმერეთიდან და ამისთვის ნებისმიერი საშუალება გამოიყენონ. როგორც კი სიმონოვიჩს ორი ბატალიონი მიუვიდოდა სურამიდან, მას წერილი უნდა გაეგზავნა მეფისთვის ტორმასოვის სახელით, რომლის შინაარსიც პოლკოვნიკს შეიძლებოდა აეღო სხვა წერილის ასლიდან. ე.ი. შეიძლებოდა, რომ ერთი წერილი ოდნავ შეცვლილი სახით რამდენჯერმე გამოეყენებინათ. ხომ შეიძლებოდა, რომ ეს პრაქტიკა სოლომონის კანცელარიასაც გამოეყენებინა და ერთნაირი ან მსგავსი შინაარსის წერილი მეფესაც გაეგზავნა სხვადასხვა დროს ახალციხის ფაშასთვის და ერევნის ხანისთვის?

ის, რომ ოსმალურ წერილში არსადაა ნახსენები რუსეთი, სოლომონის დიპლომატიური ტაქტით უნდა აიხსნას. ის ამ დროს უკვე რუსეთის ქვეშევრდომი იყო და, რა თქმა უნდა, არ ახსენებდა მის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ციციანოვთან დადებული ელაზნაურის შეთანხმება შესრულდებოდა, ის ურთიერთობას არ წყვეტდა რუსეთთან, სოლომონ ლიონიძის რუსეთში ელჩობაც ამაზე მეტყველებდა, თუმცა, მეფე ძალიან უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მისი ელჩი უშედეგოდ დაბრუნდა. გასათვალისწინებელი იყო ერთი გარემოებაც, ელაზნაურის შეთანხმების შემდეგ ციციანოვი მას ლეჩხუმის დაბრუნებაში დახმარებას დაპირდა, ამას კი სოლომონი თავისი ღირსების საქმედ თვლიდა. მას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ მთავარმართებელი ამ

დაპირებას შეუსრულებდა. ამითაც შეიძლება ავხსნათ ის, რომ წერილში ის აუგად არ ახსენებს რუსეთს, განსხვავებით 1809 წლის წერილისა, რომელიც მეფემ ერევნის ხანს გაუგზავნა, სადაც, ის პირდაპირ ახსენებდა ,,წყეულ გუდოვიჩს“ და რუსებს. ეს არც იყო გასაკვირი, ციციანოვი ისე მოკვდა 1806 წლის 20 თებერვალს, რომ გულშიც არ გაუვლია მეფისთვის დანაპირები შეესრულებინა, მისი შემცვლელები კი აღარც ფიქრობდნენ ამაზე. სოლომონის მომავალი მათ სულ სხვაგვარად წარმოედგინათ. აქედან გამომდინარე, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ იმერეთის მეფის საზრუნავი ორივე წერილში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა იყო.

გარდა ამისა, ეტყობა, არა მარტო იმ დროისთვის, არამედ, ზოგადად, ასე იყო ადრეულ ეპოქაშიც, დამკვიდრებული პრაქტიკა იყო, რომ მიმოწერის დროს, ინფორმაციის გასაიდუმლოების მიზნით, ბოლომდე არ აკონკრეტებდნენ სათქმელს. ამ მხრივ საინტერესოა 1804 წლის 3 ნოემბრის ლიტვინოვის რაპორტი ციციანოვს (,,აქტები“, 1868:413.), საიდანაც ვიგებთ, რომ რუსი მოხელეების აზრით, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი და გაენათელი ეპისკოპოსი რუსეთის ერთგულნი იყვნენ, სეხნია წულუკიძე, სოლომონ ლიონიძე და როსტომ ნიჟარაძე კი - დაუძინებელი მტრები. წერილში არსადაა ნახსენები იმერეთის მეფე, მის ნაცვლად ლიტვინოვი ახსენებდა ციფრს 75-ს, ალბად, კონსპირაციის მიზნით იმ შემთხვევისთვის, თუ ეს წერილი სოლომონის მომხრეებს ჩაუვარდებოდათ ხელში. ეტყობა, ანალოგიური მოსაზრებით იხელმძღვანელა სოლომონმა, როცა თავის წერილში არ ახსენა რუსეთი და მხოლოდ ზოგადად საუბრობდა ოსმალეთის მტრებზე.

ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება, რომ ზემოთნახსენებ საბუთში სოლომონის მიერ ოსმალეთის ხელისუფლების დახმარებისთვის მზადყოფნა, ამ მიზნით 30000-იანი ლაშქრის შეკრება და შემდეგ ირანის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა, არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ოსმალეთის მტერში ორივე შემთხვევაში რუსეთი უნდა ვიგულისხმოთ. გაზვიადებულად გვეჩვენება ჯარის რაოდენობაც. მოგვიანებით, როცა მეფე ბრძოლის ველზე დაუპირისპირდა რუსეთს და ტახტის შენარჩუნებისთვის იბრძოდა, მას მხოლოდ 6000 კაცი ჰყავდა, თუმცა, მიხეილ გონიკიშვილის აზრით, მეფეს 1810 წლის აჯანყების დროს 12-13000 კაცი ჰყავდა (გონიკიშვილი, 1979:179). ვფიქრობთ, ეს რიცხვი გაზვიადებულია, რადგან სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხე, ზემო იმერეთი,

მოღალატე წერეთლის მამული იყო და არ ვფიქრობთ, რომ მეფე აქედან მნიშვნელოვანი საომარი რესურსის მიღებას შეძლებდა, არაფერს ვამბობთ სამეგრელოს, გურიის სამთავროებზე და ლეჩხუმზე, სადაც მეფის გავლენა საკმაოდ სუსტი იყო. არც იმას ვფიქრობთ, რომ საკუთარი ბიძების დახმარებით შეძლებდა ის 25-30000 კაცის მობილიზებას.

მიუხედავად ამისა, მეფე კარგად ხვდებოდა, რომ საჭირო იყო რაც შეიძლება მეტი მოკავშირე შეეძინა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, საჭირო იყო სულთნის გულის მოგება. ვფიქრობთ, რომ წერილში გამოცხადებული საომარი სამზადისი და 30000-იანი ჯარით ოსმალეთის მტრების წინააღმდეგ ბრძოლისთვის მზადყოფნა საბუდ-ფაშას სიკვდილის გამო ოსმალეთის ხელისუფლების თვალში რეაბილიტაციის მცდელობა იყო. სხვა საკითხია, თუ რამდენად შეეძლო სოლომონს ამ დანაპირების შესრულება.

როგორც ვხედავთ, სოლომონ II აქტიურად ამოქმედდა ირანთან და ოსმალეთთან კავშირის განსამტკიცებლად, მაგრამ მის მცდელობას რაიმე ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია.

პარალელურად რუსეთის ხელისუფლება უფრო ენერგიულად ამოქმედდა მის ხელში ჩასაგდებად. საჭირო იყო მისი ქვეყნიდან გაძევება, ხოლო, თუ ეს გაძნელდებოდა, მისი ლიკვიდაცია.

მას შემდეგ, რაც სამეგრელოს მთავარმა რუსეთის მფარველობა მიიღო, ის რუსეთის ერთგული მოკავშირე გახდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1806 წლის 1 სექტემბერს გენერალი გუდოვიჩი წერილს უგზავნიდა ბარონ როზენს და მითითებას აძლევდა, რომ სამეგრელო ყველა საშუალებით უნდა დაეცვათ იმერეთის მეფისგან. მისთვის უნდა შეეხსენებინათ ციციანოვის და დადიანის შეთანხმების მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც მოქმედება, რომელიც რაიმე სახით საფრთხეს შეუქმნიდა დადიანს, აღკვეთილ იქნებოდა რუსეთის მხრიდან. ეს შეთანხმება იყო აშკარად გადადგმული მტრული ნაბიჯი, მიმართული მეფის წინააღმდეგ („აქტები“, 1869:120).

1806 წლის 15 სექტემბერს სოლომონმაც გაუგზავნა წერილი გუდოვიჩს, რომელშიც ამბობდა, რომ ციციანოვმა იმერეთის ერთიანობა დაარღვია, როცა დადიანს უფლება მისცა თვითონ დაესახელებინა თავისი ადგილ-მამულები. დადიანმა მეფის საკუთრება,

პირველ რიგში, ლეჩხუმი, თავის საკუთრებად გამოაცხადა და ციციანოვის ნებართვით ამის შესახებ წერილით აცნობა იმპერატორს. მეფეს უსაფუძვლოდ აბრალებდნენ დადიანის მიერ ციციანოვთან გაგზავნილი კაცის მოკვლას. რიკჰოფმა ქუთაისი და მეფის სასახლე დაიკავა, რუსმა სამხედროებმა მეფის თავადებს მოახლეები წაართვეს და სოლომონის სასახლეში კახპებად ჰყავდათ. მეფე რიტორიკულად კითხულობდა, რისთვის უნდა გაეგზავნა დეპუტაცია რუსეთში, იმისთვის ხომ არა საკუთარი დამცირების და შეურაცხყოფის გამო იმპერატორისთვის მადლობა გადაეხადა („აქტები“, 1869:121)?

ნაპოლეონისგან წაქეზებულმა ოსმალეთმა 1806 წელს რუსეთს ომი გამოუცხადა. 1807 წელს ტალეირანი საფრანგეთის ელჩს სტამბოლში, სებასტიანს, წერდა, რომ საჭირო იყო აფხაზეთის მთავრის კეთილგანწყობის შენარჩუნება და მისი გამოყენება საერთო მტრის, ე.ი. რუსეთის წინააღმდეგ. იმავე წლის თებერვალში ოსმალები თავს დაესხნენ რედუტკალეს, მაგრამ რუსებმა მათი შეტევა მოიგერიეს. მაისში გენერალი რიკჰოფი თვითონ გადავიდა შეტევაზე ფოთის მიმართულებით, ქალაქი აიღო და ალყა ფოთის ციხეს შემოარტყა. მან დახმარება სოლომონს სთხოვა, მეფემ ტრაქტატის პირობების დარღვევა და ლეჩხუმის უკანონოდ ჩამორთმევა შეახსენა მას, დახმარების ნაცვლად რუსი ჯარისკაცების ყაზარმები დაანგრია ქუთაისში და ქალაქში თავისი ჯარის შეყვანა დაიწყო (რეხვიაშვილი, 1982:273). მეფის ამ მოქმედებამ რუსეთის ხელისუფლების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია და 1808 წლის მარტში გუდოვიჩმა ალექსანდრე I-ის საიდუმლო ბრძანება მიიღო იმერეთში მეფობის გაუქმების, მეფის ოჯახის კონსტანტინე ბატონიშვილთან ერთად რუსეთში გადასახლების და იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების შესახებ. დროებით მმართველობაში პირველი ადგილი შესთავაზეს ზურაბ წერეთელს პოდპოლკოვნიკის ჩინთან და 1200 მანეთ ჯამაგირთან ერთად.

სოლომონ II ყველანაირად ცდილობდა სამეფო ტახტის შენარჩუნებას. ამ დროს სამეფო ტახტზე პრეტენზია გაუჩნდა სოლომონ I-ის შვილიშვილს, გიორგი ალექსანდრეს ძეს, რომელმაც 1806 წლის 3 ნოემბერს წერილი გაუგზავნა გუდოვიჩს, სადაც აღნიშნავდა, რომ ის სოლომონ დიდის შვილიშვილი იყო, მისმა ბიძამ კი ის, უდანაშაულო კაცი, დილეგში ჩააგდო და 9 წლის განმავლობაში ყოველდღე სიკვდილს ელოდა, გათავისუფლების შემდეგ მთელი არსებით უნდოდა ერთგულება დაემტკიცებინა რუსეთისთვის

და კიდევაც გააკეთებდა ამას, თუ მას იმერეთს მისცემდნენ (რაც ისედაც ეკუთვნოდა, როგორც სოლომონ I-ს შვილიშვილს). გიორგი შეფარვით თავის თავს სთავაზობდა გუდოვიჩს სოლომონის ნაცვლად (რეხვიაშვილი, 1982:223).

როცა სამეფო ოჯახის წარმომადგენელი გამოთქვამდა მზადყოფნას ეღალატა მეფისთვის, თავისთავად ცხადია, მოსახლეობის უფრო დაბალ ფენებშიც მოიძებნებოდნენ რუსულ ფულზე თუ ჩინ-მედლებზე დახარბებული მედროვეები. ტორმასოვის ფონდში (,,აქტები“, 1870:200) ვხვდებით 1809 წლის 3 ივლისის (ან 1810 წლის? წყაროში ასეა, კითხვის ნიშნით) აზნაურების: გოგია და მამუკა ორჯონიკიძეების წერილს, რომელიც გაუგზავნეს პოლკოვნიკ პავლე სიმონის-ძეს (გვარი არაა მითითებული) და ატყობინებდნენ მას იმერეთში არსებულ ვითარებას. ქაიხოსრო წერეთელმა, სეხნია წულუკიძემ და როსტომ ნიჟარაძემ გადალახეს მდინარე ცხენისწყალი და ჯერ ოდიშის და ლეჩხუმის, შემდეგ გურიელი და გურიის მოსახლეობა, ბოლოს კი იმერეთის მოსახლეობა და სამღვდელოება დააფიცეს აფხალაურში, რომ რუსებს არ მიჰყიდდნენ სურსათ-სანოვაგეს, შემდეგ მეფეს ერთგულება შეჰფიცეს და რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება აღუთქვეს, (საკითხავია, როგორ მოხდა დადიანის მიმხრობა, ის ხომ რუსეთის ქვეშევრდომი იყო?) ამის შემდეგ ხალხი გაგზავნეს ახალციხის ფაშასთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან. ზესტაფონში მყოფ 4 კაზაკს თავს დაესხნენ, მათ იარაღი და ცხენები წაართვეს, მოძებნეს მკვლელი, რომელსაც გენერალი ორბელიანი ღამით უნდა მოეკლა. ლევან და დიმიტრი აბაშიძეები გაიქცნენ, ოღონდ, ვერ დაადგინეს ვისთან, სოლომონთან თუ ახალციხის ფაშასთან. აზნაურები სთავაზობდნენ რუს პოლკოვნიკს, რომ 40 კაცს შეაგროვებდნენ და სურამის ციხეს დაიცავდნენ მეფის მომხრეებისგან.

ეტყობა, ორჯონიკიძეები მაშინაც ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთს.

რუსი მოხელეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მათ მხოლოდ მოსახლეობის და სამღვდელოების მცირე ნაწილი უჭერდა მხარს. ამ მოსაზრებას ამყარებს 1809 წლის 12 დეკემბრის პოლკოვნიკ სიმონოვიჩის რაპორტი გენერალ ტორმასოვს. პოლკოვნიკის აზრით, მეფეს ბევრი მომხრე ჰყავდა და ეკითხებოდა მთავარმართებელს, ხომ არ აჯობებდა, ის ტახტიდან ჩამოეგდოთ და მის ნაცვლად სოლომონ I-ის შვილიშვილის, რუსეთში გარდაცვლილი გიორგი ბატონიშვილის, რომელიმე შვილი გაემეფებინათ? იმერეთის

მოსახლეობა მეფის ერთგული იყო, მეფობის გაუქმება კი დიდ სისხლისღვრას გამოიწ-ვევდა იმ შემთხვევაში, თუ რუსები იარაღს გამოიყენებდნენ (,,აქტები“, 1870:212).

ამ დროს შესამჩნევი გახდა საქართველოთი საფრანგეთის დაინტერესება, რასაც მყისიერად მოჰყვა რუსეთის კიდევ უფრო გააქტიურება, რადგან მისთვის ყოვლად მი-უღებელი იყო სოლომონის ნებისმიერი მცდელობა კავშირის განმტკიცებისა რუსეთის მოწინააღმდეგეებთან: ოსმალეთთან, ირანთან და საფრანგეთთან.

იმის გამო, რომ მეფეს იმერეთში ბევრი მომხრე ჰყავდა, გუდოვიჩმა ვერ გაბედა მისი შეპყრობა, მან მხოლოდ ჯარის დამატებითი ნაწილები გაგზავნა იმერეთში. სოლომონმა კვლავ დატოვა ქუთაისი და სოფელ მუხაყრუაში გადავიდა. მეფე მიხვდა, რომ ის მი-უღებელი იყო რუსეთის მთავრობისთვის, რადგან ბაგრატიონი იყო. მიხვდა იმასაც, რომ მას, ადრე თუ გვიან, ტახტიდან ჩამოაგდებდნენ და საკმაოდ ფრთხილად იქცეოდა, რუ-სეთ-ოსმალეთის ომის საწყის ეტაპზე ნეიტრალიტეტს იცავდა, რადგან ფიქრობდა, რომ თუ რუსეთი დამარცხდებოდა, იმერეთის სამეფო არსებობას გააგრძელებდა, ოსმალეთი გაცილებით სუსტი იყო და იმერეთში მეფობას ვერ გააუქმებდა. ამიტომ მეფე, ძალაუნე-ბურად ოსმალეთის მხარეს იჭერდა. მალე მისი ნეიტრალური პოზიცია ანტირუსულმა შეცვალა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სოლომონ II-მ ორიენტაცია ოსმალეთზე აიღო. მან გადაწყვიტა ლეკთა რაზმები შემოეყვანა, ახალციხის ფაშას დაუკავშირდა და ჯარი სთხოვა, დახმარება სთხოვა ირანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს, თავის სამეფოში კი რუსეთის მომხრე თავადები დასაჯა.

გუდოვიჩმა ამის საპასუხოდ იმერეთის საზღვარზე ქვემეხები და რამდენიმე ბატალი-ონი განალაგა. ის მზად იყო იმერეთში შეჭრისთვის. რუსეთის წარმომადგენლები სო-ლომონს ისეთ ბრალდებებს უყენებდნენ, რომელთანაც მეფეს საერთო არაფერი ჰქონ-და, მაგალითად, ფოთის ციხის აუღებლობას. ფოთის ციხე რუსებმა მისი კედლების სი-მაგრის და დამცველთა თავგანწირული წინააღმდეგობის გამო ვერ აიღეს, იმერეთის მე-ფე არაფერ შუაში იყო (დუმბაძე, 1957:186).

ამ დროს მოულოდნელად გარდაიცვალა გენერალი რიკჰოფი. მთავარმართებელმა მის ადგილზე გენერალი დიმიტრი ორბელიანი დანიშნა. გუდოვიჩი იმედოვნებდა, რომ ორბელიანი რუს გენერლებზე მეტ სარგებლობას მოუტანდა რუსეთს. რიკჰოფის შემცვ-

ლელს გუდოვიჩმა შემდეგი დავალება მისცა: სისხლისღვრის გარეშე გაეძევებინა მეფე იმერეთიდან და შეექმნა დროებითი მმართველობა რუსი მოხელის ხელმძღვანელობით. ასეთი იყო იმპერატორის ინსტრუქცია. ორბელიანმა სცადა ქუთაისში მეფის მოტყუებით მიყვანა, მაგრამ სოლომონი ითხოვდა ქალაქიდან რუსეთის ჯარის გაყვანას. რაც შეეხება დეპუტაციის გაგზავნას პეტერბურგში მისი სახელით მადლობის მოსახდელად, მეფე ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში გააკეთებდა, თუ ლეჩხუმს დაუბრუნებდნენ და ახალ ტრაქტატს დაუდებდნენ.

1809 წელს გუდოვიჩი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ნაცვლად გენერალი ტორმასოვი დანიშნეს, რომელმაც მთავარ მოკავშირედ იმერეთში ზურაბ წერეთელი შეარჩია. ყოფილმა ელჩმა მთავარმართებელს ურჩია, მეფის გვერდის ავლით მიმართეთ იმერეთის მოსახლეობას და ამცნეთ მას, რომ სოლომონის მოქმედება ყოვლად მიუღებელია რუსეთის იმპერატორისთვისო. ტორმასოვის დავალებით ორბელიანმა მართლაც წაიკითხა პროკლამაცია, მაგრამ ხალხის რეაქცია სრულად საწინააღმდეგო იყო. მოსახლეობამ ამ მიმართვაში მეფის ტახტიდან ჩამოგდების სურვილი დაინახა და მის გარშემო დაირაზმა. სოლომონის მომხრეები ოდიშში და გურიაშიც გადავიდნენ და მოსახლეობა მეფის ერთგულებაზე დააფიცეს (ხახანაშვილი, 1911:35-36). დაიწყო გამოსვლა რუსების წინააღმდეგ. 1809 წლის 5 ივლისს მეფის მომხრეები თავს დაესხნენ კაზაკებს, რომლებიც სურამში მიდიოდნენ და გაძარცვეს ისინი.

ტორმასოვი მიხვდა, რომ წერეთელი არ იყო სანდო. ამიტომ მას ხელწერილი ჩამოართვა, რომლითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებას იღებდა, რომ რუს მოხელეებს მეფის იმერეთიდან განდევნაში დაეხმარებოდა. სოლომონმა დახმარება სთხოვა ახალციხის და არზუმის ფაშებს. 1809 წლის 10 სექტემბრის ტორმასოვის წერილი, რომელიც მან გრაფ რუმიანცევს გაუგზავნა (,,აქტები“, 1870:206), კარგად ასახავდა დასავლეთ საქართველოში შექმნილ ფეთქებადსაშიშ ვითარებას. მეფე იმერეთ-ახალციხის საზღვარზე რუსეთის დაუძინებელ მტერს, ალექსანდრე ბატონიშვილს, შეხვდა, რომელიც დიდი ფულით ჩამოვიდა, რათა ახალციხის ფაშა, იმერლები და ოსები რუსების წინააღმდეგ დაერაზმა. სოლომონმა თავისი სიძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი, როსტომ ნიჟარაძე და რაჭის ერისთავი ახალციხის ფაშასთან გაგზავნა, იქიდან კი ბაბა-ხანთან უნდა წასულიყვ-

ნენ, თუმცა, რუსებმა ვერ გაიგეს რა მიზნით. ხმა გავრცელდა, რომ მეფე ახალციხის ფაშასთან ერთად ჯერ სურამზე აპირებდა თავდასხმას, შემდეგ კი-ქართლში შეჭრას. მეფის ერთგულმა თავადაზნაურობამ მთავარმართებელს თხოვნით მიმართა, რომ რუსეთის მხარეს დაეცვა ციციანოვის დროს მეფესთან დადებული ხელშეკრულება, მიეცათ მისთვის ლეჩხუმი და ქუთაისში მხოლოდ ჯარის ერთი ასეული დარჩენილიყო. საპასუხოდ გენერალმა ორბელიანმა დავალება მიიღო, რომ, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მეფე შეეპყრო. 1809 წლის 29 აპრილს ტორმასოვმა წერილი გაუგზავნა მეფეს, სადაც ამბობდა, რომ იმპერატორი განრისხებული იყო სოლომონი მოქმედებით, რადგან მან დეპუტაცია არ გააგზავნა რუსეთში მადლობის მოსახდელად. მთავარმართებელი იმედს გამოთქვამდა, რომ ამჯერად მაინც გადადგამდა მეფე ამ ნაბიჯს.

სოლომონსა და რუსეთის წარმომადგენლებს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა სამადლობელი დელეგაციის გაგზავნას რუსეთში. რატომ ანიჭებდნენ რუსეთის წარმომადგენლები ასეთ დიდ მნიშვნელობას ამ დელეგაციის გაგზავნას? მიზეზი მარტივი იყო. დელეგაცია ძირითადად უნდა დაკომპლექტებულიყო მეფის ერთგული ხალხით, მაგ: ქაიხოსრო წერეთლით, როსტომ ნიჟარაძით, მალხაზ ანდრონიკაშვილით და სხვებით. სავარაუდოდ, მათ აღარ გამოუშვებდნენ სამშობლოში და ამით მეფეს საქართველოში დასაყრდენს მოუსპობდნენ.

1809 წლის 11ოქტომბრის წერილში („აქტები“, 1870:207) ტორმასოვი კონკრეტული სამოქმედო გეგმის მონახაზს აძლევდა პოლკოვნიკ სიმონოვიჩს. მეფე რუსების მტრობას და მათთვის პრობლემების შექმნას თავს არ ანებებდა, ამიტომ მისი ბედი უნდა გადაეწყვიტათ. ის უნდა გაეგდოთ იმერეთიდან და ხელში ჩაეგდოთ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ. თუ რუსები ფოთს აიღებდნენ, ამის შემდეგ სიმონოვიჩი ორი ბატალიონით იმერეთში უნდა დაბრუნებულიყო და ხელში ჩაეგდოთ პ ე რ ს ო ნ ა, რომელსაც უმაღლესობას უწოდებდნენ. ამ შემთხვევაში ტორმასოვი სოლომონს მეფედ არ იხსენებდა. სასურველი იყო ამის გაკეთება სისხლისღვრის გარეშე. ბოლო უნდა მოღებოდა მის ხუთწლიან დაუმორჩილებლობას. ერთხელ კიდევ აღნიშნავდა, რომ მან (არც აქ ახსენებდა სოლომონის სახელს) თავის დედაქალაქს ჭაობში ცხოვრება ამჯობინა. ის ხელში უნდა ჩაეგდოთ ისე, რომ არ დაზარალებულიყო ზურაბ წერეთლის სოფლები. სას-

ტიკად უნდა გასწორებოდნენ მათ, ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა. კარგი იქნებოდა, თუ გამოიყენებდნენ ყაზიყუმუხის სურხაი-ხანის ნათესავს, ასლან-ბეგს, თავისი ლეკებით, რადგან მათი ხელობა ტყეებში ხეტიალი და ხალხის ძარცვა იყო.

თავის მხრივ, 1809წლის 12 ნოემბერს პოლკოვნიკი სიმონოვიჩიც უგზავნიდა რაპორტს ტორმასოვს და თავის მოსაზრებას გამოთქვამდა იმერეთში მოვლენათა შესაძლო განვითარების შესახებ (,,აქტები", 1870:212). მეფეს უნდა დაპირებოდნენ ლეჩხუმის გადაცემას, ის როგორმე ქუთაისში უნდა შეეტყუებინათ, იქ შეეპყროთ და თბილისში ჩაეყვანათ, საიდანაც რუსეთში გაამგზავრებდნენ. მაგრამ პოლკოვნიკი შიშობდა, რომ მოსახლეობა სოლომონს უჭერდა მხარს. იარაღის და ძალის გამოყენების გარეშე ეს საქმე არ გაკეთდებოდა. ტორმასოვიც დარწმუნდა, რომ მეფეს ვერ დაითანხმებდა. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი-მისი განდევნა იმერეთიდან, მით უმეტეს, რომ ცნობილი იყო სოლომონის კავშირების შესახებ ახალციხის ფაშასთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან. ამის შემდეგ ფიქრიც ზედმეტი იყო მეფის შემორიგებაზე. საჭირო იყო სამხედრო ძალით იმერეთის დაპყრობა, მეფე არასასურველთან ერთად სახიფათოც ხდებოდა რუსეთისთვის. სანამ ის ტახტზე იქნებოდა, დასავლეთ საქართველოში ვითარება არ დაწყნარდებოდა, პირიქით, არსებობდა არეულობის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელების საფრთხე. რუსეთის ხელისუფლება სამართლიანად შიშობდა, რომ: ,,იმერეთში არსებულმა უკმაყოფილებამ შეიძლება გამოიწვიოს აშლილობანი, რაც საფრთხეში ჩააყენებს ქართლსაც" (რეხვიაშვილი, 1982:257).

სოლომონის ტახტიდან ჩამოსაგდებად გენერალ ორბელიანს ზურაბ წერეთელთან ერთად უნდა ემოქმედა. მათი გეგმა ითვალისწინებდა გურიელის და რაჭის ერისთავის აჯანყებას მეფის წინააღმდეგ, მის დასუსტებას და დამორჩილებას. სასურველი იყო მეფის შეპყრობა ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე, თუმცა, თუ მეფეს ვერ მოიხელთებდნენ, არც მის მოკვლას გამორიცხავდნენ. მაგრამ, როცა დასჭირდათ, იმერეთში ვერავინ ნახეს ისეთი, ვისაც ფულის გულისთვის მეფის მოკვლაზე დაითანხმებდნენ. ტორმასოვი ისევ ითხოვდა მეფის ქუთაისში დაბრუნებას. მეფე წინასწარ ითხოვდა ლეჩხუმის დაბრუნებას და ქალაქიდან ჯარის გაყვანას. 1809 წლის 12 დეკემბრის წერილში, რომელიც ტორმასოვმა მეფეს გაუგზავნა მთავარმართებელი აღშფოთებით ამბობდა, რომ სოლომონი

იმპერატორთან ისეთი შეთანხმების დადებას ითხოვდა, რომ ტორმასოვი ვერც კი გაბედავდა იმპერატორისთვის მის მოხსენებას, თავისთავად ცხადია, ვერც მეფეს შეპირდებოდა მის შესრულებას (,,აქტები“, 1870:211).

რუსეთის მთავარმართებლებთან: კარლ კნორინგთან, პაველ ციციანოვთან, ივან გუდოვიჩთან და ალექსანდრე ტორმასოვთან პოლიტიკური თუ სამხედრო იწილო-ბიწილოს თამაშის დროს სოლომონ II თავისი მცირე ეკონომიკური და სამხედრო რესურსით ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის უზარმაზარი იმპერიისთვის, საშუალება არ მიეცა მისთვის ადვილად ჩაეყლაპა უკანასკნელი ქართული სამეფო. მეფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების შემდეგ ათი წლის განმავლობაში ის მეტნაკლები წარმატებით ახერხებდა ამის გაკეთებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროს ირანთან და ოსმალეთთან ომი მიმდინარეობდა. რუსეთს საკმარისი სამხედრო ძალა არ ჰყავდა საქართველოში, სოლომონის განდევნა ისევ მშვიდობიანი გზით უნდა მომხდარიყო. კავკასიაში რუსეთის გაზრდილ პოლიტიკურ ამბიციებს სამხედრო ძალის გაზრდა ესაჭიროებოდა. სამხედრო ნაწილების შემოყვანა და მათი სურსათით მომარაგება დარიალის ხეობის და რუდუტ-კალეს გზით ხდებოდა, მაგრამ გაზრდილი ჯარის მოთხოვნილებებს ვერც ერთი აკმაყოფილებდა და ვერც მეორე. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ფოთის ნავსადგურის ხელში ჩაგდების საკითხი. მთავარმართებლის ბრძანებით გენერალმა ორბელიანმა 1809 წლის 14 მაისს ფოთის ციხეს შეუტია, მაგრამ ის ვერ აიღო და ხანგრძლივ ალყაზე გადავიდა. რუსეთის ჯარი ამ დროს უკვე სტამბოლს უტევდა. ამ კრიტიკულ მომენტშიც არ კარგავდა თავის მნიშვნელობას ფოთი ოსმალეთისთვის, მის შენარჩუნებას თურქები სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ფოთის გარნიზონის დასახმარებლად ტრაპიზონის შერიფ-ფაშა გამოუშვეს 9000 კაცით. ეს ახალციხის ყოფილი შერიფ-ფაშა იყო, რომელსაც არაერთხელ გადაუდგამს ოსმალეთის ხელისუფლებისთვის მიუღებელი ნაბიჯი. ის, რომ ამ დროს ფოთის ციხის შენარჩუნება შერიფს დაავალეს, იმაზე მეტყველებს, რომ ოსმალეთის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში სანდო და გამოცდილი კადრების დიდი დეფიციტი იყო, რაც პოლიტიკური მმართველობის კრიზისს ნიშნავდა. ფოთის ციხის რუსეთის ხელში გადასვლა იმერეთის მეფისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომაც

უბრძანა მამია გურიელს, რომელიც მაშინ სოლომონის ერთგული და მორჩილი იყო, რომ გზა მიეცა ოსმალეთის ჯარისთვის. ,,მისცა გზა ზღვით და ხმელეთით გურიელმან მამიამ... ერთგულებდა გურიელი მამია იმერეთისა მეფეს სოლომონს“ (დადიანი, 1962:200). ოსმალთა დამხმარე ჯარმა დიდი საფრთხე შეუქმნა რუსეთის და სამეგრელოს ჯარს, რომელსაც ფოთის ციხე ალყაში ჰყავდა მოქცეული.

გურიელის მეფისადმი ერთგულება იმით იყო გამოწვეული, რომ ის თავს დამცირებულად თვლიდა ციციანოვის მოქმედებით, რომელმაც სამეგრელოს სამთავრო იმერეთისგან დამოუკიდებლად შეიყვანა რუსეთის მფარველობაში, გურიელი კი სოლომონ II-ის ხელქვეითად აღიარა. რუსეთის წარმომადგენლებმა მისი გადმობირება გადაწყვიტეს. ეს საქმე თავის თავზე აიღო ზურაბ წერეთელმა, მასთან ერთად ნიკო დადიანმა და ჯუმათის მიტროპოლიტმა. ისინი გურიელს შელახული თავმოყვარეობის აღდგენას დაპირდნენ. თუ ის რუსებს მიემხრობოდა, მას გაათავისუფლებდნენ სოლომონის მორჩილებისგან და მიიღებდა რუსეთის ისეთივე მფარველობას, როგორც დადიანმა მიიღო. ეს მისაღები აღმოჩნდა მამია გურიელისთვის, რომელიც რუსების მხარეს გადავიდა და 1809 წლის 2 ნოემბერს ზურგიდან შეუტია ოსმალეთის ჯარს, რომელსაც მეორე მხრიდან რუსეთ-სამეგრელოს ჯარები უტევდნენ. ოსმალებმა სრული მარცხი განიცადეს. 15 ნოემბერს ფოთის ციხის უფროსმა, ქუჩუკ-ბეი შერვაშიძემ ციხის გასაღები დიმიტრი ორბელიანს გადასცა (რეხვიაშვილი, 1982:281). გურიელის სახით იმერეთის მეფეს უკანასკნელი მოკავშირე ჩამოაშორეს რუსებმა და მოღალატე ქართველებმა. მამია გურიელი ფოთის ციხის აღების დროს გაწეული დახმარებისთვის რუსეთმა დამოუკიდებელ მთავრად აღიარა და ის იმერეთის მეფის მორჩილებისგან გაათავისუფლა (რეხვიაშვილი, 1982:281).

გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე გენერალი რიკჰოფი მეფეს გურიიდან ჯარის გამოყვანას სთხოვდა, რათა იქ ქრისტიანების სისხლი არ დაღვრილიყო. 1808 წლის ნოემბრის საპასუხო წერილში მეფე გაკვირვებით კითხულობდა, როცა ჩემს ხალხს ხოცავენ, მაშინ რატომ არ გახსენდებათ ქრისტიანებზე ზრუნვაო? ასევე ამბობდა, რომ დავით გურიელი ღალატით დაესხა თავს მის ციხეს, აიღო ის და იქ თავისი ხალხი ჩააყენა. მეფემ ჯარი გაგზავნა ციხის გასათავისუფლებლად, გურიელმა კი მისი ხალხის წინააღმდეგ ზარბაზნები გამოიყენა. საინტერესოა, საიდან ჰქონდა მას ზარბაზნები? (უნდა ვიფიქროთ,

რომ რუსებმა შეაიარაღეს სოლომონის წინააღმდეგ საბრძოლველად). მეფეს დიდი ზარალი მიადგა. რიკჰოფი მის დახოცილ ხალხზე არაფერს ამბობდა, სამაგიეროდ, გურიელს გულშემატკივრობდა.

ახალმა მთავარმართებელმა მოთმინება დაკარგა იმით, რომ მეფის ხელში ჩაგდების მრავალი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და საყვედურებით აღსავსე წერილი გაუგზავნა გენერალ ორბელიანს. ტორმასოვი უკმაყოფილო იყო გენერლის საქმიანობით. ის მდინარის ერთი ნაპირიდან ესაუბრებოდა მეფეს, რომელიც იმიზეზებდა, რომ მისი ჯანმრთელობისთვის უკეთესი იყო მთაში ცხოვრება, ქუთაისიდან მოშორებით და თავს არიდებდა უდიდესი მონარქის, რუსეთის იმპერატორის ნება-სურვილის შესრულებას. აუცილებელი იყო მიეღწიათ, რომ მეფეს დეპუტატები გაეგზავნა პეტერბურგში, თბილისში კი-მძევლები, რომლებიც წარჩინებულთა ოჯახების წარმომადგენლები იქნებოდნენ და მთავარი - მეფე ქუთაისში უნდა დაბრუნებულიყო (,,აქტები“, 1870:198).

ფოთის აღების შემდეგ რუსეთის ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მეთაურობით იმერეთში დარჩა. მიზანი უცვლელი იყო-სოლომონ II-ის ხელში ჩაგდება. მეფე უდრტვინველად არ შეჰყურებდა მოვლენებს. მისი ბრძანებით როსტომ წერეთელი თავს დაესხა იმერეთში მიმავალ რუსთა არტილერიას, რუსებმა შეძლეს ამ შეტევის მოგერიება. მეფე ხვდებოდა, რომ ფოთის ბრძოლების შემდეგ რუსეთის ჯარი უშუალოდ მის წინააღმდეგ დაიწყებდა მოქმედებას, ამიტომაც არ აძლევდა ამ ჯარს იმერეთზე გავლის საშუალებას. ბოლოს თვითონ ტორმასოვმა სთხოვა ნებართვა ჯარის გატარებაზე, თან ამშვიდებდა, რუსეთის იმპერატორის ნებით შენს მეფობას ვერავინ შეეხებაო, პარალელურად, მთავარმართებელი მოღალატე წერეთელსაც წერდა, როგორც კი მეფეს ჩამოვაგდებთ, დროებით მთავრობაში პირველი კაცი შენ იქნებიო (რეხვიაშვილი, 1982:282).

ცოტა ხნის შემდეგ სიმონოვიჩის შენაერთის გასაძლიერებლად იმერეთში დამატებით შეიყვანეს ორი ბატალიონი, რომელიც სვერში, საჩხერეში და ლომსიათხევში განლაგდა (რეხვიაშვილი, 1982:282). სიმონოვიჩმა განკარგულება მიიღო დაეჩქარებინა მეფის შეპყრობა ოღონდ ისე, რომ სისხლისღვრა არ მომხდარიყო. ფოთის ციხის აღების შემდეგ მეფეს ოსმალეთის მხრიდან დახმარების იმედი მოესპო. ის ცდილობდა გაზაფხულამდე

შეენარჩუნებინა ტახტი, შემდეგ კი ახალი ძალებით გააგრძელებდა ბრძოლას. სოლომონმა საჭიროდ ჩათვალა დროებით შეერბილებინა ტონი რუსებთან ურთიერთობაში, ზურაბ წერეთელი ტორმასოვთან გაგზავნა, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რუსეთის იმპერიის ერთგული იყო და თავის სამეფოში მშვიდობიანად მეფობის და ცხოვრების საშუალებას ითხოვდა (ხახანაშვილი, 1911: 38). ტორმასოვი სრულიად საპირისპიროს ფიქრობდა. მისი აზრით, ბოლო დროის განმვლობაში სოლომონმა იმდენჯერ დაამტკიცა თავისი ზიზღი და სიძულვილი რუსეთის მიმართ, რომ შეუძლებელი იყო მისი ერთგულება ნამდვილი ყოფილიყო.

მეფე ფრთხილად მოქმედებდა, ვერაფრით მოახერხეს მისი ხელში ჩაგდება. მთავარმართებელი და სიმონოვიჩი ფიქრობდნენ, რომ მას ვერც დაიჭერდნენ და ვერც დაიმორჩილებდნენ ეს უკანასკნელი იმაშიც დარწმუნდა, რომ მთელი იმერეთი, გარდა რენეგატი თავადებისა, მეფეს უჭერდა მხარს, ამიტომ ტორმასოვს ურჩია, რომ შეეცვალათ მეფის მიმართ დამოკიდებულება და ეზრუნათ მის არა შეპყრობაზე, არამედ შემორიგებაზე. მეფე, როგორც ვხედავთ, საკმაოდ ჭკვიანურად მოქმედებდა. თუ საჭიროება მოითხოვდა, ის არც იარაღით გაურბოდა რუსებთან დაპირისპირებას, ვითარებიდან გამომდინარე კი მზად იყო მოლაპარაკებაც გაემართა მათთან. ასეთ პირობებში შედგა სოლომონის და მთავარმართებლის შეხვედრა, რა დროსაც მეფე შეეცადა, რომ იმერეთის სამეფოს ავტონომიური უფლებები შეენარჩუნებინა რუსეთის მფარველობის პირობებში. (რეხვიაშვილი, 1982:284). მეფე უმტკიცებდა ტორმასოვს, რომ ციციანოვის დროს დადებული ტრაქტატი რუსეთის ხელისუფლებამ დაარღვია:

1) სოლომონს ლეჩხუმს დაჰპირდნენ და არ მისცეს,

2) მეფეს დეხვირის ციხე წაართვეს და დადიანს გადასცეს.

3) ლიტვინოვმა შეიწყალა მეფისგან შერისხული ვაჭარი.

4) 120 კაცის ნაცვლად ქუთაისში მეფის ნებართვის გარეშე დიდი ჯარი ჩააყენეს.

5) მეფეს ქუთაისის სასახლე წაართვეს და იქ ჯარისკაცები დააბინავეს.

6) რუსმა ჯარისკაცებმა სცემეს მეფის სიძეს, წულუკიძეს (რეხვიაშვილი, 1982:284).

მეფის პრეტენზია, როგორც ვხედავთ, სავსებით სამართლიანი იყო. ტორმასოვი კვლავინდებურად ითხოვდა, რომ მეფე საცხოვრებლად ქუთაისში გადასულიყო, თბი-

ლისში მძევლები გაეგზავნა, ხოლო პეტერბურგში-დეპუტაცია. მთავარმართებელი მეფეს სწერდა, რომ იმპერატორის მოთმინების ფიალა აივსო და მისი კეთილგანწყობა მრისხანებით შეიცვალა. თუ მეფე კვლავ გააგრძელებდა ურჩობას და ჭირვეულობას, მას ძალით წაართმევდნენ სამეფოს, ხოლო თუ დაემორჩილებოდა რუსეთის ხელისუფლებას, მაშინ ყველა უფლება შეუნარჩუნდებოდა. გარდა ამისა, ტორმასოვი შემდეგ პირობებს აყენებდა:

1) მეფეს სამი დღის განმავლობაში უნდა წარედგინა სიმონოვიჩისთვის პეტერბურგში დესპანებად გასაგზავნი კონსტანტინე ბატონიშვილი, მეფის სიძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი და თავადები: სოლომონ ლიონიძე, სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერთელი და როსტომ ნიჟარაძე (ქორთუა, 1964:322). (ყველა მეფის უერთგულესი თანამებრძოლი იყო).

2) მეფე დაუყოვნებლივ უნდა გადასულიყო ქუთაისში საცხოვრებლად, რომელიც სახელმწიფო ხარჯებით შეაკეთეს (რათა უფრო ადვილად ჩაეგდოთ ხელში).

3) დესპანთა მეშვეობით უმაღლესი თხოვნა გაეგზავნა მადლობის მოსახსენებლად იმის გამო, რომ იმპერატორმა სამუდამოდ მიიღო იმერეთის სამეფო თავის მფარველობაში, მეფეს პატიება უნდა ეთხოვა თავისი საქციელებისთვის და ერთგულება აღეთქვა რუსეთისთვის (რეხვიაშვილი, 1982:277).

სოლომონი ასე ადვილად არ ტყუვდებოდა. მეფე, თავის მხრივ, ელაზნაურის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შესრულებას ითხოვდა. ორივე მხარე, მეფე და რუსეთის წარმომადგენლები, ზუსტად ხვდებოდნენ ერთმანეთის ნამდვილ განზრახვას. რჩებოდა ერთადერთი გზა-მეფის ძალით შეპყრობა. ამისთვის კი დამატებითი ძალები იყო საჭირო. შემდეგ კი მეფის ბანაკი ალყაში უნდა მოექციათ ისე, რომ გაქცევა ვეღარ მოეხერხებინა. დადიანი, გურიელი და გელოვანი თავიანთი ჯარებით მზად უნდა ყოფილიყვნენ. ხალხი იძულების წესით უნდა დაეფიცებინათ იმპერატორის ერთგულებაზე, ხოლო მეფე ტახტიდან ჩამოგდებულად გამოეცხადებინათ.

მეფე ხედავდა მტრების სამზადისს, მაგრამ არ იმჩნევდა და მოლაპარაკებით აჭიანურებდა დროს. ტორმასოვმა სამი ბატალიონი იმერეთის საზღვარს მოუახლოვა, რათა სწრაფად დაეწყო სამხედრო მოქმედება მეფის წინააღმდეგ. სოლომონ II-სთან მო-

ლაპარაკების უშედეგოდ დამთავრების შემდეგ მთავარმართებელმა განკარგულება გასცა, რომ რუსეთის სამხედრო შენაერთები და მეფის მოწინააღმდეგე მთავრები მზად ყოფილიყვნენ, რათა სოლომონი იარაღის ძალით განედევნათ იმერეთიდან და მისი სამეფო რუსეთისთვის შეეერთებინათ.

1810 წლის 20 თებერვალს გამოცხადდა რუსეთის ხელისუფლების განკარგულება სოლომონ მეფის ხელისუფლების გაუქმების შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ იმერეთის მეფემ დაარღვია რუსეთის იმპერატორისთვის მიცემული ფიცი, მის წინააღმდეგ კავშირს ამყარებდა ოსმალეთთან, ამიტომ ,,იმერეთის ხალხის კეთილდღეობისთვის“ ის, ტორმასოვი, ვალდებული იყო მეფე იმერეთიდან გაეძევებინა, მოსახლეობას კი მასთან ყოველგვარი კავშირი უნდა გაეწყვიტა. იმერეთის გამგებლად პოლკოვნიკი სიმონოვიჩი მოიაზრებოდა, რომელმაც მუქარის ტონით აუწყა ხალხს, რომ თუ თავადაზნაურობა სოლომონს დაუჭერდა მხარს, მათ მიწებს, ყმებს და სხვა ქონებას ჩამოართმევდნენ. მუქარამ გაჭრა და მეფეს ხალხი ჩამოშორდა. დაიწყეს მოსახლეობის დაფიცება იმპერატორის ერთგულებაზე. სოლომონი 4000 კაცით ვარციხეში გამაგრდა.

მეფის შესაპყრობად დაიძრნენ რუსი ჯარისკაცები ქართლიდან, ქუთაისიდან, სამეგრელოდან, გურიიდან და ლეჩხუმიდან. გელოვანი ოკრიბაში შეიჭრა, რათა მეფეს დახმარება ვერ მიეღო რაჭიდან, გურიელმა ვარციხეს შეუტია, სამეგრელოს ჯარის ნაწილი ჩხარში დადგა. რუსეთის ჯარს რამდენიმე მიმართულებით უნდა შეეტია იმერეთისთვის: ლეჩხუმიდან, სამეგრელოდან, მუხურის ციხიდან, უნდა გამოეყენებინათ დადიანის და გურიელის ძალები, რომელიც შეკრიბეს ბათუმზე ლაშქრობის საბაბით, ქართლიდან სამი მიმართულებით უნდა წასულიყო რუსული ჯარი, თითო მიმართულებაზე 300 ან მეტი კაცი უნდა ჰყოლოდათ. პირველი რაზმს უნდა ემოქმედა სოფელ ალის და საჩხერის გავლით, რომელიც ზურაბ წერეთლის მამული იყო, მეორე სურამიდან ხეფინის ხევისკენ უნდა წასულიყო, ხოლო მესამე-ასევე სურამიდან, ოღონდ ვახანის, ზედუბნის და ლომსიათხევის მიმართულებით. საქმეში უნდა ჩაერთოთ ქართლის ჯარიც, რომელიც ცხინვალში შეიკრიბა ოსეთზე ლაშქრობის მომიზეზებით, რუსების მომხრეები და თანამზრახველები გულუხვად უნდა დაესაჩუქრებინათ როგორც ოქროთი, ისე-ჩინ-მედლებით. ასევე უნდა გამოეცხადებინათ, რომ თავადებს, რომლებსაც მეფემ მამულები ჩამოართვა, უკან დაუბ-

რუნდებოდათ ქონება. მეფემ ვარციხე დატოვა და ხანის ხეობას მიაშურა, რათა იქიდან ახალციხეში გადასულიყო, მაგრამ ამ გზაზე სიმონოვიჩი იდგა (რეხვიაშვილი, 1982:288).

იმერეთის მეფემ ახალციხის ფაშასთან სოლომონ ლიონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი გაგზავნა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ უშედეგოდ. ყველა გზა მოჭრილი იყო, ის ალყაში მოექცა. სოლომონმა თანხმობა განაცხადა რუსეთის პირობების შესრულებაზე. რუსმა მოხელეებმა: მოგილევსკიმ და სიმონოვიჩმა ხატზე დაიფიცეს, რომ მეფეს არაფერს ავნებდნენ და ის ტორმასოვთან შეხვედრზე დაითანხმეს, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ფიცი გატეხეს და სოლომონი, როგორც საპატიო ტყვე, თბილისში წაიყვანეს. დაიწყო მზადება მისი რუსეთში გადასახლებისთვის. მოსახლეობა იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცეს, ციხეების ნაწილში რუსები ჩადგნენ, ნაწილი დაანგრიეს. სიმონოვიჩს გენერლის ჩინი მისცეს და დასავლეთ საქართველოს ჯარების სარდლად, მერე კი იმერეთის მმართველად დაინიშნა. იმერეთი დაიყო ექვს ნაწილად: ქუთაისის, ვაკის, ბაღდათის, საჩხერის, ჩხერის და რაჭის ოლქებად (რეხვიაშვილი, 1982: 290).

იმერეთის სამეფოს გაუქმებაში და მეფის დაჭერაში დიდი ,,წვლილი“ შეიტანეს სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის მთავრებმა და ლეჩხუმის მოურავმა. ესენი იყვნენ: ლევან დადიანი, მამია გურიელი, მანუჩარ შარვაშიძე, ბერი გელოვანი, ასევე ზურაბ წერეთელმა, ანტონ რაჭის ერისთავმა, ვახუშტი ჩიჯავაძემ, ექვთიმე გაენათელმა მიტროპოლიტმა, სეხნია და ოტია წულუკიძეებმა და სხვებმა.

ტორმასოვი საკუთარ დამსახურებად მიიჩნევდა იმერეთის ურჩი მეფის დატყვევებას და საგანგებოდ ემზადებოდა სოლომონის რუსეთში გასასტუმრებლად, რათა დაფნის გვირგვინით შეემკო თავი, როგორც იმერეთის ,,ტრიუმფატორს“, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდა. მეფემ 1810 წლის 10 მაისს გაქცევა მოახერხა და ახალციხეში წავიდა, თან გაჰყვა უახლოეს თანამებრძოლთა ჯგუფი: ქაიხოსრო, გიორგი და სიმონ წერეთელი, დავით და გიორგი ერისთავები, როსტომ ნიჟარაძე, დავით აბაშიძე, ბერი ლორთქიფანიძე და სხვები, სულ 23 კაცი. ახალციხის ფაშამ დიდი ზეიმით აღნიშნა მეფის მობრძანება (რეხვიაშვილი, 1982:291). დაიწყო უშეღავათო ბრძოლა ტახტის დასაბრუნებლად.

3. 5. სოლომონ II-ის ბრძოლა იმერეთის ტახტის აღსადგენად

გენერალ ტორმასოვის ,,საპატიო“ ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ სოლომონმა, როგორც უკვე ვთქვით, თავი ახალციხეს შეაფარა და აქედან ცდილობდა ოსმალეთის სულთნის დახმარებით ტახტის დაბრუნებას. აქვე მეფე თავის ბიძას, ალექსანდრე ბატონიშვილს, შეხვდა. მათ ერთობლივად მოუწოდეს ხალხს აჯანყებისკენ. მეფემ იცოდა, რომ ოსმალებიც და სპარსელებიც ერთნაირად საძულველნი იყვნენ მოსახლეობისთვის, მაინც სთხოვდა მათ დახმარებას ერთადერთი იმედით, რუსეთი ორ ფრონტზე ბრძოლას ვერ გაუძლებდა და იძულებული გახდებოდა თავი დაენებებინა იმერეთისთვის. აჯანყება 1810 წელს დაიწყო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ რუსთა ტყვეობიდან გაქცეული იმერეთის მეფის საქმიანობის შესახებ. ცნობილი მეცნიერების: ნოდარ შენგელიას და სერგი ჯიქიას აზრით, ეს აჯანყება არ იყო პროგრესული, მან ხალხს აწიოკების მეტი არაფერი მოუტანა, ხოლო სოლომონ II-ის მცდელობა, რუსეთი ირან-ოსმალეთის დახმარებით დაემარცხებინა, საქართველოში მაჰმადიანური ქვეყნების გავლენას გაზრდიდა (შენგელია, ჯიქია, 1963:188).

მიუხედავად ჩვენი უღრმესი პატივისცემისა დიდი მეცნიერების მიმართ, ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას და გვინდა გვჯეროდეს, რომ ის საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის ,,ხარკის“ გადახდის მცდელობა იყო და არა მათი სუბიექტური აზრი.

საკმაოდ მკაცრი და, სამწუხაროდ, არაობიექტურია შოთა ბურჯანაძის შეფასება: ,,სოლომონ II-ის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში თავისი ბუნებით ავანტიურისტული იყო, ხოლო დანიშნულებით რეაქციული“ (ბურჯანაძე, 1953:8). არაობიექტურად გვეჩვენება მისი მეორე შეფასებაც: ,,სოლომონ მეფე მტრულად შეხვდა რუსეთის სარდლობის დამკვიდრებას საქართველოში. მან შემოიკრიბა იმერეთის თავადაზნაურობის ერთი ნაწილი და ,,დამოუკიდებლობისთვის“ ბრძოლა დაიწყო. მის ,,თავდაცვითს“ ბრძოლას გულგრილად შეხვდა ყმა-გლეხობა. ზემო იმერეთის (ლოსიათხევი) ყმა-გლეხობას უარი უთქვამს მეფისა და მისი მომხრე აბაშიძეებისთვის ,,რუსეთის მხედრობის საწინააღმდეგოდ გზებზედ“ გამაგრებისა (ბურჯანაძე, 1953:7). თუ ამ მოსაზრებას დავუჯერებთ, მეფეს სოციალური დასაყრდენი არ ჰქონია საქართველოში.

სრულიად განსხვავებულ ცნობებს ვხვდებით რუსი მოხელეების: ტორმასოვის, ბურნაშოვის, ლიტვინოვის, რიკჰოფის და სხვათა მიმოწერაში. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ იმერეთის მოსახლეობის და სამღვდელოების უმრავლესობა მეფეს უჭერდა მხარს და მხოლოდ მცირე ნაწილი თანაუგრძნობდა რუსეთის ხელისუფლებას.

უფრო შორს წავიდა ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, რომელმაც თავის წერილში ,,Имеретия и Гурия в период 1804-1840гг. Тб; 1942. (წიგნში მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I,) დაასკვნა, რომ ,,სოლომონ II თურქეთის ორიენტაციას მიმართავს“ (ფირცხალაიშვილი, 1942:28).

მისგან განსხვავებით ნიკოლოზ ქორთუა არ ფიქრობდა, რომ სოლომონ II თურქული ორიენტაციის მომხრე იყო, პირიქით, ის თავიდანვე რუსულ ორიენტაციას დაადგა, მაგრამ ითხოვდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დაცვას (ქორთუა, 1964:4). სოლომონი ქართლ-კახეთში მეფობის აღდგენის გარეშე არ აპირებდა რუსეთის მფარველობის მიღებას. ის, შეიძლება ითქვას, რომ საერთო ქართული საქმისთვისაც იბრძოდა, თუმცა, იმის გულუბრყვილო იმედით, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის აღდგენა მისი ძალაუფლების შენარჩუნების გარანტია იქნებოდა. იმერეთის მეფე, აჯანყებულ კახელთა მსგავსად, რუსეთის მფარველობის მიღების წინააღმდეგი კი არ იყო, არამედ საკუთარი ხელისუფლების დაკარგვის და რუსული მმართველობის დამკვიდრების წინააღმდეგ იბრძოდა (ქორთუა, 1964:67).

მაგრამ, მეფის უნებურად, მის ირგვლივ ქვეყნის შიგნით ისეთი ძალა ყალიბდებოდა, რომელიც ხელს უშლიდა ოსმალო მოძალადეთაგან ქვეყნის გათავისუფლების საქმეს. ნიკოლოზ ქორთუას აზრით, მეფე საერთო ქართული საქმის საზიანოდ მოქმედებდა და საქართველოში ოსმალთა დამკვიდრებას უწყობდა ხელს და, ობიექტურად, ოსმალეთისთვის საჭირო და სასარგებლო საქმეს აკეთებდა (ქორთუა, 1964:250-251). ის ხელს უშლიდა რუს და ქართველ ჯარისკაცებს თბილისიდან ტყვია-წამლის მიღებაში. მან 6 დღე ალყაში მოაქცია და არ გაატარა თბილისიდან ფოთში ტყვია-წამლით მიმავალი პრაპორშიკ სავარსამიძის 60 კაციანი რაზმი. სოლომონ II-ის მიერ სამეფო ხელისუფლების აღდგენის ყოველი ცდა იმ დროს, ობიექტურად, ირანელთა და ოსმალთა ბატონობის აღდგენას ნიშნავდა (ქორთუა, 1964:320).

სოლომონის მცდელობით, როცა ის ლეკებს და ახალციხის ფაშას უკავშირდებოდა, დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის საბოლოო დამკვიდრების საფრთხე რეალური ხდებოდა. ოსმალეთს უნდოდა, რომ სოლომონი თავისი პოლიტიკის იარაღად ექცია რუსეთის წინააღმდეგ. მეფემ ვერ გაითვალისწინა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დამოუკიდებლობისთვის ირან-ოსმალეთი მოკავშირეებად არ გამოადგებოდა. სოლომონ II, რა მიზანიც არ უნდა ჰქონოდა მას მაჰმადიანურ ქვეყნებთან დაკავშირებით, მისდაუნებურად, ქართველი ხალხის სისხლხორცეულ ინტერესებს უპირისპირდებოდა და ამიტომ ის თავის მომხრეეთან ერთად განწირული იყო დასაღუპავად (ქორთუა, 1964:75).

თავს უფლებას მივცემთ და ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას. გავრცელებული აზრით, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით ერეკლე II-მ ირან-ოსმალეთ-რუსეთს შორის ამ უკანასკნელზე არჩევანის გაკეთებით სამი დიდი ბოროტებიდან ნაკლები ბოროტება აირჩია. ანალოგიური ნაბიჯი გადადგა, ჩვენი აზრით, სოლომონ II-მ, როცა რუსეთის წინააღმდეგ მაჰმადიანურ ქვეყნებს სთხოვა დახმარება. ამ ეტაპზე ქრისტიანული რუსეთი უფრო დიდი საფრთხე იყო იმერეთის სამეფოსთვის, ვიდრე ოსმალეთი ან ირანი. სულთანი არ ზღუდავდა და არ ავიწროვებდა იმერეთის მეფის ხელისუფლებას, მას, უბრალოდ, ძალა აღარ შესწევდა ამისთვის. სოლომონს მმართველობის ,,შინაგანი დამოუკიდებლობა“ გარანტირებული ჰქონდა. ქრისტიანული რუსეთი კი, როგორც დრომ აჩვენა, მის ხელისუფლებას განადგურებით ემუქრებოდა, ამიტომ ამჯობინა იმერეთის მეფემ ოსმალეთთან და ირანთან თანამშრომლობა რუსეთთან მეგობრობას. ის არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ ამ ეტაპზე ოსმალური ჩექმა რუსულზე ადვილი ასატანი იქნებოდა.

კრიტიკულად აფასებდა სოლომონ II-ის მოქმედებას იმერეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, მიხეილ რეხვიაშვილი, რომელსაც მიაჩნდა, რომ მეფე ჯიუტობას და პარტიკულარიზმს იჩენდა ლეჩხუმის და სამეგრელოს საკითხში და ამით საკუთარი პოზიციის გამყარების ნაცვლად მას ასუსტებდა. იმერეთის არსებობის შეწყვეტიდან რუსული ხელისუფლების დამკვიდრებას სამეგრელოში 40 წელი დაჭირდა, ასეთივე ხანგრძლივი იქნებოდა ეს პროცესი იმერეთშიც რომ არა მეფის წინდაუხედაობა და ჟინიანობა (რეხ-

ვიაშვილი, 1989:388). ის (მეფე) აჩქარებდა სამეფოს ლიკვიდაციის პროცესს და მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

ზემოთ დასახელებულ ისტორიკოსთაგან განსხვავებით, ნიკოლოზ ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ ,,იმერეთის მეფე დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და აქ პოლიტიკური ხელისუფლების შენარჩუნებისთვის იბრძოდა... მისი ბრძოლა პროგრესული ხასიათის იყო...“ (ბერძენიშვილი, 1943:290). ჩვენც ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, ოღონდ, დავძენთ, რომ ეს ბრძოლა თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის. მაგრამ განწირული იყო არა იმის გამო, რომ ის თავისი ბუნებით იყო რეაქციული, ან იმიტომ, რომ მეფის ბრძოლა ირან-ოსმალეთის გავლენას გაზრდიდა ჩვენს ქვეყანაში, ბრძოლა განწირული იყო იმიტომ, რომ სოლომონ II-ს არც ადამიანური რესურსი გააჩნდა მის საწარმოებლად და - არც ფინანსური. ამ ორი კომპონენტის გარეშე კი ბრძოლა შეუძლებელი იყო. ეს ,,ორმაგი უძლურება“ მეფემ ნაპოლეონთან გაგზავნილ წერილშიც აღნიშნა (ნაჭყებია, 2018:269).

მაგრამ ეს იყო მოგვიანებით. მანამდე კი მეფე ახალციხიდან იმერეთში გადავიდა. მთელი იმერეთი მას მიემხრო (,,აქტები“, 1870:343-344). ახალციხიდან იმერეთში 1810 წელს დაბრუნებულ სოლომონ II-ს თან ახლდა ერეკლეს შვილიშვილი, ლეონ ბატონიშვილი (იულონის ვაჟი), რომელიც, ჩვენი აზრით, მიუხედავად მცირე ასაკისა, ბაგრატიონთა დინასტიის საუკეთესო წარმომადგენელი იყო. ამ დროს ერთმანეთთან შეთანხმებით ოსმალეთმა და სპარსეთმა საქართველოში აჯანყების მოწყობა არა სოლომონს ან ალექსანდრე ბატონიშვილს, არამედ ლეონ იულონის ძეს დაავალა (ტყავაშვილი, 2011:41). ამიტომ რუსეთის ხელისუფლება მასში დიდი საფრთხეს ხედავდა და მისი სიკვდილით იყო დაინტერესებული.

იმერეთში აჯანყებას სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და მოღალატე სახლთუხუცესის, ზურაბ წერეთლის, ვაჟი, სვიმონ წერეთელი, მეთაურობდნენ. პირველი ბრძოლა რუსეთის ჯარსა და აჯანყებულებს შორის 22 ივნისს სოფელ საქარასთან მოხდა. ქაიხოსრო აბაშიძემ დაამარცხა რუსთა ჯარი, რომელსაც მაიორი კალატოზოვი (კალატოზიშვილი) მეთაურობდა. აჯანყება თანდათან გაძლიერდა. ტორმასოვმა გენერალი დიმიტრი ორბელიანი მიაშველა 3200 კაცით იმერეთში მყოფ სიმონოვიჩს, რომელიც ქუთაისში იყო

ჩაკეტილი. ამოქმედდა ხალხის დაშინება-დასჯის მეთოდი. მეფის მომხრეები ზოგი ჩამოახრჩვეს, ზოგი ციმბირში გადაასახლეს, გლეხს, რომელიც აჯანყებას ჩამოშორდებოდა, ათავისუფლებდნენ ბატონისგან. მთავარმართებელმა ოქროც აამოქმედა და სოლომონის ღალატით მოკვლა დაავალა სიმონოვიჩს. ეს განზრახვა გაანდეს მეფის პირად მტერს, ელიზბარ ერისთავს, მაგრამ მან კატეგორიულად იუარა ღალატი. ტორმასოვი გაკვირვებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ იმერეთში მეფის ჯაშუში და მკვლელი ვერ იპოვა (ბერძენიშვილი, 1965:388-389). გენერალმა ორბელიანმა იმერეთში შესვლა ალის და ვახანის გზებით გადაწყვიტა. ალში ჯარის ნახევარი აჯანყებულებმა გაანადგურეს. ვახანის ხეობაშიც დიდი დანაკლისი განიცადეს რუსებმა. ფაქტიურად, აჯანყებულებმა დიდი დარტყმა მიაყენეს მათ ჯარს. კალატოზოვის და ორბელიანის წარუმატებლობა კარგი მაგალითი იყო იმისა, რომ ქართველს ყოველთვის არ ეხერხებოდა ქართველის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმცა, საპირისპირო მაგალითი უფრო მეტი უნახავს ჩვენს ისტორიას.

ამ მარცხის გამო ტორმასოვმა ორბელიანი თანამდებობიდან გადააყენა და მის ნაცვლად ბარონი როზენი დანიშნა, რომელმაც ორ ბრძოლაში, 26 და 27 ივლისს აჯანყებულები დაამარცხა. პირველ ბრძოლაში დაიღუპა აჯანყებულთა მეთაური, ქაიხოსრო აბაშიძე და მისი სამი შვილი: როსტომი, გიორგი და რომანი. 28 ივლისს დიდი ბრძოლა მოხდა სიმონეთის ტყეში. აჯანყებული იმერლები ქაიხოსრო წერეთლის მეთაურობით ოთხი საათი ებრძოდნენ მტერს. სოლომონს ამ ბრძოლაში ეხმარებოდნენ ახალციხის ფაშა და ლეკთა რაზმები. საბოლოოდ გამარჯვება რუსებს დარჩათ. ამის შემდეგ მეფე თავდაცვაზე გადავიდა. რუსები ფეხდაფეხ მისდევდნენ სოლომონს, მაგრამ მისი ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს. მეფე ითხოვდა, რომ იმერეთში დარჩენის და იქ ცხოვრების ნება მიეცათ მისთვის, მაგრამ მისი თხოვნას ყურადღება არ მიაქცია სიმონოვიჩმა. ამის შემდეგ სოლომონი 3000 მეომრით ზემო საქარაში გამაგრდა, მაგრამ აქაც დამარცხდა (რეხვიაშვილი, 1982:299).

მისი მემკვიდრე, კონსტანტინე ბატონიშვილი, 1810 წლის 31 ივლისს რუსეთში გადაასახლეს. აჯანყების ჩახშობაში რუსებს დიდი დახმარება გაუწიეს სამეგრელოს და გურიის მთავრებმა. სოლომონი ისევ ახალციხეში დაბრუნდა და სულთანს სთხოვდა დახმარებას. ამ დროს ტორმასოვმა სოლომონს ახალციხის დატოვება და თბილისში ჩასვლა

ურჩია, რათა რუსეთის იმპერატორისგან სათანადო წყალობა და პატივი მიეღო. მეფე არ ენდო ამ მზაკვრულ წინადადებას. ის სულთნის დახმარებას ელოდა და სამეფოს დაბრუნებას ცდილობდა. ამ დროს გადასცეს მას სულთნის ფირმანი, რომელშიც მას დახმარებას და სამეფო ტახტის დაბრუნებას ჰპირდებოდნენ. ეს წერილი XIXს-ის თურქმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, აჰმედ ჯევდეთ ფაშამ შემოგვინახა. მისი ,,ისტორიის" მე-9 ტომში დაბეჭდილია ოსმალეთის სულთნის, მაჰმუდ II-ის (1808-1839) სოლომონ II-ისადმი 1811 წელს გაცემული სიგელის დედანი.

სულთნის დაპირებები საკმაოდ ზოგადი იყო, ის რეალურად არც კი ითვალისწინებდა რაიმე დახმარებას, გარდა იმისა, რომ მოსაზღვრე რაიონების ფაშები გაფრთხილებულ იყვნენ ღონისძიებათა გასატარებლად. ეს ფირმანი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში ჩანს ოსმალეთის ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება სოლომონ II-ისადმი და მის მიზანთან-ოსმალეთის დახმარებით დაებრუნებინა იმერეთის სამეფოს ტახტი. სულთნის ფირმანი, დაახლოებით, შემდეგი შინაარსისაა. აჩიკბაშის ხანისადმი მიწერილი ფირმანის პირი. (იმერეთს აჩიკბაშს ეძახდნენ. ნიშნავს თავღიას, უქუდოს).

,,...ქართველი ტომების ოსმალთა სახელმწიფოსადმი კეთილდამოკიდებულება და ერთგულება ოდითგანვე უდავოა და მათი სიმტკიცე (ჩვენს) მომხრეობასა და გულწრფელობაში ნათელია. ერთი ხანია, რაც მოსკოველთა ჯარებმა თაღლითობით, ოინებითა და თვალთმაქცობით, ხელი აღმართეს საქართველოზე და იგი დაიპყრეს. ამას წინათ მათ თბილისის მხარეში ცბიერებითა და ოინბაზობით რომ ფეხი მოიკიდეს, ღვთით ფიცი დადეს, რომ ჩემი მაღალი სახელმწიფოს ქვეშევრდომებს და მათ ქონებასა და ადგილმამულს ზარალსა და ზიანს არ მიაყენებდნენ და ამ თვალსაზრისით მათი გულის მონადირება მოინდომეს და თავიანთი თავი მისანდოდ მოაჩვენეს. ბოროტი განზრახვითა და მტრობით (მათ უნდოდათ) თვით შენი მოტყუება და თბილისისაკენ შენი გამგზავრება, დაჭერა და დაპატიმრება და (სხვა) ამგვარი მუქარები... მას შემდეგ რაც რუსის დასაგმობ და თაღლით კლანჭებს თავი დააღწიე და აქეთკენ გადმოხვედი, შენ მოსკოვის ჯარის დაცვას წინააღმდეგობა გაუწიე და ყველა თავადთან და აზნაურთან შედარებით და ერთგულოვნებით, ღმერთის შემწეობით, ახლაც, ჩემი სამარადისო სახელმწიფოს მტერთა წინააღმედეგ სამოქმედოდ მთელი სამხედრო საჭურვლის მოლოდინში ამჟამად ახალ-

ციხეში იმყოფები...“ შემდეგ სულთანი აქებდა სოლომონის აქტიურ მოქმედებას ,,...შენს მიერ შესრულებული ერთგული მოქმედებანი იმსახურებს ჩვენს მოწონებას. (ამდენად) შენზე დაკისრებული აჩიკბაშის მეფის თანამდებობა შენ დაგეტოვება.... შენთან წერილობითი ურთიერთობის დამყარებისა და საქართველოდან რუსობის მთლიანად გასადევნად ღონისძიებათა მიღების საქმეების შესახებ ადრეც და ამჟამადაც მიეწერა და უკვე გაფრთხილებულია არზრუმის ვალი და აღმოსავლეთის მხარეთა მთავარსარდალი...“ (ნ. შენგელია, ს.ჯიქია, 1963:193-194).

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ზოგადი და ბუნდოვანი დაპირება იყო, ფაქტიურად, არაფრის მომცემი.

ანალოგიური შინაარსისაა ცისანა აბულაძის მიერ ნათარგმნი 4 თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ (აბულაძე, 1967:172). პირველი საბუთი არის სულთან მაჰმუდ II-ის ფირმანი, გაცემული არზრუმის ვალის და აღმოსავლეთის მხარეების სერასკირის, ყოფილი ვეზირის, აჰმედ-ფაშას სახელზე, რომელიც წარმოშობით ლაზი იყო. მას ეს ფირმანი ეგზავნებოდა იმისთვის, რომ დიდი გულმოდგინება გამოეჩინა ტრაპიზონის ვალის, ხაზინადარ ზადე სულეიმან ფაშასთან ერთად იმ დროს არზრუმში მყოფ სოლომონ მეფის იმერეთში დასაბრუნებლად და ტახტზე დასამკვიდრებლად. 3 დოკუმენტი კი ტრაპიზონის ფაშის, სეიდ სულეიმანის, წერილებია იმერეთის მეფისადმი. სულთანი დაინტერესებული იყო მისი საქართველოში დაბრუნებით, რადგან მოსახლეობა ოსმალო მოხელეებს არ ენდობოდა, მეფეს კი ყველგან გაჰყვებოდა ხალხი. ამიტომ იყო საჭირო მისი საჩქაროდ დაბრუნება იმერეთში, მოსახლეობის დარაზმვა და ბრძოლა რუსების წინააღმდეგ. სულთანი და ფაშები ფუჭ დაპირებებს აძლევდნენ მეფეს, ისიც ერთი საფაშოდან მეორეში გადადიოდა. სულეიმან-ფაშა მას ხან ჯანიკში (საფაშო იყო ცენტრით სამსუნში) ეპატიჟებოდა, ხან ბათუმში, ხან - ქობულეთში.

ოსმალეთის ხელისუფლების გააქტიურების შესახებ ტორმასოვმა წერილით შეატყობინა რუმიანცევს და აცნობა, რომ სულთანმა არზრუმის სერასკირს სოლომონისთვის 300 ქისა ფულის მიცემა უბრძანა, რათა მას რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა გაეგრძელებინა (,,აქტები“, 1870:775), თუმცა, რამდენად შესაძლებელი იყო ამ თანხით რუსეთის იმპერიასთან ბრძოლა, ალბათ, მარტო სულთანმა იცოდა.

ამ დროს ერთხელ კიდე გამოჩნდა ახალციხის შერიფ-ფაშას მუხანათობა. 1810 წლის ზაფხულში მას 7000 კაციანი ჯარი გაეგზავნა დასახმარებლად (ალბათ, ირანის შაჰის თანხმობით) ერევნის ჰუსეინ-ყული-ხანის მეთაურობით (ქორთუა,1964:343). ამ მოვლენას უნდა უსწრებდეს, ჩვენი აზრით, სოლომონის წერილი ერევნის ხანს. ეს ჯარი სასტიკად დამარცხდა ახალქალაქთან. ამ მარცხს ჰუსეინ-ყული-ხანი შერიფ-ფაშას აბრალებდა, რომელიც არ დაეხმარა მას და ალექსანდრე ბატონიშვილს. ნიკოლოზ ქორთუას აზრით, რუსებმა მიიმხრეს აჭარაში გაქცეული სელიმ ხიმშიაშვილი და მას ახალციხის ფაშაზე თავდასხმისკენ უბიძგეს, ამიტომ ვერ დაეხმარა შერიფი ერევნის ხანს. მაგრამ იქვე გამოთქვამდა ვარაუდს, რომ შერიფ-ფაშას 18000 კაცი ჰყავდა (ქორთუა, 1964:344), ამხელა ჯარი კი ნამდვილად არ დაჭირდებოდა ხიმშიაშვილის შემოტევის მოგერიებას, მისი ნაწილი მაინც შეეძლო გაეგზავნა ერევნის ხანისთვის და ალექსანდრე ბატონიშვილისთვის (ეს ჩვენი აზრია). ვფიქრობთ, ახალციხის ფაშამ უღალატა ალექსანდრე ბატონიშვილს და ერევნის ხანს, მან იმ ეტაპზე საჭიროდ არ ჩათვალა რუსეთთან დაპირისპირება. მისი მერყევი და მძიმე ხასიათის გათვალისწინებით ეს ნაბიჯი უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს.

ცოტა მოგვიანებით მუხანათურად მოკლეს ლევან (ლეონ) ბატონიშვილი, რომელიც 1786 წელს იყო დაბადებული. ლევანი, ჩვენი აზრით, ყველაზე ღირსეული წარმომადგენელი იყო ერეკლეს შთამომავლობისა, მან ახლობლებთანაც კი გაწყვიტა ურთიერთობა, როცა მამამისის, იულონის, დატყვევების ამბავი გაიგო. არ მოიწონა მამამისის მიერ ოჯახის რუსეთში წაყვანა და უპასუხოდ დატოვა უამრავი შეთავაზება, რომლებიც მის რუსეთის მხარეზე გადასვლას შეეხებოდა, რადგან მისი თანხმობა ქართველი ხალხისთვის იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა შეეწყვიტა და რუსთა ბატონობას შეგუებოდა (ტყავაშვილი, 2011:42-43). ასევე უშედეგოდ დამთავრდა გენერალ ახვერდოვის მცდელობა, რომელმაც ლევანს გადმობირების მიზნით თავისი მასწავლებელი, დეკანოზი ქართველიშვილიც კი მიუგზავნა. პასუხი ამჯერადაც უარი იყო (ქორთუა, 1964:347).

1805 წელს ერევანთან ბრძოლის დროს ციციანოვი სასწაულით გადაურჩა დამარცხებას. მომდევნო წელს კი სპარსეთის ქალაქების დაპყრობით იმუქრებოდა, თუმცა, ამ ნა-

ბიჯის გადადგმისგან თავს შეიკავებდა, თუ მას ალექსანდრე ბატონიშვილს (ერეკლეს შვილს) და ლევან იულონის ძეს გადასცემდნენ (ტყავაშვილი, 2011:40). არ გამოვრიცხავთ, რომ რუსი მოხელეები დაინტერესებული იყვნენ მისი სიკვდილით, რაც მოგვიანებით გააკეთეს ახალციხის ფაშას ხელით. რუსების მიერ მოსყიდულმა ლეკებმა მძინარე ლევან ბატონიშვილი 1812 წლის 26 ოქტომბერს, ბორჯომის ხეობაში, გოგიას ციხესთან მოკლეს, როცა იმერეთიდან ახალციხეში მიდიოდა სამ თანმხლებ პირთან ერთად (ქორთუა, 1964:349). მისი მოკვეთილი თავი კი ახალციხის ფაშას გაუგზავნეს. მიგვაჩნია, რომ ამ საქმეში ფაშას ხელი ერია. გამაჰმადიანებულმა ჯაყელებმა ბრძოლის ველზე ვერაფერი დააკლეს ერეკლეს და მის მძინარე შვილიშვილზე იყარეს ჯავრი.

ახალციხეში მყოფმა სოლომონ II იცნო მისი იარაღი და ფაშას შეატყობინა. ამ უკანასკნელმა ეს ლეკები ლევანის მოკვლისთვის სიკვდილით დასაჯა, ხოლო მათი ოჯახები დაღესტნელებმა ამოწყვიტეს - მათ არ აპატიეს ქართველი ბატონიშვილის მოკვლა. ვფიქრობთ, ახალციხის ფაშას მიერ ლეკების სიკვდილით დასჯა ქართული მხარისთვის თვალის ახვევის მცდელობა იყო.

სოლომონმა ირანსაც მიმართა დახმარებისთვის და ამ მიზნით ერევანში ჩავიდა, მაგრამ ფათჰ-ალი-შაჰმა მას რეალურ დახმარებაზე უარი უთხრა, მხოლოდ მცირეოდენი თანხა გაიმეტა მისთვის. მეფე დროდადრო რუსეთთანაც ცდილობდა საერთო ენის გამონახვას, თუმცა, ამაოდ. დარჩა მხოლოდ ოსმალეთი. სოლომონ II დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და აქ ქართული ხელისუფლების შენარჩუნებისთვის იბრძოდა, რუსეთი კი-მის მოსასპობად. იმერეთიდან რუსეთის განდევნა ოსმალეთსაც უნდოდა, ამიტომ ის მეფის მოკავშირე, თანამზრახველი გახდა. მეფე აცნობიერებდა, რომ საკუთარი მწირი რესურსით რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებდა, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ ქვეყანაში უცხო ჯარის შემოყვანას, შესაძლოა, ნეგატიური შედეგიც მოჰყოლოდა და დოსითეოს კათალიკოსს (წერეთელს) წერდა: ,,მე თვითონ შემოვალ თქვენთან და უცხო ჯარებს აღარ დავეძებ, რომ ღვთისა და თქვენის შესაწუხებელი საქმე არა მოხდეს რა“... (რეხვიაშვილი, 2012:119).

იმავე წელს იმერეთში შიმშილობა დაიწყო, რადგან გლეხებმა მიწა ვერ დაამუშავეს განუწყვეტელი ბრძოლების გამო. 1811 წელს გავრცელდა ეპიდემია, დაიღუპა მოსახლე-

ობის დიდი ნაწილი. ეპიდემია გავრცელდა ოდიშში და გურიაშიც. ასეთ პირობებში მეფეს ბრძოლის გაგრძელების საშუალება აღარ ჰქონდა.

შემდეგ იყო მცდელობა, რომ ნაპოლეონისთვის მიეწვდინათ ხმა და 1810 წლის 20 ოქტომბერს წერილიც გაუგზავნა მას და საფრანგეთის იმპერატორს გამოსარჩლება სთხოვა. არც ამ წერილის გაგზავნამ მოიტანა რაიმე შედეგი. მეორე წერილი სოლომონმა 1811 წლის 6 იანვარს გაუგზავნა ნაპოლეონს და მას შემდეგნაირად უხსნიდა შექმნილ ვითარებას: ,,...მოსკოვის იმპერატორმა უსამართლოდ და კანონის წინააღმდეგ წაგვართვა ჩვენი სამეფო... რაც შეგვეხება ჩვენ, არც ძალა შეგვწევს წინააღმდეგობის გასაწევად, არც ჯარი გვყავს ჩვენი სახელმწიფოს გამოსახსნელად, არც საშუალება კანონიერად აღვადგენინოთ უზურპატორს ჩვენი ტერიტორიები, ეს ორმაგი უძლურება საკმარისია ჩვენი უმოქმედობის გასამართლებლად... თქვენს საიმპერიო უდიდებულესობას ვცნობთ მსოფლიოს არბიტრად...“ (ნაჭყებია, 2018:269-270). მეფე ნაპოლეონს რუსეთის ძალადობისგან დაცვას სთხოვდა.

ამ შემთხვევაში კარგად გამოჩნდა, რომ მეფე ჯეროვნად ვერ ერკვეოდა საერთაშორისო ვითარებაში, ის ვერ აანალიზებდა შექმნილ სიტუაციას.

სელიმ III-ის დამხობის შემდეგ ნაპოლეონმა თქვა: ,,ამ ბარბაროსებთან არ ღირს საქმის დაჭერა“ და ტილზიტის ზავი დადო რუსეთთან (დამხობილ სულთანს ის თავის მოკავშირედ თვლიდა).

ნაპოლეონმა ალექსანდრე I-ს უთხრა: ჩემი მეგობარი სულთანი სელიმი ტახტიდან ჩამოაგდეს. მე ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა მათი გამოყენება, მაგრამ ეს ოცნება გამოდგა. ბოლო უნდა მოვუღოთ სახელმწიფოს, რომელსაც არ შეუძლია არსებობა. ზომები უნდა მივიღოთ, რომ ინგლისმა ხელში არ ჩაიგდოს ეს ნადავლი და ამით არ გაძლიერდეს (ქორთუა, 1964:173-174). აქ ჩანდა, რომ საფრანგეთის და რუსეთის იმპერატორებმა, ნაწილობრივ, გამონახეს საერთო ენა და ნაპოლეონი იმერეთის მეფეს მოკავშირედ არ გამოადგებოდა.

ზემოთ ვახსენეთ სერგი ჯიქიას და ნოდარ შენგელიას მოსაზრება სოლომონ II-ის ბრძოლასთან დაკავშირებით. დასაწყისში ჩვენც ანალოგიურად ვფიქრობდით. მიგვაჩნია, რომ სამეგრელოს, გურიის და ეპიზოდურად აფხაზეთის მთავრების წინააღმდეგ

ბრძოლის წარმოჩენა იმერეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლად საკამათო მოსაზრებაა, ხოლო საქართველოში მყოფ რუს სამხედროებთან დაპირისპირება, გარკვეულწილად, საკუთარი ტახტის შენარჩუნებისთვის დაწყებული ბრძოლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. შეიძლება არ გაიზიარონ ეს მოსაზრება და თქვან, რომ მეფეს საკუთარი ძალაუფლების და ტახტის შენარჩუნება ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად სჭირდებოდა. ამ აზრის საწინააღმდეგოდ მრავლად შეიძლება ისეთი მაგალითის მოყვანა, როცა ამა თუ თუ იმ პიროვნებას ჯერ დამპყრობელი ან მისი ძალაუფლების ხელყოფის მსურველი დაუმარცხებია და შემდეგ დაუბრუნებია სამეფო ტახტი და რეგალიები. ასე, რომ ტახტის შესანარჩუნებლად ბრძოლა ყოველთვის არ შეიძლება გავაიგივოთ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასთან, ან მისთვის აუცილებელ წინაპირობად მივიჩნიოთ.

აზრი ნაწილობრივ შევიცვალეთ ნაპოლეონისადმი გაგზავნილი წერილის გაცნობის შემდეგ. სოლომონმა დამაჯერებლად ახსნა საკუთარი უმოქმედობის თუ წარუმატებელი ბრძოლის მიზეზი. სწორედ მისმა ,,ორმაგმა უძლურებამ“ (რაშიც ფინანსების და სამხედრო რესურსის არქონა ან მისი სიმცირე უნდა ვიგულისხმოთ) განაპირობა მისი მარცხი და არა იმან, რომ მეფის ბრძოლა თავისი შინაარსით რეგრესული იყო. სევდის მომგვრელია იმერეთის მეფის წერილი, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც ის საკუთარ უიმედო მდგომარეობაზე საუბრობს. მაგრამ ბონაპარტს, რომელსაც სწამდა, რომ ,,ომის ღმერთი მის მხარეს იყო“ და საკუთარ წარმოსახვაში ინგლისს ინდოეთში ამარცხებდა, სენტიმენტები არ ესმოდა. ტილზიტის ზავით ალექსანდრე I-მა ნაპოლეონის ძმები: ჟოზეფი ნეაპოლის, ლუი ჰოლანდიის, ჟერომ-ნაპოლეონი კი ვესტფალიის მეფეებად აღიარა, სამაგიეროდ მიიღო უფლება ოსმალეთის ევროპულ ნაწილში სამოქმედოდ და იმისა, რომ ,,აზიაში დაპყრობები თავის სურვილისამებრ განევრცო“ (ნაჭყებია, 2018:125). საფრანგეთის იმპერატორმა რუსეთის პირისპირ მიატოვა გუშინდელი მოკავშირეები: ოსმალეთი და ირანი, მის გეგმებში არც ქართველი ბაგრატიონებისთვის მოიძებნა ადგილი. მოგვიანებით, 1804-1813 წლების რუსეთ-ირანის ომის შემდეგ, 1813 წლის 12-24 ოქტომბერს დადებული გულისტანის ზავით რუსეთის დაქვემდებარებაში გადავიდა ქართლ-კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, დაღესტანი, ბაქოს, ყუბის, და-

რუბანდის, შირვანის, ყარაბახის, განჯის, შექის და თალიშის სახანო ლენქორანის ციხე-სიმაგრით (ნაჭყებია, 2018:271).

ყველა მიმართულებით დამარცხებული მეფე ოსმალეთში წავიდა. ჯერ არზრუმში ცხოვრობდა, მაგრამ მისი ფაშა ტორმასოვმა მიისყიდა და მეფის შევიწროვება დაიწყო. სოლომონმა დატოვა არზრუმი და ტრაპიზონში გადავიდა საცხოვრებლად, თან ამის შესახებ ოსმალეთის ხელისუფლებას აცნობა. განრისხებულმა სულთანმა თავი მოჰკვეთა არზრუმის ფაშას.

ტრაპიზონის ფაშამ, ოსმან-ხაზინედარ ოღლიმ, რომელიც წარმოშობით ქართველი იყო, იმერეთის მეფე დიდი პატივით მიიღო (რეხვიაშვილი, 1982:302). მისი ბრძოლა მარცხით დამთავრდა და თვითონაც დარწმუნდა, რომ ბრძოლა წააგო. 42 წლის სოლომონ II 1815 წლის 7 თებერვალს ტრაპიზონში გარდაიცვალა, დაკრძალეს ბერძნული ეკლესიის ეზოში. ამ უთანასწორო ბრძოლაში მეფის მხარდამხარ იბრძოდნენ ტარიელ და მანუჩარ დადიანები, ზურაბ წერეთლის შვილი, სიმონი, ქაიხოსრო აბაშიძე, ქაიხოსრო წერეთელი, დევდარიანები, ნიჟარაძეები, ანდრონიკაშვილები, კიკნაძეები. ბევრი მათგანი ბრძოლის ველზე დაიღუპა, ნაწილი კი მეფეს ოსმალეთში გაყვა. მეფის მცდელობა, გარეშე ძალის დახმარებით დაებრუნებინა ტახტი, წარუმატებლად დამთავრდა.

როგორ უნდა შეფასდეს იმერეთის უკანასკნელი მეფის მოღვაწეობა, მისი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ? ვფიქრობთ, რომ მისი წარმოჩენა სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირად ისტორიული სინამდვილის დამახინჯება იქნება. რაოდენ კეთილადაც არ უნდა ვიყოთ მის მიმართ განწყობილი, გვერდს ვერ ავუვლით ერთ ცნობას, რომელიც ძალიან აფერმკრთალებს მის, როგორც საგარეო მტრის წინააღმდეგ მებრძოლი რაინდის, სახეს. ნიკოლოზ ქორთუას მოყვანილი აქვს ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ 1802 წლის ივლისში იმერეთის მეფემ სოლომონ ლიონიძე გაგზავნა მინისტრ კოვალენსკისთან და მას კარლ კნორინგთან გადასაცემად წერილები გაატანა. მეფე, რადგან უშვილო იყო, თანახმა იყო, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ იმერეთი რუსეთს შეერთებოდა, ოღონდ, ერთი პირობით, სანამ ცოცხალი იქნებოდა, მისთვის მეფობა უნდა შეენარჩუნებინათ (ქორთუა, 1964:64). კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ მეფის ბრძოლა ტახტისთვის და მეფის ტიტულისთვის ბრძოლა იყო და არა იმერეთის და-

მოუკიდებლობისთვის. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ელაზნაურის შეთანხმების დადების შემდეგ მეფემ ციციანოვს მოსთხოვა დაეფიცებინა, რომ ის სიცოცხლის ბოლომდე დარჩებოდა მეფედ (დუმბაძე, 1957:172). ამ ფიცის გამო მთავარმართებელმა ალექსანდრე I-ს მოგვიანებით ბოდიში მოუხადა.

სოლომონ II ცდილობდა, რომ რუსეთისა და ირან-ოსმალეთის დაპირისპირება იმდენად მძაფრი ყოფილიყო სამივე ქვეყნისთვის, რომ ისინი მოქანცულიყვნენ, დასუსტებულიყვნენ და ,,იმერეთის შინაგანი მმართველობის დამოუკიდებლობა“ შეენარჩუნებინა (ქორთუა, 1964:80). იმერეთი არ იყო დამოუკიდებელი ქვეყანა, ის მიეკუთვნებოდა ოსმალეთის გავლენის სფეროს. თუ სოლომონს ქვეყნის გათავისუფლება უნდოდა, მას, პირველ რიგში, ოსმალეთის წინააღმდეგ უნდა დაეწყო ბრძოლა, რასაც ადგილი არ ჰქონია. რუსეთი ის-ის იყო იწყებდა დასავლეთ საქართველოში ფეხის მოკიდებას. სოლომონ II-ის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ შეიძლება შეფასდეს როგორც თავის დაღწევის მცდელობად რუსული ჩაგვრის უღლისგან. ოსმალური უღელიც საკმარისი იყო პატარა იმერეთისთვის.

რუსმა მოხელემ, მოგილევსკიმ, მთავარმართებელ ტორმასოვის დავალებით მოლაპარაკება გამართა სოლომონთან, რათა ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოეხდინა მასზე და დაეთანხმებინა ის წინააღმდეგობის შეწყვეტაზე. როცა მეფემ მიამიტურად იკითხა, თუ რით დაიმსახურა მან რუსეთის იმპერატორის უკმაყოფილება და რისხვა, მოგილევსკიმ მიუგო, რომ იმერეთის მეფემ ბევრი უსიამოვნება მიაყენა რუსეთის ჯარს და მოსვენებას არ აძლევდა მას (რეხვიაშვილი, 2012:202). ცნობილია, რომ მეფე გაურბოდა რუსი სამხედროების სიახლოვეს, რადგან სამართლიანად შიშობდა, რომ მისი დატყვევება უნდოდათ. ის ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, რუსები კი ფეხდაფეხ მისდევდნენ. ვფიქრობთ, ამას გულისხმობდა რუსი მოხელე უსიამოვნების მიყენებაში, რაც, თავის მხრივ, ძნელია, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლად ჩავთვალოთ.

ვახტანგ VI-ის მცდელობას რუსეთთან დაახლოებისა დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი აფასებდა როგორც დიდ პოლიტიკურ შეცდომად, ორი საბელის შემდეგ ყელზე მესამე საბელის შებმად (X კლასის ქართული ენის და ლიტერატურის სახელმძღვანელო, თბ, 2014:318). ორ საბელში პოეტი გულისხმობდა ირანს და ოსმალეთს.

ვფიქრობთ, რომ სოლომონი თავისი მოქმედებით იმერეთისთვის სწორედ მეორე საბელის შებმას ეწინააღმდეგებოდა. მან მონურად არ მოუხარა ქედი ახალ დამპყრობელს და თავისი ნებით არ დაადგა იმერეთს რუსული ჩაგვრის უღელი. ამით ის უფრო ღირსეულ მოღვაწედ წარმოგვიდგება, ვიდრე ერეკლეს ყველა შვილი ერთად აღებული (ლევან და ალექსანდრე ბატონიშვილების გამოკლებით, ეს უკანასკნელი სპარსეთში გარდაიცვალა 1844 წელს).

მეფის მარცხი მნიშვნელოვანწილად მისმა წარუმატებელმა საშინაო პოლიტიკამაც განაპირობა. შეიძლება ვთქვათ, რომ ,,მეფე, როგორც პოლიტიკოსი, დასავლეთ საქართველოს მთავრებთან ურთიერთობაში მცდარ გზას ადგა. იმის ნაცვლად, რომ ისინი თავის გარშემო შემოეკრიბა და თავისი ხელისუფლება გაეძლიერებინა, რაც იმერეთის ავტონომიას უფრო რეალურს გახდიდა, მეფემ თავისი არასწორი პოლიტიკით სამეგრელოს და გურიის მთავრებთან ბრძოლას შეალია იმერეთის სუსტი ძალები, რამაც ამ სამთავროებს რუსეთთან დაახლოებისკენ უბიძგა და ამით იმერეთის სამეფოს აღსასრული დააჩქარა“ (ჩხატარაიშვილი, 1985:27-28). ძნელია, ეჭვი შევიტანოთ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

1818 წლის ზაფხულში ბელგიელმა პოლკოვნიკმა, როტიემ, რომელიც კავკასიაში მსახურობდა და დიმიტრი ორბელიანის დაქვემდებარებაში მყოფი მე-20 დივიზიის შტაბის უფროსი იყო, ტრაპიზონში საფრანგეთის კონსულ პიერ დიუპრესთან ერთად ინახულა სოლომონის საფლავი. მისი ცნობით, მეფის ახლობლებმა მისი ნეშთი ექვსი კვირით ადრე დამარხეს, ვიდრე სტამბოლიდან მის საფლავზე სამახსოვრო მემორიალის აღმართვის უფლებას მიიღებდნენ, რაც დაუბრკოლებლად მოხდა. ეს მემორიალი იყო საფლავის კუთხეებში აღმართული ოთხი ქვის სვეტი, რომელსაც გუმბათი ეყრდნობოდა. სულთნისთვის საკმარისი რეკომენდაცია იყო ის სიმტკიცე, რომლითაც ეს სოლომონ II წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის ოკუპაციას. როტიე წერდა: ,,თუმცა, მრავალი ქრისტიანი ფიქრობდა, რომ იგი შეცდა, მე უნდა ვაღიარო, რომ მის საქციელს არ აკლდა სიდიადე, სოლომონის საფლავი, უდავოდ, ის ერთადერთია, რომელზეც პორტამ ქრისტიანი მეფის მემორიალი აღმართა“ (ნაჭყებია, 2018: 272-273). ამ ფორმით მიაგო პატივი ოსმალეთმა მეფის უთანასწორო ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ.

არც საფრანგეთის იმპერატორის ხვედრი აღმოჩნდა უკეთესი. მის სახელზე სოლომონის მიერ უკანასკნელი წერილის დაწერიდან 10 წლის შემდეგ ნაპოლეონმა წმინდა ელენეს მიყრუებულ კუნძულზე ინგლისელთა ტყვეობაში ჰპოვა საკუთარი აღსასრული.

ამრიგად, შეიძლება ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ იმერეთის უკანასკნელი მეფე, სოლომონ II, ტახტზე ასვლის შემდეგ პრორუსულ პოლიტიკას ატარებდა. მეფის საქმიანობა, მისი მსოფლმხედველობა რადიკალურად შეიცვალა 1802 წლის კახეთის აჯანყების შემდეგ, როცა ის დარწმუნდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რუსული ხელისუფლება მის მფარველობაში შესული ქართლ-კახეთის რუსეთის ერთ ჩვეულებრივ პროვინციად გადაქცევას ლამობდა. იმერეთის მეფე მიხვდა, რომ ჩრდილოელი მეზობელი საიმედო მოკავშირედ ან მფარველად არ გამოდგებოდა. ქრისტიანული საქართველოს დაცვის საბაბით მოსული რუსეთი წალეკვით ემუქრებოდა უკანასკნელ ქართულ სამეფოს. ჩრდილოეთიდან მოახლოებული გრიგალი სოლომონს ან უსიტყვო მორჩილებით უნდა შეეკავებინა, ან იარაღით ხელში. მეფემ მეორე გზა აირჩია და დახმარებისთვის საქართველოს ისტორიულ მტრებს: ირანს და ოსმალეთს მიმართა. მის ამ ნაბიჯს ისტორიკოსთა განსხვავებული შეფასება მოჰყვა. ვფიქრობთ, აზრთა სხვადასხვაობას ხელი მეფის არათანმიმდევრულმა და წინააღმდეგობრივმა მოქმედებამაც შეუწყო, რამაც, საბოლოო ჯამში, განაპირობა მისი მარცხი იმერეთის ტახტის დასაბრუნებლად დაწყებულ ბრძოლაში.

დასკვნა

ამრიგად, განხილული მრავალრიცხოვანი ქართული და უცხოური (რუსული, თურქული) წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის, ასევე საარქივო მასალების ანალიზის შედეგად სადისერტაციო ნაშრომში ,,იმერეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს ურთიერთობა და საგარეო ორიენტაცია XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის 10-იან წლებში“ გამოიკვეთა მთელი რიგი სიახლეები და განსხვავებული მოსაზრებები.

სადისერტაციო ნაშრომის I თავი მთლიანად მიეძღვნა იმერეთის უდიდეს მეფეს, სოლომონ I-ს. მისი მოღვაწეობა იმდენად კარგად არის შესწავლილი, რომ სიახლეს, რომელზეც ღირდა ყურადღების გამახვილება, მხოლოდ მისი მოღვაწეობის მეორე ეტაპზე შევხვდით. თუმცა, სინანულით უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სიახლე კარგად მეტყველებს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეების საკმაოდ წინააღმდეგობრივ ურთიერთობაზე.

ამ პერიოდით დაინტერესებულ მკვლევარს იმერეთის მეფის საქმიანობის შეფასებისას პირველად კითხვის ნიშანი შეიძლება გაუჩნდეს სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ს შორის არსებულ დაპირისპირებაზე რუსული საექსპედიციო კორპუსის გამოყენებასთან დაკავშირებით. ორივე მათგანი ცდილობდა, რომ მისი დახმარებით ხელში ჩაეგდო და საკუთარი სამეფოსთვის შეეერთებინა ახალციხის საფაშო. მიგვაჩნია, რომ სოლომონის მოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც საერთო ქართული საქმისთვის ხელის შეშლა, რამაც ერეკლე II-ის გეგმის ჩაშლა გამოიწვია. მოუგვარებელი დარჩა სამცხე-საათაბაგოს საკითხი. სოლომონმა ვერ შეძლო იმის გამეორება, რაც თავის დროზე გააკეთა ბაგრატ III-მ (იმერეთ-სამცხის სამთავროს ერთიანი სამეფოს შექმნა 1535 წელს) და ქართლ-კახეთის მეფესაც ხელი შეუშალა ამის გაკეთებაში.

წინააღმდეგობა ამით არ ამოწურულა და 1778-1779 წლებში მან სრულიად განსხვავებული ელფერი შეიძინა. ერეკლემ თავის მოკავშირედ ოსმალეთი აირჩია, რამაც უაღრესად რთულ ვითარებაში ჩააყენა იმერეთის მეფე, რომელმაც, თავის მხრივ, საქართველოში უხმო ალექსანდრე ბაქარის ძეს, ერეკლე II-ის კონკურენტს ქართლის ტახტზე. მიგვაჩნია, რომ იმ მომენტში სოლომონს მთავარ საშიშროებად მიაჩნდა არა ოსმალთა ახალი სადამსჯელო ლაშქრობა, არამედ ერეკლეს მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე, რაც იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის დაკარგვით ემუქრებოდა. ოსმალეთის წი-

ნააღმდეგ მოსალოდნელ ბრძოლაში დამარცხების შემთხვევაშიც კი სოლომონი ამ საფრთხეს, სავარაუდოდ, თავიდან აიცილებდა, თუნდაც იმით, რომ აღიარებდა სულთნის უზენაესობას ან ნაწილობრივ შეამსუბუქებდა ,,ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვის პოლიტიკას. ამიტომ მან მთელი თავისი ძალები ერეკლეს წინააღმდეგ აამოქმედა და თავისი ელჩი, ბესარიონ გაბაშვილი, ირანში გაგზავნა.

ეს პერიოდი იმითაც არის საინტერესო, რომ რუსეთის უსაზღვროდ ერგულმა იმერეთის მეფემ ნაწილობრივ შეცვალა საგარეო ორიენტაციის ვექტორი და ახალ მოკავშირეს ჯერ ირანში, შემდეგ კი ევროპაში დაუწყო ძებნა, თუმცა, ამას ისეთი ფორმით აკეთებდა, რომ რუსეთის ხელისუფლებისთვის მცირედი საბაბიც არ მიუცია ეჭვი შეეტანა მის ერთგულებაში. სამწუხაროდ, საგარეო ორიენტაციის შეცვლამ იმერეთის სამეფოს ამ ეტაპზე რაიმე სახის ღირებული შედეგი ვერ მოუტანა და მეფემ იმედის თვალი კვლავ ჩრდილოეთისკენ მიაპყრო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მან საგარეო ორიენტაცია ისევ რუსეთისკენ მიმართა. 1783 წელს გრიგოლ პოტიომკინს მის მიერ საქართველოში გამოგზავნილ პოლკოვნიკი ბურნაშოვი ატყობინებდა, რომ სოლომონ I რუსეთის იმპერატორის მიმართ კეთილგანწყობით გამოირჩეოდა და სურვილი ჰქონდა, რომ იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესულიყო (გურული, 2018: 28).

შევეხეთ და საკუთარი მოსაზრება გამოვთქვით XVIIIს-ის II ნახევრის იმერეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ერთი, საკმაოდ საინტერესო, შემთხვევის შესახებ. ვგულისხმობთ სოლომონ I-ისა და მაქსიმე ქუთათელის დაპირისპირებას. შევეცადეთ აგვეხსნა ის მიზეზები, რამაც მეფე და მისი ერთ დროს პირველი დიპლომატი ერთმანეთის მტრებად აქცია. შეძლებისდაგვარად ავხსენით ამ დაპირისპირების მიზეზი, რაც, ჩვენი აზრით, აბაშიძეთა საგვარეულოს ხარჯზე წულუკიძეების დაწინაურებამ და იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი როლის გაზრდამ გამოიწვია. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება ნაშრომის I თავის ერთგვარ სიახლედ უნდა ჩაითვალოს. არ ვფიქრობთ, რომ საკითხი სრულად და ამომწურავად გავაშუქეთ, პირიქით, საკმაოდ ბევრია გამოსაკვლევ-დასაზუსტებელი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, სოლომონ I-ის მემკვიდრეები: დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე. მათ არ გააჩნდათ ისეთი თვისებები, რაც

აუცილებელი იყო უამრავი ქარტეხილის წინაშე მდგომი ქვეყნის მეთაურისთვის. დავით გიორგის ძის დროს ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი ოსმალო დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლას (იგულისხმება ქაიხოსრო აბაშიძის შემოჭრა იმერეთში), სოლომონ II კი იარაღით ხელში არ დაპირისპირებია არათუ ოსმალეთის სულთანს, არამედ ახალციის ფაშასაც კი, პირიქით, ურთიერთდაპირისპირების ან გურია-ოდიშის მთავრებთან ურთიერთობის დაძაბვის დროს სოლომონ დიდის მემკვიდრეები გამაჰმადიანებულ ჯაყელებთან გარბოდნენ დახმარების სათხოვნელად. მათი პოლიტიკა და მოქმედების არეალი დასავლეთ საქართველოს სამთავროების საზღვრებს აღარ შორდებოდა, საქმიანობა კი სამთავროს ტახტზე მათთვის სასურველი კანდიდატების აყვანით და მათი მხარდაჭერით მთავრდებოდა.

II თავის ანუ დავით გიორგის ძის მეფობის (1784-1790) პერიოდთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ იმერეთის პოლიტიკური ორიენტაციის ისარი უძრავად იყო ჩრდილოეთისკენ მიმართული. დავით გიორგის ძის მეფობა ისეთ ვითარებაში წარიმართა, რომ შიდა დაპირისპირებით დაღლილ მეფეს არც უფიქრია ევროპაში ან აზიაში ეძებნა რუსეთზე საიმედო მოკავშირე. მისი მზერა და იმედი მხოლოდ პეტერბურგს უკავშირდებოდა. მან სოლომონ I-ის მიერ გაკვალულ რუსეთისკენ მიმავალ გზაზე დიდი რუდუნებით დაიწყო სვლა და ორი ელჩობა გაგზავნა პეტერბურგში, თუმცა, ორივე უშედეგოდ. ზურაბ წერეთლის და მაქსიმე აბაშიძის ორწლიანი ყოფნის შემდეგ ელჩებმა იმასაც ვერ მიაღწიეს, რომ გამამხნევებელი შინაარსის ბარათი ჩამოეტანათ იმერეთის მეფისთვის, რათა შემდეგ ეს ბარათი იმერეთის მტრებისთვის ეჩვენებინათ და დაემტკიცებინათ, რომ რუსეთი ასე თუ ისე ზრუნავდა იმერეთზე, ამით კი გაემართლებინათ მეფის სწრაფვა რუსეთისკენ, მისი საგარეო ორიენტაციის ჩრდილოეთისკენ მიმართვა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმერეთის მეფე უკმაყოფილებას არ მალავდა რუსეთის ხელისუფლების ინერტული პოზიციის გამო და 1786 წლის 19 თებერვალს გრიგოლ პოტიომკინს წერდა: ,,ჩემი ქვეყანა იმისთვის შეგავედრეთ, რომ ურჯულოთაგან აოხრება არ შემოსულიყო, თუ ასე დიდხანს იყოვნიდით, არ მოველოდი. თუ თქვენი წყალობის მოიმედე არ ვიყვნეთ, ჩვენ თავს არ დავზოგავდით და ჩვენის სისხლით გავირჯებოდით“. საყურადღებო ცნობაა, აშკარად ჩანს მეფის უკმაყოფილება რუ-

სეთით (ლორთქიფანიძე, 1940: 88). თუმცა, მას აღარ დაცალდა საგარეო პოლიტიკის ან მოკავშირე-მფარველის შეცვლის მცდელობა.

ჩვენს მიერ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში, ფონდში №1449, მოძიებულ იქნა საქმე №3289, რომელშიც მეფედ დავით არჩილის ძე იხსენება. ეს ცნობა, მიუხედავად მისი შინაარსის საკამათო ხასიათისა, ჩვენი ნაშრომის ერთგვარ სიახლედ მიგვაჩნია. ამ ცნობას ვერ ვხვდებით იმერეთის ისტორიით და-ინტერესებულ სხვა მკვლევართა ნაშრომებში და შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში ის ჩვენ შემოვიტანეთ.

მივუახლოვდით იმერეთის, უკანასკნელ მეფის, სოლომონ II-ის საქმიანობის შეფა-სებას.

III თავში მიმოვიხილეთ მისი მოღვაწეობა და, საბედნიეროდ, აქაც შევძელით გარკ-ვეული სიახლის აღმოჩენა. ეს გახლავთ სცსსა-ს თურქული საბუთების ფონდში მიკვლე-ული უთარიღო საბუთი, რომლის თარგმნაში დიდი დახმარება გაგვიწია ცნობილმა აღ-მოსავლეთმცოდნემ, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თა-ნამშრომელმა, ქალბატონმა ცისანა აბულაძემ. შეძლებისდაგვარად დავათარიღეთ ეს ცნობა და მიგვაჩნია, რომ მას გარკვეული ღირებულება გააჩნია XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის იმერეთის ისტორიის და მისი უკანასკნელი მეფის საქმიანობისა და საგარეო ორი-ენტაციის შესასწავლად. ეს ცნობაც ჩვენი მცირედი ძალისხმევით (და ქ-ნ ცისანა აბულაძის კეთილი ნებით) დამკვიდრდა სამეცნიერო მომოქცევაში.

როგორც ვხედავთ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა ამ პერიოდის ქართველი მე-ფეების ერთადერთი საგარეო ორიენტირი ქრისტიანული რუსეთი იყო და მასთან დაკავ-შირებული იმედი იმისა, რომ მისი დახმარებით მოაგვარებდნენ საშინაო თუ საგარეო პრობლემებს.

ვერ ვიტყვით, რომ სოლომონ II-მ გააანალიზა ერეკლეს, სოლომონ I-ის ან თავისი წინამორბედის, დავით გიორგის ძის, შეცდომები და ამის საფუძველზე შეცვალა საგარეო ორიენტაციის მიმართულება. ის თავიდანვე დაადგა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის გზას, თუმცა, ითხოვდა, რომ ამ უკანასკნელს შეესრულებინა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები. ამ მოთხოვნით ბზარი გაჩნდა რუსეთ-იმერეთის ურთიერთობაში, რომელიც

თანდათან გაიზარდა. სოლომონმა არ დამალა საკუთარი აღშფოთება ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებით და კატეგორიულად ითხოვდა მის აღდგენას, სრულიად უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ ტახტზე იულონ ბატონიშვილის ასვლით იმერეთშიც გააგრძელებდა ბაგრატიონთა დინასტია არსებობას. სოლომონ II-მ ცხადად დაინახა, რომ რუსეთის საქართველოში დამკვიდრება და გაძლიერება იმერეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის და მისი მეფობის აღსასრულს ნიშნავდა. ის მიუღებელი იყო რუსეთისთვის, როგორც ბაგრატიონი მეფე, როგორც ერეკლეს ოჯახის წარმომადგენელი. დაიწყო მისი ლანძღვა, შევიწროვება, დამცირება. რუსმა მოხელეებმა მეფის დევნა გაათმაგებული ძალით განაგრძეს, როცა ცნობილი გახდა, რომ მან რუსეთის გვერდის ავლით ურთიერთობის გაღრმავება სცადა ოსმალეთთან და ირანთან. მეფის საგარეო ორიენტაციის შეცვლა, რაც გამოიხატა ქრისტიანული რუსეთის ნაცვლად მაჰმადიანურ ირან-ოსმალეთთან დაახლოვებაში, გახდა მისი პოლიტიკური აღსასრულის ერთ-ერთი მიზეზი.

პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით სოლომონ II-ის მეფობის საწყისი პერიოდი საგანგაშოს არაფერს მოასწავებდა რუსეთისთვის, მაგრამ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა 1802 წლის კახეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ. მეფეს რწმენა შეერყა რუსეთის მიმართ, თუმცა, ჯერჯერობით თავს იკავებდა აშკარა ანტირუსული მოქმედებისგან, იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან კომპრომისს მიაღწევდა და დაიბრუნებდა ლეჩხუმს, ასევე იმედოვნებდა, რომ მისთვის სასიკეთოდ გადაწყდებოდა მთელი რიგი საკითხები. შეიძლება ითქვას, რომ 1804 წლის ელაზნაურის შეთანხმებიდან 1806 წლამდე (ციციანოვის გარდაცვალებამდე) მეფე ყოყმანობდა, ბოლომდე არ კარგავდა რუსეთის იმედს, არ თმობდა რუსულ ორიენტაციას და ინარჩუნებდა ლოიალობას ამიერკავკასიაში დამკვიდრებული რუსული ხელისუფლების მიმართ. მის ცნობიერებაში წყალგამყოფად იქცა ციციანოვის დაღუპვა. თუ ,,მრისხანე თავადი“ ფუჭი დაპირებებით მაინც კვებავდა მის მეფურ პატივმოყვარეობას, მთავარმართებლად დანიშნულ გენერალ გუდოვიჩთან, შემდეგ მის შემცვლელ გენერალ ტორმასოვთან ურთიერთობამ საბოლოოდ დაუმსხვრია მეფეს რუსეთის რწმენა. სწორედ პაველ ციციანოვის გარდაცვალების შემდეგ (1806 წლის თებერვალი) იწყება სოლომონ II-ის საგარეო ორიენტაციის აშკარა ცვლილება. რუსეთის ერთგული მეფე მისი დაუფარავი მოწინააღმდეგე გახდა,

იარაღით დაუპირისპირდა მას და გადადგა ნაბიჯი, რომელიც ისტორიკოსთა მრავალ თაობაში წინააღმეგობრივად და არაერთგვაროვნად შეფასდა: მოკავშირედ ქრისტიანული რუსეთის წინააღმდეგ მაჰმადიანური ოსმალეთი აირჩია, მასთან ერთად კი რუსეთის კიდევ ორ მტერთან: ირანთან და ნაპოლეონის საფრანგეთთან ცდილობდა საერთო ენის გამონახვას.

ნაშრომის III თავი ასევე მიმოიხილავს პერიოდს ელაზნაურის შეთანხმებიდან მეფის გარდაცვალებამდე და მის სიახლედ მიგვაჩნია ჩვენი მოსაზრებათა ერთობლიობა იმერეთის უკანასკნელი მეფის საქმიანობის შესახებ ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ. ამ მოსაზრებებს, ვფიქრობთ, არ ღალატობს ობიექტურობის განცდა, როცა საკმაოდ კრიტიკულად შევაფასეთ მეფის საქმიანობა. ამ თავს წითელ ხაზად გასდევს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს საქმიანობა არ შეიძლება გავაიგივოთ და, მეტიც, მას იმერეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ვუწოდოთ.

რაც შეეხება უშუალოდ სოლომონ II-ს. 1990 წელს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, დიდი ზარზეიმით გადმოასვენა მეფის ნეშთი თურქეთიდან. როცა საქმე ეხება უცხოეთში დაღუპული ქართველის სამშობლოში გადმოსვენებას, ჩვენს წარმოსახვაში ცოცხლდება დიმიტრი ყიფიანთან ან ნიკოლოზ ბარათაშვილთან დაკავშირებული სამგლოვიარო პროცესი. მაშინ ვფიქრობდით, რომ იმერეთის უკანასკნელი მეფეც ამ ორი დიდი ქართველის და მათი მსგავსი მოღვაწეების თანავარსკვლავედში შედიოდა. მოგვიანებით ისე მოხდა, რომ სოლომონ II-ის მოღვაწეობამ ჩვენ სადისერტაციო თემის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინა. ყურადღებით გავეცანით მის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან ლიტერატურას და გაოცებული დავრჩით. მეფის საქმიანობაში ბევრი ვერაფერი აღმოვაჩინეთ ისეთი, რაც საშუალებას მოგვცემდა, რომ ის იმერეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ გმირად წარმოვიდგინოთ. ამით სულაც არ ვამბობთ იმას, რომ მისი ნეშთი არ უნდა გადმოესვენებინათ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ პირველმა პრეზიდენტმა უკანასკნელი მეფის სვე-ბედში საკუთარი მომავალი განჭვრიტა. ერთი რამ ფაქტია, მეფეც და პრეზიდენტიც საკუთარი სამშობლოდან ლტოლვილებად ჩრდილოელმა მეზობელმა აქცია, ხოლო მეფის ნეშთის გადმოსვენება, ჩვენი აზრით, იყო კეთილშობილური ნაბიჯი,

რომელიც ქართველობამ ორი ათეული წლის შემდეგ გროზნო-თბილისის მარშრუტით კიდევ ერთხელ გადადგა და პირველი პრეზიდენტის ნეშთიც მშობლიურ მიწას მიაბარა.

სოლომონ II-ის წარუმატებლობა მოულოდნელი არ იყო. ცუდ დროს მოუწია მას რუსეთთან დაპირისპირებამ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ XIXს-ის პირველი მეოთხედი ისეთივე ,,ოქროს ხანა“ იყო რუსეთის ისტორიაში, როგორც-ეკატერინე II-ის მეფობა. ალექსანდრე I, გამორჩეული მონარქი თავისი განათლებით, დიპლომატიური ნიჭით (რომლითაც გაკვირვებას ვერ მალავდა ა. პუშკინი და იმპერატორზე ამბობდა: ,,ყალბია, როგორც ზღვის ქაფი, ბასრია, როგორც სამართებელი“) და ტახტიდან იდუმალი გაუჩინარებით, ღირსეული მემკვიდრე იყო თავისი დიდი ბებიისა. 1815 წელს, როცა რუსეთის არმია ევროპის სხვა ქვეყნების არმიებთან ერთად ნაპოლეონის საბოლოო განადგურების მიზნით საფრანგეთისკენ მიემართებოდა, რუსი ჯარისკაცები სიმღერით ემუქრებოდნენ პარიზს და მას სამაგიეროს გადახდას ჰპირდებოდნენ იმის გამო, რაც ფრანგმა ჯარისკაცებმა მოსკოვში გააკეთეს, იგულისხმება ქალაქის გადაწვა და სხვა ისეთი ფაქტები, რაც, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, როცა ერთი ქვეყნის არმია ბრძოლით ან წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ეუფლება მასთან დაპირისპირებული ქვეყნის დედაქალაქს. სწორედ რუსეთის მაშინდელი იმპერატორის დიდ დამსახურებად მივიჩნევთ იმას, რომ რუსმა ჯარისკაცებმა ვერ შეძლეს 1815 წელს იმის გაკეთება პარიზში, რაც დიდი ,,წარმატებით“ გააკეთეს 1945 წელს ბერლინში.

სულ რაღაც ათი წელი დასჭირდა რუსულ არმიას იმისთვის, რომ ერთმანეთის მიყოლებით დაემარცხებინა ოსმალეთი, ირანი და ნაპოლეონის საფრანგეთი, რომლის წინააღმდეგ, თავის მხრივ, ძალების მაქსიმალური მობილიზებით იბრძოდა ინგლისი, ავსტრია და პრუსია, მაგრამ ვერავინ უარყოფს იმას, რომ ნაპოლეონის ძლიერება ბოროდინოს ველზე და მდინარე ბერეზინას ნაპირთან დაიმსხვრა. უკანასკნელი ბაგრატიონი მეფე და მისი სამეფო ალექსანდრე I-ის მსხვერპლთა რიგში ჩადგა.

გამოყენებული ლიტერატურა

1) **აბულაძე, 1967:** აბულაძე ც., თ ს უ შრომები, თბილისი, 1967. ტ, 121.

2) **Авалов, 1901:** Авалов З., присоединение Грузии к России,С-петербург,1901.

3) Акты, собраные кавказской археографической комиссией, Т. I, Тифлис, 1866.

4) Акты, собраные кавказской археографической комиссией, Т. II, Тифлис, 1868.

5) Акты, собраные кавказской археографической комиссией, Т. III, Тифлис , 1869.

6) Акты, собраные кавказской археографической комиссией, Т. IV, Тифлис, 1870.

7) **ალასანია, 2008:** ალასანია გ., ქართველები და ისლამამდელი თურქები, თბილისი, 2008.

8) **ამილახვარი, 1939:** ამილახვარი ა., გეორგიანული ისტორია, მნათობი, №8. თბილისი, 1939.

9)**ასათიანი, ჯამბურია, 2008:** ასათიანი ნ., ჯამბურია გ., საქართველოს ისტორია, თბილისი, 2008.

10)**ბატონიშვილი, 1905:** ბატონიშვილი დ., მასალები საქართველოს ისტორიისათვის (1744-1840). ტფილისი, 1905.

11)**ბატონიშვილი, 1941:** ბატონიშვილი ბ., ახალი მოთხრობა (ნ. ლომოურის გამოცემა), თბილისი, 1941.

12) **ბატონიშვილი, 1971:** ბატონიშვილი დ., საქართველოს ისტორია, თბ. 1971. (რუს).

13) **ბაქრაძე, 1878:** ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბილისი, 1878.

14) **ბაქრაძე, 1887:** ბაქრაძე დ., ვახტანგის სამართალი. ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული, ტფილისი, 1887.

15) **ბახტაძე, 2008:** ბახტაძე მ., ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში, თბილისი, 2008.

16) **ბერძენიშვილი, 1943:** ბერძენიშვილი ნ., რეცენზია ნ. მახარაძის შრომაზე ,,იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება“ ენიმკის მოამბე, თბილისი, 1943. ტ. XIII.

17) ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია 1943: ბერძენიშვილი ნ.,ჯავახიშვილი ი., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე, თბილისი, 1943.

18) ბერძენიშვილი, 1953: ბერძენიშვილი ნ., დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, თბილისი, 1953.

19) ბერძენიშვილი, 1965: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ.II, თბილისი, 1965.

20) ბერძენიშვილი, 1967: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბილისი, 1967.

21) ბერძენიშვილი, 1973: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.VI, თბილისი, 1973.

22)Броссе, 1861: Броссе М., Переписка грузинских царей с россискими государями, С-петербург, 1861.

23) ბროსე 1900: ბროსე მ., საქართველოს ისტორია, ნაწ. II, თბ, 1900.

24) ბურჯანაძე, 1948: ბურჯანაძე შ., სოლომონ I-ის ურთიერთობა რუსეთთან, საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV-B, თბილისი, 1948.

25) ბურჯანაძე, 1950: ბურჯანაძე შ., სოლომონ I-ის მეფობის I პერიოდი (1752-1768). ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ. თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1950. ტ. 41.

26) ბურჯანაძე, 1953: ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810). წიგნი I. საქართველოს ს.ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. II. თბილისი, 1953.

27) ბურჯანაძე, 1958: ბურჯანაძე შ., ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია ოდიშის სამთავროებისა, თბილისი, 1958.

28) ბურჯანაძე, 1960: ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისთვის 1784-1789 წწ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, თბილისი, 1960.

29) ბურჯანაძე, 1961: ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფო (1768-1784 წწ). საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. III, თბილისი, 1961.

30) ბურჯანაძე, 1962: ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789-1802 წწ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, თბილისი, 1962.

31) Бутков, 1869: Бутков П., Материалы для новой истории Кавказа 1722-1803 гг. (С-Петербург, 1869) Ч. I.

32) Бутков, 1869: Бутков П., Материалы для новой истории Кавказа 1722-1803 гг. (С-Петербург, 1869г). Ч. II.

33) Бурнашев, 1896: Бурнашев С., Картина Грузии или описание политического состояния царства Карталинского и Кахетинского сделанное Бурнашевым в Тифлисе в 1786 году, Тифлис, 1896.

34) ბუბულაშვილი, 2013: ბუბულაშვილი ე., მაქსიმე აბაშიძე-კათალიკოსი ყოვლისა საიმერეთოისა და აფხაზეთისა. მეცნიერებათა აკადემიის ,,მაცნე,"№1. თბილისი, 2013.

35) გამახარია, 2005: გამახარია ჯ., აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი, 2005.

36) გიგინეიშვილი, 1959: გიგინეიშვილი ო., საქართველო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში მე-18ს-ის უკანასკნელ პერიოდში, თსუ შრომები, ტ. 73, თბილისი, 1959.

37) გიულდენშტედტი, 1962: გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1962.

38) გიულდენშტედტი, 1964: გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1964.

39) Гнилосаров, 1858: Гнилосаров П., о царе Соломоне II и бывшем при нем управлении. Кавказский календарь, Тифлис, 1858.

40) გოგოლაური, 2016: გოგოლაური რ., ჩრდილოეთ კავკასია-სამცხე-ჯავახეთის ურთიერთობა და ქართლ-კახეთი XVIII ს-ში. ახალციხე-თბილისი, 2016.

41) გოგოლაური, 2016: გოგოლაური რ., სამცხე-ჯავახეთი XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბილისი, 2016.

42) გოგოლაური, 1997: გოგოლაური რ., რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი და ერეკლე II-ის ბრძოლა სამცხე-ჯავახეთის განთავისუფლებისთვის, თბილისი, 1997.

43) გოგოლაური, 2017: გოგოლაური რ., საისტორიო ძიებანი, თბილისი, 2017.

44) გოგოლაური, 2021: გოგოლაური რ., ნარკვევები სამხრეთ საქართველოს ისტორიიდან. თბილისი, 2021.

45) გონიკიშვილი, 1979: გონიკიშვილი მ., იმერეთი XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე, თბილისი, 1979.

46) გურამიშვილი, 2009: გურამიშვილი მ., რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის საერთაშორისო ურთიერთობები XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე და საქართველო. თბილისი, 2009.

47) გურული, 2017: გურული ვ., საქართველოს ახალი ისტორია 1801-1918 წწ. წიგნი I. თბილისი,2017.

48) გურული, 2018: გურული ვ., მეფე ერეკლე და რუსეთი. თბილისი, 2018.

49) გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით მოამზადა ს. ჯიქიამ. თბილისი, 1958.

50) დადიანი, 1962: დადიანი ნ., ქართველთა ცხოვრება, თბილისი, 1962.

51) დათუაშვილი,1993: დათუაშვილი ზ., ტრაქტატი მეფე-მთავართა-ორასწლოვანი სევდა (საისტორიო შტუდიები) ქუთაისი,1993.

52) დიასამიძე, 2015: დიასამიძე ბ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლა XVI-XVIII საუკუნეებში წიგნში ,,ქართული დიპლომატია წელიწდეული, 17. თბილისი, 2015.

53) Дубровин, 1886: Дубровин Н., История воины, II, С-петербург,1886.

54) დუმბაძე, 1957: დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს-ის I ნახევარში, თბილისი, 1957.

55) დუმბაძე, გუჩუა, ჯამბურია, 1973: დუმბაძე მ., გუჩუა ვ., ჯამბურია გ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.

56) ვაჩნაძე, 2011: ვაჩნაძე ნ., ,,დიდნი საქმენი", ბასილი ზარზმელი ,,ცხორებაი და მოქალაქეობაი ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაი სერაპიონისი", თბილისი, 2011.

57) თამარაშვილი, 1902: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი,1902.

58) თოთჩიშვილი, 2017: თოთჩიშვილი რ., იმერეთი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბილისი, 2017.

59) Юзефович, 1869: Юзефович Т., Договоры России с Востоком политические и торговые, С-петербург, 1869.

60) იოსელიანი,1950: იოსელიანი ა., იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, თბილისი, 1950.

61) იოსელიანი, 1978: იოსელიანი პლ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბილისი, 1978.

62) კაკაბაძე, 1913: კაკაბაძე ს., საეკლესიო რეფორმებისთვის სოლომონ I-ის დროს, ტფილისი, 1913.

63) კაკაბაძე, 1913: კაკაბაძე ს., თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, ტფილისი, 1913.

64) კაკაბაძე, 1914: კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისთვის, წიგნი I, თბილისი, 1914.

65) კაკაბაძე, 1920: კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფილისი, 1920.

66) კაკაბაძე, 1921: კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ტფილისი, 1921.

67) კაკაბაძე, 1922: კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა 1500-1810 წწ) ტფილისი,1922.

68) კანდელაკი, 1936: კანდელაკი ს., ისტორიული ნარკვევი, სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, თბილისი, 1936.

69) კიკვიძე, 1954: კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX ს), თბილისი, 1954.

70) ლეონიძე, 1959: ლეონიძე გ., გამოკვლევები და წერილები, თბილისი, 1959.

71) ლომსაძე, 1975: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი XVIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე, თბილისი, 1975.

72) ლომსაძე, 1979: ლომსაძე შ., გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (იოანე ხუცესის ქრონიკები), თბილისი, 1979.

73) ლომსაძე, 1997: ლომსაძე შ., მესხები (ახალციხური ქრონიკები), თბილისი, 1997

74) ლომსაძე, 2011: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი XVIII ს-ის შუაწლებიდან XIX ს-ის შუაწლებამდე. ახალციხე, 2011.

75) ლორთქიფანიძე, 1940: ლორთქიფანიძე ი., მასალები საქართველოს ისტორიისთვის (წიგნში XVIIIს-ის მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის), ნაკვ. II, თბილისი, 1940.

76) მაჭარაძე, 1957: მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, თბილისი, 1957.

77) მაჭარაძე, 1968: მაჭარაძე ვ., ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბილისი, 1968.

78) მაჭარაძე,1983: მაჭარაძე ვ., გეორგიევსკის ტრაქტატი, თბილისი,1983.

79) მაჭარაძე, 1988: მაჭარაძე ვ., მასალები XVIIIს-ის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III. ნაკვ. I. თბილისი, 1988.

80) Маркова, 1966: Маркова О., Россия, закавказье и международные отношения в XVIII столетия, Москва, 1966.

81) მილანელი 1964: დონ ჯუზეპე მილანელი, წერილები საქართველოზე, თბ, 1964.

82) ნაჭყებია, 2018: ნაჭყებია ი., ნაპოლეონის დიპლომატიური მისიები ირანში და საქართველოს საკითხი, თბილისი, 2018.

83) ორბელიანი, 1981: ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი, თბილისი, 1981.

84) ორჯონიკიძე, 2013: ორჯონიკიძე ე., ალექსანდრე ბატონიშვილი, თბილისი, 2013.

85) ოდიშელი, 1985: ოდიშელი ჯ., დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, თბილისი, 1985.

86) ჟორდანია, 2011: ჟორდანია თ., თხზულებანი, თბილისი, 2011.

87) რეხვიაშვილი, 1982: რეხვიაშვილი მ., იმერეთი XVIII ს-ში, თბილისი, 1982.

88) რეხვიაშვილი 1989: რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო 1462-1810 წლებში, თბილისი, 1989.

89) რეხვიაშვილი, 2012: რეხვიაშვილი მ., სოლომონ II, თბილისი, 2012.

90) სოსელია, 1973: სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბილისი, 1973.

91) **სოსელია,1981:** სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბილისი, წიგნი II, თბ, 1981.

92) საისტორიო კრებული, წიგნი I, ტიფლისი, 1928.

93) **სამსონაძე, 1988:** სამსონაძე მ., საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII ს-ში. თბილისი, 1988.

94) **სამსონაძე, 2003:** სამსონაძე მ., საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ცდები XVIII ს-ის II ნახევარში, საისტორიო ალმანახი, ი.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი კლიო 19. თბილისი, 2003.

95) **სიხარულიძე, 1964:** სიხარულიძე ქს., ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, თბილისი, 1964.

96) **სვანიძე, 1971:** სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს, თბილისი, 1971.

97) **სვანიძე, 2009:** სვანიძე მ., სდსინ-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ნარკვევები, თბილისი, 2009.

98) **სულაბერიძე, 2001:** სულაბერიძე ზ., დასავლეთ საქართველო XVIII ს-ის II ნახევარში და რუსეთი, D. 3. 146. (საკანდიდატო დისერტაცია) თბილისი, 2001.

99) **სულაბერიძე, 2001:** სულაბერიძე ზ., რუსეთ იმერეთის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიისათვის XVIII ს-ის 80-90-იან წლებში". (ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსიტუტი კლიო. თბილისი, 2001).

100) **სულაბერიძე, 2010:** სულაბერიძე ზ., იმერეთის სამეფოს და აფხაზეთის სამთავროს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს-ის II ნახევარში. ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული № 4. ზუგდიდი, 2010.

101) **სურგულაძე, 1992:** სურგულაძე ა., საქართველოს ისტორია 1783-1990 წლებში, თბილისი, 1992.

102) **ტაბაღუა, 1979:** ტაბაღუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს-ის II ნახევარში. თბილისი, 1979.

103) **Тарсаидзе, 1972:** Тарсаидзе Н., исторические этюды, Тбилиси, 1972.

104) **ტუხაშვილი, 1983:** ტუხაშვილი ლ., რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 1983.

105) **ტყავაშვილი, 2011:** ტყავაშვილი მ., ლეონ იულონის ძე ბაგრატიონის პოლიტიკური პორტრეტისთვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ი. ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 2(10). თბილისი, 2011.

106) **ტყეშელაშვილი, 2016:** ტყეშელაშვილი ლ., იმერეთის მეფე სოლომონ I-დიდი, ქუთაისი, 2016.

107) **ფერაძე, 2005:** ფერაძე ვ., კათოლიკე მისიონერები ერეკლე II-ის სამსახურში, კრებული ,,მესხეთი", VI-VII, თბილისი-ახალციხე, 2005.

108) **Пирцхалаишвили, 1942:** Пирцхалаишвили А., Имеретия и Гурия в период 1804-1840 гг. (წიგნში მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.I,) თბ, 1942.

109) ქართლის ცხოვრება. ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

110) **ქიქოძე, 2011:** ქიქოძე გ., ერეკლე II, თბილისი, 2011.

111) **ქორთუა, 1964:** ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბილისი,1964.

112) **ქორიძე, 2000:** ქორიძე თ., მაქსიმე II აბაშიძე, წიგნში ,,საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები", თბილისი, 2000.

113) **შარაშიძე, 1961:** შარაშიძე ქ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVIსს. თბილისი, 1961.

114) **შარაშენიძე, 1970:** შარაშენიძე ზ., ირანი XVIII ს-ის II ნახევარში. თბილისი, 1970.

115) **შენგელია, 1971:** შენგელია ნ., აჰმედ ფაშის ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. III, თბილისი, 1971.

116) **შენგელია, 1963:** შენგელია ნ., ჯიქია ს., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, ტ. III, თბილისი, 1963.

117) **შენგელია, 2011:** შენგელია ნ., ოსმალური ფირმანები და ბერათები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ, თბილისი, 2011.

118) ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით მოამზადა ცისანა აბულაძემ და მიხეილ სვანიძემ. თბილისი, 1979.

119) ჩუბინოვი, 1854: ჩუბინოვი დ., ქართლის ცხოვრება დასაბამით-გან მეათცხრამეტე საუკუნემდის. ნაწ. 2. სანკტ-პეტერბურგი, 1854

120) ჩხატარაიშვილი 1964: ჩხატარაიშვილი ქ., გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, მაცნე №4, თბილისი, 1964.

121) ჩხატარაიშვილი, 1972: ჩხატარაიშვილი ქ., საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან წიგნში საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1972.

122) ჩხატარაიშვილი, 1973: ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთ საქართველო XVIIIს-ის I ნახევარში, წიგნში საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1973.

123) ჩხატარაიშვილი, 1985: ჩხატარაიშვილი ქ., გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან. თბილისი, 1985.

124) ცაიშვილი, 1962: ცაიშვილი ს., ბესიკი, თბილისი, 1962.

125) Цагарели, 1891: Цагарели А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I под. ред. А.А. Цагарели, С-петербург, 1891. (А. Цагарели, Грамоты т.I)

126) Цагарели, 1898: Цагарели А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II под. ред. А.А. Цагарели, С-петербург, 1898. (А.Цагарели, Грамоты т.II, вып.I)

127) Цагарели, 1902: Цагарели А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II. Вып.II, под. ред. А.А. Цагарели, С-петербург, 1902. (А.Цагарели, Грамоты т.II, вып.II)

128) ცინცაძე, 1940: ცინცაძე ი., ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, თბილისი, 1940.

129) ცინცაძე, 1960: ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960.

130) ცინცაძე, 1964: ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, საისტორიო მოამბე 17-18. თბილისი, 1964.

131) ცქიტიშვილი, 1980: ცქიტიშვილი ზ., საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი, XVIII ს-ის II ნახევარი, XIX ს-ის დამდეგი, თბილისი, 1980.

132) Цкитишвили, 1992: Цкитишвили З., Государственные деятели Грузии, Тбилиси, 1992.

133) წურწუმია, 2012: წურწუმია მ., ყივჩაღთა საკითხისათვის XII ს-ის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში. ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 2012, ტ.VI.

134) წურწუმია, 2017: წურწუმია ზ.,ოსმალეთის პოლიტიკური გაბატონება აფხაზეთში XVIII ს-ში. ,,ანალები"-ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი. თბილისი, 2017.

135) ყრუაშვილი, 2015: ყრუაშვილი ი., ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო ორიენტაციის საკითხი XVIII ს-ის 70-80-იან წლებში. (სადოქტორო დისერტაცია). ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2015.

136) ჭიჭინაძე, 1885: ჭიჭინაძე ზ., ბესიკი, ლექსნი, თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისგან 1749-1791, ტფილისი, 1885.

137) ჭიჭინაძე, 1913: ჭიჭინაძე ზ., ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, თბილისი, 1913.

138) ჭიჭინაძე, 1919: ჭიჭინაძე ზ., ფარული საზოგადოების დაარსების მიზეზები, თბილისი, 1919.

139) ჭიჭინაძე, 1920: ჭიჭინაძე ზ., რუსეთის გენერალ სუხოტინმა როგორ მოატყუა იმერეთის მეფე სოლომონ I. თბილისი, 1920.

140) ხახანაშვილი, 1911: ხახანაშვილი ალ., იმერეთის მეფე სოლომონ II, თბილისი, 1911.

141) ხერხეულიძე, 1989: ხერხეულიძე ო., მეფობა ირაკლი მეორისა, თბილისი, 1989.

142) ხარაძე, 2018: ხარაძე კ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, იმერეთი. თბილისი, 2018.

143) ჯავახიშვილი, 1948: ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 1948.

144) ჯავახიშვილი,2006: ჯავახიშვილი ი., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბილისი, 2006.

145) ჯავახიშვილი, 2012: ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. V, თბილისი, 2012.

146) ჯანაშვილი, 1905: ჯანაშვილი მ., მასალები საქართველოს ისტორიისთვის, თბილისი, 1905.

147) ჯანელიძე, 2013: ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2013.

148) Bilge, 2005: Bilge M. Sadik., Osmanli Pevleti ve Kafkasya, İstanbul, 2005.

149) Ensar, 2014: Ensar Köse.,Osmanli Devlet ve I Solomon'un imeret'te Hakimiyer Mucadelesi 1752-68 Tarih pergisi, s. 60, İstanbul, 2014 .

150) Gümüş, Nebi, 2010: Gümüş, Nebi., Tiflis'Te İkinci Osmanli Hakimiyeti ve 18. yuzyil Osmanli-Gurcü İlişkileri, XVI, Türk Tarih kongresi, c.4.k.2. Ankara, 2010.

151) ს ე ა ც ს ა - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი №1449, ანაწ. 1. საქმე №3289.

152) ს ე ა ც ს ა - თურქული საბუთების აღწერა. ფონდი № 1453. საქმე №128.

153) COA, HAT - თურქეთის პრეზიდენტის არქივი.